

ნინო პეტხოშვილი

ეროვნული სიმდერა, სიმღერები

„ნაკადული"
თბილისი * 1971

„მორბის არაგვი, არაგვიანი“ „ჩვენი სამშობლოს“ ციკლიდანაა და უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს წიგნისა „ცხრათვალა მზის ქვეშ“.

„მორბის არაგვი, არაგვიანი“ აგვიწერს არაგვის, ქსნის და ნაწილობრივ ივრისა და თერგის ხეობებს.

ჩვენმა მოგზაურებმა ბევრი იარეს და ბევრიც ნახეს. მცხეთიდან დაიწყო მათი მგზავრობა. მოიარეს მუხრანის ვაკე, სარკინეთი, შიომღვიმე, ახალგორი, ლარგვისი, ყელის ტბა, ლიახვების სათავეები, ლომისა, გადაკვეთეს ალევის ქედი და ჩავიდნენ არაგვის ხეობაში. მლეთიდან ჯერ თერგის ხეობას ეწვივნენ, სადაც ბევრი რამ საინტერესო იხილეს. თერგის ხეობიდან იბრუნეს პირი და არაგვს ჩამოჰყვნენ, ჭოპორტში კვლავ ძია პავლეს შეხვდნენ და მასთან ერთად ივრის ხეობის ნაწილიც მოინახულეს. გზადაგზა გაეცვნენ მხარის გეოლოგიურ წარსულს, მცენარეულ საფარს, ფაუნას, ისტორიულ ძეკლებს. ჩვენმა მოგზაურებმა ძველი გამოცდილება გამოიყენეს და თან ისტორიული წიგნებიც წაიღეს, მათ შორის ვახუშტი ბაგრატიონის საქართველოს გეოგრაფიაც, და ბევრ რამეს ადგილობრივ ამოწმებდნენ.

მომავალ წელს დაიკლიან ქართლს, მესხეთ-ჯავახეთს და მესხეთიდან გოდერძის ზეკარით გადავლენ ჭოროხის ხეობაში.

თავი I

შემომეყარა ყივჩაღი

ხარს ვეევარ ნაიალაღარს,
რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ:
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,
მძინარეც ამას ვდუდუნებ.

ეაჟა-ფშაველა

ძეძვი და მუხა შეიბნენ..

მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგს კბილები უკაწკაწებდა, ძია მიხეილი ვნახოთო, მცხეთაში არ გაჩერებულან.

— ნახვით ვნახავდით, მაგრამ შენ და ის რომ გააბამთ, ეს ასეთი ყვავილია, ის ისეთიო, შემოგვაღამდება კიდეც, — გაეხუმრა ერეკლე.

— მარტო მისი ქოთნების ნახვა მოგჭრის თვალს, კოჭობში ან მის ნატეხარზე კლდისდუმა ჩაუსვამს, სადუღარში აბურძგნული კაქტუსი, საჯეროში პირიმზეს მოუკალათია, ქვაბ-ქოთანაში[1] ლურჯ დეზურას.

— ერთ კუთხეში პაწაწინა კალო-საბძელიც გაუმართავს, იქვე ურემია, არნადი და კევრი, ორთითი და ფიწალი. ეს პაწაწინა კევრი როგორ მოკოხა, საოცარია!

---

[1] კოჭობი, სადუღარი, საჯერო, ქვაბ-ქოთანა — სხვადასხვა ზომის და დანიშნულების თიხის ჭურჭელია.

— აბა თუ გახსოვთ ურმის ნაწილების სახელები. — შეეკითხა გიორგი შვილებს.

— ხელნა, თათი, ზეწარი, ჭალი, წინა კოფო, უკანა კოფო, უბის კოფო, კვერნა, ღერძი, ხუნდი, დანდალი.

— უღელი, თავტაბიკი, ტაბიკი, აპეური.

— რომელი მეურმე თქვენა მყავხართ, რომ ეგრე ჩამოაწიკწიკეთ და ჩამოკენჭეთ, — ვეღარ მოითმინა გოგიამ.

— ურმის თვალი, ფერსო, მამალი სოლი, დედალი სოლი, ჭინჭილაქი, რჩოლი, მორგვი, სალტე...

— კიდევ, კიდევ? — ჩაერთო შალვაც.

— რაღა კიდევ? — იკითხა ვახტანგმა.

— ლასტი? ლართხი?[1] ულასტოდ სად რას დადებ?

— აი, ესეც ბელტის ციხე, — სიტყვა ბანზე ააგდო ერეკლემ.

— განგებ წამოიწყე ლაპარაკი ურემზე და გამომაპარე ძია მიხეილის გადასახვევი, — საყვედურით გადახედა ვახტანგმა მამას.

— ბელტისა თუ ბებრისა? — ჩაეკითხა ერეკლე.

— ძველად ბელტის ციხედ იწოდებოდა ბელტით ნაშენი. ძველად-მეთქი რომ ვამბობ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე არსებულ დროს ვგულისხმობ. ეს ციხე იცავდა მცხეთას ჩრდილო-კავკასიის ველების ბინადართაგან, სკვითებისა და სარმატებისაგან. მაშინ ხშირად აშენებდნენ ბელტის ციხეებს, კირით ხუროობა გვიან შემოვიდა. თუ ქვისაგან აშენებდნენ, ისეთი წყობა ჰქონდა, როგორც თუშურსა და ხევსურულ ციხეებს აქვთ. ფიქალი ფიქალზეა დალაგებული ისე, რომ არც ტალახია ხახმარი, არც დუღაბ-კირი; ან დაკუთხული, თლილი ქვებით აგებდნენ და მათი სიმძიმე იჭერდა კედელს, აი ისე, როგორც ბაგნითში.

ნარეკვავზე გზა გაიყო. მარცხნივ, დასავლეთისაკენ გაიჭიმა ქართლის ვაკეზე, �.რდაპირ კი — ჩრდილოეთისაკენ, ჯვარის ზეკარისაკენ, კავკასიონის მთავარი ქედისაკენ.

გოგიამ ცალი თვალით გადახედა გზაგასაყარზე მდგომ ავტოინსპექტორს და ჩაიღიმა. მანქანამ ნარეკვავს ჩაუქროლა და მუხრანის ვაკისაკენ წეროვნის პატარა აღმართს შეუდგა.

— აქ ხომ თელა იდგა, რა იქნა?

---

[1] ლართხა — ლასტის ნაცვლად დაგებული თხელი ფიცარი.



მცხეთა კარსნის ქედიდან

— გახმა, ოციოდე წელია, ჩვენს თელებს ერთი სოკო დაერია და ახმობს. ფილოქსერისა არ იყოს, ეგეც ამერიკიდანაა შემოტანილი...

— თბილისში, ხელოვნების მუზეუმის წინ რომ დიდი თელა იდგა, ისიც ამ სოკომ ხომ არ გაახმო?

— სწორედ მაგ სოკომ.

— წილკნის თელიანი? ნუთუ ამოვარდება!

— აი, ხვალ ვნახოთ, იქნებ წილკნის კორომის თელამ გაუძლოს. ამ მხარეში ორი სახეობის თელაა — ჭალისა, კორპიანი, და ვაკისა, განიერფოთლება. მცენარის ზოგი სახეობა კარგად უძლებს ავადმყოფობას, ზოგი — ნაკლებად.

მანქანამ აღმართი აიქროლა და მხარმარცხნივ გამოჩნდა კოპწია შენობა — საქართველოს მიწათმოქმედების ინსტიტუტი, მისი უჯრა-უჯრად დანაწილებული მინდვრები, აბიბინებული ყანები. ჩანს, მთელი მინდორი საცდელ ნაკვეთებს ეჭირა.

ამ ინსტიტუტში მრავალმხრივი მუშაობაა გაჩაღებული, ზოგი

მეცნიერი მუშაკი აზუსტებს საქართველოსათვის შესაფერ თესლთა-ბრუნვას, ზოგი — მიწის დამუშავების წესებს სხვადასხვა მცენარი-სათვის, სასუქთა დოზებს, თესლის სიხშირეს, რომელ ნიადაგზე ან რომელი სასუქის ფონზე რამდენი ძირი ხორბალი უნდა იდგეს, რამ-დენი სიმინდი თუ სხვა მცენარე.

— აგერ, მუხრანიც, იქ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საც-დელი მეურნეობაა; მთის ძირას, წილკანსა და ნატახტარშუა კი გან-თქმული ნატახტრის სასელექციო სადგურია! — ჩაერია ლაპარაკში შალვა, — ჩვენს მამებს სიზმარშიც კი არ მოეჩვენებოდათ ამდენი სამეცნიერო დაწესებულება ამ პატარა კუთხეში. გორთან ხელთუბ-ნის საცდელი სადგურია, ატენში მევენახეობის დასაყრდენი პუნქ-ტი, სკრაში მეხილეობის საცდელი სადგური, გორში წმინდაწყალ-ზეც, მეხილეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის საცდელი სადგუ-რის ფილიალია. ჩვენი ბოტანიკოსები კაკკასიონსაც მისწვდნენ და იქ მემდელოეობის საცდელი სადგური დააარსეს, რისთვისაც ყაზ-ბეგში შესანიშნავი შენობა აიგო.

მათ თვალწინ გადაიშალა მწვანედ გაღაღანებული მუხრანის ვაკე, დამშვენებული ბაღ-ვენახითა და სახნავ-სათესით.

მუხრანის ვაკე ნაწილია ეგრეთ წოდებული ქართლის დიდი ვაკი-სა, რომელიც საგურამოში იწყება. საგურამოს ვაკეს მუხრანის ვა-კისაგან ყოფს არაგვი, მუხრანის ვაკეს დასავლეთით მდინარე ქსანი ჩაუდის, მარჯვენა ნაპირიდან ვაკე გრძელდება (თეზი-ოკამის ვაკე) და ტირიფონის ვაკეს გამოეყოფა იგოითის გორაკებით და მდინარე ლე-ხურით. ტირიფონას დასავლეთით ჩაუდის ჯერ მეჯუდა, შემდეგ ლია-ხვი. ზოგან თითქმის ლიახვის ნაპირიდან (ტინი-ხიდი—ვარიანი) იწ-ყება მალხაზის წვერის ქედი, რომელიც თანდათანობით გადადის ზე-მო ქართლის ვაკეზე (რუისის ვაკე, დედოფლის მინდორი, დოღლა-ური); ეს ვაკეები დასერილია პატარა მდინარეებით (ფცა, ფრონე, სურამულა) და ქართლის დიდი ვაკე ჩაწყდება ლიხის ქედის ძირას (სურამი, ტეზერი, ქვიშხეთი, ტაშისკარი).

მაისი იდგა, მცენარეებისათვის საუკეთესო დრო, ყანები წამო-წეულიყვნენ, მუხლი გაემართათ, ბევრგან თავთავი ამოეტანათ და ოდნავ ნიავის წამობერვაზე მზეკაბანი გადაევლებოდა ხოლმე. ყანის პირებზე და ზოგჯერ თვით ყანაშიც თვალწარმტაცად ელვარებდა სისხლისფერი ყაყაჩო, განსაკუთრებით მომხიბვლელი იყო მისი სი-

ლამაზე მწვანე ფონზე, ღიღილო ცისფრად და სოსანი—მოლურჯო—სოსანად გამოიყურებოდნენ. ნაჩხატად დარჩენილ მინდორზე შალგს გადაევლო და გაეყვითლებინა. კონიო და გვირილა კი მიჯნებზე აკანტურებდნენ თავს. ბზუოდა მწერი და მღილი, ზუზუნებდა მოუსკენარი ფუტკარი, კირკიტა ჰაერში გაჩერებულიყო და აფარფატებდა ფრთებს, ძირს იცქირებოდა, იქნებ თაგვს მოვკრა სადმე თვალიო. წამოზრდილი ნარის წვერებზე დასკუპული თავწითელა ნარჩიტები საამურად ჟღურტულებდნენ. ნიბლიები აქა-იქ თუ გამოჩნდებოდნენ, გოროვნის პირდაპირ პატარა ბიჭებს სხარტები[1] დაეჭირათ და მწყურაობდნენ.

მოჩანდა ნატახტარი, ძველი საფურცლე, სელექციის საღგური, წილკანი, ქსოვრისი, მუხრანი, ძალისი, ძალისს ზემოთ ერედა და ახალდაბა. წინ კი, მაღლა, წითელი გორა. ციხე-ბოდავის მთის ფერდობები ჩამოტიტვლებულია, მხოლოდ სერზე შემორჩენილა რამდენიმე ეულად მდგომი მუხა, ძველი ტყეების ეს დაობლებულ-დაქვრივებული მოწმენი.

ქსნის გაღმა, თხოითის მთის კალთაზე მოჩანდა აღაიანი, ოძის გაღმა, მთის ძირას თეზი, ოკამი და ოკმის დიდი მინდორი, ისიც ბაღვენახოვანი, მწვანით აბიბინებული. ეს მხარე ჯერ კიდევ ახლო წარსულში უღრანი მუხნარით იყო დაფარული, რომელიც წყლისპირისკენ ვერხვნარში გადადიოდა, მაგრამ თანდათან გაიჩეხა, განადგურდა. მუხნარის ადგილი ძირითადად სახნავ-სათესმა დაიჭირა, ვერხვნარი კი — რიყემ. რადგან დაბლობში თხელი ნიადაგი იყო, ხოლო ქსანი, როდესაც თავს მოიგიჟიანებს, წყლით ჰფარავს, გლეჯს ნიადაგს, მოაქვს ხრეში. მუხნარშიც ბევრგან იყო ხირხატი ნიადაგი და სახნავ-სათესად არ გამოდგა. იქ უკვე ძეძვი დასახლდა თავის ამფსონებით (შავჯაგა, ჩიტავაშლა, კვრინჩხი, კოწახური).

თხოითის მთის ფერდონი ჯერ კიდევ ტყითა და ბუჩქნარითაა დაფარული; სამწუხაროდ, იმის მაგივრად, რომ იგი შევინახოთ, მოვუაროთ, ვაახოვებთ, ვძირკვავთ, ვხნავთ და ხორბალსა ვთესავთ. თხოითის ფერდოზე ნიადაგი თხელია, მოხნული და ნირშეშლილი. წვიმის წყალს ადვილად მოაქვს ქვემოთ და ნახნავის ადგილას ნიადაგის ქვე-

---

1 სხარტი — სამ-ხუთტოტიანი ჯოხი. ყველა ტოტი მომწყერავეს ერთად აქვს ჩაბღუჯული. ბწყერი რომ წამოფრინდება, ესკრის. ამ დროს ტოტები იშლება და ერთი მაინც მოხვდება.

და ფენას — კონგლომერატსა და ქვა-ღორღს ტოვებს. რასაკვირველია, ეს ფართობი აღარც სახნავ-სათესად ვარგა და მასზე ტყის აღდგენაც გაძნელებულია. ამ ტყეს კი დიდი მნიშვნელობა აქვს თეზი-ოკამი-აღაიანის მინდვრების და ზვრებისათვის.

— ქანდას ბოგირთან შეაჩერე, ან ძველ წისქვილთან გადაუხვიე: იქ, ვერხვის ჩრდილში გავშალოთ ვახუშტი და ზოგი რამ მოვიგონოთ.

— აი, კიდევ ვახუშტი! — წამოიძახა ერეკლემ და უცბად ენაზე იკბინა. ისე იყო გატაცებული გაზაფხულის სიმშვენიერით, რომ წიგნში ჩახედვა, როგორც ჩანს, დაეზარა.

ნახევრად დანგრეულ წისქვილთან გაჩერდნენ.

„ხოლო მცხეთის ჩრდილოთ არს ციხე ბ ე ლ ტ ი ს ა, აღაშენა არდამ ერისთავმან. ამის ჩრდილოთ არს ღ ა რ თ ი ს კ ა რ ი, ხევი ღრმა და მშრალი. მის ჩრდილოთ არს მ დ ი ნ ა რ ე ნ ა რ ე კ ვ ა ვ ი ს ა, რომელი გამოსდის ალევის მთასა და დის სამხრით ტყვილიანამდე, მერმე აღმოსავლეთით და მიერთვის არაგვს დასავლეთიდამ. ესე გამოვლის შორის მუხრანსა. არაგვის დასავლით ნარეკვავსა ზედა **არს ჭალა ნარეკვავისავე, ნადირითა და ხოხბითა სავსე** (ხაზი ჩემია! ნ. კ.) და არს მდინარე ესე უჟანამდე ვენახითა და ხილითა ნაყოფიერი. ხოლო ნარეკვავის ჩდილოთ, არაგვის პირს, არს ს ა ფ უ რ ც ლ ე და საფურცლის ჩრდილოთ მ ი ს ა ქ ც ი ე ლ ი, მთის ძირს. ამის დასავლით, ამ მთის ძირს, არს ეკლესია წ ი ლ კ ა ნ ს, ღვთისმშობლისა, გუნბათიანი და მშვენიერი. აღაშენა მეფემან ბაქარ, ზის ეპისკოპოზი, მწყემსი მუხრანისა, ორისავე არაგვისა და ბაზალეთისა...

„ტყვილიანის ჩრდილოთ არს მონასტერი მ ჭ ა დ ი ს ჯ ვ რ ი ს ა, საბურდიანოსა შინა, გუნბათიანი და აწ უქმი. კვალად ნარეკვავის შესართავის დასავლით, სარკინეთის მთის ჩდილოს გვერდით, ვიდრე ქ ა ნ დ ა-ც ი ხ ი ს ძირამდე, არს ვენახოვანი, ხილიანი, **ბალახიანი და** ტყიანი (ხაზი ჩემია! ნ. კ.), ხოლო ციხის-ძირს ჩამოუდის კსანი. ოძისამდე არს მუხრანისა, ოძისის ჩდილოთ კერძი კსნის ხევისა. ციხის-ძირის სამხრით არს ც ი ხ ე-მ ტ კ ვ რ ი ს ა, სარკინეთის მთასავე ზედა, რომელი აღაშენა მეფის კოსტანტინეს ძემან ბაგრატ. ამ ციხის სამხრით, მტკვრამდე და ნასპარსევამდე, არს **მინდორი ნასპარსევისა** წოდებული....

„ხოლო კსანი მდინარე ეროვის მტკვარს ჩდილოდამ, **ციხეს**

ეული მუხა, ს. თეზი

ქვევით. ციხის-ძირს ზეით ერთვის კსანს შ ი ო ს-უ ბ ნ ი ს წ ყ ა რ ო ს წ ყ ა ლ ი აღმოსავლეთიდამ. არამედ შიოს-უბანს არს შენობა დიდი სასახლეთა... ამის ჩდილოთ ქ ს ო რ ი ს ი. მუნ არს აღებული რუ, და რწყავს ორთა ამათ მთათა შორისთა მინდორთა, სარკინეთისა და ციხე-ბოდავის მთათა შორისსა, და ნაყოფიერებს მით ფრიად. მას ზეით ო ძ ი ს ი და, დასავლით კსნისა, ირტო-თეზ-ოკმის მინდორი და ჩანგილარ-ბეგთათავისა; ირწყვის კსნის რუთივე და ნაყოფიერებს....

„კსანი არს სარგებლიანი მდინარე და თევზიანი, არამედ ესე მუხრანი ფრიად შემკული არს ზამთარ სითბოთი, და მეფეთა სადგური, ბალახ-ჩალიან-ლერწმოვანი, ზაფხულს მშვენი, კეთილ — აგარაკოვანი, ცივნი წყარონი, ჰავით მშვენი. მოსავლიანი მტილითა, წალკოტთა, ვენახთა, თესლ-მარცვალთა მრავლად ნაყოფიერებს. პირუტყვნი, აქლემს გარდა, ყოველნი მრავალნი, რამეთუ ზამთარ ბალახთა მძოვარნი არიან. ფრინველნი გარეულნი და შინაურნი მრავალნი,

სანადირონი მოუკლებელნი. სახლობენ გვარიანნი აზნაურნი, და კაცნი მხნენი და მბრძოლნი, არამედ მპარავნი. პირველ იყო მეფეთა სადგური; აწ უპყრავს, შემდგომად ბაგრატისა, მუხრანის ბატონსა, ამასვე აქუს დროშა სასპასპეტე არაგვ-ქსნისა".

ამ ამონაწერიდან ორ ადგილს მიაქციეთ ყურადღება: „ნარეკვავსა ზედა არს ჭალა ნარეკვავისავე, ნადირითა და ხოხბითა სავსე" და „სარკინეთის მთის ჩდილოს გვერდით, ვიდრე ქანდა-ციხის ძირამდე არს ვენახოვანი, ხილიანი, ბალახიანი და ტყიანი". დასახელებული ადგილები დღეს ძეძვით ან ნახნავებითაა დაფარული. ტყე შემორჩენილა მხოლოდ სარკინეთისა და თხოითის მთების მწვერვალებზე.

— ხომ არ გინდათ გითხრათ, ვინ არიან ჩვენი მგზავრები?

მაგრამ ამას რა თქმა უნდა! თქვენ მათ იცნობთ. შარშან თუ შირაქ-ელდარი მოიარეს, წელს ქსნისა და არაგვის ხეობის შესწავლა გადაუწყვეტიათ.

კარგად მოგეხსენებათ, რომ თბილისი ამ უკანასკნელ რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ძალიან გაიზარდა, მოსახლეობამ თითქმის მილიონს მიაღწია. მის მეზობლად გაშენდა ახალი ინდუსტრიული ქალაქი რუსთავიც. ბევრი რამ სჭირია ქალაქის მოსახლეს, პირველ რიგში კი წყალი. ნატახტარის წყალსადენი ორჯერ-სამჯერ გაზარდეს, მაგრამ დღეისათვის თბილისს წყალი მაინც არ ჰყოფნის.

მომავალში, რამდენადაც კულტურული მოთხოვნილება გაიზრდება, იმდენად გაიზრდება წყლის ხარჯვაც. დიდი ფიქრის შემდეგ გადაწყდა, კვლავ არაგვს მიმართონ და მისი წყლით გაამდიდრონ თბილისის წყალსადენი. ჟინვალთან უნდა აშენდეს წყალსაცავი, ეყოფა ამას არაგვი? იქნებ ქსნის ზედმეტი წყალიც (რაც სარწყავს არა სჭირია) არაგვს მიემატოს? როგორ? ეს ჩვენმა ინჟინრებმა იციან, თუ საჭირო იქნება, მთას გახვრეტენ. მაგრამ ეს არა კმარა, საჭიროა დადგინდეს, რა მდგომარეობაშია ამ მდინარეთა ხეობები, როგორია წყლის რეჟიმი, მცენარეული საფარი, როგორ მიმდინარეობს ეროზიული პროცესები, უზრუნველყოფს თუ არა ხეობის ბუნებრივი პირობების განვითარება არაგვში და ქსანში წყლის შედარებით თანაბარ დინებას. იქნებ, ეს პროცესები ისე მიმდინარეობს რომ ქსანმა და არაგვმა უარიც კი თქვან ხალხის სამსახურზე.

. ამ მუშაობაში უნდა ჩაებნენ ჰიდროლოგები, გეოლოგები, ბიოლოგები, განსაკუთრებით ბოტანიკოსები, ინჟინრები და სხვანი.

თქვენ კარგად იცით, რომ გიორგი ბოტანიკოსია და მას აქვს დავალებული, შეისწავლოს მცენარეული საფარი, მისი აწმყო და მომავალი, იქ მიმდინარე პროცესები. შალვა მას ეხმარება, ერეკლე და ვახტანგიც კოლექტორებად წამოჰყვნენ. წელს წინასწარი დაზვერვითი სამუშაოები ექნებათ. შეარჩევენ ადგილს, სადაც მუდმივი დაკვირვების პუნქტი დაარსდება.

— აბა, გახედეთ სარკინეთის ჩრდილოეთის ფერდას — წეროვნიდან მტკვრის ციხემდე. წეროვნის თავზე კარგად აქოჩრილი ტყეა. როგორც ჩანს, ან ძნელად მისადგომია, ან იცავდნენ და მუხნარრცხილნარმა ტყემ ჩვენამდე კარგად მოაღწია. ასეთი ტყით იყო დაფარული მთელი სარკინეთის მთა, მაგრამ ადამიანის ხელმა არ დაინდო. ამ ფერდობზე კარგად ჩანს ტყის მოსპობის ყოველი ეტაპი. წეროვნის თავზე თუ ტყე კიდევ ტყეობს, გოროვანთან დაბლდება და მეჩხერდება. ჩარდახის თავზე ტყე უკვე ბუჩქნარში გადადის, იმის შემდეგ ჯაგნარია, ჯაგნარი ჩირგვნარშია გადასული, სოფ. ქანდას დასავლეთით კი ჩირგვნარი ბუწკნარად ქცეულა. ბუწკნარს ადვილად მორევია ძეძვი, შავჯაგა, გლერძა, ზოგან უმთავრესად ჩრდილოეთის ექსპოზიციებზე — გრაკლა. თვითონ მტკვრის ციხის ძირი და მისი ფერდონი მთლიანად შეუჭამია ნიაღვარსა და საერთოდ ეროზიულ მოვლენებს. ტყის მოსპობის შემდეგ შედარებით ვაკე ადგილები სახნავ-სათესად არის გამოყენებული, დამრეცი ადგილები კი ჩამოხრიოკდა. სახნავ-სათესს დღეს ვენახი იჭერს, რაც ფრიად პროგრესულად უნდა ჩაითვალოს; ჯერ ერთი, ვაზი ხრიოკს უძლებს, მისი ფესვი ეროზიულ მოვლენებს შეებრძოლება, და რაც მთავარია, ვენახს მეტი შემოსავალი აქვს. თუ მთის წვერებზე შემორჩენილ ტყეებს არ გავუფრთხილდით, არ გავავრცეთ, ისიც მოისპობა და ვენახსაც არ დაადგება ხეირი.

მუხრანის ვაკის გასწვრივ, ოძის-წილკან-მისაქციელს შორის ციხე-ბოდავის მთის ქედი მთლიანად ჩამოხრიოკებულია. თითოოროლა მუხას თუ წააწყდებით, თორემ ტყის ნატამალი აღარსადაა.

ეს სენი — ძეძვიანი და ხრიოკი, ხეობებსაც გადაედება; მან დუშეთს და ანანურს უკვე უწია. მუხრანის ვაკისათვის კი ეს ტყე აუცილებელია.

— შართლაც კლასიკური ნიმუშია ეროზიისა.

ხუთივე გასცქეროდა მტკვრის ციხესა და სარკინეთის ქედს...

— ეს ციხე მუხრანს იცავდა, არა? — იკითხა ერეკლემ და თვითონვე უპასუხა: — ახლა რომ აქ ძია პავლე იყოს, ლექსს გვეტყოდა რაიმეს მუხრანელებზე.

— ძია პავლეს ჩოხის კალთაზე ხომ არ გამოიბამ, შენ თვითონა თქვი, — შეეხმიანა გიორგი.

— მუხრანელმა გოგომ მითხრა, მუხრანამდე გამომყეო,
ღვინოს გასმევ და პურს გაჭმევ, მერე ყანა მომმიკეო,

თქვა ლექსი ვახტანგმა და თვალები ეშმაკურად აუჟუჟუნდა.

წისქვილის მხრიდან გამოვიდა ახალგაზრდა, ფეხებდაკარწახებული ვაჟკაცი და სანდომიანი ღიმილით გამარჯობა უსურვა. აქაური ვარ, სიმინდში წყალი იყო დახევებული[1] და გადავაგდეო.

მერე დიდი ხნის ნაცნობ-მეგობრებივით ყველას სათითაოდ ხელი ჩამოართვა და გულღიად გაეღიმა. სწორედ ალაზნის პირას შეხვედრილი გოდერძის ალი-კვალი იყო.

— აქაური ლექსები კარგად გცოდნიათ, მაგრამ მთავარი რო არა თქვით! ალბათ, გული გადაგიქართულდათ,[2] არა?

— აი დედასა, ყველას ხომ ერთად არ ვიტყოდით. — წამოიძახა ერეკლემ და დაიწყო:

„შემომეყარა ყიფჩაღი საზღვარსა მუხრანისასა,
პური მთხოვა და ვაჭმიე, ვურჩევდი თავთუხისასა,
ხორცი მთხოვა და ვაჭმიე, ვურჩევდი ხოხობისასა,
ღვინო მთხოვა და ვასმიე, ვურჩევდი ბადაგისასა.

აქ სიტყვა ჩამოართვა ვახტანგმა:

ცოლი მთხოვა და ვერ მივეც, მიმყვანდა სიდედრისასა.
ან კი ცოლს როგორ მივცემდი, შვილსა გაზრდილსა სხვისასა,
ხელი მოჰხვია, აკოცა, მოზიდნა ნაწნავს თმისასა,
შესტირა საბრალო ქალმა: ვაი, ცოლს ცუდის ყმისასა. —

---

[1] დახევებული წყალი — სარწყავი წყალი რომ უწესრიგო რწყვის დროს გზას გაიკვალავს, მიწას დახრამავს და მთლიანად ჩახრამულით დაიწყებს დინებას.

[2] გული გადამიქართულდა — გადამავიწყდა.

ჩაერია ახალი ნაცნობი:

მეც გულმა ვეღარ გამიძლო, მოვზიღნე ვადას ხმლისასა,
უმალვე იმან დამასწრო, ელვასა ჰგვანდა ცისასა,
მაგრამ დაუცთა მუხანათს, ვენაცვლე მადლსა ღვთისასა,
ახლა მე შემოვექნიე, ვენდე მადლს ლაშრის ჯვრისასა,
გავეკერი ცხენი და კაცი, წვერიც ვუწიე ქვიშასა.

ვახტანგმა ვერ მოითმინა:

არ იყო ღირსი, მოშორდა ცქერას ნათლისა მზისასა,
ცოლი სიდედრსა მივგვარე, ის კი იქ ლოკავს მიწასა.

მუხრანელმა კი თქვა:
— ძველად ჩვენში ასე იტყოდნენ:

„შემომეყარა ყიფჩაღი საბრუნსა საბუხისასა“.

— ეგ ჭკუასთან ახლოა. საბრუნი და სამუხი ალაზან-იორის შესაყარია. ყივჩაღები სწორედ იქ უნდა ყოფილიყვნენ დასახლებულნი.

— თქვენ რა იცით, აქაური ხართ?
მუხრანელს გაეცინა:

— ეს სამი თაობა ჩვენი ოჯახი ტაბარუკებია. პაპის პაპა — პეპერა, გუდამაყრიდან ჩამოსულა წილკანში, ეს თხუთმეტი წელია, მე და პაპაჩემიც ქანდაში ვტაბარუკობთ — ახალი მოსახლენი ვართ.

— ე ტაბარუკი რაღაა?! — გაიკვირვა ვახტანგმა.

— აკი გითხარი, ახალი მოსახლე-მეთქი; პაპაჩემი იტყოდა ხოლმე: ჩვენ წილკანში ტაბარუკი ხალხი ვართ გუდამაყრიდან ჩამოსულებიო. გვარად წიკლაურები ვართ, თავად გივის მიხმობენ.

კალმისტარმომარჯვებული ვახტანგი უკვე რაღაცას იწერდა რვეულში, ალბათ „ტაბარუკს“.

მხარმოტეხილი წისქვილიდან ფქვილში ამოგანგლული ერეკლე ვამოვიდა.

— წისქვილი წისქვილს არა ჰგავს, სულ მოუშლიათ, ერთი თვალიღა ხრიგინებს...

— ჰო, ცუდი დრო დაუდგათ წყლის წისქვილებს, რაც იაფი

ელექტრონი მოვიდა სოფლამდე, წყლის წისქვილებს შავი დღე გაუთენდათ. აგერ, ნარეკვავზე კოხტა წისქვილი იდგა, ქვითკირისა, კარგი სათავე ჰქონდა. დაანგრიეს, მოშალეს, სათავეც კი გადახსნეს და გაასწორეს. ახლა ესეც იშლება. უყვარდა კი ქართველ კაცს წისქვილი:

ვენახს წისქვილი ჯობიან,
რაც უნდა ძლიერ როხავდეო...

— კიდევაც რომ ჰყვარებია, თუ ვენახისათვის დაუმჯობინებიათ!

— აღარც ხეირიანი ხვიმირა, კრიჭასთვის ქვა შეუბამთ და ის არახუნებს დოლაბზე. — არ ისვენებდა ერეკლე და ძველი წისქვილის უბედობას ჩიოდა.

— კარგი კი იყო სარეკელა, მთელი დღე და ღამე რომ მოუსვენრად არაკუნებდა, — ჩაურთო გივიმ.

— აბა „წასვლა სჯობს წარმავალისა, არ დაყოვნება ხანისა" — შიომღვიმისკენ.

გაიცა ბრძანება და ყველამ მანქანას მიაშურა.

— ამაღამ შიომღვიმს ხომ არ იქნებით? — იკითხა ახალმა ნაცნობმა. თუ არ იწყენთ, სხალტბადან მოკლეზე ჩამოვალ თქვენთან, რაღაც გული შემივარდა თქვენზე.

— გაგვახარებ. მაგრამ რად უნდა შეწუხდე? — შეეპასუხა გიორგი

ურკინო სარკინეთი

ჩვენი მგზავრები ჩაჰყვნენ ქსნის პირს, გაიარეს მტკვრის-ციხის ძირი და რკინიგზის სადგურთან აღმოჩნდნენ. მსარმარცხნივ გადაუხვიეს და გავიდნენ ნასპარსევის ვრცელ მინდორზე. მარჯვნივ კი ნასტაკისი, ძველისძველი ნასოფლარი დარჩა.

— აკი უნაყოფო და უვენახოა? — აწრიალდა ვახტანგი.

— ეჰე, ტანტრე! მაგას ვახუშტი ორასორმოცდაათი წლის წინათ წერდა. რამდენმა დრომ გაიარა. მეთვრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის შავბედობამ, „კახელების აღმა ხნული ქართლელებმა დაღმა ფარცხესო", ხომ გახსოვს. მერე იყო და ავმა გიორგიმ, კახთა მეფის შვილმა, მოკლა მამა, ძმა დააბრმავა, თვითონ გაბატონდა. შემო-

იგოითის მუხა

ესია ქართლს. ახლა ალექსანდრე იმერეთის მეფემ გადმოლახა ლიხი, დაიპყრო ქართლი, მერე სპარსნი, თურქნი... და შენ გინდა, რომ ამ დროს ქართლი ყველგან ნაყოფიერი ყოფილიყო? თეიმურაზმა და ერეკლემ ცოტა დააშოშმინეს ეს მხარე, მაგრამ ერთიც და მეორეც ცხენზე გაკრულები იყვნენ, ხან ლეკი, ხან სპარსი და ხან თურქი...

ერისთავებმაც გაიწ-გამოიწიეს და გაწეწეს საქართველო. ამიტომ დასტიროდა დავით გურამიშვილი ქართლის ჭირს. დღეს კი ნასტაკისზე ვენახიც გაუშენებიათ; დრომ იცის წყლულის მოშუშება. ქსნის წყალი აქეთაც უწევდა პატარ-პატარა რუებით. არაგვი ამ მხრივ ქსანს ვერ შეედრება. ამიტომაც ამბობს ვახუშტი, „არაგვი უსარგებლოაო“. წინათ არაგვიდან ცოტა სარწყავი რუ იყო გაყვანილი, რადგან თვით ხეობას საამისო სადევარი არა აქვს, სამუხრანომდე ვიწროა. მაგრამ არის ცნობები, რომ არაგვიდან წყალი სამგორამდე ყოფილა გაყვანილი. ამ არხის ნაშთები დღესაც ჩანს თბილისსა და ავჭალას შორის.

გადაირბინეს პირველი მინდორი, გასცდნენ ვენახს და კვლავ

ველი დაიწყო. ძეძვმა და ურომ იმძლავრა. წარსულში ამ მხარესაც ნათელი ტყის იერი უნდა ჰქონოდა, ალაგ-ალაგ იდგა ბერყენა — ტი-რიფფოთოლა პანტა, ერთი-ორგან ბერყენების პატარა ჯგუფს — ოლეს[1] გადააწყდნენ, ბუჩქებიდან კი ძეძვი, კენკრა, კოწახური და ფერდოზე თრიმლი ეძალებოდა, ბალახებიდან ღია ადგილებზე ურო, შიგადაშიგ კი აბზინდა მძლავრობდა, თითქოს შირაქის ბოლოების ფრაგმენტი გადმოუტანიათო; „არამედ ზამთარ ბალახიანიო“ სწორედ ამიტომ ამბობს ვახუშტი, რომ აქაურობა ურითი და აბზინდითაა დაფარული.

მგზავრებმა ჩაიქროლეს პატარა ხრამში, ავიდნენ მაღლა და შეერივნენ მუხნარ-ჯაგრცხილნარს, რომელთა შორის ალაგ-ალაგ ძეძვიც ჩანდა. ამ მხარის შესახებ ვახუშტი წერს:

„ხოლო ს ა რ კ ი ნ ე თ ი არს მცხეთის დასავლით... და არიან ქვაბნი, გამოკვეთილნი კლდისაგან, მრავალნი, და კლდე ესე არს, ვითარცა ნაშენი ქვიტკირისა. არს აქა მონასტერი დიდი, გუნბათიანი და მ ღ ვ ი მ ე მას შინა, რომელსა შინა სცხორებდა წმინდა შიო, 13 მამათაგანი. ზის აწ არქიმანდრიტი. არს მღვიმესა შინა საფლავი წმინდისა შიოსი სასწაულთმოქმედი რომლისა გარემოს მისა ვერ იკადრებს მხეცნი შეჭმად პირუტყვთა მონასტრისასა. არს აქა კვალად ეკლესია დიდი, უგუნბათო, კეთილნაშენი. ხოლო იტყვიან, ძველად იდგა ხუთი ათასნი მონაზონნი ამათ ადგილთა შინა. **არამედ მთა ესე არს ტყიანი, ღელე-ღრატოიანი**“, (ხაზი ჩემია! ნ. კ.).

აი, ასეთი იყო სარკინეთი 250 წლის წინათ.

მიდიოდნენ და ხედავდნენ, მუხა მძლავრობდა, მალე აკაკიც ნახეს.

— აგერ, საკმლის ხეც, — წამოიძახა ერეკლემ.

— შარშან გაღმიდან, ხეკორძულადან გამოვცქეროდით შიომღვიმის მიდამოებს, თუ გახსოვთ? — ამოიღო ხმა შალვამაც.

— აი, ამ კედლის გადაღმა, — მიუთითა ცისკენ აზიდული ალესილებისაკენ შალვამ, — გოროვნისა და წეროვნის ტყეა. იქ არც აკაკია, არც საკმლის ხე, ჩრდილო ფერდო უფრო ნესტიანია და სხვა ჯიშები გვაქვს: რცხილა, იფანი, მუხა, ცაცხვი და მისთანანი.

— არც ღვიაა და არც ქართული ნეკერჩხალი, იმიტომ, რომ ეს

[1] ბერყენას ზოგან ოლეს ეძახიან. ოლეს უწოდებენ აგრეთვე ველად თუ მინდორში ხეების ჯგუფს, პატარა კორომს.

სამხრეთია... — აღარ განაგრძო ვახტანგმა. ასეთი რამ ამ ორ წელიწადში ხშირად ჰქონდათ მოსმენილი.

სარკინეთის ქედი შიომღვიმის თავზე უცბად იყო ჩამოკვეთილი და ამითაც წააგავდა შირაქის ალესილებსა და ნათელ ტყეებს; აქ მეტი იყო ღვია ღრანტეებში და ჩამოფხეკილ ფერდობებზე, ბევრი ჩანდა ღარტაფები, ხევხუვები, ხრამები და ხნარცვები. მათი კბოდენი ღვიასა და გლერძას, ცხენისმუხლასა და ფუჭფუჭას ბუჩქებს დაეფარა. სწორ და ვაკე ადგილებზე საკმლის ხე და ბერყენა ჩანდა. ეტყობოდა კი, რომ წინათ უფრო მეტი უნდა ყოფილიყო. მოვაკებული ადგილი გამინდვრებული იყო, ასეთ ადგილებში ბერებს საბნავ-სათესი და ბაღ-ვენახი ჰქონდათ თურმე. ვახუშტი შიომღვიმეში ხუთიათას ბერს ასახელებს, ვთქვათ, ეს გადაჭარბებულია, მაგრამ რამდენიც არ უნდა ყოფილიყვნენ, ჭამა ხომ უნდოდათ. ამიტომ მონასტრის ახლომახლო ამუშავებდნენ ისეთ ადგილებს, სადაც კი ბარის დაკვრა შეიძლებოდა. ეს აკუმულაციის ადგილებია, სწორედ ასეთ ადგილებში ხარობს საკმლის ხე. ამჟამად საკმლის ხე მცირეოდაა გადარჩენილი. ამას სხვა მიზეზიც აქვს: საკმლის ხის ნახშირი უმხურვალესია და ოქრომჭედლები დღემდე უპირატესობას მას აძლევენ. სერაფიტას საფლავში, და საერთოდ, არმაზის ხევის სხვა აკლდამებში, მრავალი ძვირფასი ნივთი აღმოჩნდა, ზოგი თუ უცხოეთიდან — საბერძნეთიდან ან აღმოსავლეთიდანაა შემოტანილი, ზოგი ადგილობრივი ნაკეთებია. მრავალ ნივთს ოქრომჭედლობის ის ტრადიციები ახასიათებს, რომელიც დღემდე შემოგვრჩა. ეს ნივთები აქ კეთდებოდა, იყენებდნენ აქაურ ნადნობ ლითონს; აქაურ საკმლის ხის ნახშირს. ნახშირის წვა ხომ ტყის პირველი მტერია.

შიომღვიმის ტაძრამდე, რაღაც თხრილებთან გაჩერდნენ (ამ რამდენიმე წლის წინათ გიორგის ნანახი ჰქონდა ეს თხრილები), რკინის სადნობი ქურები იყო, პირველ-მეორე საუკუნისა. როგორც ჩანს, აქ იყო დიდი მცხეთის სახელოსნოები.

თვითონ სარკინეთის ქედი ნალექებისა და კონგლომერატებისაგან შედგება, უმთავრესად ლიოსისმაგვარი თიხებისაგან. რკინის მადანი, რასაკვირველია, აქ არ მოიპოვება და ალბათ მხოლოდ ამ სადნობი ქურების, რკინის დასამუშავებელი სახელოსნოების გამო შეერქვა სარკინეთი.

ერეკლემ და ვახტანგმა გულმოდგინედ გადაჩიჩქნეს ნაქარხნევი

თავისი წერაყინებით, იპოვეს რკინის წიდა; მაგრამ განსაკუთრებით გაახარა ნივთმა, რომელიც კარის სახელურს წააგავდა.

შალვა კი ბუჩქებს გაჰყვა და მალე იპოვა, რასაც ეძებდა. ბუჩქებში საკმაოდ იყო ჯიშკილა[1] და ყლარტა — თეთრი სატაცური, ზოგან ლამურ სატაცურს რომ ეძახიან; იგი უფრო ხშირად იცის ჭალებში, ტყუილად კი არ მღეროდნენ:

არაგვის პირას მოსულა
ლამური სატაცურიო.

დიახ, „არაგვის პირას". ყოველ შემთხვევაში, ილია ჭავჭავაძეს ასე ჩაუწერია და ასევე გამოაქვეყნა თავის დაარსებული ჟურნალის მეორე ნომერში. ძეძვის ძირში ჯინჭარას უზარმაზარი ქარაძენძი იყო. ამას გონგოლას ეძახიან. ნაყოფი რომ მოუმწიფდება, ძირში გადატყდება, მიაგორებს ქარი კოპრჩხილა და ქარქვეტასავით და აბნევინებს თესლს.

ვახტანგი მამისაკენ მიათრევდა უზარმაზარ აჭრელებულ ქვას.

— ესენი კლდის ქარაგოზები არიან, დღემდე მას მღიერს ვუწოდებდით, რაც უმართებულო იყო. ტერმინი მღიერი რუსულის გავლენით შეგვიქმნია.

— წიგნებში ხომ მღიერი სწერია?

— მართალია, რუსულად ხომ „ლიშაი" ჰქვია, იგი ცხოველური წარმოშობის დაავადებაა, ქართულად მას ბღერს ან მღერს ეძახიან. ჩვენს ტერმინების დამდგენელს რუსული „ლიშაინიკი" „მღიერად" უთარგმნია და დღემდე იგი შემოგვრჩა, რადგან მაშინ ხალხური ტერმინი „ქარაგოზი" ხელთ არა ჰქონდათ. მაგრამ ყველა ხელოვნური ტერმინი თანდათანობით უნდა შევცვალოთ, ნამდვილი, ხალხში არსებული სიტყვებით.

ერთ მუხის ძირას ქარა[2] ეყარა, ტეზი[3] იყო, მაინცდამაინც შეშობას ვერ დაიტრაბახებდა, არც სარად და არც ბაჭვად[4] ვარგოდა და ვიღამ გაიმეტა? ან რად ჩეხავენ?

— მამი!.. ჩამომხედე! — იძახდა ერეკლე ერთი ღრანტედან.

---

[1] ღანძილი.

[2] ქარა — ხის ნაკაჟი.

[3] ტეზი — ნედლი და ცუდი შეშა.

[4] ბაჭვა — ბორჯღლიანი სარი.

— რამ ჩაგიყვანა, ბიჭო, მანდ? — ჩასძახა გიორგიმ და თვითონაც ნელ-ნელა ჩაეშვა საკმაოდ დამრეც კბოდეზე.

— ბიჭო, განა მეც შენი ტოლი ვარ, რომ ეგრე მაფოფხებ?

— ძია პავლე აქ რომ იყოს, უეჭველად გეტყოდა, „ბებერი ხარისა რქანიც ხვნენო“... — ჩაიღიმა და ხუმრობაში გაუტარა.

სველ მიწაზე მიუთითა. გიორგი დააცქერდა: ნაფეხური ჩანდა რამდენიმე ცხოველისა.

— შვლები ყოფილან, ფოცხვერიც მოსულა მათ კვალზე. აი, ხედავ, მუჯაა[1] ამ ფლატეზე, მარილებს გამოუყონავს, ნადირთ სალოკია!

ახლა ზევიდან ვახტანგი კიოდა, ბაბაჭუა დავიჭირეო.

მაღლა რომ ავიდნენ, შალვასკენ გასწიეს. იგი იქვე, მუხის ძირას იდგა.

— აბა, ამ პატარა ბიჭს უყურეთ, სტვირს რა მალე აკეთებს!

მუხის ძირას ერთი თვალებცეცხლა ბიჭი იჯდა, მუხაზე ავრიტის[2] სამხარეებიანი სპირო[3] დაეკიდა, ასკილის ტოტები დაეჭრა და გვერდზე დაეწყო. მკვირცხლად წამოხტა, სალამზე თავაზიანად უპასუხა.

ხბო და თხა მყავს აქაო. სკოლა გაგვითავდება თუ არა, ეს საქმე ჩვენზე გადმოინაცვლებს ხოლმეო. ბუჩქებს მართლაც თხა შესეოდა. ერთი უზარმაზარი ელქაჯი ხეზე გასულიყო და აკნატუნებდა მუხის ნეკერსა და ფოთოლს, ორი-სამი ნეზვი, წალი და ვაციკი[4] იყო, თიკნები ალბათ სახლში დაეტოვებინათ. „შორს გამოვრეკე, მეველე გვიშლის ტყეში შერეკვასო,“ — დაუმატა ბიჭმა.

— შენი თხა და თიკანი ტყესა ჭამს, შენ ასკილები დაგიჭრია, აბა, ეგ როგორი საქმეაო, — შეეკითხნენ.

— მაშ, როგორ დავაღამო ეს გაგანია დღეო? — კითხვაზე კითხვითვე უპასუხა. რაღას ეტყოდნენ.

ბიჭმა აიღო ასკილის სტვირი და ჩაჰბერა. თითები ლამაზად აათამაშა და სტვირიც აღუღუნდა, ხან სათამაშო დაუკრა, ხან რაღაც ტკბილი მელოდია.

---

1 მუჯა — მარილიანი ადგილი.

2 ავრიტი — ლაფნისაგან დაწნული თოკი.

3 სპირო — ბლის ქერქის აბგა.

4 ვაცი — მამალი თხა, ელქაჯი — სამი-ოთხი წლის წინმაკალი ვაცი, წალი და ვაციკი — შარშანდელი თიკანი, ნეზვი — დედალი თხა. (საბა).

ორი ათასი წლის წინათ ასე აღუღუნებდა ალბათ რომელიმე ამის ტოლა იმ ძვლის სალამურსაც, სამთავროს აკლდამაში რომ იპოვეს ჩვენმა არქეოლოგებმა.

— როცა ხეს მუწო[1] შეუდგება, მაშინ ლოპოც (ქერქი) კარგად სძვრება, — ლაპარაკობდა ბიჭი და თან ასკილის ტლუ წკეპლას ერთი მტკაველის სიგრძეზე დანას უსვამდა. მერე ხუთივე თითი მოჰხვია, შეატრიალა, მოსწია და ლოპო გააძრო. ლოპოგამძვრალი ნაწილი წკეპლას ისე ჩამოსჭრა, რომ ზემო მხარეს ერთი თითის ოდენა ქერქიც დაუტოვა, შუაზე გააპო და გული ამოაცალა. მერე ისევ შეატყუპა ერთმანეთს და ლოპოში ჩასვა. გაუკეთა ენა, თვლები, და გაუწოდა ვასტანგს, ვახტანგმა სცადა დაეკრა, ჩაჰბერა და დააბღავლა.

ყველას სიცილი წასკდა. ბიჭმა გამოართვა და დაუკრა, ასე უნდაო, აჩვენა.

— ჩვენ იფნისა და ასკილისაგან საყვირებსაც ვაკეთებთ, — თქვა გოგიამ.

ბიჭმა თვალები შეაჭყიტა, „აბა, ერთი მაჩვენეო", — ამბობდნენ მისი შავი თვალები.

გოგიმ დანა გამოართვა და იქვე მდგომ იფანს ცერზე მსხვილი ტლუ ტოტი ჩამოსჭრა.

გააძრო ლოპო, იფნისავე ჯოხზე ლოპოს სიმსხო კოპი ჩამოსჭრა, გახვრიტა გულგულზე და შიგ ჩადგა ასკილის სტვირი, გამართა იფნის ლოპოში, თვლები გაუკეთა და ჩაჰბერა; ჩაჰბერა და ისე დააყროყინა, გეგონებოდათ, მათი შარშანდელი ლურჯა მგელმა შეაშინაო. ყველა გამხიარულდა, მწყემსმა სტვირი გამოართვა და შესანიშნავად დაუკრა, ხავერდოვანს, ბოხ ხმას გამოსცემდა. მერე გოგია მოისვა გვერდით და კიდევ ერთი სტვირი გამოათლევინა. სულ ხელებში შესცქეროდა, არაფერი გამომრჩესო.

მალე თვით მოჭკიდა ხელი და უკვე მესამე დიდი დუდუკი გააკეთა. მხოლოდ ამის შემდეგ გამოეთხოვნენ მესტვირე მწყემსს და მონასტრისაკენ ფეხით შეუყვნენ. ათქვირებული ბალახი მუხლზე სცემდათ, სწორედ ის დრო იყო, როცა ასეთი ბალახისაგან კარგი ბიზოვა-

---

[1] მუწო — ხის წვენი — ლაფანსა და მერკანს შორის.



იკორთის ტაძრის აღმოსავლეთის კედელი

ნი[1] დადგებოდა. მალე თითქმის გაუვალ დასოში[2] შევიდნენ. აი, უკვე ორიოდე წელია, რაც აქ ჩეხვა აიკრძალა და დაჯაგებული ხეც წელში გაიმართა. ტოტი აშოლტა და, თუ უდიერად აღარ მოვეპყრობით, თხასა და ღორ-ხბოს არ შევრეკავთ გამეჩხერებულ ტყეში, ჩვენი ბუნების მადლით იგი თვითონვე აღდგება. ხევებში ზოგ ხეზე ბაბილოც[3] ასულიყო. ალაგ-ალაგ ურიოანიც ჩანდა საკმაოდ ძლიერი ბუსნარით — შარშანდელი კორდით. ბალახსაცა და ხესაც ეტყობოდა, რომ საქონელი მაინცდამაინც ხშირი სტუმარი არ ყოფილა მათი.

ერთგან, ბუჩქების ძირას აუარებელი ბალანი ეყარა.

---

1 ბიზოვანი — წმინდა თივა.

2 დასო — ხშირი ბუჩქნარი.

3 ბაბილო — კრიკინა.

— ესე არს ნაშთი ტრაგედიისა! — ცრუკლასიკურ კილოზე წამოიწყო ერეკლემ.

— იქნებ სიცოცხლის სიხარულისა? — შეეკითხა გიორგი.

— ეს როგორ?

— როგორცა ჩანს, განგურია, გაზაფხულზე გაცვენილი ბალანი. მელია გაზაფხულს ახალი სამოსით შეხვედრია. ტრაგედია რომ ყოფილიყო, ძვალი მაინც დარჩებოდა.

ერეკლე დააფიქრა მამის საუბარმა და ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ ნაუცბათევი დასკვნების გამოტანა ყოველთვის სახიფათოა.

ალესილების გამოქვაბულებში არწივები აიშალნენ და ცაში წრეს უვლიდნენ.

შიომღვიმის მონასტერი შიომ დააარსა. შიო ერთ-ერთი იყო იმ ცამეტ მამათაგან, მეხუთე საუკუნეში ასურეთიდან რომ მოვიდნენ საქართველოში. უძველესმა გუმბათიანმა პატარა ტაძარმა შემოინახა მეექვსე საუკუნის ხუროთმოძღვრების ნიშნები. აქვეა დიდი ბაზილიკა, რომელიც დავით აღმაშენებლის აშენებული გუმბათიანი ტაძრიდან გააკეთეს მეთვრამეტე საუკუნეში. ბიჭები დაუტრიალდნენ ამ ძველისძველ ნაგებობათ და ვიდრე მზე თრიალეთის მთას არ მიეფარა, იქაურობას არ მოსცილებიან. ერთადერთი ბერი-დარაჯი დასდევდა მათ. ჩიფჩიფებდა, ხან რას აჩვენებდა და ხან რას. ბერსაც უხაროდა, რომ ბიჭები ასეთი სიყვარულით ეკიდებოდნენ მის ანაბარს.

განსაკუთრებით გაიტაცა ერეკლე და ვახტანგი ძველი ტაძრის კანკელმა. ბევრი ტაძარი ჰქონდათ ნანახი, მაგრამ ასეთი კანკელი ჯერ არსად შეხვედროდათ. შესანიშნავი რელიეფური ქანდაკებებია ამოჭრილი, მაგრამ მათ ირგვლივ მორთულობა, ჩუქურთმა განსაცვიფრებელი ხელოვნებითაა ნამუშევარი, გეგონებათ, ჯადოქარის ხელს ოქრომკედით უნაზესი არშია მოუქსოვიაო. ამავე დროს ყველა თავისებური და ურთიერთისაგან განსხვავებულია. რა ხელი უხდა ჰქონოდა, და რა სიყვარულის ცეცხლი უნდა ნთებოდა კაცს გულში, რომ ასეთი ჩუქურთმა ამოეკვეთა? რელიეფები კარგია, მშვენიერი, მაგრამ ჩუქურთმას ვერ შეედრებიან.

ერთი რელიეფი ჯვარცმულ ქრისტეს წარმოადგენს, ზედა კუთხეში, მედალიონებზე გამოსახულია მარიამი და იოანე. ჯვრის აქეთ-იქითაც დგანან იოანე და მარიამი, მარიამს ცალი ხელი აწეული აქვს, მეორე მკერდზე მიუდვია, იოანეს კი ხელში წიგნი უჭირავს. რელიე-

ფი თითქმის სრულიად სიმეტრიულია, მაგრამ ქართული ხელოვნებისათვის დამახასიათებელმა ასიმეტრიამ მაინც იჩინა თავი, ქრისტეს თავი მარცხნივ აქვს გადახრილი, თუმცა ოდნავ კი. მეორე რელიეფზე სამებაა. მესამეზე — მესვეტეა და შიო. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა რელიეფი იშვიათი ხელოვნებითაა შესრულებული, მაგრამ გაკვირვებას იწვევს ხის მეოთხე რელიეფი, სადაც ამოკვეთილია ცხენოსანი სტუმარი და შიო. გეგონებათ, თანამედროვე ექსპრესიონისტ მხატვარს ამოუტვიფრავსო. დიდი გაქანება, დიდი მხატვრის და მოქანდაკის ხელი ჩანს.

ახალგაზრდები თვალებგაფართოებულნი სინჯავდნენ ყოველივეს. ერეკლემ ზოგი რამ ჩაიხატა კიდეც.

— მხოლოდ დიდი კულტურის ერს შეეძლო ჰყოლოდა ასეთი მხატვარი.

— რამდენი ასეთი და ალბათ, ბევრი უკეთესიც შთანთქა მონღოლების ცეცხლმა, სპარსეთის მახვილმა, რბევამ და ჩვენი ქვეყნის აწიოკება-აკლებამ.

— კარგი, გეყოფათ, თბილისში რომ დავბრუნდებით, რენე შმერლინგის გამოკვლევას მოგცემთ, წაიკითხეთ და უფრო მეტს გაიგებთ. ახლა კი ცეცხლი დავანთოთ, — უთხრა მათ გიორგიმ.

ის იყო, ცეცხლი ავარდა და ჩაიდანი შემოდგეს, რომ ეზოში შემოვიდა დილას გაცნობილი ვაჟი. ღიმილით მიესალმა, მხრიდან კოხტა ხურჯინი ჩამოიღო და ცეცხლის შორიახლო დადგა.

— კაცო, შენი სახელი რომ არც კი ვიკითხეთ! — შეეხმიანა გიორგი.

— აკი მოგახსენეთ, გივი მქვიან, გვარად წიკლაური, ასეთი გვარი ახლა აქ ხშირია, ისე კი გუდამაყრელები ვართ. — თქვა და გოგიას მიეშველა. სუფრას რომ მიუსხდნენ, ხურჯინს პირი მოხსნა, კოპწია კალათა ამოიღო.

— ორი ძირი ნაადრევი ბალი მიდგა, აქეთ წამოსვლა რომ დავაპირე, სწორედ მაშინ მოვწილე. ბებიაჩემზე ნაადრევად კიტრს ვერავინ მოკრეფს და დღეს მე მერგო პირველი მოსავალი. კარგად მომირწყე და იმიტომაო. — და სუფრაზე ნორჩი კიტრები გააგორა.

— როგორ ყველაფერი კოპწია აქვს ამ კაცს, — გადაუჩურჩულეს ბიჭებმა ერთმანეთს. გივიმ ხურჯინიდან მანდარი[1] და ნაზუქები ამოალაგა, გიორგიმ უსაყვედურა.

---

1 მანდარი — ერბოიანი პური.

— ნაზუქებისათვის რაღას ირჯებოდი.

— მაშ თქვენისთანა ხალხს შაფართხალს ხომ არ მოვართმევდი? — და ბიჭების გაკვირვებული მზერა რომ დაიჭირა, თქვა, — შაფართხალი ჩვენებურად ნაცარში გამომცხვარ ხმიადსა ჰქვიანო.

— სვანებისა და ოსების ქარჯინასავით, — ჩაურთო სიტყვა გოგიამ.

— პაპაჩემი შეფიქრიანდა, ვაითუ ჩემს ბებერ დედაკაცს საგზლის გატანება დაეზაროსო და შეახსენა, ჩემი ბადიში ხელცარიელი არ გაუშვაო. ესეც პატარა ხელადით მუხრანული გახლავთ და სუფრაზე ლამაზი საღვინე ჩამოდგა. ბერმა ხელადა რომ დაინახა, სახე გაებადრა. შენ გაცოცხლა ღმერთმაო, — დალოცა ჭაბუკი.

— გოროვანს თავზე გადმოვუარე და ეგრე ჩამოვყე შიომღვიმის ჭირკვალს, ვიწრო-მიხვეულ-მოხვეულ ბილიკს. გზა კეპნიანი არ არის, მაგრამ კოლბოხიანია. ახლანდელი ძირმაგარი ფეხსაცმელი კარგად უძლებს და ადვილად ჩამოვირბინე, ბანდულიანსა და ქალამნიანს კი გაუჭირდება, — უპასუხა ახალგაზრდებს, როდესაც ჰკითხეს, როგორ ჩამოხვედიო.

წიკლაური ისე ტკბილად ლაპარაკობდა და ჩვენმა მგზავრებმაც ისე შეიტკბეს, თითქოს დიდი ხნის უნახავი ძმა მოსვლოდეთ.

დიდხანს ისაუბრეს და როცა მცხრალმა მთვარემ გადმოხედათ, გივიც წამოდგა.

— ახლა ისევ შევუყვები ჩემს ჭირკვალს.[1]

სთხოვეს, დარჩიო, მაგრამ იუარა. ბებიას დავპირდი, კიტრს მოგირწყავ-მეთქი და, ხომ იცი, კიტრი მზის ამოსვლამდე უნდა მოირწყოს. ხვალ დილით წისქვილთან დააპიპინეთ და იქ ვიქნებიო. გამოემშვიდობა ყველას და მიეფარა სიბნელეს.

— ამ ღამეში ნეტავ როგორ უნდა იაროს?

— თანაც იმ კოლბოხიან ჭირკვალზე.

— აი, წამდაუწუმ რომ იძახი, კაი ყმაო, რით ვერ არის კაი ყმა? გულღია, სალმიანი, მოსიყვარულე, წყნარი. კაი ყმა ყოველდღე გვხვდება, ჩვენს ირგვლივ არიან, არა ყვირიან.

კაი ყმა წყნარი სჯობიან,
რო გაპირდება მჭეპარიო.

---

[1] ჭირკვალი — ფრიად დახვეული ბილიკი.

გაჭირვებაში ეგ ჩვენი გივი ალბათ ლომად იქცევა. კაი ყმას ხვალაც, ზეგაც შევხვდებით, კაი ყმები არ ამომწყდარან. არც ამოწყდებიან.

ჩიტმაც იცის თავისი ბუდეო, და გაშალეს საძილე ტომრები... დაწვნენ, მაგრამ ბიჭების ჩურჩული მაინც ისმოდა.

— კაი ყმას შურობს სოფელი,
იტყვიან, კარგი რად არი.
როცა კი გაუჭირდებათ,
ყველა იბარებს, სად არი?

— კარგი, გეყოფათ, ზოგიც ხვალა!
მალე ყველაფერი მიწყნარდა.

ტაბარუკი

ბიჭები მამამ გაცისკრებამდე წამოჰყარა. ცა ჯერ კიდევ თითქმის შავად ჩანდა და ზევიდან მიწას ათასი მბრწყინავი თვალი ჩამოსცქეროდა. აღმოსავლეთისაკენ, არმაზის მთის გადაღმა, ცას ოდნავ ნათელი ჩასდგომოდა. მზე აპირებდა ამოსვლას. ბიჭებს ცოტა ეზარებოდათ ადგომა, გუშინდელ დაღლილებს წელის ატანა ეძნელებოდათ.

— გივი კი ახლა ალბათ კიტრებსა რწყავს.

— წიკლაური ისეთი ბიჭი არა ჩანს, რომ ახლა რწყავდეს, იმას სამუშაო მოთავებული ექნება, — გამოეხმაურა გოგია.

— უნაყროდ გარეთ ნუ გავალთ, თორემ გუგული დაგვძლევსო,[1] — ამბობდნენ ხუმრობით. სახელდახელოდ ისაუზმეს, ამასობაში ინათა კიდეც.

წასვლამდე დაათვალიერეს შიომღვიმის მონასტრის სახელგანთქმული სხალტბიდან წამოღებული წყალსადენი და ერთხელ კიდევ გაიკვირვეს ჩვენი ძველების ცოდნა და დიდი ხელოვნება.

— ამ მონასტერს დავით აღმაშენებელი თავის მფარველად თვლიდა და დიდი წყალობის გუჯარიც უბოძა, გაათავისუფლა ყოველგვარი გადასახადისაგან, მისცა მამულები და სხვა ქონება.

---

[1] ხალხური რწმენაა, გუგულმა და ოფოფმა კარში უზმოზე არ უნდა მოგისწროს, თორემ ხელი მოგეცარებაო.



ჟორთის ტაძარი

როდესაც მანქანა ციხისძირის აღმართს შეუდგა, მზემაც ამოატანა.

ბიჭები წინ გაჰყურებდნენ, თვალებით გივის ეძებდნენ. მართლაც, ჭაბუკი გზაზე შემოეგება.

საგურამოს ქედიდან ამობრძანებულ ცხრათვალა მზეს მოელვარე სხივებით აებრწყინვალებინა მუხრანის ვაკე, არაგვზე კი ისევ ნისლი იდგა.

შესანიშნავი სანახავი იყო მზის სხივებით განათებული მუხრანის ველის ფონზე დევგმირის ქანდაკებასავით ამართული გივი. დილის სიო ქოჩორს ისე უწეწავდა, თითქოს ყანას მზეკაბანმა გადაუარაო. მის ზურგს უკან გაშლილიყო ზღვის ზედაპირივით მოელვარე უზარმაზარი მინდორი, შორს ელვარებდა წილკნის გუმბათი. ცაში ტოროლები ზარებს რეკავდნენ, ძირს აუარება ფუტკარი ბზუოდა. თითქოს გალობდნენ:

— „შენ ხარ ვენახი მშვენიერიო“...

ბიჭები გადმოხტნენ მანქანიდან და ხელი მოჰხვიეს თავის პირღიმილიან მეგობარს.

შინ შემობრძანდით, ახალი მოწველილი რძით შენაყრდითო, შესთავაზა გივიმ და ხათრი ვერ გაუტეხეს. სხვა არა იყოს რა, მის ბებიასა და პაპას მაინც ნახავდნენ. კოპწია სახლთან გაჩერდნენ, ახალნაშენი იყო, კარ-მიდამო დაწკრიალებული, ეზო ვაზის ხეივნებით დაფარული, ბილიკის პირებში ვარდი და ყვავილი იყო ჩარიგებული.

— მობრძანდით, ბატონო გიორგი, რაკი შენი მოსვლით ჩემი სახლი გაახარე, ახლა აღარა მიშავს რა. ვნატრობდი, მენახე და აი, გნახე კიდეც. მთა მთას ვერ შეხვდებაო, თორემ კაცი კაცს კიო...

ჭარმაგი მოხუცი შემოეგებათ, წელში გამართული; თვალში ცეცხლი უკრთოდა კიდევ.

— ყოჩაღი პაპა გყოლია, გივი!

— მაგათ კი არა ვგავარ! — არ დააცალა პაპამ, — მაგის ბრიგადირმა, — „ახლა შენ გეყოფაო, დაჯექ და ხვეწით! კოვზები ან ჩანახი გამოხვეწეო“. თუ მე მაგ შენ ბრიგადირს ცელში არ ვაჯობე, ეს ულვაში გამიშავდეს!

---

[1] ხვეწი — წვერმოკაკული სათლელი. უმთავრესად გულის ამოსაღები (კოვზის, ციცხვის, პინის და სხვათა)

— გინდა კია, ულვაში გაგიშავდეს, — გაეხუმრა გივი.

— რატომაც არა, — მიიღო პაპამ ხუმრობა, — აგერ, დღეს თუ ¹ხვალ გავალთ სათიბში და თუ მაგ შენმა ბრიგადირმა ჩემს გატანილ ნაღვარევს ლაჯი გადააწვდინოს, მაშ, მე ქუდი არა მხურებია!

— აღდგომა და ხვალაო.

ბებომ გულიანად მიიწვია სტუმრები გაშლილ სუფრასთან, თან ბოდიშობდა, მეტი ვერა მოვასწარი რაო. მაგათ რომ ყური უგდოთ, საღამომდე არ მოათავებენ: არა მე ვარ კაი ბიჭი, არა მეო.

სუფრაზე კი ელაგა გუდამაყრული ხაჭაპურები, ნაზუქი, სარა-სქელი, ყველიანი ერბო-კვერცხი, ცხავატური ქოთნით კამეჩის მაწო-ნი.

— მაგიდა განა არა მაქვს, მაგრამ სუფრა ტაბაკზე და ხონჩაზე გავაშლევინე, სამფეხა სკამზე რომ ჩამოუჯდები, საჭმელთან უფრო ახლო ხარ და გული ძღება.

— მოდით, ხელი გადაიბანეთ, — თქვა გივიმ და კუტალით¹ წყა-ლი გამოიტანა.

გივის პაპამ, თევდორემ პატარა ლიტრით არაყიც ჩამოდგა, მაგ-რამ ჩვენმა მგზავრებმა იუარეს.

— მაშ, სახლი არ უნდა დამილოცოთ?

— აბა, არყით სახლს ვინ დალოცავს, ადამიანო! საღამოზე ღვი-ნით დაილოცონ, — გაეხუმრა ბებია საბედო, — მთელ გოზაურ მწვანეს მივართმევ!

კედელზე ვახტანგმა გუდასტვირი შენიშნა, გივიმ მის მზერას გა-აყოლა თვალი.

— პაპა თავის დროზე მესტვირე იყო. წილკანი მესტვირეების „აკადემია“ ყოფილა, სტვირზე სასწავლებლად რაჭიდანაც კი მოდი-ოდნენ; საკვირველია, არა? ასე კი იყო, საგურამოშიც ასწავლიდნენ. ტყუილად კი არ არის ქართული ლექსის ბუდე ქსან-არაგვ-კავთურ-ის ხეობა. ხალხური ლექსის გული აქაა, აქედან მიდიან მისი ტოტები. ამას აპოლონ ცანავამ დიდი გამოკვლევაც მიუძღვნა. მის წიგნში და-წვრილებითაა აღწერილი წილკნის „კონსერვატორიაც“.

— პაპა, აბა ერთი შენებურად დაუკარ რამე...

— ეჰ, შვილო, მე ისეთი მეხი დამეცა, რომ სტვირიც დამავიწყა და გუდაც.

---

¹ კუტალი — ხის სურა, რომელსაც გარდა ყელისა აქვს წურწუმაც დასა-ლევად.

— რას ეიგავები, ადამიანო, პირდაპირ ვერ იტყვი? — წაიდუდუნა ბებიამ.

— ომზე და თავის ბიჭებზე ამბობს... — უთხრა გივიმ და ყველა გაჩუმდა.

— მაგრამ იქნება სიტყვა მაშინ გავტეხო, როდესაც ჩემს გივის დავაქორწინებ. ერთი მაშინ მოვიგონებ კიდევ ძველებურს.

— მე კიდენა დავლურს თუ ვერ ჩამოვუვლი, პატარა გოგოებივით ბუკნა-ჭოტურს მაინც ვიცეკვებ, — ჩაერია ბებია.

— აბა, რაღა უშლის ხელს.

— რა ვიცი, ჯერ ინსტიტუტს დავამთავრებო, რა ჰქვიან, ბიჭო?

— დაუსწრებელი...

— კაცო! მე დასწრებულს ვერას გაგებინებ და... — გაეხუმრა პაპა. ბიჭებისთვის გივის სტუდენტობაც ახალი ამბავი იყო, მაგრამ მოულოდნელი არა.

ჩვენს მგზავრებს ეჩქარებოდათ, მასპინძლებს დიდი მადლობა გადაუხადეს და მანქანას მიაშურეს.

პაპა თევდორემ გივი გააყოლა. მინდორში ახალი რუებია გაყვანილი და მარტონი გზებს ვერ გააგნებთო.

მართლაც კარგი ქნეს, გივი რომ წამოიყვანეს, რუსხმული[1] ახალი გზით გადაიარეს, მონახეს ნარეკვავის ფონიც და წილკნის ჭალაში ამოჰყვეს თავი, ამ უზარმაზარ ვაკეზე ძველი „ეშვითა და ნადირით სავსე“ ტყეებიდან ეს პატარა ოლეღა დარჩენილა, წმინდა თელიანია. ორას-სამასი წლის თელებია, ახალი აღარ მოდის, საქონელი ძოვს და ამიტომ მომაკვდავი კორომია, კარგი კია, გადარჩეს, ნორჩნარი წამოვიდეს, წილკნელებმა უნდა შემოღობონ და მოუარონ. სელექციის სადგურში ვერ შევიდნენ, მინდვრები კი დაიარეს. გივი მეგზურობდა. ყანებს მუხლი გაეკეთებინათ, ბევრს უკვე ნაყრი[2] ჰქონდა ჩამდგარი.

წილკანი გადაკვეთეს. ნახეს წილკნის საეპისკოპოსო ტაძარი. ძველად „აქ იჯდა წილკნელი და მწყემსავდა სამუხრანოს და ორივე არაგვის ხეობას“ (ქსანსა და არაგვს), მუხრანის ველი სამხრეთით სარკინეთის ქედითაა შემოზღუდული და ჩრდილოეთით ბოდავის ქედით,

---

1 რუსხმული — მაღლა შეშენებული რუ. (საბა).

2 ნაყრი — მარცვალში რძე რომ დაიწყებს გამაგრებას.

აღმოსავლეთით არაგვი ჩაუდის, დასავლით — ქსანი. სოფლების უმრავლესობა მთის კალთებზეა შეფენილი. სარკინეთის ანუ სხალტბის ქედზეა: წეროვანი, გოროვანი, ჩარდახი, ძველი ქანდა, ახალი ქანდა. ბოდავის ციხის ქედის ფერდობებზე კი: ნატახტარი, (ეს უფრო ვაკეზეა), ახალუბანი, წილკანი, წითელი სოფელი, ძალისი, დამპალო. თვითონ სოფელ მუხრანს კი გული ვაკე უჭირავს.

მუხრანის, ოკმის, ტირიფონისა და საგურამოს ვაკე დაფარულია აღმოსავლეთ საქართველოს ძველი ალუვიური კარბონატული ნიადაგებით. სარკინეთისა და თხოითის ქედის ფერდონი კი აღმოსავლეთ საქართველოს გარდამავალი ტყე-ველის ზონის რუხი ყავისფერი, და მთა-ჩარის ზონის ქვედა სარტყელის ყავისფერი ნიადაგებითაა დაფარული. ადგილ-ადგილ — მდელოს ყავისფერი და შავმიწისებრი ნიადაგებიცაა.

მართალია, ეს ნიადაგები ისე ნოყიერი არ არის, როგორც შავმიწა, მაგრამ გამრჯე მარჯვენის ხელში კარგი და მადლიანია.

სხალტბის (სარკინეთის) ქედის აღნაგობაში მონაწილეობს ოლიგოცენისა და ქვედა მიოცენის ხნოვანების მაიკოპის თიხები და ქვიშაქვები; შუამიოცენისა და ქვედა შუა სარმატების თიხოვანი ქვიშაქვების ნალექები; ზედა სარმატის ქვიშაქვები და თიხები და ქვედაპლიოცენური კონტინენტალური კონგლომერატები. ბევრი ამათგანი კარგად ჩანს შიომღვიმის დეპრესიაზე და სარკინეთის ხევებში.

ჩრდილოეთით მთა-გორაკების აგებულებაში შედიან ქვედა პლიოცენური კონგლომერატები.

მუხრანის მინდორი ნაწილია ქართლის დიდი ვაკისა (საგურამო-მუხრანი—ტირიფონა—შინდისი — დედოფლის მინდორი — დოღლაური). იგი ჩაწეულია და ასი მეტრის სიღრმეზე ამოვსებულია მეოთხეულის — ქსნისა და არაგვის ალუვიური ნალექებით, ვაკე დაფარულია ნიადაგის თხელი ფენით. გაღმა, ბოდავის მთები, წილკნის თავზე, აგებულია ქვედაპლიოცენური კონგლომერატებით. ისინი ქმნიან თითქმის ოცი კილომეტრის სიგანის ზოლს.

ლეხურის გადაკვეთის შემდეგ იწყება ტირიფონა, ლიახვს გაღმა, — რუისის ვაკე, დოღლაურის მინდორი, ხაშურის ვაკე, რომელნიც თავისი აგებულებით წააგვანან მუხრანის ვაკეს; ამ ვაკეთა ალუვის შექმნაში მონაწილეობას იღებდა მეჯუდა, ლიახვი, ფცა, ფრონე, სურამულა. მტკვრის ძველი კალაპოტი სწორედ ტირიფონა-მუხრანზე

გადიოდა და, როდესაც მან სამხრეთით გადაინაცვლა, ქსანმა გააპო-სარკინეთი, თხოითი და ნასტაკისთან შექმნა შერთული.

მუხრანის ვაკე და ტირიფონა ერთმანეთისაგან გაყოფილია იგოეთის ბორცვებით, რომელსაც ლეხურა ჰკვეთს. სწორედ ამ ბორცვების მწვერვალზე არის მტკვრის მესამე ტერასის ნაშთი. მტკვარსა და ამ ვაკეთა შორის მდებარეობს დასახლებული ქედები (საგურამოს ქედი, სხალტბა-სარკინეთის ქედი, თხოითის ქედი, კვერნაქის ქედი, მალხაზის წვერი), რომლებსაც სხვადასხვა ადგილას ჰკვეთენ არაგვი, ქსანი, ლეხურა და ლიახვი.

ჰავა აქ ზომიერია და მშვენიერი, ზამთარი—თოვლიანი, რადგან მცხეთა-მუხრანი-იგოეთი ისეთი გზა-გასაყარია, რომელზედაც გავლენას ახდენს კასპიის მხარეცა და შავი ზღვაც. როდესაც თოვლი კასპიის მაჩრიდან მოდის, იგი იგოეთამდე უწევს, შავი ზღვის თოვლი და ნალექიც კარგად ჩამოდის მუხრანამდე, ამიტომ აქ ეს ზომიერება შეთანხმებულია და საუკეთესოა ატმისა, ვაშლისა და მსხლისაოვის; მყუდრო ადგილებში ხომ ბროწეული და ლეღვიც ჩნდება, მაგრამ, რასაკვირველია, მათ მცხეთის ზემოთ უჭირთ, სშირად იყინება ფესვის ყელამდე. ლეღვი გორის მიდამოებში მხოლოდ ბუჩქის სახით გვხვდება, გამონაკლისია ხიდისთავი და ატენი, სადაც ლეღვი კარგად ხარობს, რადგან აქაურ მიკროკლიმატს ვიწრო ხეობა და სამხრეთის ქედები განაპირობებენ. აკი ვახუშტიც წერდა, ატენის ხეობა ჰრის „ცხელი და ფიცხელიო“.

გაუძლისი სიცხე აქ არ იცის, ზამთარში ყინვა შეიძლება 12—16 გრადუსამდე დაეცეს და ისიც ცოტა ხნით. არის შემთხვევები, როცა ადრეული ყინვები დააზრობს ხოლმე გამოტანილ ყლორტს და ვაზის რქას.

— ჰოდა, კარგია, ვერ დაემდურება კაცი. მაგრამ აი, ყური უგდეთ ძველ ლექსს, — წამოიწყო გივიმ.

„უფალმა იესო ქრისტემ ქვეყანას ხელი დარია,
მაისში თოვლი მოვიდა, დასცა იანვრის ძალია.
თიბათვემ რთვილი დააგდო, ვაი, ქვეყანა ბრალია.
ვენახები წაგვიხდინა, ლობიო ხომ დამძრალია,
ამ უცოლშვილო ბიჭებსა ცეცხლზე დაუსხა წყალია,
ახლა რიღათ ვქნათ ქორწილი, რით გავახაროთ თვალია“.

— 1909 წელს, 20 მაისს, არდადეგებზე ქალაქიდან სოფელში

რომ ავედით, კაკლის ნორჩი ყლორტები გაყინულიყო და გამხმარიყო, — დაუმატა გიორგიმ.

გივიმ თვალი მიავლ-მოავლო წილკანს და ღრმად ამოიოხრა.

— რაო, გივი, რა მოგაგონდა?

— აქ გავატარე ჩემი ბავშვობა.

— მერე და რად წახვედით, მამულ-დედული თუ გქონდათ, ქანდას რას მიაშურეთ?

— პაპაჩემს ჰკითხე; უფროსი ბიჭი 1918 წელს რაღაც მოარულმა სენმა მოუკლა, ორი კი ამ ახლანდელმა ომმა იმსხვერპლა, დედაჩემიც დარდს გადაჰყვა და მარტო მეღა შევრჩი ხელში. აიყარა პაპაჩემმა გული წილკანზე, დედაწული აღარ შერჩა, ბებიაც სულ სასაფლაოზე იყო; მარტო მამულ-დედული ხომ არაა საქმეო, აღარ დადგა და აქ გადმოვიდა.

საწილკნოს გასცდნენ, რამდენიმე ახალი არხი გაჭირვებით გადალახეს და გარგუშაზე გავიდნენ. გარგუშა წილკანსა და მუხრანს შუა მდებარე დაჭაობებული ვაკეა. ძველად საძოვრებად იყო გამოყენებული, მუხრანელთა კამეჩები ძირითადად სწორედ გარგუშაზე ძოვდნენ. ძირითადად-მეთქი, რადგან ზაფხულში ქსნის სანაპიროებიც მათი კარგი სამყოფი იყო. უმთავრესად აქაური კამეჩებით მარაგდებოდა ქართლი, თუმცა მოჰყავდათ ბელაქნიდანაც.

დავუბრუნდეთ ისევ ტაბარუკობას. მართლაც ტაბარუკობა საქართველოსთვის უცხო რამ არ იყო. ბარად, შავბედობის დროს, სოფლები ამოწყდებოდა, ხალხი იღუპებოდა. ვინც გადარჩებოდა, მთას აფარებდა თავს. იქ ბევრი ერთმანეთს და იქაურებსაც უნათესავდებოდა. მტერი მთას ყოველთვის ვერ უწევდა. ხალხის გადარჩენა იქ უფრო ადვილი იყო და ჯანმრთელადაც იყვნენ.

მტერი რომ მოსცილდებოდა ქვეყანას, ნასოფლარებს ხელახლა აშენებდნენ. ნასახლარებზე ხშირად მთიდან ჩამოსული მკვიდრნიც, ახალი ნათესავები, სახლდებოდნენ. ამიტომაა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ვაკის სოფლებში ჩვეულებრივია გვარები: ოდიშვილი, მიგრიაული, აფციაური, ქურთაული, ბექაური, წიკლაური, თაგაური და სხვა მრავალი. არც იმერული და რაჭული გვარებია საძებარი; საერთოდ კი მთა ერთ-ერთი წყარო იყო ჩვენი სიცოცხლის გაგრძელებისა. იქნებ ესეც არის მიზეზი იმისა, რომ სხვა ერებზე უფრო ისტორიის ავბედობას ჩვენ გავუძელით.

ჩვენი მგზავრები დიდხანს იყვნენ ჩაფიქრებულნი და თითქოს უცბად გამოერკვნენო. ვახტანგმა იკითხა (ალბათ იმიტომ, რომ ისტორიამ დაამძიმა):

— ალაგ-ალაგ ასკილი და პატარა ჯვარი რადაა ყანაში და მინდორში?

—დასარყულია. თუ ნაჩხატ[1] მიწაშია, ეს იმას ნიშნავს, საქონელს ნუ შერეკავთო, სათიბად არის დატოვებულიო. ასეთ ტოტს სარყი ან საყე ეწოდება, თუ ჯვარიცაა დასმული, ეს უკვე ძველი ჩვეულებაა, ჯვარის შეეშინდება ეშმაკს და ყანას ვერაფერს დააკლებსო. ასეთი სარყის გაკეთება უწინ იცოდნენ და ზოგმა დღემდე არ დაივიწყა, აღდგომის სწორზე აკეთებენ.

ღვინო და იორდასალამი

მუხრანსა და მუხრანის მეურნეობას გვერდი აუარეს და პირდაპირ დამპალოს[2] ვენახში ავიდნენ.

შიგ ვენახში დახვდათ მთავარი აგრონომი, იგი გიორგის დანახვამ ფრიად გაახარა. ერთმანეთი მოიკითხეს და გაჰყვნენ ქსნიდან გამოყვანილ არხს, რომლის ნაპირები მუხებითაა დაბურული. აქ ერეკლემ და ვახტანგმა მზერა უცნობ თეთრტანა ხეებზე შეაჩერეს. შალვა მიუხვდა მათ და დინჯად დაიწყო:

—ესენი ძელქვებია. კავკასიაში ამჟამად ძელქვის ორი ძლიერი კერაა: კოლხეთი და ლენქორანი, ძელქვა წარსული გეოლოგიური ეპოქის მცენარეა, ასე ვთქვათ, რელიქტი, თითქოს მომაკვდავი. წარსულში მთელი კავკასიის ვაკის ტყეებში უნდა ყოფილიყო. ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს მთელი ამიერკავკასიის დაბლობის ტერიტორიაზე მისი წყვეტილი არეალი. კოლხეთის, მუხრანის ძელქვები, კახეთში ბაბანეურის ძელქვიანი ტყე, ყარაბაღის პატარა კოროში და ბოლოს ლენქორანი. ძელქვა ნამარხებშიც გვხვდება. გახსოვთ,

---

[1] ნაჩხატი — ერთი-ორი წლის მოუხნავი მიწა.

[2] დამპალოს ამჟამად ვაზისუბანი ეწოდება. ვაზისუბანი კახეთშიცაა. ასე ბოლად ისტორიულ სახელწოდებათა შეცვლა ბევრ გაუგებრობას ჰქმნის, ამ სოფელს დამპალო ეწოდებოდა ალბათ იმიტომ, რომ რამდენიმე ფშა ამოდიოდა მიწიდან.



ქსანი და შორს წირქოლი

შარშან შირაქში, დათვის ხევში, რომ ნახეთ ძელქვის ანაბეჭდები? ეჭვი არ არის, წარსულ გეოლოგიურ ეპოქაში ძელქვა ფართოდ ყოფილა გავრცელებული საქართველოში.

აი, მუხრანშიც, დამპალოშიც არის ძელქვა, ეს კოლხური ელემენტი, მის გვერდით კი ტიპიური ველის პირმშოებს იორდასალამს, ეროს, ჭინჭარს, კოპრჩხილას მოუკალათია. არის ბრძოლა ტერიტორიის დასაჭერად. ვინ გაიმარჯვებს? ჩანს, იორდასალამი იმარჯვებს, ესე იგი ველი. იქნებ ტყეები აქ კიდევ შემორჩებოდნენ, რომ ადამიანის გეგმაშეუწონელი საქმიანობა არ ჩარეულიყო (ტყეების უსისტემო ჩეხვა, საქონლის ძოვება).

დამპალო იმითაცაა ცნობილი, რომ მუხრანული თავანკარა ღვინოსწორედ მისი ფერდობების ზვრების ყურძნისაგან დგება. უნდა აღინიშნოს, რომ იმ ადგილების ზვრებიდან, სადაც იორდასალამია გავრცელებული, ღვინოც გემოიანი, კრიალა, წმინდა და ოდნავ ნაპერწკლიანი დგება.

მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს მუხრანულმა ღვინოებმა პა-

რიზის გამოფენაზე ოქროს მედალი მიიღო, უცხოელმა სპეციალისტებმა ფრიად მოიწონეს. ალბათ იმიტომ, რომ აქაური ცქრიალა ღვინოები ფრანგულ ღვინოებს წაავავს. მეორეც იმიტომ, რომ კონსტანტინე მუხრანბატონმა მეურნეობა და მეღვინეობა ევროპულ წესზე დააყენა. გარდა ქართული ჯიშებისა, თავის ზვრებში გააშენა ფრანგული ჯიშებიც: ალიგოტე, პინო, კაბერნე.

სწორედ ამან დააწერინა, მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის მიჯნაზე, იმ დროისათვის პროგრესულად მოაზროვნე მკვლევარს, მოგზაურსა და ბუნებისმეტყველს, ევგენი მარკოვს:

„მუხრანის ვაკე ცენტრია სახელგანთქმული ქართლის მეღვინეობისა; ამ ბოლო დროს მუხრანულმა ლამის აჯობოს ცნობილ კახურ ღვინოებს“. მართალია, ჯობნით ვერ აჯობებს. მაგრამ ის კი უნდა ითქვას, რომ მუხრანული, და საერთოდ ქართლური ღვინოები, თავისებური, თავისთავადი: მსუბუქი, კრიალა, ოდნავ ნაპერწკლიანი და გემოიანი. ქართლში ასეთი ხალისიანი და ცოცხალი ღვინოები დგება გვერდის ძირის ფერდობებზე. განთქმული იყო ღა არის: ოძისური, ქსოვრული, კასპური, მეჯვრისხეული, ფლავისმანური და სხვა. სწორედ ამ სოფელთან ახლო-მახლო გვხვდება ძეძვიანებში იორდასალამი. კარგი ღვინოების დაყენებას ხელს უწყობს ისიც, რომ გვერდის ძირის ფერდონი, სამხრეთის ფერდონია, მზვარე ადგილები, მიწაც ხირხატიანი, ბევრგან კირნარი, და ღვინოსაც მეტი არა უნდა რა, გარდა მეზვრის გამრჯე და მადლიანი მარჯვენისა.

აქ. ქართლში. ღვინოები ვაკეზეც მოჰყავთ, თუნდაც იმავე მუხრანის ვაკის ღვინო ბევრად არ ჩამოუკარდება ღაშპალოს, ოძისის, ქსოვრისის ზვრების ღვინოებს.

ვაკის ღვინოც კარგია, მაგრამ ის სიცოცხლე ღა სიკრიალე აკლიათ, რაც გვერდის ძირის ვენახების ღვინოებს აქვთ.

ამდენი მშრალი ცნობებით არ დაიტვირთონ ჩვენი კოლექტორები, გიორგიმ ერთი ამბავიც არ დაივიწყა:

— ამ ორმოციოდე წლის წინათ მუხრანის მამულში ამოვედი, სარეველა მცენარეები უნდა შემესწავლა. მეურნეობის დირექტორი კარგად შემხვდა: ცალკე ოთახი მომცა, მერე შორიახლო მდგომ მოხუცზე მიმითითა და მითხრა: „ფულს მისცემ და საჭმელ-სასმელს ეს კაცი მოგიმზადებსო“. თვალში არ მომივიდა: „ამ ბერიკაცმა რა და

როგორ უნდა დამიმზადოს-მეთქი". მაგრამ სადილის დასამზადებლად ფული მაინც მივეცი, მით უმეტეს, დიდ ფუფუნებას არ ვიყავ ჩვეული. „ღვინოს რომელს ინებებთ ალიგოტეს, პინოს თუ მწვანესო", — შემეკითხა. „მოდი, გავსინჯავ ყველას-მეთქი" ვიფიქრე და ვუპასუხე: „სამივეს". „კარგია!" — მოეწონა პასუხი ჩემს მოხუცს. წავედი სამუშაოდ. გამიტაცა მუშაობამ და საღამოს მშიერ-მწყურვალი დავბრუნდი.

მუხრანის მინდვრებში წყაროები იშვიათია, აქა-იქ ფშაა, ამიტომ ხალხი იმ დროს უმეტესად არხის წყალს სვამდა. მაშინ გაზაფხული იყო, არხში წყალი მღვრიე მოდიოდა და, რასაკვირველია, ვერ დავლევდი. ოფლში გავიწურე და ალბათ წარმოიდგენთ, როგორი მწყურვალი და მშიერი დავბრუნდებოდი.

სუფრა გაშლილი დამხვდა. სუფრა კი არა, იმ დროისათვის ზღაპარი იყო. ერთი, კოსტა ლარნაკით მაგიდაზე ვარდის მშვენიერი თაიგული იდგა. ლარნაკში სულ სამიოდე ვარდი იყო, მაგრამ ისე შეგუებული ერთმანეთთან, რომ თვალს მოგჭრიდა. ერთი ქათმიდან ხუთი თავი საჭმელი გაეკეთებინა, ერთმანეთზე უნჯობესი. მჭადი გამოეცხო, მჭადი კი არა ნაზუქი იყო, მერე ახალი ბოლოკი, კიტრი, მწვანილი!

— კაცო, საიდან, როგორ? ეს რა ხელოვანი ყოფილხარ!

— მე, შენი ჭირიმე, მუხრანბატონის მზარეული გახლავარ. თვრამეტისა თუ ოცი წლისა გახლდით, პარიზში გამგზავნა და კულინარიის სკოლა-აკადემია დამამთავრებინა. სამი წელი ვიყავი იქა. ჩვენებური ბუღლამა გავუკეთე მწვანილით შეზავებული და სულ ოითები ჩაიკვნიტეს ჩემმა ფრანგმა მასწავლებლებმა, თურმე არა სცოდნიათ. მაშ, რა გგონიათ, თქვენზე ნაკლები კი არა ვართ-მეთქი, — ვფიქრობდი.

— მარტო ამიტომ აცხონოს მუხრანბატონი, სხვა ცოდვანი ღმერთმან შეუნდოს! — და ჭიქა-ჭიქას მივუჯახუნეთ.

ჩემთან მაინც არ ისადილა: ასე არა ვარ ნაჩვევიო.

— როგორც ვხედავ, ღვინოს არ ეტანები. ცალკე ვისადილებ და ამ საღვინეებს, როცა მაგათთან პირისპირ დავრჩები, უფრო მეტს გავაგებინებ, — მითხრა ღიმილით.

მეორე დღეს, სადილისათვის ფული რომ მივეცი, მითხრა: ღვინოს ისევ სამივეს მოგართმევო. მეც სიამოვნებით დავთანხმდი.

სიტყვამ მოიტანა და ცოტაოდენი სამუხრანოს ამბებიც გაიხსენეს.



ოქროს კარიანი

ისტორიკოსების (დ. გვრიტიშვილი) აზრით სამუხრანბატონო XVI ს. პირველ ოცეულში ჩამოყალიბდა. აი, რას ამბობენ: „XV საუკუნეში საქართველო სამეფო-სამთავროებად დაიშალა. ერთხანს ცენტრმა სცადა ამ პროცესისათვის ხელი შეეშალა და მთლიანობა შეენარჩუნებინა, მაგრამ ამ საქმეში ცენტრალური ხელისუფლება უძლური აღმოჩნდა.

1490 წლის დარბაზის შემდეგ საქართველოს სამეფოებს შორის ერთგვარი შეთანხმება მოხდა. კონსტანტინე ქართლის მეფე (1478—1505) ალექსანდრე კახბატონს (1476—1511) დაეზავა და საზღვრებზეც მოურიგდა. მშვიდობა ჩამოვარდა ათაბაგთან და ალექსანდრე იმერეთის მეფესთანაც. მაგრამ ეს მშვიდობა დიდხანს არ გაგრძელებულა. კონსტანტინეს ჰყავდა შვიდი ვაჟი — დავითი, გიორგი, ბაგრატი, დიმიტრი, ვახტანგი, ალექსანდრე და მელქისედეკი“.

„კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ ქართლის სამეფოს ტახტზე ავიდა კონსტანტინეს უფროსი ვაჟი — დავითი (1505—1525). იგი, ვახუშტის დახასიათებით, „იყო ლმობიერი, ბრძოლაშლილობა-

თა და შფოთთა მოძულე და მოყვარე მშვიდობისა". მიუხედავად ამისა, დავითის დროს, საქართველოს მტერი რამდენიმეჯერ შემოესია. იმერეთის მეფე ალექსანდრე დიდი ლაშქრით ქართლში გადმოსულა და „ქორონიკონსა რჟე (1580 წ.) აქა ალექსანდრე მეფემან გორი დაიჭირა".

თუმცა დავითმა ისევ მალე დაიბრუნა გორი, მაგრამ ქართლის წინააღმდეგ ახლა კახეთი ამოძრავდა.

კახეთის მეფეს ალექსანდრეს ორი ვაჟი ჰყავდა — გიორგი და დიმიტრი. ალექსანდრე მშვიდობიან ურთიერთობაში იყო ქართლის მეფე დავითთან. გიორგის არ მოსწონდა ასეთი პოლიტიკა და მამას დაჟინებით ურჩევდა, ქართლზე ვილაშქროთო. როცა გიორგიმ დაინახა, მამა ქართლზე ლაშქრობის წინააღმდეგი იყო, თვითონ შეჰყარა ჯარი და „დაიწყო ბრძოლა ქართლსა ზედა, რამეთუ დაპყრობა უნდოდა ქართლისა".

ალექსანდრე განუმარტავდა თავის უფრო შვილს, ქართლელნიც „ძმანი არიან და არა ჯერ არს შენგან ცილობა და დაპყრობა ქართლისა, კმა არს შენთვის კახეთიცაო".

გიორგიმ დაინახა, რომ მამა და ძმა ხელს უშლიან თავისი გეგმის განხორციელებაში და გადაწყვიტა მათი თავიდან მოშორება. საამისოდ დრო იხელთა და 1511 წელს მამა მოკლა, ხოლო ძმას თვალები დასთხარა. ამის შემდეგ მას გზა გახსნილი ჰქონდა სამოქმედოდ. თავისი თავი „ლიხთიმერისა და ლიხთამერისა ორისავე ტახტისა და სამეფოს" გამაერთიანებლად და მპყრობელად და „აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა" მეფეთა-მეფედ გამოაცხადა." გიორგი ქართლის წინააღმდეგ წამოვიდა. ვახუშტის ეს ამბავი ასე აქვს გადმოცემული: „ამ ჟამს იდგა დავით მეფე ატენს ტაძრეულითა და მცველითა თვისით, მოუხდა ავ-გიორგი ატენს მეფესა დავითს, ხოლო დავით უსპობით ვერღარა მბრძოლი შევიდა ციხესა შინა ატენისასა, და მოადგა ავ-გიორგი გარს, არამედ იხილა გიორგიმ ვერ შემუსვრა ციხისა და სპანიცა შემოკრბებოდიან შემწედ მეფისა დავითისა, უკან იქცა ავ-გიორგი და წარვიდა კახეთს. გარნა არა იკმია სიბოროტე და კვალად იწყო კირთება, რბევა და ოხრება ქართლისა, რამეთუ ჟამითი-ჟამად მოივლის და აოხრებდის".

მდგომარეობა სულ უფრო და უფრო რთულდებოდა და საქართ-

ველოს გაერთიანების იდეაც თანდათან სუსტდებოდა. სამთავრო-სათავადოების წარმოშობა, რაც ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური დაძაბუნების შედეგი იყო, საბოლოოდ აქარწყლებდა ქვეყნის გაერთიანების შესაძლებლობას. ამას თან ერთოდა საგარეო პირობების მკვეთრი გაუარესება. როგორც ცნობილია, 1555 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო. ამ ზავით საქართველო ორად იქნა გაგლეჯილი. ამიერიდან ეს ორი მტაცებელი ყოველმხრივ ცდილობდა ხელი შეეშალათ ქვეყნის გაერთიანებისათვის (დ. გვრიტიშვილი).

ამ ხანებში სამეფო ოჯახს გამოეყო საუფლისწულო მამულად სამუხრანბატონო, მეფის ოჯახის ერთ-ერთი წევრის სარგოდ.

ვახუშტი თავის ცნობილ შრომაში — „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ დაწვრილებით აღწერს სამუხრანო საზღვარს: „საზღვარი მუხრანისა არს ძეგვისწყლიდან იწრომდე. არამედ აწ აღმოსავლეთ მზღვრის არაგვი, სამხრით მტკვარი, ჩდილოით ციხე ბოდავისა და ტინის მთა, დასავლით გორა ოკამისა, სამხრითკენ გადაჭრილი ხაზი შავტყესა და წლევისა კასპის ბოლომდე“.

გამოეყო რა სამეფო ტახტს, სამუხრანო ფაქტიურად დამოუკიდებელ საერისთაოდ ჩამოყალიბდა. ერთი კი უნდა ითქვას, რომ იგი ისე ავად არ ექცეოდა სამეფო ტახტს, როგორც ქსნისა და არაგვის საერისთაონი, სამუხრანოს ბაგრატიონებმა მოგვცეს საკმაოდ ნიჭიერი ხალხი: ვახტანგ მეექვსე, ვახუშტი და მათი შთამომავალნი.

მიუხედავად დიდი ავბედობისა, ვახტანგ მეექვსემ მცირე ხანში თავის მეფობისა დააარსა სტამბა, რედაქცია გაუკეთა ვეფხისტყაოსანს და ბეჭდურად გამოსცა; დააარსა კომისია, რომელმაც შეკრიბა ქართლის ცხოვრება და შეამოწმა ისტორიული წყაროები. გაიყვანა გზები და არხები, გაამაგრა საზღვრები, „გაჩეხა ტყენი უღრანნი, დაატრიალა წისქვილი და დაასახლა დაბნები“.

ვახუშტიმ დაწერა საქართველოს ისტორია და იმ დროისათვის უბადლო „ღეოღრაფია“ საქართველოსი, მისმა ბიძამ სულხან-საბა ორბელიანმა შეადგინა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, (რამაც დიდად შეუწყო ხელი ენის სიმდიდრის შემონახვას) „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“, „მოგზაურობა ევროპაში“ და სხვ.

იმ ათიოდე წელში, რაც ვახტანგმა იმეფა, იმდენი გაკეთდა, რაც ზოგს ოთხ-ხუთ ათეულ წელიწადს არ გაუკეთებია, მაგრამ რას იზამ, ავბედობამ თავისი გაიტანა, მოკავშირეებმა უღალატეს, მხარი ვერ

აუბეს, დარჩა მარტოდმარტო მტრის პირისპირ და გადაიხვეწა საქართველოდან, აუარებელი ამალით, რომელთა შორის ბევრი იყო ჭეშმარიტი მოღვაწე...

მაგრამ კმარა ისტორია. გავყვეთ ჩვენს დღევანდელ გზას. მართლაც, ჩვენი მგზავრები წილკნიდან გაჰყვნენ ჩამოხრიოკებულ, ძეძვიან გვერდის ძირს, რომლის ფერდონი ახლო წარსულში მუხნარით ყოფილა დაფარული. აქ ბევრია დაყვავილებული იორდასალამი. ეს მცენარე აპრილში ჰყვავის და მისი ალისფერი ყვავილები ცეცხლივით ანთია. ეს ნიშნები იმაზე ლაპარაკობს, როგორც ვთქვით, რომ მათ ნაალაგევზე კარგი ღვინის მომცემი ზვრები გაშენდება, მაგრამ ოროკოების გარეშე ვენახი ამ გვერდაზე ძნელია. დამპალოდან გამობრუნებულებმა მუხრანის თავზე მთავარ გზას აუხვიეს, გაიარეს სოფელი ძალისი, აჰყვნენ ნარეკვავის ხევის პირს და მჭადიჯვრის ტაძრის გალავნის გვერდით აღმოჩნდნენ. ტაძარი თლილი ქვითაა ნაშენი, მაგრამ აკლია სინატიფე და კენარობა სამთავისისა, სვეტიცხოველისა, ბეთანიისა და ფიტარეთისა; მაღალია, მაგრამ მაინც თითქოს მიწასაა დანარცხებულიო, სვეტიცხოველივით კი არ მიიწევს ლაჟვარდისაკენ ან სამთავისივით აფრენას კი არ აპირებს, არამედ ჩაწოლილია მიწაზე, პროპორციებიც თითქოს დარღვეულია. ჩუქურთმებითაც ღარიბია. ჩანს, რომ საქართველოს დიდ ავბედობათა დროს, მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარშია ნაგები. რას იზამ, მაშინ ასეც რომ მოახერხეს, გასაკვირია.

ერეკლე ხომ ერეკლე იყო, თითქოს მშვიდობაც დაამყარა ჩვენს მხარეში. ხალხმაც ეს შედარებითი სიმშვიდე ერთ ტაეპში გამოხატა:

მეფე ერეკლეს დროშია შორს მოვაძუე ძროხანი,
დავწექ და ბევრი ვიძინე თავს წავიხურე ჩოხანი.

მიუხედავად ამისა, მხცოვანი მეფე ცხენს იყო გაკრული, ხან წითელ ხიდთან იდგა თავისი ჯარით, ხან ყარაჩოფს, ხან ენისელს და ხან საგურამოს.

გიორგიმ ამოიღო ჩანთიდან წიგნი და რაღაცის ძებნა დაიწყო.

— აი, ბიჭებო, ორი პატარა ადგილი ერეკლეს წერილიდან:

„1787 წ. სექტემბრის 23.

ჩვენ მაგიერად ჩვენგან იმედათ მისაჩენელს მიშკარბაშს იოსებს და ქაიხოსრო მურვანისშვილს მრავალი მოკითხვა უამბეთ. მერე ჩვე-

ნი ჯარით ყარაჩოფს ვდგევართ. ქისიყის მოურავი ჩვენთან მოვიდა, ომარხანის ჩამოსვლის ამბავი ჯერ მართალი არა არის რა. ჩვენ სამოთხ რიგად კაცი გვყვანდა ომარ-ხანის შესატყობლად, იმის ჩამოსვლას თუ ასლი ჰქონდა, ჩვენის გაგზავნილის კაცებიდამ ერთიც არის მოვიდოდა და ამბავს მოგვიტანდა. თქვენ მანდაურ საქმეებზე მხნედ და ბეჯითად იყავით და თუ მანდეთკენ ერთი ჯარის ამბავი იყოს რამე, მალე გვაცნობეთ. ენკენისთვის კგ.

ერეკლე“.

— აი, მეორეც:

1788 წ. აპრილის 28.

„ჩვენო ღ-ის წყალობავ, შვილო, ბატონო იულონ! ჩვენ მიერ მრავალი მოკითხვა მოგეხსენოს...

ორი რიგი წიგნები რომ მოგეწერა, ეს იმის პასუხები არის. ეგ ელები გამოიყვანე, თავ-თავის ადგილს დააყენე, სოფლებს წაახდენენ. ხრამის თავისკენ და დურნუკისაკენ ამოსწიე, ბედენისაკენ[1] და იმ მხრისაკენ ყარაულებით და(ა)ყენე. უყარაულოდ ნუ გაუშვებისე მინდა მანდ თქვენ ჯარში ყოფნა, რომ მშიერს კარგი ფლავის ქონა და ჭამა, მწყურვალს კარგი ღვინის სმა, მაგრამ საქმე არ მიშვებს. დავით სარდალია მანდ, გზები კარგად იცის და სადაც სჯობდეს ყარაულები გამოარჩევეთ და დააყენეთ ბეჯითად. ერეკლე.“

აი, ხედავთ, მოხუცი ერეკლე ხან ჯარშია ნაბდის ამარა, ხან საქმეებზეა, საზღვრებზე მყოფი წერილებს სწერს, თადარიგს უჭერს. პატარა წერილში სამჯერ იმეორებს „ყარაულები გამოარჩიეთ და დაყენეთო“. მერე რა ცოტას მოითხოვს თავისთვის, ფლავი უდიდეს სიამოვნებად მიაჩნია.

— ჰოდა, რაღას ერჩით ხევსურს? — თქვა გივიმ.

— როგორ? —თითქმის ერთხმად ჰკითხეს.

— ხევსურმა ხევსურს ჰკითხა: „ნეტავ რასა ჭამს ერეკლეო. რას და მე შენ გითხრა არ ეკნებაო: ღამით ნადებ ხინკალს დილით მოხუხავსაო, ჭერში ნადებ დუმასა და თურთუმელა პანტასაო“.

ყველას გაეღიმა. რამდენიმე წლის ჭერში გაბოლილი დუმა და მწიფე პანტა ხომ ხევსურისათვის მართლაც სანუკვარია, ხინკალზე რომ არა ვთქვათ რა.

---

[1] ბედენი — თეთრწყაროში უმაღლესი მწვერვალი, ქციას დასცქერის.

— სანუკვარია თუ სანუკვარი იყო?

— ერთიც და მეორეც. ახლა ხევსურ პროფესორს ან ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს „თურთუმელა პანტით“ ვეღარ გააკვირვებ. ისე კი ხევსურეთში, და საერთოდ, ჩვენი მთის მხარეებში, ჯერ ბევრია გასაკეთებელი. მთა ჩამორჩა ბარს. მისი სოფლის მეურნეობა ან ძველ დონეზე დარჩა, ანდა ძველსაც კი ჩამორჩა. თანამედროვე ადამიანის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. წინათ იცოდნენ, „ბარში რომ ჭკუა დაეკარგებოდათ, მთაში მიდიოდნენ საძებნელადო“. ახლა კი ამთა ცარიელდება. ბარად ჩამოდის. მაგრამ ამაზე შემდეგ... გავყვეთ ერეკლეს კვალს.

— აი, კიდევ მისი ერთი წერილი:

„1787 წ. აგვისტოს 14.

ჩვენო ღ-თის წყალობავ, საიმედოვ შვილო, ბატონო იულონ. მრავალი მოკითხვა მოგეხსენოს. მეორე დღეს რომ შაბათი იყო, ჩვენ აქ ვატეხილ ხიდთან მოვედით,[1] ხვალ აქედან ავიყრებით, წამოვალთ, ზეგ უთუოდ ღ-თით მანდ მოვალთ. მავრამ საკლავი არ ვყავს და კარგა ჯარი გვახლავს. გვგონია, თქვენ საკლავის თადარიგი გექნებათ, და თუ არა გქონდეს, ამაზე ბეჯითად თავს უნდა შეიდვათ. საკლავის თადარიგი გვინახოთ. ზეგ რომ ორშაბათია, საკლავი არც ჩვენის ქარხნისთვინა გვყავს და არც ჯარისთვის... ერეკლე.“

აი ამ გაწამაწიაში იყო, ხან აღმა და ხან ღალმა.

— სწორედ ამიტომ იყო, რომ ქალებიც იარაღს ისხამდნენ, ვაჟკაცი ხომ ნიადაგ კარში იყო იარაღასხმული, მავრამ სახლს მაინც უწიოკებდნენ „წუნკალი ლეკები“.

— კაცმა რომ თქვას, ჩვენმა ქალებმა ერეკლეს დროს გაითქვეს სახელი. მარტო მაია წყნეთელი და თამარ ვაშლოვანელი რადა ღირს!

თამარსა ვაშლოვანელსა ვაშლი უდგია თავსაო,
რიგი მწიფს, რიგი ყვავილობს იმის საფლავის კარსაო.

აი, რა ლამაზი ლექსით უკვდავჰყო ხალხმა თავისი გმირი ქალი.

---

1 ვატეხილი ხიდი — წითელი ხიდი, ქციაზე, აზერბაიჯანის საზღვართან.

კავკასიის იორდასალამი

— განა ჩვენი თინანო მჭადიჯვრელი ნაკლებია?

— მჭადიჯვრელებს ლეკები დასხმიან, საქონელი გაურეკავთ. მდევარიო, დაუძახნიათ, და მთელი სოფლის ვაუკაცობა დასდევნებია. შინ მოხუცები და ქალებიღა დარჩენილან. მთავარი მარბიელი ჯარი თურმე ტყეში იყო დამალული და ქორივით დააცხრა მჭადიჯვარს. კიდევ კარგი, გალავანი დაკეტილი დახვდათ. ღამემ უსწრო. ლეკებმა გალავანთან დაიბანაკეს. ქალები შეყარა თინანომ. სახლში დარჩენილი იარაღი ააღებინა, სანიადაგო კაბები ააკალთავებინა და მეორე ხელში ჩირაღდნები მისცა. ხომლი რომ მაღლა წამოვიდა, აანთებინა ჩირაღდნები. ასზე მეტი ქალი ჩირაღდნებით ხელში წივილ-კივილით გამოცვივდა ციხის კარიდან და ეკვეთა ლეკების ბანაკს. ატყდა ცხენთა ჭიხვინი, თქარათქური, დაფეთებული ლეკები დიდხანს გონს ვერ მოსულიყვნენ. ამ დროს ნარეკვავის ხევიდანაც მოისმა ყიჟინა. ქვემო სოფლებში დაეძახათ „მდევარიო“ და სულ რჩეული ბიჭები წამოსულიყვნენ. მაშ როგორ? ეგრე იყო. სოფელი სოფელს ეშველებოდა. თორემ ისე „ძნა იწოდა და ულო იცინოდაო“. ირიჟრაჟა თუ არა, მეფის ჯარმაც მოუსწრო თურმე, მაგრამ თინანო მკვდარიღა ნახეს. მის წინ ორი შუბლგახეთქილი ლეკი ეგდო.

— ყოველი სოფელი ლეგენდადაა ქცეული. აი, როგორა აქვთ გადმოცემული ეგ ამბავი ერეკლეს შვილიშვილებს დავითსა და ბაგრატს.

„ხოლო წელსა 1751, ქორონიკონსა 441-სა, მოვიდა ნურალბეგი ავარელი (ე. ი. ბატონი მუცალი) ფრიადითა მხედრობითა და მოადგა მჭადიჯვარს; გარნა ერთმან მოხუცმა დედათაგანმა დაუწვა მათ შვიდი საფარი მოტანილი ციხესა ზედა, სძლიეს მუნ მეფეთა მით და მოსწყვიტეს ფრიადი ლეკნი და სირცხვილეული უკან იქცა სასახლემდის თვისა“ (დ. ბატონიშვილი. ახალი ისტორია. 1941).

„ოი, საკვირველი! ერთმა მოხუცმა დედაკაცმა მჭადიჯვრელმა იხმარა სული მამაცობისა, გამოვიდა ციხით, რამდენიმე ლეკი მოკლა თავისითა ხელითა და რამდენიმე დაუწვა საფარი ხისა ლეკთა, ხოლო უკანასკნელ მოვიდეს იგიცა, რომელსაც დღეს ქებასა მოუთხრობენ შორითა მესტვირენი“ (ბაგრატ ბატონიშვილი. მოკლე ისტორია, 1942).

მესტვირენი მჭადიჯვრელ გმირ ქალს ქრისტინეს უწოდებენ.

— განა სულერთი არ არის, თინანო იქნება თუ ქრისტინე? საქმე ისაა, რომ ქართველი, მჭადიჯვრელი დედაკაცი იყო. ამბობენ, როდესაც ობოლი ბიჭი ომში მიდიოდა, ზოგი დედა აბჯარს იცვამდა და უჩუმრად ჯარს მისდევდა, რომ თავის პირმშოს გვერდით ყოფილიყო, თავის დროზე შეეკივლა, თუ ძაბუნს შეამჩნევდაო. ომიდან ბევრი ვეღარ გამოდიოდა, მაგრამ თუ დედა-შვილი ორივ ცოცხალი გადარჩებოდა, აბა მაშინ იყო თურმე სიხარული!

ამ საუბარში იყვნენ, როდესაც თავზე წამოადგათ ერთი მაღალი, ბრგე და შავგვრემანი ვაჟკაცი.

— ესეც ხომ ამიხდა, რომ ჩვენს მიწა-წყალზე გნახეთ. აბა, წამობრძანდით! — თითქმის უბრძანა მგზავრებს.

ეს მჭადიჯვრის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო.

— თქვენმა მოცემულმა ახალი ჯიშის სიმინდმა გვასახელა, წლეულს 15 ჰექტარი დავთესე და მომავალ წელს ასამდე ავიყვან.

გიორგისაც გაუხარდა მისი ნახვა, ინსტიტუტთან, სადაც გიორგი მუშაობდა, ამ თავმჯდომარეს ხშირი მისვლა-მოსვლა ჰქონდა.

— აი, თინანოსა და ქრისტინეს ჩამომავლობა, — მიუთითა გიორგიმ ბიჭებს. ახლა მაპატიე და ჩამოვლაზე უეჭველად გინახულებო,— ასეღა დაითათბირა გიორგიმ ცოტა არ იყოს გულნატკენი თავმჯდომარე.

— მეოტი ვინმე ხომ არა ვარ, რომ მერიდები, ჩემი ოჯახი მაინც არ გინდა ნახო? — არ იშლიდა თავმჯდომარე, მაგრამ გიორგიმ მაინც თავისი გაიტანა.

მანქანის წინ ერთი სრელა გაბადანი, მაგრამ რაღაც ნაღიტა[1] დეკეული ჩადგა და არც იქით მიდიოდა, არც აქეთ. მაშინ თავმჯდომარემ მოხვია ხელი, აიყვანა და გზის გადაღმა გადასვა.

— შე სამგლეევ, რაღა შენ ეჩვენე ამ ხალხსა, — უსაყვედურა დეკეულს.—ჩვენი საქონელი სულ ასეთი არ გეგონოთ, ჯიშიანი ნახირი გვყავს, მათი მოცადღბა კიდევ უკეთესია. მაწყენინე, მაგრამ შენ აბა კაცი როგორ დაგემდურება!

— აი, ესეც ერთ-ერთი კაი ყმა, თანამედროვე, ძველიც ალბათ ასეთი იყო, არა?

---

[1] სრელა — ზურგკრელი, გაბადანი — ზურგჩაწეული, ნაღიტა — დაჩაგრული, დაჩიავებული საქონელი.

აი, თანამედროვე „გეზელ ქორივით მკივანი“ ვაუკაცი, ისეთი კოლმეურნეობა აქვს, ბევრი ვერ გაუტოლდება.

— ახლა ამას აღარ იმღერებენ:

> მუხრანბატონის ყმობითა ფქვილი ვერ დავდგი გოდრითა,
> ვერც ლურჯი ჩოხა ჩავიცვი, ვერც ახალუხი ქობითა,
> ვერც დეკეული გავზარდე, ვერც კალო ვლეწე მოზვრითა.

— სიმღერით კი მღერიან, მაგრამ წარსულ დროებას იგონებენ მაგითა — უკან დაბრუნებულნი საუბრობდნენ ასე.

მანქანამ მუხრანს ჩაუარა, ოძისს ქვემოთ ქსნის ჭალას მიადგა. ოდესღაც უღრანი ტყე „სავსე ეშვითა, ნადირთა და ხოხბითა“ მოსაგონადაც არ იყო. აღარც მუხა, არც „ჭალა ჯღარდლოვან-ეკლოვან-ჩალიან-ჭანჭრობიანი“. უფრო ფართო რიყეა, ადგილ-ადგილ ქაცვი და ჩიტავაშლა მოსდებია კატაბარდით გადაბურული, ქსანი დატოტვილა და მოაგელვებს ქვემოთკენ. ჯერ, როგორც ჩანს, მთაში თოვლი მთლიანად არ დამდნარა, მაგრამ სარწყავ რუებსაც ჰყოფნის და ქვევითაც მიდის. უცბად უნდოდა გოგიას გასვლა. პატარა მწყემსებს ტოტი დაეწყვიტათ და თევზაობდნენ; ერეკლემ და ვახტანგმა ვერ მოითმინეს, გაიხადეს ფეხსაცმელი და ჩადგნენ წყალში...

— დაწყვეტა ხო აკრძალულია, რად დაგიწყვეტიათ?

— ვინც დაწყვეტას გვიშლის, იმან გუშინ წყალი მოწამლა. — თევზი ჭერეხივით ეყარა, რაც აკრიფეს, აკრიფეს, რაც არა და წყალმა წაიღო, — თქვა ერთმა შავტუხა ბიჭმა, რომელიც ხელაობდა[1] და ქვის ქვეშიდან მურწა ამოიყვანა. მასწავლეო, — უთხრა ერეკლემ. მაგას რა სწავლება უნდაო, — უპასუხა, — ჩამოდი და მოიხელეო.

ვახტანგი კი მეორე ბიჭთან იდგა და კოკოზას სინჯავდა. ერთ კოკოზას პირი ზევით ჰქონდა, მეორეს კი — ქვევით, ეს უკანასკნელი უცნაურად კი იყო დაწნული, არა, დაწნული კი არა, გადაბმული. ერთნაირი ზომის სუფთა წნელები ასხმული იყო ოთხ მრგვალ რკალზე, რომელთაგან მეოთხე, ბოლოსკენ, პატარა იყო. ამ რგოლებზე მანეულის გრძელი წკეპლები ბაწრით იყო ასხმული. ქვედა მხრიდან წნელები ჩაბრუნებული იყო და ვიწრო ყელი ჰქონდა. თევზი თუ გადავიდოდა, მოემწყვდეოდა, ველარ გამოვიდოდა.

---

[1] ხელაობა — თევზის ხელით ჭერა.

— ეს პირშექცეულია, ზოგი კონსაც ეძახის. ამას, საითაც წყალი მიდის, პირს იქით ვუზამთ ხოლმე, თავთხელებში თევზი ზევით რომ მიდის, ადვილად გადადის შიგ და უკან კი — უკაცრავად.

ალბათ იმიტომ, რომ უცხოები ესიამოვნებინათ, ორივემ ამოსწიეს კოკოზაც და პირშექცეულიც, ბოლოები გაუხსნეს, დაბერტყეს და რიყეზე მურწა, ნაფოტა, ჩხირანა და ფიჩხული აფართხალდა. ბევრი არ იყო, მაგრამ ბიჭებს ესეც ახარებდათ. სწრაფად ჩადგეს კოკოზები წყალში, აკრიფეს ჯერ ისევ მოფართხალე თევზი ერთ პატარა მისურში (თავისებურად დაწნული კალათა) და სტუმრებს გაუწოდეს. „რაკი დაესწარით, თევზაობაც ნადირობაა და სანახევროაო“. ბიჭებმა იუარეს: აბა, მგზავრები ვართ, სად წავიღებთო, მადლობა უთხრეს და გაუდგნენ გზას.

თეზის მუხასთან გავიდნენ და გაჰყვნენ ოკამის მინდორს. თხოით-წლევის ქედის შეფერდებაზე აღაიანი და აღაიანის საბჭოთა მეურნეობის ზვარი მოჩანდა. ქვემოთ ვაკეზე კი „ფერმა“. მუხრანბატონის ნაყმევი ელების სოფელი. „მწყემსად ჰყავდა, ყაზახიდან ჩამოიყვანაო“. — აუხსნა გივიმ.

ქსნისა და ლეხურის წყალგამყოფი ქედის წინა გორების გვერდის ძირზე სოფელი ოკამია შეფენილი. სოფელ ოკმიდან თხოითის ქედის ტყის პირამდე ახალი ზვარია გაშენებული. კარგად მოვლილი და ვრცელი. მინდორში კი რაღაც წყალსაცავი მოჩანს.

— ეს წყალსაცავი კი ტყუილად აუშენებიათ, აქ არც ადგილია მაგისი და ვერც იბოგინებს, — შენიშნა გიორგიმ.

არ დაივიწყეს თეზის ბოლოს მდგარი ეული მუხის სურათის გადაღებაც.

იგოეთის თავზე გავიდნენ, გზისპირას მდგარ წითელ საყდარს ჩაუარეს და იგოეთის შარაგზიდან ლამისყანის გზაზე გადაუხვიეს: ერთი კილომეტრის შემდეგ მანქანა დააყენეს და შეერივნენ ბუჩქებს.

ეს ბუჩქნარი, ძველმუხნარის ნაშთი, ბევრითაა საყურადღებო. ჯერ ერთი, რომ სწორედ იგოეთია კლასიკური ადგილსამყოფელი ქართული ნუშისა; აქ ნახეს პირველად და მეცნიერებისათვის ამ სახელით სწორედ აქედან აღებული ნიმუში აღწერეს. ამ რამდენიმე წლის წინათ ეს ადგილივე გახდა ასეთივე კლასიკური ადგილსამყოფელი მაიკოს პეონიასი, ანუ იორდასალამისა. ეს უკანასკნელი სპონ-

ლელა და მაიკოს იორდასალამი

ტანური ჰიბრიდია, თესლს არ იკეთებს და მრავლდება ფესვის ნაწილებით. იგი ჰიბრიდია ორი იორდასალამისა: ველის წვრილფოთლებასი და კავკასიურისა. იგი ულამაზესია, ორივე მშობლისაგან გამოჰყვა მხოლოდ საუკეთესო ნიშნები.

ბიჭებმა იპოვეს ორი ძირი, მაგრამ გიორგიმ ნება არ მისცა, ამოეღოთ საჰერბარიოდ. ისიც დავაშავე, რომ წინათ შედარებით ბევრი ავიღეთ. ამას უნდა გავუფრთხილდეთ ისევე, როგორც სხვა იშვიათ მცენარეებს. საერთოდ, კოლექციონერებმაც უნდა დაინდონ მრავალი მცენარე და მხოლოდ აუცილებელი და ძალიან მცირე აიღონ კოლექციისათვის.

ჩვენი მგზავრები ტკბილი საუბრით იგოეთის მთას თავზე მოექცნენ. მათ წინ იშვიათი სურათი გადაიშალა. დასავლეთით ლეხურის ხეობა. შორს — ტირიფონა, აღმოსავლეთით — ქსნის ხეობა, მუხრანის ვაკე, ლამაზი სოფლებით. არაგვის გაღმა — საგურამოს დაბლობი თავისი ლამაზი ქედით და ილია ჭავჭავაძის სახლით.

— გაიშალა ქართლის სოფლებიც...

— აბა დღეს რამდენი ლეკიანობა მოვიგონეთ. აშენებდნენ ციხე-კოშკებს და მის ახლო იგებოდა სახლიც. ზოგჯერ დარბაზიდან დარანით[1] პირდაპირ ციხე-კოშკში შედიოდნენ. ციხე-კოშკს შორს ვერ სცილდებოდნენ. ამის გამო ძმა-ძმას რომ ეყრებოდა, სახლის კარს შუაზე უყოფდა. ახლა კი სულ სხვაა, ხალხს ფართოდ უნდა ცხოვრება.

— რა კოპწიაა სამთავისის ტაძარიც...

ძირს მართლაც ფართოდ გაშლილი სოფელი სამთავისი და ქვემო ჭალა მოჩანდა. ეს ორი სოფელი თითქოს შეერთებულა. სოფელს მრავალი კოპწია სახლი ამშვენებს. სამთავისი ჩვენი საეკლესიო ხუროთმოძღვრების დამთავრებული, დახვეწილი უკვდავი მარადმჟღერადი სიმფონიაა. ამით დასრულდა ჩვენი ტაძრების ფორმის ძიება. სამთავისის აგება 1030 წელს დაამთავრეს. კედლები შემკულია იშვიათი ფაქიზი ჩუქურთმებით, კედლისვე კედეებზე ამოტვიფრულია ნაზი, ცისკენ ატანილი სვეტები, რომლებიც თაღებით მთავრდება. თვალწარმტაცია ჩრდილო-აღმოსავლეთის კედელი, რომელიც თაღებით და ამოტვიფრული სვეტებითაა შემკული. კანკელის სარ-

---

[1] დარანი — სახლის ქვეშ მოთავსებული სამალავი გვირაბი.

კმლის ზევით მოთავსებული ჩუქურთმა შესანიშნავი ჯვრით მთავრდება. აქა ჩანს ჩვენი ასიმეტრული სიმეტრიის სიბრძნე, რომელიც ადამიანის გულს ასე სიამით ეფინება. ლამაზად სხედან საკუთხის ქვებიც. ბალავარი გამოყოფილია კედლებისაგან.

რასაკვირველია, არც სამთავისი გადარჩა ჩვენს ავბედობას. ჩამოანგრიეს მისი ყარყარა გუმბათი. მეჩვიდმეტე საუკუნეში შეაკეთეს, მაგრამ ამ საუკუნის სტილმა ვერ შეარყია მისი სილამაზე და სინატიფე, კენარობა.

თბილისში ქაშვეთი 1914 წელს ააშენეს, იგი პირია სამთავისისა, მაგრამ რაღაც აკლია, სამთავისის სინატიფე ალბათ. შორს, ტირიფონის სოფელ კირბალის უკან, ხევში, იკორთის ტაძარია. ის მეთორმეტე საუკუნეშია აგებული, 1172 წელს. არქიტექტურულად სამთავისს უახლოვდება. სიკოპწიავით კი ჩამორჩება მას. თუმცა სამთავისის თითქმის ყველა მოტივს იმეორებს. გეგონება, ერთდაიმავე ხუროთმოძღვარს აუგიაო. თუმცა მათ აგების თარიღთა შორის განსხვავება ასორმოც წელზე მეტია. შესანიშნავია ჩუქურთმა, მათი განაწილება, კედლებზე, გუმბათს ირგვლივ ულამაზესი ჩუქურთმებით დამშვენებული 12 სარკმელი უვლის.

როგორც სამთავისს, ისე იკორთას მეტი მოვლა და პატრონობა სჭირია. და არა მარტო ამათ.

ერთი უცნაურობა კია, იკორთა ქსნის ერისთავების საძვალეა. სამთავისი კი უმთავრესად ამილახვრებისა. საამილახვრო და ქსნის საერისთავო, როგორც უკვე ითქვა, ხშირად ესხმოდნენ ერთმანეთს, იყო შფოთი და ურთიერთის რბევა.

დაისი უკვე ქედის წვერიდან იცქირებოდა, ჩვენი მგზავრების მანქანა ლამისყანის სკოლის ეზოში რომ შეგრიალდა. სკოლის დირექტორი გამოეგება. რუბენმა ბალღები ჩაკოცნა, სხვებს ხელი ჩამოართვა და გიორგის ხუმრობით უსაყვედურა, თუ აქეთ აპირებდი წამოსვლას, რატომ ადრე არ შემატყობინეო. მასპინძელი აუძღვა სკოლის ფართო აივანზე, რომელიც წინათ ერთ-ერთი ერისთავის სასახლე იყო, იქვე ჩანდა ორბელიანთა ნასახლარიც.

დილით ლამისყანიდან ჩამოსულები, ქსანზე ფონით გავიდნენ და. უკან დატოვეს ქსნის რიყე.

ადამიანის უარყოფითი, უგუნური ზემოქმედების შედეგად სრულიად ქრება მრავალი გარეული მცენარე, ნადირი და ფრინველი. „გარეული ცხოველებიდან 10 სახეობა მოისპო 1710 წლამდე, 20 სახეობა მეთვრამეტე საუკუნეში, ამდენივე მეცხრამეტე საუკუნის ორმოცდაათიან წლებამდე, ორმოცდაათი—1850-დან 1900 წლამდე, ამდენივე (ე. ი. 50) 1901 წლიდან. ყოველწლიურად ერთი სახეობა მაინც ისპობა“ (ჟ. დორსტი).

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ბელოვეჟის ტყეში 150 წმინდა სისხლის დომბაღაა, აქედან 120 ტყეშია გაშვებული.

ევროპაში ამოწყდა მრავალი მტაცებელი, პირველ რიგში ლომი. დათვი საფრანგეთში ფართოდ იყო გავრცელებული. ახლა მხოლოდ პირენეის მთებშია, უკანასკნელი დათვი საფრანგეთის ალპებში მოჰკლეს 1921 წელს.

ასევე ისპობოდა ნადირ-ფრინველი და მათთან ერთად ტყეც. ამერიკაში, განსაკუთრებით ევროპელთა დასახლების შემდეგ ერთი საუკუნის მანძილზე მრავალ შტატში მთლიანად მოსპეს ტყე. ასე მაგალითად, მასაჩუსეტსში 1754 წელს ყოველ მცხოვრებზე 9,71 ჰა ტყე მოდიოდა, 1800 წელს — 4,45 ჰა, 1830 წელს — 3,24 ჰა. შედეგად მოისპო ნადირ-ფრინველიც. 1909 წელს გამოაცხადეს პრემიად 1500 დოლარი იმისათვის, ვინც ერთი წყვილი მოხეტიალე მტრედის ბუდეს უჩვენებდა. (ევროპელთა მოსვლამდე კი ისინი მრავლად იყო).

ბიზონი ამერიკაში (მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში) ითვლებოდა 75 მილიონი სული. 1870—1875 წლებში ყოველწლიურად კლავდნენ 2,5 მილიონ ბიზონს, ატყავებდნენ, ხორცს ველად ტოვებდნენ, ტყავი მიჰქონდათ... 1885 წელს მოკლეს უკანასკნელი ბიზონი და ამგვარად, სულ ოციოდე წელში მოსპეს სამოცდათხუთმეტი მილიონი სული. სამოცდაათიანი წლებიდან კი დაიწყეს მათი ძვლების (რომლითაც მოფენილი იყო ამერიკის პრერიები) შეკრება, რათა სასუქად გადაემუშავებინათ.

ევროპა და აზია ყველაზე ადრე დასახლდა და ამის შედეგად პირველყოფილი ბუნება ყველაზე მეტად დაზიანდა. იჩეხებოდა ტყეები, ნატყევარზე სახლდებოდა ხალხი. ესენი კი ახალ-ახალ მიწებს აახო-

ვებდნენ და საბოლოოდ პირველადი საფარი მოისპო. მოისპო პირველ რიგში ტყეები. ტყეების შედარებით გეგმაზომიერად მოვლას და დაცვას მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში მიაქციეს ყურადღება.

„ევროპაში თანამედროვე ცხოველებიდან, — განაგრძობს დორსტი თავის შესანიშნავ წიგნში, — „მანამ, სანამ მოკვდება ბუნება" — პირველ რიგში ამოწყდა ტური (დომბა). მეცხრამეტე საუკუნიდან იგი რუსეთ-პოლონეთის საზღვრებზეღა გვხვდებოდა. ბოლოს იქაც მოისპო.

ასეთივე დღე დაადგა ევროპულ დომბას, იგი ბინადრობდა კავკასიიდან ბელგიამდე. მაგრამ მოსპეს, პირველ რიგში — ევროპაში, მცირე ნახირიღა შერჩა ბელოვეჟის ტევრს, პოლონეთის აღმოსავლეთ ნაწილში. 1892 წელს იქ ითვლიდნენ 375 სულს. პირველმა მსოფლიო ომმა დომბებსაც ცუდი დღე დაუყენა. უკანასკნელი მოკლეს 1919 წელს, მხოლოდ ზოოპარკში დარჩა რამდენიმე სული და მათი საშუალებით კვლავ მოამრავლეს პოლონეთსა და საბჭოთა კავშირში.

1921 წელს მოკლეს უკანასკნელი კავკასიური დომბა, ეს იშვიათი და ძვირფასი ძუძუმწოვარი, რომელიც კავკასიონის დასავლეთის ნაწილის ტყეებში ცხოვრობდა.

წასულ საუკუნეებში კი კავკასიაში დომბა დიდ ტერიტორიაზე იყო გავრცელებული, 1930—1935 წლებში, როდესაც სევანის ტბიდან არხი გამოჰყავდათ, მიწის თხრის დროს აღმოაჩინეს დომბას ჩონჩხი, მასთან ერთად კვერნის და ტყის სხვა ბინადართა ჩონჩხები. ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ, თუ მეოცე საუკუნეში იგი მხოლოდ აფხაზეთის მთებში იყო, წარსულ საუკუნეებში მთელ კავკასიაში ყოფილა გავრცელებული. სევანის ტბის მიდამოები დღეს მოშიშვლებულია უკვე ისე, როგორც სომხეთის დიდი ნაწილი. აქ ტყეები მოსპო ჟამთა სიავემ და ადამიანის წინდაუხედაობამ. ტყეების მოსპობამ თან გადაიყოლა დომბაც, კვერნაც და ტყის სხვა ცხოველებიც. სევანის ტბამ რომ უკან დაიხია წყლის გადაშვების გამო, ფსკერზე აუარებელი ირმის რქები იპოვეს.

კავკასიონზე ბინადრობდა ულამაზესი ცხოველი ნიამორი. ისიც რამდენიმე ათეულიღა დარჩა, მაგრამ აი, უკვე ათი წელია იგი არავის შეხვედრია.

საქართველოს ველებში აღარ არის ქურციკი (ჯეირანი). ჯერ კი-

ერთი დღის ნანადირევი, ფოტო კალინოვსკისა 1914 წ.

დევ 1940 წელს ამ შესანიშნავი, ლამაზი ცხოველის დიდი არვენი სძოვდნენ და დანავარდობდნენ შირაქისა და ელდარის ველებზე. ამ-ბობენ, აზერბაიჯანის ვაკეებზე, ველებში და ნახევარ-უდაბნოებში კიდევ არიანო, მაგრამ იქაც ალბათ ერთ-ორ ათეულს ითვლიან. 1945 წლამდე კი უთვალავი იყო, უზარმაზარი არვენი სძოვდნენ აზერბაიჯანის ველებში და ნახევარ-უდაბნოებშიც. მაგრამ თოფი-ავტომატი და „ვილისის" ტიპის ავტომანქანა პირველ რიგში ამ ლა-მაზ ცხოველს მოევლინა უბოროტეს მტრად.

დურაჯი 1950 წლამდე ბლომად იყო საქართველოს ველებსა და ჭალის პირებში, მაგრამ უკვე 1955 წლისთვის ვერც მონადირენი პოულობდნენ და ვერც ზოოლოგები. 1960 წლიდან დაიწყეს მისი სხვა რესპუბლიკებიდან შემოყვანა და ხელოვნური მოშენება.

ასეთივე დღეში ჩაცვივდნენ ხოხობი, გნოლი, კაკაბი.

ერთ-ერთი მიზეზი მათი ამოწყვეტისა ისიცაა, რომ, როცა დიდი რაოდენობით შხამიან ქიმიურ ნივთიერებებს ვიყენებთ სოფლის მეურნეობის მავნებელთა წინააღმდეგ, ანგარიშს არ ვუწევთ სხვა ცოცხალ არსებათ.

ფუტკარი საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის მნიშვნელოვანია, არა მარტო იმით, რომ ძვირფას პროდუქციას იძლევა, (თაფლს, ცვილს, სამკურნალო შხამს), არამედ იმითაც (და განსაკუთრებით ჩვენთვის), რომ მასზეა დამოკიდებული ხილის ბაღების მოსავლიანობა. თითო ჰექტარ ბაღზე ერთი-ორი ძირი სკა მაინც უნდა იდგეს. ცნობილი ფაქტია, რომ როდესაც ავსტრალიაში ჩვენებური ხილის (ვაშლის, მსხლის, ატმის და სხვა) ბაღები გააშენეს, ისინი მოსავალს არ იძლეოდნენ, სანამ ერთმა ფერმერმა არ მოიფიქრა და ევროპიდან ფუტკარი არ ჩამოიყვანა.

სწამლავენ ბაღებს, ებრძვიან მავნებლებს და ხშირად ავიწყდებათ, რომ ფუტკარი მწერია და სხვა მწერებთან ერთად ისიც იწამლება და იხოცება.

მრავალი ფრინველისა და ნადირის მოსპობა დაკავშირებულია ტყეების მოსპობასთან.

ირანისა და მცირე აზიის უტყეობის მიზეზებზე ჯერ კიდევ მარქსი და ენგელსი წერდნენ, ირანის ცენტრალური ნაწილი უდაბნოდ ტყეების უდიერად და წინდაუხედავად მოსპობამ გადააქციაო. არის საბუთები, ვიფიქროთ, რომ აფრიკაში საჰარის უდაბნო ჩვენს ერამდე 5-6 ათასი წლის წინათ ტროპიკული ტყით იყო დაფარული. საბჭოთა მეცნიერი ლ. როდინი მოგზაურობდა სირია-მესოპოტამიაში, რათა გეობოტანიკური კვლევის შედეგად დაესახა ღონისძიებანი იქაური მცენარეულობის (ველის და ნახევარუდაბნოს ბალახეულობა) გასაუმჯობესებლად და საძოვრების აღსადგენად.

ამ მუშაობის დროს, მას შეხვდა ჩერქეზების ერთი სოფელი. იმ ჩერქეზებისა, რომელნიც ოსმალეთში გადასახლდნენ წარსული საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისს რომანოვთა იმპერიის მიერ კავკასიის მთიელების დაპყრობის შემდეგ. მოხუცნი უამბობდნენ: „ჩვენი სოფლის ახლოს ტყეები იყო, მაგრამ მოვსპეთ, ვჩეხავდით, საქონელს ვაძოვებდითო, დღეს კი აქ იმდენი ბალახიც აღარ არის, ჩვენი ცხვარი, აქლემი და ცხენი გამოვკვებოთ, ამ ცოტახანში უნდა ავიყაროთ და გადავსახლდეთ აქედანაცაო“.

როგორც უკვე აღვნიშნე, ტყით იყო დაფარული სომხეთის ზეგანი, დღეს რომ ქვაყრილითაა სავსე, ტყითვე იყო დაფარული ჯავახეთი, უტყეო მესხეთი, წალკა-ზურტაკეტის მხარე, თბილისის მიდამოები და სხვა რაიონები.

მეოცე საუკუნის ოციან წლებამდე აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეების: მტკვრის, ალაზნის, ივრის, ქსნის, ლეხურის, მეჯუდის, დიდი ლიახვის, პატარა ლიახვის, ფრონეების, ქციის, ალგეთის, თეძმის, ძამას და სხვათა ხეობები — დაბურულ და შესანიშნავ ჭალის ტყეებს ეჭირათ. ამ ტყეებში თავისებური, ჭალისათვის დამახასიათებელი ხეები იყო გავრცელებული. ხვალო, ოფი, რამდენიმენაირი ტირიფი, გრძელყუნწა მუხა, კორპიანი თელა, ჩვეულებრივი თელა, ამავე ტყეებში იყო სხვა ტყის მონაწილენიც: მინდვრის ნეკერჩხალი, იფანი, მაჟალო, პანტა, შავი კუნელი, წითელი კუნელი, ტყემალი, შვინდი, ზღმარტლი, ქაცვი, კვიდო, ჯახველი, ჩიტავაშლა, კოწახური და მრავალი სხვა. ხეებზე მიხოხავდნენ მრავალნაირი ლიანები: ეკალღიჭი, ღვედკეცი, კრიკინა, სურო, სვია. ბალახი იზრდებოდა მაღალი; აკი ვახუშტიც აღწერს — „ლელიანჭანჭრობიანი“ ჭალაო.

ამ ტყეს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სოფლის მეურნეობისათვის: ბაღ-ვენახისათვის აქედან გამოჰქონდათ სარი, მარგილი, ჭიგო, სახლის მშენებლობისათვის მასალა (მუხის თავხე, კოჭი, ბოძი, ჭერი), გუთან-ურმისთვის (გუთნის ყელი, ურმის ხელნა, უღელი, ორთითი და სხვ.), ბაღ-ვენახის შემოსაღობად ჯალჯი (ქაცვი, ჩიტავაშლა, კუნელი, კოწახური), შეშა და ფიჩხი. ჭალის ტყის მოვლა შესანიშნავად იყო დაყენებული. აქ არსებობდა: სასარე, საჯალჯე, საშეშე, სამასალე და სხვა ნაკვეთი, ყველა მათგანს თავისებურად უვლიდნენ. მაგრამ ამ ტყეს სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა. აქ ბინადრობდა მრავალნაირი ნადირი: ირემი, შველი, გარეული ღორი, მგელი, ტურა, მელა, მაჩვი, კვერნა, წავი, დედოფალა, გარეული კატა, ფოცხვერი, მურა დათვი, ოლოლი, ბუკიოტი, ჭოტი, ბუკნა ჭოტი, ქორი, ალალი, შავარდენი, მიმინო, ბორა, ძერა, ჩხიკვი, ხეკოდალა, კაჭკაჭი (ნაპირისკენ), შაშვი, მტრედი, გვრიტი, ძიგვინი, ქედანი, ნაპირებზე — ხოხობი, კაკაბი, დურაჯი, გნოლი და მრავალი სხვა წვრილი ფრინველი. ყველა მათ უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ბუნებაში, სოფლის მეურნეობის დიდი მეგობრები არიან. მაგალითად ქორი, ძერა, შავარდენი, მიმინო და მისთანანი სპობენ თაგვებსა და სხვა მღრღნელებს.

წინათ მინდორში ყოველთვის იდგა თითო-ოროლა ხე, საჩრდილობელი იყო იგი მინდვრის მუშისა; როცა არ უნდა შეგეხედათ, ზედ

კენწეროზე უეჭველად იჯდა ან ქორი, ან ძერა, ან მიმინო და შავარდენი. გასცქეროდნენ მინდორს, შენიშნავდნენ თუ არა თაგვს ან მისთანას, დააცხრებოდნენ და აიტაცებდნენ. ასევე ღამე დარაჯობდნენ მინდორს ბუსმაგვარნი (ოლოლი, ზარნაშო, ბუკიოტი, ბუკნა ჭოტი და სხვ.). მელიაც ხომ იყო და არის მეგობარი სოფლის მეურნეობისა, ის უდიდესი მტერია მღრღნელებისა.

ტურა და მგელი სანიტრები არიან, სპობენ ლეშსა და პირველ რიგში სუსტსა და ავადმყოფ ცხოველს, რაც ხელს უწყობს გარეული ნადირის შთამომავლობის გაუმჯობესებას.

ეს ცხოველები და ფრინველები უშუალოდ ზიანს აყენებენ სოფლის მეურნეობასაც, მაგრამ მათ მიერ მოტანილი ზარალი ნაკლებია სარგებლობაზე. რასაკვირველია, საშუალება არ უნდა მივცეთ, რომ რომელიმე მათგანი ფრიად გამრავლდეს და დიდ ზარალს გვაყენებდეს.

შესანიშნავი სარეწაო ფრინველი და ცხოველებია: კვერნა, მაჩვი, ირემი, შველი, დათვი, გნოლი, ხოხობი, დურაჯი, კაკაბი, მტრედი, ძიგვინი, ქედანი და სხვა. მაგრამ სულ რაღაც ოციოდე წლის განმავლობაში მოვსპეთ ჭალის ტყეები და ამ მოსპობილ ტყეებს გაჰყვნენ ის ფრინველნი და ცხოველნი, რომელზედაც ზევით ვლაპარაკობდი. თავშესაფარი აღარა აქვთ. თავშესაფრად არ გამოდგება თითო-ოროლა პატარა კორომი. ბოლო ხანებში ყურადღება მიექცა ჭალის ტყეების აღდგენასაც, მაგრამ ეს ტემპი ვერ დააკმაყოფილებს იმ ხარვეზს, რომელიც ჩვენს ბუნებაში არსებობს.

ასევე მოისპო ის წარაფები და ცალკეული ხეები, რომელნიც ჭალის გარე იყო ჩვენს მინდვრებში. ესენიც დიდი დანაკლისია. პატარა ფრინველები (ნიბლია, ღობემძვრალა, ნარჩიტა, ღაჟო, ყაჯარა, ღრეცელა და სხვანი) მუსრს ავლებდნენ მწერებს. ამჟამად ძნელი საპოვნელია ნიბლიაც და ღობემძვრალაც. წარსულში მონადირეობაში არავითარი შემზღუდავი წესები არ არსებობდა, ხოცავდნენ დაუდევრად, ასობით და ათასობით.

„არამედ მთასა ამას შამბიანი ეწოდების შამბ-ბალახის სიმაღლისგან, რამეთუ ცხენოსანი კაცი და რქოსანი ირემი არ გამოჩნდების... ამ მთათა შინა არს ირემთა სიმრავლე ჯოგ-ჯოგათ და ხროთ და სხვათა ნადირთაც მოინადირა მეფემან ვახტანგ. და მოკლეს დღესა ერთსა 180“, (ვახუშტი)[1].

[1] ვახტანგ VI, მამა ვახუშტისა.

რასაკვირველია, დღევანდელი თვალსაზრისით 180 ირმის ერთ დღეს მოკვლა უდიდესი ბოროტებაა, მაგრამ ამ ფრიად დიდმოღვაწე მეფის დასაცავად უნდა ითქვას, რომ შამბიანი მაშინ ოსმალეთის მოსაზღვრე ტერიტორია იყო. როგორც ჩანს, ვახტანგს იქ ჯარის მზადება მოუწყვია და მტრისთვის უჩვენებია, მაინცდამაინც ნუ გადიდგულდითო. მაგრამ, საერთოდ, იმ დროს, და შემდეგაც, დიდად არ დაგიდევდნენ, ეხოცათ ასობით გარეული ნადირი.

1900 წელს პეტერბურგში გამოსცეს წიგნი: „კავკასიის ნადირობანი" (შეადგინა მე-16 გრენადერთა მეგრული პოლკის შტაბს-კაპიტანმა ა. კალინოვსკიმ). ამ დიდ ალბომში მოთავსებულია სურათები და აღწერილია რუსეთის მეფის, მეფის ოჯახის წევრების, პოლკისა თუ სხვა პიროვნებათა ნადირობანი. ესაა თვალნათლივი დოკუმენტი იმის შესახებ, თუ როგორ სპობდნენ ნადირს კავკასიაში და კერძოდ საქართველოში. ზოგიერთ ფოტოსურათზე თქვენ ხედავთ 10—20 დახოცილ ირემს, 40—50 გარეულ ღორს, ასეულ ფრინველს და სხვა.

აღწერილია ნადირობა ბორჯომში, ქციაზე, ალგეთზე, გარდაბანში, ჩრდილოეთ კავკასიაში და სხვაგან.

ხშირია ასეთი წარწერები:

„დიდი მთავრისა მიხეილ ნიკოლოზის-ძის ნადირობა.

ოთხი დღის ნადირობის შედეგი — 18 ირემი".

„ერთი შემოვლის შედეგი 20 გარეული ღორი".

„ერთი დღის ნადირობის შედეგი 15 ღორი, 2 ირემი, 2 ტურა, 1 კატა".

„...18 ღორი, 3 ირემი, 3 მგელი, 2 ტურა".

„ყარაიაში დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის-ძის ნადირობა. 16 ღორი, 2 მგელი, 1 ტურა".

„ბორჯომში მიხეილ ნიკოლოზის-ძის ნადირობა. ერთ დღეში 7 ირემ-ლაღი".

„ყარაიაში დიდი მთავრის მ. ნ. ნადირობა. ორი დღის ნადირობის შედეგი 41 ღორი, 2 ირემი, 3 ტურა".

ბევრ სურათს დახოცილ ნადირთა რაოდენობა არ უწერია, სამაგიეროდ მთებია დაყენებული დახოცილი ნადირისა, ორმოცი, ორმოცდაათი გარეული ღორი, ირემი, შველი და სხვა იშვიათი არაა. ასეთი დაუნდობელი განადგურება, მათი თავშესაფარის მოსპობა კა-

ასე ანადგურებდნენ წარსულში გარეულ ნადირს. ფოტო კ ა ლ ი ნ ო ვ ს კ ი ს ა

ტასტროფულად ამცირებდა ნადირ-ფრინველს და როდესაც მოვიფიქრეთ დაცვა, დასაცავი თითქმის არა იყო რა.

ასევე სავსე იყო ნადირით მუხრანისა და არაგვის ჭალებიც.

ვახუშტი არაგვის ჭალაზე წერს:

„ამიერ და იმიერ (არაგვისა) ჭალანი ჯღარდლოვანი, ეკლოვანი, ნადირთა, ეშვითა და ხოხბითა სავსე“.

„არამედ ესე მუხრანი ფრიად შემკული არს ზამთარ სითბოთი და მეფეთა სადგური, ბალახ-ჩალიან-ლერწმოვანი... ფრინველნი გარეულნი, შინაურნი მრავალნი, სანადირონი მოუკლებელნი“.

სამუხრანო მეფის საგვარეულოს სახასო იყო. ამ ოციოდე წლის წინათ საგურამოს ნაკრძალში მომრავლდა ირემი, არაგვს ვაღმაც გამოვიდა, მაგრამ ბრაკონიერები ჯერჯერობით ფრიად დიდ ზარალს აყენებენ.

ამგვარად, ქსანზე და არაგვზე კატასტროფულად შემცირდა ნადირ-ფრინველი.

მარტო ქარსაფარები (რომელიც ფრიად დიდი საქმეა) ვერ აანაზ

ღაურებს იმ დანაკარგს, რომელიც მრავალი წლის მანძილზე განვიცადეთ.

არაგვზე და ქსანზე, აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს ვაკეთა მდინარეების ნაპირებზე ჭალის ტყეების აღდგენას მოითხოვს ჩვენს ბუნებაში სწორ-წონობის კვლავ დამყარება, ჩვენი სოფლის მეურნეობა.

კვლავ გავახალისოთ აღმოსავლეთ საქართველოს ვაკეები, დაე, შრიალებდნენ ტყეები, ტყეში ფრინველი გალობდეს, ტყის პირას ქორბუდიანი ირემი გამოდიოდეს, შვლის ნუკრი ეთამაშებოდეს დედას, კვლავ ღუღუნებდეს ხის ტოტებში მტრედი და ქედანი, ჭახჭახებდეს კაკაბი, რუკრუკებდეს გნოლი და არწივი ცაში ჰკიოდეს, დაე, კვლავ მოისმინონ და ნახონ ჩვენმა ჭალებმა ტყის ეს შესანიშნავი სიმფონია. იგი გააკეთილშობილებს ადამიანის ბუნებას.

თავი II

იცრემლება ცხავატური სურა

ძალით ან ჩვეწნით, ცხადია,
ვის მოვაწონებ მღერასა,
მხოლოდ კაი ყმას ვუსურვებ
უხვად სამშობლო კერასა.

ვაჟა-ფშაველა

ცრემლი მარგალიტად ქცეული

არის თქმულება, რომ მეოცე საუკუნემდე მოაღწია მთიულების ცრემლით სავსე ცხავატურმა სურამ. სურა დაბეჭდილი ყოფილა, მაგრამ, როცა გახსნეს, შიგ ცრემლი აღარ აღმოჩნდა. ჩვენს დროში დამშრალა, რადგან მთიულს საცრემლო აღარაფერი აქვსო, — ასე თქვეს, როდესაც ცარიელი სურა შერჩათ ხელში.

საქმე იმაშია, რომ ცხავატური ჭურჭელი ისეთი თიხისაგან კეთდება, რომელიც გამოწვის შემდეგ ინარჩუნებს ფორებს. სურაში მდგარი წყალი გამუდმებით ჟონავს ფორებში, სურა ყოველთვის სველია გარედან. გამოჟონილი წყალი ორთქლდება, რის გამოც თიხა მუდამ გრილია და წყალსაც გრილად ინახავს. ამიტომ, ცხავატური სურა, საღვინე კოკა, გოზაური ძალიან ფასობდა ქართლში (ცხავატი სოფელია ქსნის მარცხენა შენაკად ცხავატურას პირას). ჭურჭელი ქსნიელებს დიდ გოდრებაკიდებული ცხენებით დაჰქონდათ ქართლში და ცვლიდნენ ხორბლეულზე. გოზაური პუ-

რით უნდა აგევსო. მას შეუდგამდნენ[1] ერთ კოკას და სურას ან სა-ღვინეს (მორიგებაზე იყო).

— მე ერთი ლეგენდა გამიგონია ვარძიაში. ვარძიის ტაძრის გვერდით დარბაზში წყაროა. წყარო პატარა აუზში მოედინავს და თურმე სულ ერთ დონეზე დგას. ხალხი ამბობდა, ეს თამარ დედოფლის ცრემლიაო. როცა საქართველო განთავისუფლდება, თამარ დედოფალი აღარ იტირებს, ცრემლს აღარ დაღვრის და ეს წყაროც მაშინ დაშრებაო. და აი, 1917 წელს, რევოლუციის შემდეგ, წყარომ თანდათან იკლო, ვარძიის ბერმა პარაკლისიც გადაიხადა: ახლა კი ეშველა მრავალტანჯულ საქართველოს, თამარი აღარ ტირისო.

— ეგ წყლის დაკლება ორი შეერთებული ჭურჭლის საქმეა. იმ ზაფხულს ალბათ მცირე ნალექი იყო და მეორე ჭურჭელს წყალი მოაკლდა, ცხადია, „თამარის ცრემლის" წყაროც მოიკლებდა. საქმე ისაა, რომ ვარძია გამოკვეთილია საკმაოდ ფოროვან ქვიშა-ქვებში და სადაც „თამარის წყაროა", ის ნაწილი კიდევ უფრო ფოროვანი ყოფილა.

— კარგი, მამა, დაგვაცადე ვიოცნებოთ. შენ მაშინვე გეოლოგიას, ფიზიკას და ქიმიას დაგვცხებ ხოლმე თავში. ხომ იცი, ლამაზი ოცნება ზოგ სინამდვილეს ჯობია, — თითქოს საყვედურით უთხრა ერეკლემ, რომელიც თანდათან შეეჩვია დამოუკიდებელ მსჯელობას.

ამ დროს ლამისყანის კბოდესთან შემდგარიყვნენ და ქსანს გასცქეროდნენ.

აქ ჭალა გაშლილიყო. ჭალის ნაალაგევი ბაღ-ვენახებს დაეჭირათ. ვენახებს გარს შემოვლებული ჰქონდა ბალი, ჭანჭური, ქლიავი, დამასხი, კორკიმელი, ეგრეთ წოდებული წვრილი ხილი, ზოგან გოხა მსხალი, ხეჭეჭური და მისთანანი. აქაც იგივე მეორდებოდა, რაც შარშან ქციის ნაპირის ვენახებში ნახეს, ქართული ბაღის და ვენახის მიწის ბრძნული გამოყენება, ღობეებად ყორე, ყორეზე აშვებული გოგრა. ქვის მაგივრად მწვანე კედელი ჩანდა.

— ღვინო? ღვინო თხელი ხომ არ არის?

— ღვინო კი თხელია, ოძისისა და ქსოვრისის ღვინოებთან ვერ

---

[1] შედგმა — როდესაც ჭურჭელს ჭირნახულზე ცვლიდნენ, თუ მუშტარი პატარა ჭურჭელს ყიდულობდა, მას არაფერს „შეუდგამდნენ", ე. ი. არ დაუმატებდნენ, მაგრამ თუ დიდ ჭურჭელს, მაგალითად, კოკას გაავსებდნენ პურით, ჭაშინ ნეჭურჭლე „შეუდგამდა", ე. ი. დაუმატებდა ან ორ სურას, ან კოკას და ერთ სურას.

მოვა, მაგრამ კარგია, სასმელად სასიამოვნო. ლამისყანური ღვინო ამ მხარეში სახელიანია. კარგი შამპანური ტიპის ღვინოც დგება.

— ლამისყანელები კარგი მოჭიდავეებიც არიან, ძველად ქართულ დღეობებში დიდი სახელიც ჰქონდათ. ამ მხარის ბიჭები, რენელები, მეჯვრისხეველები, კირბალელები, ტყვიაველები სახელგანთქმული მოჭიდავეები იყვნენ.

ძველი ტაძრის ნანგრევებზე რამდენიმე აკაკიც იდგა. მათი დაგრეხილი ტოტები გადაჰფარებოდა ლოდნარსა და ხავსმოდებულ კედლებს. ფერდაზე კი ბერყენაც ჩანდა: ბერყენა, აკაკი, ძეძვი, შავჯაგა სწორედ ნიშანია იმისა, რომ აქ კარგი სავენახე ადგილებია.

გამოემშვიდობნენ რუბენს და დაეშვნენ რიყისკენ — რიყეზე მანქანების ნავალი ჩანდა, რომელმაც ფონთან მიიყვანა და ხეობის მთავარ გზაზე, ქსოვრისის ზევით, გავიდნენ.

ქსნის ხეობის გზაზე გივი მანქანიდან გადმოვიდა და გამოეთხოვა, შეიპირა, უკან დაბრუნებისას პაპაჩემი და ბებიაჩემი მოინახულეთ, გაუხარდებათო.

გულმხურვალედ შეჰპირდნენ ჩამოვლას. „ჩვენი მისამართი ხომ იცი და არც შენ დაგვივიწყოო“.

მათ წინ ამართული იყო მწვანიანი ქედები, მარცხნივ გაშლილიყო ქსნის ხეობა. სანამ წინ წავიდოდნენ, „ვახუშტი მოვინახულოთო“ და ჩამოსხდნენ გზის პირას მდგარ იფნის ჩრდილში.

„ხოლო მდინარე ქ ს ნ ი ს ა ოძის ზეით, ბაზალეთისა და ალევის მთის დასავლით, დის და გამოსდის ქნოღოს ჟამურის საშუალს კავკასს. ქარჩოხამდინ დის აღმოსავლეთად, ქარჩოხს ქვეით, სამხრით, გაივლის მუხრანს და მიერთვის მტკვარს. ხოლო ოძის ზეით არს მონასტერი ხ ო ფ ა, უგუნბათო, დიდშენი კეთილად და აწ ცარიელი. მის ჩრდილოთ არს მცირე ქალაქი ა ხ ა ლ-გ ო რ ი. მსახლობელნი არიან სომეხნი, და სასახლე ქსნის ერისთავისა. მას ზეით, ქსნის დასავლით კიდესა ზედა, არს ციხე დაბასა წ ი რ ქ ვ ა ლ ს. ამის სამხრით, ბოლსა და ახალ დაბას შუა, არს ა ხ ა ლ დ ა ბ ი ს ც ი ხ ე ამილახორისა. წირქვალს ზეით, ჩრდილოთ, არს მონასტერი კ ა ბ ე ნ ი, გუნბათიანი, ყ ა ნ ჩ ი ე თ ს, კეთილად ნაშენი, შვენიერს ადგილს და აწ ხუცის სამარ. ჩრდილოთ ყანჩიეთისა, ზებეყურის მთის ძირს, არს ხ ა დ ი ს ც ი ხ ე, მაგარი. ზ ე ბ ე ყ უ რ ი ს მ თ ა ძ ს თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი. ეს მთა ჩამოადგების ცხვი-

რად კსანს დასავლიდამ და აღმოსავლეთიდამ ალევის მთის ცხვირი, და დააეწროვებს კსანსა კლდითა.

„ამ კლდეს ქვეით მტკვრამდე კსანი არს ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, ვითარცა სხვანი აღვსწერეთ, და ამ კლდეს ზეით იწრო. და მჭიდრო, უვენახო, უხილო, მწირი, ვითარცა სხვანი მთის ალაგნი მოსავლითა, ტყიან-კლდიანობითა. ამავე კლდის ჩრდილოთ, ს ა ძ ე-გ უ რ ს, ერთვის კსანსა აღმოსავლეთიდამ ხევი, ალევის მთის გამომ-დინარე. საძეგურის ჩდილოთ არს მონასტერი ლ ა რ გ ვ ი ს ი, წმიდის თევდორესი, უგუნბათო, შემკული ყოვლითა, აწ ხუცის სა-მარ; აქა ჰყო შანშემ ციხე, არამედ ურგებად თვისად. აღმოსავლით უდის კსანი, სამხრით ჭურთის-წყალი. ამის ჩდილოთ ერთვის კსანს აღმოსავლიდამ ც ხ რ ა ზ მ ი ს-ხ ე ვ ი, გამოსდის ლომისას. და არს ადგილი ესე მოსავლიანი, მთის ალაგთაებრი. და ამ ხევს ზეით, ჩრდილოთკენ, არს ც ი ხ ე ქ ა რ ჩ ო ხ ი ს ა. კსნის პირსა ზედა, ლომისიდამ ჩამოსულს კლდესა ზედა. უდის სამხრით კსანი და აღმოსავლით ხევი, ლომისის მთის გამომდინარე, და აღვალს აქედამ გზა ლომისის ეკლესიისა თანა და შთავალს მთიულეთს. ხოლო ქარ-ჩოხის დასავლით არს კსანსა ზედა ჟ ა მ უ რ ი. აწ მსახლობელნი არიან ოსნი. საშუალს ჟამურისა და არს ციხე, ბ ე რ-ც ი ხ ე დ წოდ-ვილი, კსანსა ზედა და კლდესა ზედა მდგომარე. არამედ მთიულეთ-სა და ამას შუა არს მთა მარადის თოვლიანი, უტყეო, კალთათა მცი-რე არყნალი. ჟამურის მხარეს ამ მთასა ზედა არს კოშკნი წარიგე-ბულნი მრავალნი, მაღალნი და კეთილნაშენნი. მოსავლით, ვითარცა სხვანი მთის ადგილნი. ცხვარი აქაცა უდუმო, პირუტყვნი არა ეგდენ მრავალნი.

„ხოლო სამხრით ჟამურისა არს მთა, განმყოფელი ჭურთისა და ჟამურისა, თხემთა უტყეო, კალთათა ტყიანი და ნადირიანი. ამ მთის სამხრით არს ჭ უ რ თ ი ს-ხ ე ვ ი, რომლისა წყალი გასდის ამავ მთას, და სად ერთვის ამ წყალს ცხრა-წყაროს-წყალი, მუნ, ამ ორთა წყალთ შუ(ა), არს ც ი ხ ე წ ი ნ კ ი ბ ე, ფრიად მაგარი. ამ ორ-თა ხევთა უწოდებენ ჭ უ რ თ ა ს, და მიდის აღმოსავლეთად და მიერთვის მონასტერს კსანსა. ამას შინა მოსახლენი არიან სარწმუ-ნოებით ქართველნი, ეგრეთვე კსნის-ხევისა და ცხრაზმისა. მოსავ-ლით არს ჭურთა, ვითარცა სხვანი მთის ალაგნი. კაცნი და ქალნი ამ



სოფ. ლარგვისი, ქსნის ერისთავთა ძველი რეზიდენცია

სამთა ხეობათანი არიან, ვითარცა დავსწერეთ მთიულნი, მათნი მიმ-
გზავსებულნი...“

ქსნის ხეობის შემდეგ ვახუშტი აღწერს მეჯუდისა და ლეხურის ხეობათ, რომელნიც ქსნის ერისთავებს ეკუთვნოდა.

„კვალად ცხრა-წყაროს სამხრით არს მთა, ქსნიდამ ისროლის-ხევის მთამდე მდებარე, აღმოსავლეთიდან დასავლეთად, თხემთა უტყეო, კალთათა ტყიანი. ამ მთას გაზდის სამხრით რეხულა, და არს აქა ციხე მცირე. და მას ციხეს ქვეით ქ ო ლ ო თ ქ ვ ი ტ კ ი რ ი. ესეცა არს მთის ალაგთაებრ, ვიდრე ზახორამდე.

„ხოლო კვალად ჭურთისა, ცხრა-წყაროსა და ქოლოთქვიტკირის დასავლით არს ი ს რ ო ლ ი ს-ხ ე ვ ი[1]. ბიყარისხევს ზეით არს მამუ-ლი ქსნისა. ეს მდინარე არს მ ე ჯ ვ დ ა, გამოსდის ჟამურის მთასა, ლის სამხრით დაბის მეჯვდამდე. ჟამურის მთის კალთასა არს ა შ ა-ტ უ რ თ-კ ა რ ი და ციხე. ხოლო განჰყოფს ამ ხეობასა, ქოლოქვიტ-კირს და ჟამურს მ თ ა ხ ა რ უ ლ ი ს ა, მდებარე ჩდილოდამ სამ-ხრით, ტყიანი და ნადირიანი. აშატურთ-კარს ქვემოთ ერთვის მეჯვ-დას დასავლიდამ მ ე რ ი ს-ხ ე ვ ი. გამოსდის ბენდერის მთას. ხო-ლო ამ ხევის სამხრით, მახისიდამ, წარიელის მთა ტყიანი და ნადირია-ნი ორბოძლის მთამდე. ხოლო ო რ ბ ო ძ ა ლ ი არს თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი, ნადირიანი. ამ ორბოძალსა ზედა არს ბალახი. უკეთუ მოძოოს არა მუნებურმან ცხენმან, მასვე წამს მოჰკლავს, ეგრეთვე თივაცა მისი მოაკუდინებს[2]. და არს ესე ბალახი ამ მთებთა ზედა ყოველგან მრავალი. და მიკალს ესე ორბოძალი, ვიდრე ბენ-დერის მთამდე. მერეს-ხევს ქვეით ერთვის მეჯვდას ბ ი ყ ა რ ის-ხ ე ვ ი აღმოსავლეთიდამ, გამოსდის უსანეთს. და ამ ბიყარს ზეით არს ისროლის-ხევი. ვითარცა სხვანი ამ მხრის მთის ადგილნი, იწრო, ტყიანი და მწირი. ხოლო კვალად ორბოძლის მთის სამხრით

---

1 იდ. მეჯუდის ხეობა, სოფ. მეჯვრისხევის ზეით.

2 ამ მთა მაღალის საძოვრებზე არის შხაწა (ბეიცავს ჰელებორინს) და უცუ-ნა (ეკეცნა შეიცავს ფრიად ცხარე მბამს — კოლხიცინს). ერთიც და მეორეც შხაშიანია. შეძოდგომით, მიწას ზედა ნაწილებიდან საკვები ნივთიერებანი და მასთან ერთად მბამების ნაწილიც ფესვებში და ფესვერებში იყრიან თავს. რო-დესაც ვახუშტი მხარის აღწერაში ხმარობს — „თხემი უტყეო, კალთა ტყიანიო“, ეს იმას ნიშნავს, რომ მთის თხემი ალპური მცენარეებით არის დაფარული.

არს, მთის კალთასა შინა, ი კ ო რ თ ა ს, მონასტერი დიდი, გუნბათიანი, კეთილად ნაშენი, კარგს ადგილს; ზის არქიმანდრიტი.

ამ მთის სამხრით კერძს, ჯარიაშენიდამ ვანთამდენ, უწოდებენ გ ვ ე რ დ ი ს-ძ ი რ ს, და არს ადგილი ესე ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი; ბრინჯ-ბამბას გარდა ყოველნი სცენდების ნაყოფიერად, ვითარცა დავსწერთ ქართლისასა, არამედ ღვინო აქაური თხელი და მომჟავო, გარნა საამო სასმელად!"

საერისთაოს ამ ნაწილში ამილახვრების მამულებიც იყო შეჭრილი. ვახუშტის ესეც აქვს შენიშნული „სამხრით ბოლსა და ახალდაბის შუა არს ახალ-დაბის ციხე ამილახვრისა". სწორედ საზღვრებში ასეთი შეჭრა ხშირად საბაბი იყო ერთმანეთის რბევისა. საერთოდ, ქსნის ერისთავებს ზოგი რამ კარგიც გაუკეთებიათ, ისინი დიდი აქტიური მონაწილენი იყვნენ მეჩვიდმეტე საუკუნეში კახეთის განთავისუფლებისა, მაგრამ ავიც ბევრი აქვთ ჩადენილი.

აი, მიუახლოვდნენ ახალგორს, ქსნის ერისთავთა უკანასკნელ რეზიდენციას.

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ქსნის ერისთავებმა დიდი სასახლე ააგეს. იტალიელ მხატვრებს მოახატვინეს კედლები. უკანასკნელი მფლობელი ამ სასახლისა ნიკოლოზ ერისთავი, ნიკოლოზ ბარათაშვილის დის ჩამომავალი, ილია ჭავჭავაძის თანამოინახე, მისი ბანკის მოსამსახურე და ილიას ლექსების შესანიშნავი დეკლამატორი იყო. ნიკოლოზ ერისთავის შვილი თამარი ჩვენი სახელოვანი მოღვაწეა, შესანიშნავი პედაგოგი და მწერალი, სანიმუშო საბავშვო ბაღების დამაარსებელი, მათი დიდი მოჭირნახულე.

როდესაც ნიკოლოზ ბარათაშვილის დაჲ ქსნის ერისთავმა წამოიყვანა, ქორწილი დიდის ამბით გადაიხადეს. ჩვენი სასიქადულო პოეტი ერთ-ერთ თავის წერილში, რომელიც თავის ბიძას ზაქარია ორბელიანს გაუგზავნა, წერს:

„უსაყვარლესო ძმაო ზაქარიავ!..

კატოს, ერთი თვეც არის, ჯვარი დავწერეთ. კარგი ქორწილი გადავიხადეთ. მეორე დღესვე წაიყვანეს კატო. ერთი ღამე და მეორე დღეს სადილათ ქაიხოსრო მუხრანსკისას ვიყავით. კარგად დაგვხვდა. იქედგან ახალგორს წავედით — ოძისს რომ მიუახლოვდით, სადაც ბიძინა ერისთავი სდგას, ლევან ერისთავი თავადებით, აზნაურებით,

და იმერეთის მგალობლებით მოგვეგება. ჩვენთან იყვნენ მანანა თავის ქალით, მაიკო, ყაფლანა, მიხაკო, ალექსანდრე სუმბათოვი მეჯეარე. რომ დაბინდდა, შევედით ახალგორს, სასახლე ჭრაქებით იყო გაჭახჭახებული, მეიდანი მაშხალებით; ამ დროს ახალი ეარქიერი წულუკიძე, კატოს დედამთილის ძმა აქ იყო და მგალობლები მისნი იყვნენ. დეკანოზი შემოსილი და ჯვრით მოგვეგება გალავნის კარებში; დაჰკრეს ზურნას, სათარას სიმღერა (თანა გვყვანდა), თოფის სროლა ხალხის ჭედვა და ყვირილი საუცხოო სანახავს წარმოადგენდა. ამასთან მთვარიანი ღამე და მშვენიერი სანახაობა — სახლში რომ შევედით და ყაფლანმა ქუდი მოიხადა და შეხედა ზალას, ერთი გულით წამოიძახა „ბიჭოს ეს სასახლეა!“... ბევრი გვიცინია.....

მეოთხე დღეს ნიშნები მოართვეს დედამთილმა, მაზლებმა, მულებმა და რძალმა. კარგი ნიშნები იყო. არქიერი ეზოში იდგა კარავში, ჭადრების ქვეშ — იმ დღეს ამობრძანდა კატოს სანახავად, დალოცა და ერთი ოქროთი მოჭედილი ღვთისმშობლის ხატი აჩუქა.— ხუთი დღე და ღამე სულ შექცევაში ვიყავით.....

.... თუ ღმერთი გვაღირსებს ერთად შეყრას, შენ, გრიგოლ, ილია, გიორგი, მამუკა, უნდა ვეწვიენეთ ამ შემოდგომაზე, რომ ლაზათი გავწიოთ. მართალია, **სანადირო** (ხაზი ჩემია ნ. კ.) არ არის ყოვლის გვარის“..... და სხვა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის მამა, მელიტონი, ამ დროს უკვე გალარიბებული იყო. აღარც ერისთავები ერისთავობდნენ, მაგრამ რამდენიმე ასი კაცი ხუთი დღეღამე ღრეობდა.

აბა, გადავავლოთ თვალი 1703-1713 წლებში დაწერილს მზითვის წიგნებს და იმით წარმოიდგენთ, რანაირ ქორწილს იხდიდნენ ქსნის ერისთავები.

„ხატი მრავალი უცხოდ მოჭედილნი“, საღვთო წიგნები, ვეფხისტყაოსანი, ზილიხანიანი, ინდუხტიანი, თვალ-მარგალიტი, იაგუნდი და ლალი, ფირუზი და ზურმუხტი აუარებელი.

დავით ქსნის ერისთავმა თავის ქალი ელენე „სასურველი, აღზრდილი ქრისტეს სარწმუნოებაზედ ყოვლის მშვენიერებით აღსავსე, უნაკლო ბანოვანთა ქცევითა, მეორე მზე, მეორე მთვარე, სინათლე თვალთა ჩვენთა, სიხარული გონებისა ჩვენისა პატრონი ელენე“ მიათხოვა ზემო ქართლელ თავადიშვილს ავალიშვილს და გაატანა დიდი მზითევი, რომელიც მზითვის წიგნში სრულად არის ჩამოთვლი-

ლი და რომელიც გამოაქვეყნა ექვთიმე თაყაიშვილმა „საქართველოს სიძველენში“. ამ სიიდან მოვიტანოთ მხოლოდ ზოგიერთი ადგილები, თორემ სია გრძელია და ბევრ დროს წაგვართმევს:

„საყური პატიოსნად შემკული ორის ბადახშანის, დიდროანის ლალით ორის ობლის მარგალიტით, ოთხის მსხვილის მარგალიტით, ჯინჯილით, მურასა, ორმოცდა ოთხის ნიშაბურის ფირუზით, სამოცდა თორმეტის მარგალიტით, ოთხის კავითა, გარეშემო წვრილის იაგუნდით, ორი ოღით.

„ყელსაბამი ოთხმოცდა ექუსის დიდროანის მარგალიტით, ერთის დიდის ლურჯის იაგუნდით, ხუთის ლალით, ათის ზურმუხტით, ათის ფირუზით, ორმოცდა თხუთმეტის დახვრეტილის იაგუნდით, ას ექუსის ოქროს ბირკით, მურასას ბოლოებით.

„სირიზა პატიოსანი ერთის დიდის ბადახშანის ლალით, ერთის კიდევ იაგუნდით, ოცდა ათის ზურმუხტით, ათის წვრილის იაგუნდით, ცამეტის ხოშორის მარგალიტით, მისის ოქროს სისილებით ორის კავით.

„თმისატანები ხუთი სამ-სამ გოზგრიანი, სამი ათასის შადის მარგალიტით, ოცდა თექვსმეტის ოქროს მილით, სამოცდა თორმეტის იაგუნდით, სამოცდა თორმეტის ზურმუხტით, მისის ოქროს ქულიჩებით.

„გულის პირის ჩამოსავლები ათას ხუთასის მსხვილის მარგალიტით, თოთხმეტის ზურმუხტითა, ოცდა რვის იაგუნდით, სამის ფირუზით, მისის ოქროს ქულიჩებით“...

სიაში გრძელდება თვალმარგალიტის ჩამოთვლა. აი, ტანისამოსიც:

„აგრეთვე ლეჩაქი თორმეტი მისის სახამებლის ტაფით.

აგრეთვე პერანგები ფერად-ფერადი თორმეტი მისის იეზდის დარაიბავთის ბოხჩითა.

აგრეთვე ორხალუხი ნარინჯი ფერისა ერთი, ნაკერი ხოხბის ყელი დარაისა ერთი, ნაკერი ყირმიზი დარაისა ნაკერი ერთი, ყალამქარისა ერთი, საგულე სამი, იქნა ჯუმალი შვიდი!“

ჩამოთვლილია მრავალი კაბა. „აგრეთვე ქათიბი მძიმე იეზდის დიბითა, სინჯაფის ბეწვითა ძაღარით; „კიდევ იეზდის ნაქსოვის ქათიბი წეროს ფერი, მისის სინჯაფის ბეწვით, მისის ზარბაბის ბოხჩით.“

სია გრძელდება და ტანისამოსის მოთავების შემდეგ ჩამოთვლი-

ლია აუარებელი ჭურჭელი ვერცხლისა თუ ოქროსი, სასადილოს მოწყობილობა და სხვა მრავალი.

ამის შემდეგ ჩამოთვლილია მზითვად გატანებული მხლებლები, ნიმუშად მოვიტანოთ რამდენიმე:

„აგრეთვე გამოგვიტანებია გამდელი პატიოსანი, სამის პატიოსნის ხატითა, მანდილითა, მარგალიტის საყბეურით, ერთის იეზდის ნაქსოვის ტყავითა, შავის სიასამურის ბეწვითა; კიდევ მეორის იეზდის ნაქსოვის ტყავით, ისპანის თეთრის დიბის ქათიბით, სინჯაფის ბეწვით, კიდევ იეზდის ნაქსოვის ქათიბით, სინჯაფის ბეწვით, იეზდის სუთის ტოლამით. კვერნის ბეწვით, ცხრის ზარბაბის კაბებით, ორის დიბის სარტყლით, ერთი თირმა-შალით, ხუთის ხელის მოვებით და მერდინებით, ხუთის ლეჩაქებით; აგრეთვე ვერცხლის დიდის თასით, სპილენძის სურით". და აქ ჩამოთვლილია გამდელის ბინის მოწყობილობა; ლოგინი, ფარდაგები, ქვაბები და სხვა ყველა.

„აგრეთვე მხლებელითა ბიჭითა, აგრეთვე აზნაურიშვილის ფიცხელაურის ქალი, მოლარე, მედოშაკე, კიდევ მხლებელი, მერიქიფეთ აზნაურიშვილი ზაზა ფიცხელაური, აზნაურიშვილი გიორგი აბულაძე, შათირი, ფარეში ჩიქილაძე, კიდევ სამი ფარეში, მ'ხარეული ღუგარაშვილი, ხაბაზი. აგრეთვე ცხენის ჯოგი ცხრა მეჯოგითა, სამეხრეო, მისის გამართულის გუთნისდედითა... ყველას ამათ გაატანეს ტანისამოსი ძვირფასად მოკაზმული. დაახლოებით ამავე დროს გაათხოვეს ბატონიშვილი ანუკა ვახტანგ მეექვსის და და ქსნის ერისთავის ასული ანა, რომელთაც აურაცხელი თვალმარგალიტი გაატანეს.

მაგალითად ელენე ქსნის ერისთავის ასულის გულის პირის ჩამოსავლებს 1500 მარგალიტი აკერია, ანასას — 3000.

აი, ერთი პატარა აბონაწერი ქსნის ერისთავის ასულის ანას მზითვის წიგნიდან:

„ერთი ელქენი ოთხი ათასის ხოშორის მარგალიტითა, მისის პატიოსანის თვალითა, იაგუნდითა, ზურმუხტითა, და ფირუზითა; კიდევ ქუდი კარგი და პატიოსანი თალფაქი, თხუთმეტი ათასის ხოშორის მარგალიტითა, ერთი პატიოსანის ლალის ზურმუხტითა, და სამი ათასის კილიტითა. პირის მარგალიტი კარგი და პატიოსანი, ოთხმოცდა სამი მარცვალი!"

ამას უკვე აღარც განმარტება სჭირია.



ლარგვისის ტაძრის კედელი

ელენეს სამკაულებზე დახარჯულია 4800 მარგალიტი, ანასაზე — 24300. აქედან, როგორც სარა ბარნაველი (რომელმაც ეს მზითვის წიგნები შეისწავლა) აღნიშნავს, 4200 ოიდროკანია და 20000 მეტი ხოშორი.

ანუკა ბატონიშვილის მზითვის დათვლა შეუძლებელია, რადგან იქ საწყაოებით განიზომება იგი. ღირს, რომ ეს მზითვის წიგნები გულდასმით გადაიკითხოთ.

მართალია, ქსნის ერისთავი იყო, შვილს ათხოვებდა, მაგრამ სახლში ხომ რჩებოდა შვილი თუ შვილები. დავით ერისთავმა ელენეს გაატანა მხოლოდ ნაწილი თავის ქონებისა, არა? სახლში კიდევ მეტი დარჩა ალბათ.

— კი, დარჩა. შენ გინდა იკითხო საიდანო? ერთი ერთმანეთს სტაცებდნენ და ერთმანეთს იკლებდნენ. ამილახვარი — ერისთავს, ერისთავი ამილახვარს. არ ინდობდნენ მეფის ოჯახსაც. აი, მაგალითად: სვიმონ მეფე რომ იმერეთში გარდიხვეწა, ქსნის ერისთავი მიუხტა დედამისს კავთისხევში, გაძარცვა. მთელი ქონება მიიტაცა. მართალია, სვიმონი რომ დაბრუნდა, ყოველივე დაუბრუნა", „მეტიცაო", — მემატიანე აღნიშნავს, მაგრამ ყოველთვის ხომ არ უბრუნებდნენ.

მზითვის წიგნს რომ დავაკვირდეთ, სასადილოს, აბანოს, სახაბაზოს და სხვათა მოწყობილობა სპარსულია. იმ ხანად, როდესაც ეს მზითვის წიგნი იწერებოდა, შარდენის მოწმობით, სპარსეთში, სპარსეთის ყურეში, სამ მილიონ ცალ მარგალიტს იღებდნენ. ნაწილი შემოდიოდა საქართველოშიც. სამაგიეროდ, საქართველოდან სპარსეთის გრძელ გზებზე მიდიოდა ქარავნები ქართველი ტყვე ვაჟკაცებისა, ქალებისა, ბავშვებისა. გასაყიდად არჩევდნენ ჯანმრთელს, მოყვანილს, ლამაზს. ცრემლად იღვრებოდნენ შორს გზას დამდგარნი, სამშობლოს და სახლ-კარს მოწყვეტილნი. უკან რჩებოდა სამშობლო, ქართველი ხალხი, წინ იყო უცხო ქვეყანა, ტყვეობა და ამათი ცრემლი, სპარსეთში მარგალიტად ქცეული, ქსნის ერისთავის ასულის ელენეს და ანუკა ბატონიშვილის კაბას ღილად ეკერებოდა. რამდენი ცრემლი ისე დაეცა სპარსეთის უდაბნოში, რომ სამშობლოს ცა არც მარგალიტად და არც იაგუნდად არ უნახავს. მხოლოდ ერთი სურა, სპარსეთში გაყიდულთა ცრემლით სავსე, მოიტანეს ქსნის ხეობაში. ლომისაში უნდა აეტანათ და იქ შეენახათ. ვერ აიტანეს. ნუგ-

ზარ ერისთავი მძვინვარებდა თურმე იმ დროს, აქვე ჩარჩენილა, ხეობაში ცხაოტსა თუ ლარგვისში და აქვე დამშრალა.

ქსნის ხეობისათვის ძვირფასი ნივთები, ხელოვნების უნიკალური ნიმუშები, შორეულ წარსულშიც იშვიათი არ იყო.

1907—1908 წელს ჩვენმა სასიქადულო მკვლევარმა და მოღვაწემ ექვთიმე თაყაიშვილმა გაიგო, რომ თბილისელი ოქრო-მჭედლობის ვაჭარი ბერუჩევი[1] (ბერუჩაშვილი) ჰყიდის რაღაც იშვიათ ოქროს ნივთებს. ამ ვაჭარმა ექვთიმეს უამბო, რომ მას ეს ნივთები ახალგორელმა მცხოვრებლებმა მიჰყიდეს. ექვთიმე თაყაიშვილმა პირველ რიგში ეს ნივთები კავკასიის მუზეუმს შეაძენინა. შემდეგ კი გადაწყვიტა, მიეკვლია ამ ძეგლისათვის, რადგან დარწმუნდა, რომ, ის რაც იყიდეს, ნაწილი იყო დიდი მნიშვნელოვანი ღირებულების განძისა. მან წერილი მისწერა დუშეთში და ახალგორში თავის ყოფილ მოწაფეებს (იგი ამ დროს ქართული გიმნაზიის მასწავლებელი იყო), რომელშიც სთხოვდა ახალგორში რაიმე განძი ხომ არ არის ნაპოვნიო, მართლაც პასუხი მალე მიიღო. გამოირკვა, რომ საძეგურელ გლეხებს განძი უპოვიათ და მიუყიდიათ ახალგორელი ვაჭრისთვის (მზარეულოვისათვის). ამ დროს დუშეთის ბოქაული განუწყვეტლივ ეძებდა 15 წლის წინათ გაძარცულ ოქროსკარიანის ნივთებს და ვინაიდან ეგონა, რომ ნივთები გაძარცული ტაძრის საკუთრება იყო, ისინი ჩამოართვა მზარეულოვს და ჩააბარა შესანახად დუშეთის მაზრის სამმართველოს. ე. თაყაიშვილი დაუყოვნებლივ გაემგზავრა დუშეთში და თან ფოტოგრაფიც წაიყვანა. მისდა გასაკვირველად, მაზრის უფროსი შეეცადა დაემალა ნივთები, მაგრამ ბოლოს იძულებული იყო, ეჩვენებინა. აღმოჩნდა, რომ ოქროს ნივთები ერთი გირვანქა და 79 მისხალია, ვერცხლისა კი ორი გირვანქა და 37 მისხალი[2]. გამოირკვა, რომ ნივთები ტაძრის კუთვნილება არ იყო. გადაწყდა მზარეულოვისაგან შეეძინათ ეს განძეული, მაგრამ მაზრის უფროსი ფეხს

---

1 რუსთაველის პროსპექტის დასაწყისში (მაშინ სასახლის ქუჩაზე) 1919 წლამდე არსებობდა ბერუჩაშვილის მაღაზია. ამ მაღაზიაში იყიდებოდა ანტიკვარული ნივთები: ქამარ-ხანჯალი, ხმალი, დამბაჩა, თოფი, უნაგირი (ძველი მხედრის აკაზმულობა), აგრეთვე ოქროსა და ვერცხლის ნივთები. თკითონ ბერუჩაშვილის სურათი მხატვარმა მოსე თოიძემ დახატა თავის დიდ ტილოზე „მცხეთობა" რომ ეწოდება, გრძელთეთრულვაშიანი მოქალაქე.

2 გირვანქა — 400 გრამი, მისხალი — 4,206 გრამია.

ითრევდა, ხუთი-ექვსი დღე ალოდინა დუშეთში და ახალგორში არ გაგზავნა. ბოლოს ე. თაყაიშვილი თვითონ ავიდა ახალგორში, ნახა მზარეულოვი და შეიძინა მისგან ეს ნივთები, მიუხედავად იმისა, რომ საძეგურელმა გლეხებმა სარჩელი წამოაყენეს, ნივთებში ფული ჯერ არ მოუცია და ფული ჩვენ უნდა ავიღოთო. ბოლოს ეს საკითხიც მოგვარდა. ისიც გამოირკვა, რომ საძეგურში და ახალგორში გაყიდულია ამ განძის ნაწილი. ვ. მზარეულოვის დახმარებით ე. თაყაიშვილმა ადგილობრივ მოსახლეობაში მოაგროვა ეს დაქსაქსული ნივთები და შეიძინა. ე. თაყაიშვილი ახალგორში 1909 წელსაც იყო და კიდევ დაზვერა; მაშინაც შეიძინა მან რამდენიმე ძვირფასი ნივთი.

განძი აღმოჩენილია საძეგურის მახლობლად. წყალს დაეხრამა ღრანტეს ერთი კბოდე და მაშინ გამომზეურდა. ეს ადგილიც შეისწავლეს, მაგრამ, სამწუხაროდ, იქ უკვე აღარაფერი იყო. თუ დღეს ეს განძი ჩვენი საგანძურების ერთ-ერთი უნიკალური ექსპონატია, ამაშიც ექვთიმე თაყაიშვილის დიდ ენერგიას და ქვეყნის სიყვარულს უნდა ვუმადლოდეთ[1].

განძი უნდა ეკუთვნოდეს VI—IV საუკუნეს ჩვენს ერამდე, ე. ი. 2500 წლის წინანდელია. მრავალი მკვლევარი ფიქრობს, რომ ამ განძის დიდი ნაწილი გაკეთებულია ადგილობრივ, ეს უკვე სადავოდ აღარ ჩანს იმის შემდეგ, რაც აღმოჩნდა არმაზის ხევის სერაფიტას განძი ან წალკის განძეული, რომლის უმრავლესობა აგრეთვე დამზადებული უნდა იყოს ადგილობრივ.

ახალგორის განძში მოიპოვება ოთხი წყვილი უნიკალური ცხენის ქანდაკება. შესანიშნავი ნაქანდაკევ-ნაჭედია ქამრის ბალთები ფრინველთა გამოსახულებით, საყურეები, ოქროთი ნაჭედი ცხენის რახტი, ზარები და სხვა მრავალი.

ამ განძის მნიშვნელობა განუზომელია ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის. ამ ხეობაში ძვირფასეულის შემოტანა, როგორც ჩანს, ერთ-ერთი ძველი ტრადიციათაგანია.

ჩვენი მგზავრები გასცდნენ ლენინგორს, ქსნის გალმა გამოჩნდა

---

[1] ვ. მზარეულოვი (მზარეულაშვილი) იმ დროის ახალგორელი ვაჭარია, სომეხი თუ გრიგორიანელი ქართველი. იგი განძის შეძენაში თუ მოგროვებაში ე. თაყაიშვილს ერთგულად დაეხმარა.

ამ ოჯახიდან იყო „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი მთარგმნელი რუსულ ენაზე, ხელობით ვექილი — რეულო.

სოფელი წირქოლი და მის ჩრდილოეთით ლამაზი გორაკი, ციხის ნანგრევებითა და წირქოლის ტაძრით.

ეს ტაძარი ორი რამითაა შესანიშნავი, ჯერ ერთი, იგი უძველესი ტაძარია, VII საუკუნეშია აგებული. სპეციალისტების აზრით, ხუროთმოძღვრების თვალსაზრისით ფრიად საინტერესოა მისი შიგა სივრცე, „რომლის მაგვარი არც მანამდე და არც შემდეგ განმეორებულაო“.

მეორე, საინტერესოა იმითაც, რომ ჩვენმა თანამედროვე რესტავრატორმა ხუროთმოძღვრებმა ეს ძეგლი განადგურებას გადაარჩინეს. საქმე იმაშია, რომ მიწისძვრებმა თუ მტერთა შემოსევებმა ეს ტაძარი ფრიად დააზიანა. გასკდა კედელი, გადაიზნიქა, ჩამოირღვა, დაიწია.

რესტავრატორებმა გადარღვეული კედელი ასწიეს, საძირკველი ჩაუდგეს, გაასწორეს და შეუერთეს მეორე კედელს. ამის შემდეგ უკვე ადვილი იყო გადახურვაც და ამჟამად წირქოლის ტაძარი კვლავ კოპწიად გამოიყურება. ასე გააცოცხლეს ჩვენი არქიტექტურის ბრწყინვალე ძეგლი.

ალარ გაივსება ცრემლით სურა

წირქოლის ტაძრის დათვალიერება ბოლომდე ვერც კი მოასწრეს, რომ წვიმამ წამოუშინა.

— მართალია, ძირს მანქანა გველის, მაგრამ იქ ჩასვლამდე გავილუმპებით, ჯობს აქ შევიცადოთ! — ურჩია გიორგიმ თავის თანამგზავრებს.

დროს რომ შეუმჩნეველად გაევლო, გიორგიმ გადაწყვიტა მოეგონებინა ზოგიერთი ამბავი ძველი დროიდან. ახალგაზრდების წინ გაეცოცხლებინა, რაც ენახა და გაეგონა, უმთავრესად ერისთავებზე, ზოგი რამ ძველ სოფელზე.

— ქსნის ერისთავების წინაპრები ბიბილურები ყოფილან.[1] მაგრამ დროთა მსვლელობაში ბიბილურებისა აღარა შერჩენიათ რა,

---

1 საერისთაოს შესახებ ცნობების უფრო დაწვრილებითი გაცნობა შეიძლება დ. გერიტიშვილის მონოგრაფიაში საერისთაოებზე.

ხშირად იცვლებოდა მათი სისხლი. ხან ერთი მომძლავრებული გვარი დაიპერდა ლარგვისისა და ქვენაფლეველების ტახტს და ხან მეორე. მაგრამ ამაზე შემდეგ. ვნახოთ მეოცე საუკუნეში ვინღა შემოგვრჩა ამ ზვიადი საგვარეულოდან. სოფელ ტყვიავში ერისთავების სამი ოჯახი ესახლა: ლუარსაბ, მიხეილ და გიორგი ერისთავებისა. გიორგი ერისთავმა ტყვიავის მამული და სახლ-კარი ადრე გაყიდა. იგი შეიძინა ფბილისელმა ვექილმა ნატროშვილმა (ნატროევი), იგი წარმოშობით ქიზიყელი გლეხი იყო, მაგრამ რაკი ერისთავის ნასახლარზე დასახლდა, ერისთავივით იქცეოდა.

ლუარსაბი ხალხოსანი იყო, ლიბერალი, ცდილობდა ხალხს დაახლოებოდა. დიდი ბაღი გააშენა და იმით ცხოვრობდა.

მასზე უფრო პროგრესული იყო კარალელი ერისთავი, რომელსაც სურდა მეურნეობა ევროპულ წესზე დაეყენებინა, იწერდა მანქანებს, თესლეულს და სხვა. არ ვიცი, მიაღწია თუ არა მიზანს, მაგრამ შვილებს კი კარგი განათლება მისცა. მისი ერთი ქალიშვილი სახელმოხვეჭილი მეცნიერი დადგა, მეცნიერების დოქტორი, მცენარეთა დაავადების დიდი სპეციალისტი. ოძისელი ერისთავების ჩამომავალმა ელენე ერისთავმა, სახელმოხვეჭილმა სელექციონერმა, მრავალი ხილის ჯიში გამოიყვანა. იგი ამჟამადაც სახელოვნად მოღვაწეობს მეხილეობისა, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტში.

— აბა, დასხედით ე მაგ ქვებზე. ტყვიაველ ერისთავზე რამდენიმე ნამდვილი ამბავი უნდა გიამბოთ, დასკვნა კი თქვენ გამოიტანეთ! — მიმართა გიორგიმ თანამგზავრებს.

ა. ნაპოვნი ფული

ერთხელ, ტყვიაველი ერისთავი და ახალგორელი გიორგი (იგივე ჟორიკა) ერისთავი მთაში წავიდნენ, ჟამურში უნდა ასულიყვნენ, ყელის ტბის მიდამოებში, საძოვრის საკითხები ჰქონდათ მოსაგვარებელი, მიჯნების დადგენა უნდოდათ, თანაც საბალახოს აღება.

სხედან ცხენებზე და მიდიან, მიდიან და მისაუბრობენ; აი, თითქმის მიუახლოვდნენ ქნუღის მისადგომებს.

— გიორგი, ახლა რომ შენ ათასი თუმანი იპოვო გზაზე, რას იზამ? — ეკითხება მიხეილი თავის თანამგზავრს.

— რას ვიზამ და ჩამოვხტები ცხენიდან, ავიღებ და ჩავიღებ უბეში.

— მერე?

— მერე და გამოვბრუნდები შინისკენ, აბა, ამოდენა ფულს თან ხომ არ ვატარებ?

— მე არას მამცემ?

— შენ რაში უნდა მოგცე? ფული ხომ მე ვიპოვე...

ამის გამგონე მიხეილმა არც აცია, არც აცხელა, მოაბრუნა ცხენი და გამობრუნდა უკან.

— მიხეილ საით, რას ჩადი?

— შენც შეგარცხვინე და ისიც, ვინც ამის შემდეგ შენთან გაიაროს, ფული არ გიპოვნია, არ მაძლევ, რომ იპოვნო, მაშინ ხომ სულ არ მომცემო და დაბრუნდა შინ. „როგორ, იმ ათასი თუმნიდან, ნახევარი მე არ მეკუთვნოდაო?" — ჯავრობდა თურმე.

3. რადა ხარ ტატიშვილი

შარაგზაზე მიხეილს შეხვდა კოხტა, სანიადაგო ჩოხაში გამოწყობილი ახალგაზრდა ბიჭი, ცხენს მოაგელვებდა. ცხენიც კოხტა იყო და ლამაზი, კარგა მოვლილი. მიხეილს რომ მიუახლოვდა, მხედარმა ცხენს აღვირი მოსწია და სვლა შეანელა, თუშური ქუდი მოუხადა, თავადიშვილს გაუმარჯოსო.

მიხეილმა ხელით ანიშნა, გაჩერდიო.

— ჩამოდი ძირს! — უბრძანა მიხეილმა.

ცხენოსანი ჩამოვიდა, გაუკვირდა კი ეს ბრძანება.

— ვისია ცხენი?

— ჩემი გახლავს.

— რა გვარი ხარ?

— ტატიშვილი გახლავარ, თქვენი ჭირიმე.

— რაო? რადა ხარ ტატიშვილი, შე ასეთო და ისეთოო, — შეუძახა და გადაუჭირა მათრახი. მერე ისევ განაგრძო გზა. ახალგაზრდა კი გაკვირვებული უცქეროდა, ვერ მიმხვდარიყო, ან თვითონ რა დააშავა, ან ერისთავს რა უნდოდა.

საქმე ისაა, რომ ტატიშვილები აზნაურები იყვნენ და როგორც აზნაურს, ცხენს ვერ წაართმევდა. მისი ნაყმევი, მაგალითად, დალაქიშვილი რომ ყოფილიყო, მაშინ უკვე სხვა იქნებოდა.

გ. სარის წვერი რატომ იალბუზს არ უცქერის?

მიხეილ ერისთავს დაძახილი[1] ჰყავდა. ვენახს სარს უდგამდნენ. აი, მოთავეს სამუშაო. ერისთავი გაუმასპინძლდა დაძახილის ხალხს, მაგრამ არ დასხა, გლეხები ფეხზე დგომელა შეექცეოდნენ ღვინოს ჯაჭებით.

ერთმა თამამმა გლეხმა, პეპა გიგუაშვილმა, უთხრა:

— თავადო, კი გვეკუთვნოდა, ერთი ცხვარი მაინც დაგეკლა ჩვენთვის.

მიხეილი გაწითლდა, სისხლი თვალებში მოაწვა, მაგრამ ხმა არ გასცა.

— სოსე! (მოურავი იყო) — დაუძახე ბიჭებს.

მოვიდნენ ბიჭები.

— გამოუყარეთ სარი! — გასცა განკარგულება.

— რადა, შენი ჭირიმე?

— სარის წვერი იალბუზს[2] უნდა უცქეროდეს, აქ კი აცაბაცა იცქირებიანო.

ბიჭები შეყოვნდნენ. მიხეილმა დაუღრიალა და ასწია მათრახი. ისინი უმალვე ეცნენ ვენახს და დაუწყეს სარს გაძრობა.

დაძახილის მუშამ ჯამები მიწაზე დააწყო და წამოვიდა ვენახიდან. „თავში ქვა უხლია! რაც უნდა, ისა ქნასო“.

დ. არ მინდა ბაღი

ტყვიავში ხილის ბაღი ყველას ჰქონდა, გარდა მიხეილისა. ამ მხრივ ბევრი გააკეთა პაპათქვენმა. ყველას უშენებდა ბაღებს.

ერთ მშვენიერ დღეს ხალხი შეკრებილიყო სალაყბოზე. ერთი ამ მთისას ამბობდა, მეორე იმ მთისას და ერთობოდნენ.

უცბად მიხეილი მიუბრუნდა პაპათქვენს და ეუბნება:

— კაცო, ყველას უშენებ ბაღებს და მე რაღა დაგიშავეო?

— ბრძანე და შენც გაგიშენებო, — უპასუხა.

მოილაპარაკეს, რომ შემოდგომაზე გაუშენებდა ოთხ ჰექტარ

---

1 დაძახილი — ნადის მაგვარი, სოფელი ან უბანი ეშველებოდა მეზობელს რაიმე სამუშაოზე. უფასოდ. სამაგიეროდ, მასპინძელი კარგად უნდა დახვედროდა.

2 ბრუტ-საბძელს (მწვერვალია დიდი ლიახვის სათაკეებში კავკასიონზე) ზოგნი იალბუზს უწოდებენ.

ბაღს, სამაგიეროდ, გაზაფხულზე, მთიდან ცხვარი რომ ჩამოუვიდოდა, მიხეილი სამოცდაათ ცხვარს მისცემდა.

ნიკომ შემოდგომაზე მიხეილის მითითებულ მიწაში ხეხილი ჩაყარა.

გაზაფხულდა. ჩამორეკეს ცხვარი, მაგრამ მიხეილს პირობა არც მოჰგონებია. მოვიდა მეორე ზაფხული, ცხვარი კვლავ ჩამორეკეს, მაგრამ იმანაც ჩაილურის წყალი დალია.[1]

მესამე გაზაფხულია, ერთ კვირა დღეს ხალხი, ჩვეულებრივ, სოფლის სალაყბოზეა შეკრებილი.

— ნიკო! მოდი, დღეს ერთი კაი ფსონი გავმართოთ, — მიმართა ნიკოს ლუარსაბმა.

— კარგი საქმეა! — მოეწონა ნიკოსაც.

— საკლავი შენი, პური ჩემი, ღვინო სანდროსი, პეპას მწვანილი და ბოსტნეული.

— საკლავი რომ არა მყავს რა!

— შენს მოვალეს საბალახო ჩამოურეკეს, ჯანაბას სამოცდაათი, იქნებ ნახევარი მაინც მოგცესო. — ურჩიეს.

ჭკუაში დაუჯდათ.

— მიხეილო! ცხვარი ჩამოგსვლია.

— მერე, რომ ჩამომსვლია? — შეიკრა კოპები მიხეილმა.

— ნახევარი მაინც მომეცი, დანარჩენი შენი იყოს.

— როგორ? შენი ნაჩუქარი, მე? — იუკადრისა.

გაბრუნდა გაბრაზებული და გასწია სახლისკენ.

— ხომ გითხარი, არ გამოვა-მეთქი.

მალე სალაყბოზე ხმა დაირხა, მიხეილს ბიჭები დაუყენებია და ბაღს ძირფესვიანად ათხრევინებსო. გადაცვივდა სოფელი, ეხვეწებიან: „ნუ სჩადი, მიხეილო“. მაგრამ არა გამოვიდა რა. ამოაყრევინა ახალშენი ბაღი. ისე მოკვდა, ბაღი არა ჰქონია.

---

[1] ლეკიანობის დროს, როდესაც ლეკები საქონელს მოიტაცებდნენ და ჩაილურის წყალს (გარე კახეთშია) გააცილებდნენ, სამუდამოდ დაკარგულად ითვლებოდა, რადგან ჩაილურის ხევს გაღმა დაბურული ტყეები იწყებოდა. იმერეთში კაკას ხიდი ითვლებოდა ასეთად, ხანის წყალზე.

ე. ბატები და თავადიშვილი

ექვსი-შვიდი წლის ვიყავ, დედამ 12 ბატი და მათი 60 ჭუჭული ჩამაბარა. დამიდიოდა მინდორში, ვაძოვებდი ბალახს, ნაწვერალში კი ყანის ჩაბნეული თავთავით ვანაყრებდი.

ერთხელ ეს ჩემი ბატები დალაქიაანთ რუზე მყავდა და რუსპირა მოლზე ბალახს წიწკნიდნენ. მეგობარმა გოგიამ, რომელიც რუში იდგა და ხელებს აფათურებდა, ამომძახა: „ჩამოდი, ხედავ რამოდენა თხილიაო“. მართლაც რუს ნაპირი თხილით იყო დაბურული და კარგად ესხა. ჩავიტანე ხალათი შარვალში, ისე დავიწყე თხილის კრეფა, რომ არც გამისინჯავს. როცა უბე გავივსე, ამოველ, მივიხედ-მოვიხედე და სადღაა შენი ბატები, მინდვრის ბოლოზე მოვკარი თვალი, მიხეილი მიერეკებოდა.

ჩავირბინე მინდორი, ვეხვეწები: „ძია, ნუ მიერეკები, დამანებე“. პასუხად წკეპლა გადმომიშხუილა.

გავხტი განზე და დავუძახე ჩემი ბატების მეთაურს „ბულოს“.

— ბულო, ჩემკენ!..

მართლაც, ბულო იმწამსვე ჩემკენ წამოვიდა და გამოიყოლა მთელი გუნდი, მაგრამ მიხეილმა დაუზოგავად დაუწყო ცემა. შემეშინდა, არ დახოცოს-მეთქი და ტირილით მოვცოცხე სახლისაკენ.

გულს ისიც მიკლავდა, რომ თხილი ჭყინტი, უგულო და შემოუსვლელი გამოდგა. აღარც თხილი... და ბატებიც დავკარგე.

საღამოზე დედაჩემმა სამოცდაცხრა ბატიღა გადმორეკა. სამი ბატი დაეტოვებინა წანახედში, ყანაში იყვნენო.

როდესაც წამოვიზარდე, მოთხრობა დავწერე და „ნაკადულში“ დაბეჭდე. ბატების წართმევის ამბავი იყო აღწერილი. მიხეილისა მარტო სახელი ვახსენე. ჟურნალი ფოსტით გავუგზავნე. მამაჩემს შეხვედროდა და ეთქვა: „ეშმაკი ბიჭი გყოლიაო“... ჩანდა, არ სწყენოდა...

3. ხილის ხმობა

1915 წელს ჩვენს ეზოში კავკასიის მხარის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ ხილის სახმობი პუნქტი გახსნა — აგრო-

ხოში ბაგრატ ბაგრაძიანი ხელმძღვანელობდა. ხალხს ხილის წესიერ ხმობას აჩვენებდა. რადგან ქართული არ იცოდა, მე ვთარჯიმნობდი და თავის თანაშემწედ გამომაცხადა. შემასწავლა ეს საქმე და შემდეგ ჩამაბარა კიდეც, ახლა შენ უპატრონეო, ხელფასიც დამინიშნა, თხუთმეტი მანეთი თვეში. დილიდან საღამომდე ვიდექ ამ მანქანებთან, ვჩირავდი, ვახმობდი და ვლაპარაკობდი. ერთ მშვენიერ დღეს მიხეილიც მოვიდა. ერთხელ გულდასმით მისმინა. უცბად გაბრუნდა და წავიდა. ერთი საათის შემდეგ დაბრუნდა, დიდი, ვარაყიანი წიგნი ეჭირა, გადაშალა, წარწერა გააკეთებინა, მე მიძღვნიდა, წიგნი ხილის ხმობას შეეხებოდა.

— მართალია, შენ ყაჩაღად დამსახე, ბატები წამართვაო, მაგრამ... აჰა... კარგად წაიკითხე და უფრო მეტი ისწავლეო.

აი, ასეთი იყო ეს მიხეილი. უცნაური. მაგრამ ზოგჯერ კარგიც იცოდა.

ისე მოკვდა, რომ მჭადი ენატრებოდა, ისიც თავის უთავბოლობით.

გიორგი გაჩუმდა და გარეთ გაიხედა, ისევ წვიმდა.

— კიდევ გვიამბე რამე, თქვენს სოფელში მარტო მიხეილი ხომ არ იყო! — არ ისვენებდა ერეკლე. — გლეხკაცებზეც გვითხარი.

ზ. სკოლა და მიხა

პირველად ჩვენს სოფელში სკოლა 1914 წელს გახსნეს, ალიზის ერთოთახიან სახლში. ისიც გადატიხრეს და მასწავლებლებისათვის გამოჭრეს პაწაწინა საკანი. მასწავლებლად გამოგზავნეს ერთი პატარა, იმ წელს საშუალო სკოლადამთავრებული გოგონა — ქეთინო. გოგონა ყოჩაღი გამოდგა. მოწაფეებს თავი შეაყვარა. მეც ვეხმარებოდი, ქალაქიდან ხან წიგნებს ვუგზავნიდი, ხან ქაღალდსა და ფანქარს.

მეორე ზაფხულს, 1915 წლის ერთ კვირა დღეს ეზოში ვარ და ოთხს ტარს ვუკეთებ. ამ დროს ჩემთან მოირბინა იოსებმა და წერილი გადმომცა. „ჩამომეშველე, სკოლის დახურვა და დანგრევა უნდათო“, — იწერებოდა ქეთო მასწავლებელი.

ადგილიდან მოვწყდი, ღობეზე გადავეშვი, ჩავირბინე სკოლასთან. ხალხი შეკრებილა, არის ერთი უთავბოლო ყაყანი.

— არ გვინდა, არა! დავკრათ ბარი და მოვანგრიოთ. — გაჰკივის ერთი ჭარმაგი, მაგარი გლეხი მიხა.

— სწორედ ეგრე....

— ეგრე, ეგრე, დავკრათ ბარი. — ხმას აძლევს მეორე, თან უკანა დგება.

ქეთომ მოირბინა და ამიხსნა: მამასახლისს გამოუცხადებია, სკოლას ნავთი და შეშა სჭირდება და კომლზე ოცდაათი კაპიკი (ექვსი შაური) უნდა გადაიხადოთო, შეშაც მოიტანეთო. ბევრი სჩვენებიათ და მიხა ურჩევდა, ჩამოვანგრიოთ კედელიო. ამის ამშენებელი აღარავინ იქნება და გადასახადიც მოგვეხსნებაო.

— დაჰკარით ბარი...

— ხალხო, რას ამბობთ, როგორ შეიძლება. — ჩაევერიე.

— ეგ წალდი დასწი! — შემომიტია მიხამ, ახლაღა შევნიშნე, რომ ხელში წალდი შემრჩენოდა. — შენ იმიტომა ცხარობ, რომ „უჩიტლობა“ შენ გინდა...

— კარგი, დავანგრიოთ, — შემომესმა მამაჩემის ხმა. გამისკდა გული.

— რას ამბობ მამი?!

— როცა აქ უფროსია, შენ გაჩერდი! — მიპასუხა, მარცხენა ხელით მიმწია და უკან დამაყენა. მამაჩემი სოფლის თავკაცი იყო, იმისი სიტყვა სჯეროდათ და ყველამ იყუჩა. საწყალი ქეთო მასწავლებელი გაფითრდა და თვალებად იქცა.

— აბა, მიხა, გადმოდი, დაჰკარ ბარი! — მიმართა მამაჩემმა შფოთის თავს.

— რა, მენა? ჩემს მეტი არავინაა?... — დაიხია უკან მიხამ.

— მაშ, მიტრო, შენ, დაჰკა!..

— მერე და მე რათა?

ვერც ერთმა ვერ გაბედა პირველად ბარის დაკვრა და ხალხი ნელ-ნელა დაიშალა... მამაჩემმა ქეთოს დაუყვავა, ნურაფრისა გეშინიანო და, სხვა დროს, თუ კიდევ გაგიჭირდა, მე შემატყობინეო.

გავიდა თითქმის ოთხი ათეული წელი და ჩემი სოფლიდან წერილი მომივიდა, ახალ სკოლის შენობას ვხსნით და გვეწვიეო.

სიხარულით წავედი, პრეზიდიუმში დამსვეს. სკოლის დირექტორს დარეჯანს უნდა გაეხსნა კრება. დარბაზში შევნიშნე სრულიად გათეთრებული მოხუცი, ყელმოღერებული კი იჯდა, ვიცანი. და-

რეჯანს ვთხოვე: პაპაშენს მიხას სთხოვე, აქ ამოვიდეს-მეთქი. — არაო, — დაიმორცხვა დირექტორმა. მაგრამ მე ჩავედი, ამოვიყვანე და გვერდზე მოვისვი.

— მიხა, კარგი ყოჩაღი შვილიშვილი გყოლია, დარეჯანი! — შევაქე მისი შვილიშვილი.

მან ულვაშზე გადაისვა ხელი, გვერდიდან გადმომხედა.

— ეგ ხომ კარგია და კარგი, ახლა სხვები ნახე! ერთი ექიმია, ერთი აგრონომი და ორიც შენთან სწავლობს.

მე ეს ვიცოდი, მაგრამ მინდოდა, თვითონ მიხას დაეტრაბახა.

— გახსოვს, რომ გაიძახოდი: „ბარი დავკრათო?“

— ეჰ, მე კი მახსოვს, მაგრამ შენ რაღად დაგხსომებია! სიბნელისა და დუხჭირი დროის ბრალი იყო შვილო... ომიც იყო, გვიჭირდა.

დარეჯანმა ღიმილით გადმოგვხედა და საზეიმო კრება გახსნილად გამოაცხადა.

თ. სიხარულის ცრემლი

პირველ მსოფლიო ომში ჩვენი სოფლიდან ორასი კაცი მაინც წაიყვანეს. დარჩა სოფელი მოხუცებისა და ქალების ამარა. ფრონტიდან ჯარისკაცები წერილებს იწერებოდნენ, კითხულობდნენ შინაურების ამბებს. პასუხი უნდა გაეცათ. წერა-კითხვა კი მაშინ ცოტამ იცოდა. ზოგი წერა-კითხვის მცოდნე წერილის დაწერაში ერთ ვარიას ითხოვდა. მე ვშოულობდი ქაღალდს, კონვერტსაც და ვწერდი და ვწერდი. როგორ გავიფიქრებდი, წერილის დაწერაში სალდათის ცოლისთვის სასყიდელი გამომერთმია.

იფნის ქვეშ გავმართე მაგიდა და ზოგჯერ დილიდან საღამომდე ისმოდა: „ახლა მოგიკითხა-თქო ჩვენებიანთ გიორგამა, დიდი სიყვარულითა. პირზე კოცნითა და ნახვის ნატვრითა-თქო. ახლა მოგიკითხა ამან და ამანაო...“

განსაკუთრებით გული მიკვდებოდა ერთ სალდათის ცოლზე, რომელიც ახალი რძალი იყო და ორი ჩვილი ბიჭი შერჩა ხელზე.

სულ იმას მეხვეწებოდა, ჩაწერე, რომ ძალიან კარგად ვარ-თქო, ნუ იჯავრებ, ბიჭები იზრდებიან, სულ იმის ფიქრში ვარ, როდის ჩამოხვალ, ნუ გეშინიან, ვენახს ხელს არ მოვაკლებთ-თქო...



ს. ლარგვისის საერთო ხედი

მევე მაკითხებდნენ მიღებულ წერილებს...

სოფოს მოჰქონდა წერილი, მუდარით მეუბნებოდა: „კარგი ამბავი წაიკითხეო“...

გავიდა ხანი, მეც გავიზარდე, ომის ნაწყვეტი მეც მომხვდა.

ჩადგა ცხოვრება კალაპოტში.

და აი, 1938 წელს დეპუტატად დამასახელეს. ავედი საარჩევნო უბანში, აუარებელი ხალხია შეკრებილი; გაიმართა მიტინგი, სიტყვები და ტაში, რაც შეეფერება ასეთ ამბავს.

მიტინგის შემდეგ გაიმართა ლხინი.

ვდგევარ ჩემს ძველ ტოლებში და ვლაღობთ. ვიგონებთ ჩვენი ბიჭობის დროს, როგორ დავდიოდით ღორ-ხბოში, როგორ ვმწყერაობდით, ლიახვს ვწყვეტდით, ღამი-ხარში ვინ როგორ დადიოდა, დღეობაში ვინ ვინ წააქცია და სხვა. ამ დროს ჩვენკენ წამოვიდა წარმოსადეგი ჭაღარაშერეული ქალი. ყოველმხრივ ჩანდა, რომ ახალგაზრდობაში ლამაზი და მოხდენილი უნდა ყოფილიყო.

ჩემმა ტოლებმა პატივისცემით გზა დაუთმეს.

— მობრძანდი, სოფიო, მობრძანდი.

თუშის ქალი ბავშვებით ბარიდან მთაში მიდის

— ვერ მიცანი? — მკითხა.

ის-ის იყო უნდა მეთქვა, ვერა-მეთქი, რომ უცბად მომაგონდა სალდათის ცოლი სოფო. გადამეხვია. ვიღაცას გასძახა: „მოდით აქაო“ და ჩვენს წინ აიმართა ორი შესანიშნავი ვაჟკაცი.

— აი ისაა, ხელში რომ მეჭირა ხოლმე, ალექსი, ექიმია, ეს კი, გიორგი, მასწავლებელია. მესამე მერე გამიჩნდა და ჯერ კიდევ სწავლობს.

ყმაწვილებს სიხარულით ჩამოვაერთვი ხელი...

— რა გატირებს, დედი? — შეეხმაურა უფროსი.

მართლაც სოფოს ცრემლები ჩამოსდიოდა თვალთაგან.

— არა, შვილო, არა ვტირი. ტირილი მაშინ გენახა, მამაშენს რომ წერილებს ვწერდი. — ეს სიხარულის ცრემლიაო! — თქვა, გაიღიმა და მხარზე ხელი მომხვია.

მეც მოვხვიე ხელი სოფოს და მის ჭაღარა თმებს სიყვარულითა და პატივისცემით ვეამბორე.

ბენაცვალე ჭერის პურო, ანაცერო დიკისაო

ბოლოს წვიმამ გადაიღო და აჰყვნენ ქსანს.

სოფელ კორინთას გასცდნენ. წვიმის შემდეგ, თითქოს ცამ და დედამიწამ პირი დაიბანაო, ჩამოკრიალდა ყველაფერი, ტყე თითქოს უფრო მწვანედ ჩანდა.

ყველა მხიარულად იყო, უხაროდათ, რომ დიდხანს არ დაყოვნდნენ, მაგრამ გიორგი ცას მალი-მალ ახედავდა ხოლმე, მხარმარჯვნივ რაღაც არ მოსწონდა.

მართლაც, იქით ღრუბლებს ჯერ არ გადაეყარათ.

ხეთა ფოთლებიდან ლეშხი და ქვავი კიდევ ჩასდიოდა.

— ლეშხი არაფერი და ვგონებ ადრე კი დავიძარით. იმისი მეშინიან, დელგმა[1] არ წამოგვეწიოს...

— საიდან? აგერ მზე როგორ კაშკაშებს! — შეეკამათა ერეკლე.

— აბა, გაიხედე ჩრდილო-აღმოსავლეთით.

მართლაც, სადღაც ერთ ხეობაში ცა ჩაშავებულიყო. ელავდა კიდეც და შორეული გრუხუნიც ისმოდა.

— ჩვენში, რაჭაში, — დაიწყო გოგიამ, — როცა ქარიშხალი — ქარიანი წვიმა ამოვარდებოდა, ბალღები დავიწყებდით სიმღერას:

ქარო ადექი, დადექი,
შენსა ბინასა ჩადექი,
შენსა შვილსა მარიამსა
სამი შვილი ყოლებია,
ერთი ბრუცი, ერთი კოჭლი
ერთი ყველას უკეთესი,
ადრე ჩახვალ, მოგირჩება,
გვიან ჩახვალ, მოგიკვდება.

მართლაც, ქარიშხალი ჩადგებოდა და არე-მარეს ცოტახნით ფოშ-ფოში[2] დაფარავდა, გადაიდარებდა და ცა მოიკრიალებდა.

ერეკლე და ვახტანგი ვერც ამან გაამხიარულა; ვახტანგმა ისიც დაუმატა: გადიდარებდა, მაშ რას იზამდა, მუდამ ხომ არ იწვიმებდაო, თქვენ კი გგონიათ, თქვენ გადაადარებინეთო.

---

[1] დელგმა — დიდი და ხანგრძლივი წვიმა

[2] ფოშფოში — თხელი ნისლი.

ქსანი კი აქოჩრილი მიიწევდა წინ და ღრიალებდა, ბობოქრობდა, ეტყობა, წყალში ლოდი-ლოდს ეჯახებოდა, ისმოდა გრუხუნი, ჭახანი. შავი ტალღებიდან სამი შუბის ტარის სიმაღლეზე ლოდის ნატეხი ამოვარდებოდა და დგაფანით ისევ წყალში ჩაიღუპებოდა. მოიწევდა წყალი წინ, ბდღვინავდა და ეხეთქებოდა ნაპირებს, მოჰქონდა ნარიყი, მოგლეჯილი ხეები და უზარმაზარი მორები. სულ არა ჰგავდა დილანდელ ანკარა, გამჭვირვალე ცისფერ მდინარეს. სადაც ნაპირი კლდოვანი იყო, თითქოს ვერას აკლებდა, მაგრამ იქ, სადაც კბოდე თიხა და ლოსის მაგვარი თიხა-მიწა იყო, ჩამოამზღვლევდა ფლატეს უზარმაზარ ნაკვეთს, ჩაღუპავდა აქოჩრილ ტალღებში და მიჰქონდა ქვევით. საით? მტკვრისკენ, მტკვარი კი ქვევით, შორს წაიღებდა. — ასე მიდის ნაჭერ-ნაჭერ ჩვენი მიწა, — ფიქრობდნენ ბალღები.

— 1969 წლის ივნისში კარპატებში ადიდდნენ მდინარენი, დაანგრიეს სოფლები, გზები, ხიდები, დაახრჩეს ხალხი, წალეკეს მინდვრები, ბაღები. ეს უბედურება შედეგია იმ სატყეო მეურნეობის წესისა, რომელიც დანერგეს კარპატებში მთის ბუნების უცოდინარმა მეტყევეებმა. პირაღებით გაჩეხეს ტყეები, თვითონ აღდგებაო, ფერდო წყალმა ჩამორეცხა, წყალმა წაიღო ნიადაგი და შედეგად გახშირდა წყალდიდობანი, ღვარცოფები. ეს მაგალითი უნდა იყოს სხვისთვისაც, მაგრამ კარპატები რად გინდათ, გახა ჩვენშიც, სადაც ტყეს უდიერად მოეკიდნენ, იგივე არ ხდება?

— აი, აქაც, ბევრგან ხევების წყლის სადევრის ფერდონი მოტიტვლებულია და ქსანიც ასე უეცრად იმიტომ ადიდდა.

თითქოს ხმამაღლა ფიქრობდა გიორგი.

— ერიჰაა! — წამოიძახა მან.

— აგერ, წინ, ცხენოსნები დგანან, ჩანს ხევი ადიდებულა და ვეღარ გადიან.

მართლაც, ვიწრო ხეობიდან ცოფიანი მგელივით გამოჭრილიყო ტალახნარევი წყალი და ზათქითა და ღრიალით ეშვებოდა ქსანში, ეშვებოდა ისე ძლიერად, რომ თვითონ წელმაგარი ქსანი მარჯვენა კბოდეზე მიეჭეჭყა და თითქოს ცდილობდა, ქვევით არ გაეშვა; აქ ორი სტიქიური ძალა ერთმანეთს შერკინებოდა. ქსანი მაინც თავისას

არ იშლიდა, წუთით ყოვნდებოდა, მაგრამ ზევიდან მოწოლილ ძალას თავისი გაჰქონდა და ბუყბუყით ქვევით მიაქანებდა.

ხევი ჭექდა და ქუხდა. ხშირად ტალღის თავზე უზარმაზარი ქვები ნაფოტივით ამოვარდებოდნენ ხოლმე, ნარიყი ხომ მოდიოდა და მოდიოდა.

მოსულები ცხენოსნებს მიესალმნენ.

— ვერც თქვენი რკინის ცხენი დააკლებს რამეს ცხავატურას, — თქვა ჭაღარაშერეულმა, — ცხავატის მთაში ისევა წვიმს; ხიდი იყო, ისიც მოუგლეჯია.

— ჩემო გიგა, მაგაზეა ნათქვამი: ისეთი ხიდი გააკეთე, შენმა შვილიშვილმაც გაიაროსო.

— მაინც რამ გააგიჟა ასე!..

— არა, ვითომ ვერ გავალ?! — ეკითხება მოხუცს ერთი ახალგაზრდა.

— იყუჩე, ბალღო!

— აბა, მაშ, ტყუილად არის ნათქვამი.

მთიელ ვარ, მთურად ნაჩვევი,
მტერო, არ შაგიშინდებიო?

და თვითონვე გაეღიმა თავის ნათქვამზე.

— უკან დავბრუნდეთ და სადმე გავათიოთ ღამე. — მიმართა გიორგიმ თავის თანამგზავრებს.

— როგორ, უკან დაბრუნდეთ, აი ამ ხევის პირას სახლია ჩემი, თქვენი რკინის მერანი იქამდე კარგად გაივლის. შეეხუმრა ჭაღარაშერეული ქსნიელი.

— როგორ შეგაწუხოთ!

— ავდარში რომ თქვენა მნახოთ, კარში დამტოვებთ? ან შეწუხებად ჩათვლით? — შეუბრუნა სიტყვა ცხავატელმა.

— რა სათქმელია!

— ჰო და წავიდეთ. მართალია, ისეთი ბინა არ არის თქვენ რო გეკადრებათ, მაგრამ გაგეგონებათ, „ბებრის ქორწილში ქერის ლავაშს ვინ იკითხავსო“.

ბიჭებმა ფეხით ისურვეს სიარული.

— ეგრე ვქნათ, მე ლარგვისში მივდიოდი, შემაგვიანდა, და აი „წავიდა დღე და არა ფათერაკიო“, ამაზეა ნათქვამი.

ბიჭებმა მამას გადახედეს. „რა ძია პავლესავით ლაპარაკობსო“,— ამბობდა მათი თვალები.

— ეს მხარეა ეგეთი, ქართლის დედა, — უპასუხა გიორგიმ.

მხარმარცხნივ კი ცხავატურა ღრიალებდა.

— მაინც რამ გააგიჟა დღეს ეს ცხავატურა?

— როგორიც ტყე იყო, ისეთი ნადირი გამოდიოდაო. აგერ, სულ ჩამოტიტვლებულია ქედები, ახომ მოსპო, მიწა მაინც ვერას იძლეოდა და ხალხი ზოგი მანგლისში და კავთურაზე, ზოგი ალგეთზე გადასახლდა.

მალე გამოჩნდა კრამიტით დახურული სახლი, სულაც არ ჰგავდა „პებრის ქორწილის ლავაშს“ — ეზოში ქათამ-ინდაურს შავებში ჩაცმული დიასახლისი აპურებდა, ქალმა ხელი მოიჩრდილა. „მადლი უფალს, დაბრუნდიო“, წაიდუდუნა, ქმარი რომ დაინახა, სტუმრებს შეეგება. აივანზე აუძღვა.

— აბა, ერთი შენებურად დატრიალდი და ხაჭოს ხინკალი გვაჭამე...

— ნუ იცი ხოლმე ზედმეტი ლაპარაკი, რა მაშინვე ხინკალს ეცემი, ეგ მე ვიცი, რითაც გავუმასპინძლდები.

— ადამიანო, არ გაგიგია: ლობიოო — თქვა მთიულმა და ყბა ამოუვარდა, — ყველიო, — თქვა და ისევ გაუსწორდაო. ხომ იცი, ჩემო კეკე, ძველი თქმა: არასოდეს არ ცხონდება უშვილო და პურაძვირიო.

— რაღაც შვილები ირსად ჩანან! — შეეკითხა გიორგი.

— ამ ზაფხულს სახლში რა უნდათ? ზოგი ცხვარშია, ზოგი ბარში, მათ ნაშიერს კი მალე ნახავთ.

— ნუ გააბი ლაპარაკი, შეშა დაჩეხე! — შეუტია ცოლმა ქმარს.

— რა ვქნა, მე და ჩემმა ღმერთმა: ჩემზეა სწორე ნათქვამი: პატარა ვიყავ, დიდისა მეშინოდა და დიდი გავხდი, პატარასიო. სუ ეგრე მაშინებს ე ჩემი კეკე... — და ტკბილად გაიღიმა.

— ონისიმე, ცხავატელები კაი მეჭურჭლეები იყვნენ და არა იცით რა მათ შესახებ?

— მეც ხომ ცხავატელი ვარ, მესტვირის ცოლს ჰკითხეს: შუშპარი იციო? და ჩემ დღეში მაგის მეტი რა მიკეთებია მე უბედურსაო. ვიცი და მეჭურჭლეც ვიყავი.

— მერე რატომ აღარ აკეთებთ?

ონისიმემ გვერდიდან გადმოიხედა, ვთქვა თუ არაო.

— კაკაბმა თქვა: ორმოცდაცხრა სიმღერა ვიცოდი და ისეთმა ალალმა[1] წამომიქროლა, რომ ყველა დამავიწყდაო. აბა რა ვიცი, რატომ არ ვაკეთებთ, ცალკე არაო და ერთადაც არავინ შეგვყარა.

— აგერ ჩემი თუნი, — მიუთითა ეზოს კუთხეში პატარა ნაგებობაზე. მაღალი არ დაიწია, დაბლებიც ვერ ავიწიეთ და დაიკარგა ცხავატის სახელი... მაგრამ რა ვქნათ, ვინც რომ კაცია, ჩოხა ჯაჭვია, ქუდი ნაბდისა — ჩაბალახიაო, ხომ გაგიგონია, გავდივართ იოლად.

ბიჭები სმენად იყვნენ გადაქცეულნი, ვახტანგს რვეული გადაშლილი ჰქონდა. მივიდა და მამას რაღაცას ეჩურჩულებოდა.

— ონისიმე, ჩემს ბიჭებს სათხოვარი აქვს თქვენთან...

— აბა, პატარა ვეფხვებო! თქვენი ხმალი და ჩემი კისერიო.

— ძია ონისიმე, გვინდა, რომ ანდაზები და ლექსები ჩაგვაწერინო.

— ეჰაა, ჩემს სიცოცხლეში ანდაზა არ მითქვამს. ერთი მთიული კაცი ვარ: მთიულია და ბრიყვობსო, დეე, თავისთვის იყოსო, — ხომ გაგიგონიათ?

გიორგის გაეღიმა.

— აი, ეგ, რაც ახლა ბრძანეთ, ანდაზაა.

— ესა, არა კაცო....

— სად ჩემი ლაპარაკი და სად ანდაზა, სად მუხრანი, სად წილკანი, სად თხა სძოვდა, სად თიკანი. მგონი, მარტო ერთი ანდაზა ვიცი: თხას უთხრეს, მგელი მოკვდაო, თხამ კუნტრუში ქნა, გაიქცა, თხაო, რა გაგხარებია, განა სამგლეთი დაიქცა? იმას რომ დარჩა ლეკვები, ისინიც მგლებად მოიქცა.

კეკემ გამოსძახა, პატარა შეშა შემოიტანე კიდევაო.

— იცით, ბიჭებო, რა გითხრათ? უგდეთ ყური და ისე ჩაიწერეთ, ეგ სულ ანდაზებით ლაპარაკობს და მაგას ჰგონია, ეს ანდაზა არ არის, ცალკე ვერას გეტყვით...

— ეგაა ჩემი ძველი თემი, — თვალით ანიშნა მეუღლისკენ — მეფე გაგიწყრეს, თემს შეეხვეწე, თემი გაგიწყრეს, გადაიხვეწეო, კეკე რომ გამიწყრეს, უნდა გადავიხვეწო კიდეც.

---

1 ალალი — შავარდენისა და შიმინოს მინაგვარი მტაცებელი ფრინველია.

— შენ რომ ეგ ენა არა გქონდეს, თაგვები სოროში შეგათრევდნენ, — გამოეხმაურა აივნიდან მეუღლე.

— აი, ეგრეა, მაგის შიშით სიტყვა ვერ მითქვამს.

— სადაც შავარდენი ბუდობს, მტრედი ვერ გაიხარებსო, ხომ გაგიგია, — აუბა მხარი კეკემ.

ამ დროს ეზოში ხუთი ძროხა და ათიოდე ცხვარი შემოვიდა, სამი ფეხშიშველა ბიჭი შემოჰყვა.

— დანარჩენები სადღაა, ბიჭებო! — გაეხმაურა პაპა.

— გაღმა გასულან, ნეკის სერზე ძოვენ, ვერ გამოვიდნენ და ვერც ჩვენ გავედით, ვერა ხედავ, ცხავატურა როგორა ღრიალებს? — უთხრა უფროსმა და ხევისკენ გაიხედა, საიდანაც, მდინარის ხუილი ისმოდა.

— აბა, დააბინავეთ საქონელი, ჩამოწკნება ცხავატურა და ისინიც მოვლენ.

ზემო პატარა სახლიდან ახალგაზრდა ქალი გამოვიდა საწველელით, შავ კაბაზე ჭრელი ქობა ჰქონდა შემოვლებული.

— ეგ ამათი დედაა...

ამ დროს ეზოში შალვაც შემოვიდა, აბგა სავსე ჰქონდა მცენარეებით, ვერ მოეთმინა და სველი ეკრიფა.

— ზემოთკენ გვლერძა და ყვითელი მუზარადაც ვნახე.

— ოჰო, ეგ არ არის კარგი. ტყეს ხომ არ ერევიან?!

— რა ვიცი! — წარმოთქვა შალვამ.

— იქნებ აქ დავრჩეთ ერთ-ორ დღეს და ხეობა მოვიაროთ... მაგრამ როგორ შევაწუხოთ ონისიმე.

— შენი კარები გააღე, სხვისაც გაღებული დაგხვდებაო, — როგორ თუ შემაწუხებთ. თქვენ ბალახების ოსტატები ყოფილხართ, აბა, მოდით აქეთ...

სახლის უკან, თავლის გადასწვრივ, კარგად შემოღობილი მიწა იყო, ბოსტანი ჩანდა. ხახვი, პრასა, ჭარხალი, სტაფილო, კომბოსტო, ნიორი, ქინძი, კამა, ნიახური, წიწმატი, ინა, წეკო, ჩაწიკწიკებული იყო, ჩანდა, კარგი ხელი პატრონობდა იქაურობას.

— ბოსტანი კეკემ რძლებს გადააბარა და თვითონ კი აი, რას უვლის.

გიორგი გაოცებული დასცქეროდა, პატარ-პატარა კვლებში იყო



გამეჩხერებულ ტყეში წყალს მიაქვს მიწა

ორფერი, კატაბალახა, შროშანი, მრავალძარღვა, დათვის საგებელა, არჯაკელი, ფარსმანდუკი, და კიდევ რამდენიმე სხვა.

— ესენი ტყეშიც არიან, მაგრამ აქაცა აქვთ, სახელდახელოდ ნედლი ᾽რო სჭირდება. ექიმობს ჩემი ამშენებელი და ამ წამლის ბალახებს უვლის. ჩვენს წიფლიანებში, ზევით, უცუნაც იცის, შემოდგომაზე მოხატავს ხოლმე ტყის პირს, ძალიან ცხარე შხამი აქვს და აქ არ დავარგვევინე, ვაითუ ბალღმა ამოთხაროს, ან თვითონ მოიწამლოს, ან მეზობლის ძაღლი მოკლას-მეთქი უნებლიეთ.

— ადამიანო, ნუ დახოცე ხალხი შიმშილითა, — გადმოსძახა ციენიდან მეუღლემ.

— ერთი უყურე, აქაც მე მადანაშაულებს, — პირზე ღიმილგადაკრულმა თქვა ონისიმემ. — მე შენ გეხმარები, ხალხს ვართობ, ლოდინი არ შევამჩნევინო-მეთქი და ვერ უყურებ, წყალგაღმა დაობს.

სუფრა ტაბლებზე იყო გაშლილი, ხმიადები ელაგა, ხინკალს ოხშივარი ასდიოდა, პრასა და ახალი ხახვი ამშვენებდა სუფრას.

— გენაცვალე, ქერის პურო, ანაცერო დიკისაო, — მხიარულად

მიუმღერა ონისიმემ. სუფრას მოულხინეს. გოგიამ მანქანიდან ღვინოც ჩამოდგა, ამან ონისიმე სულ გაამხიარულა, შვილიშვილებიც მოისხა სუფრაზე, ხაჭაპურსა და ხინკალს ორი ხელით შეექცეოდნენ.

შუა პურიჭამაში იყვნენ, რომ ვახტანგმა ვერ მოითმინა და ჰკითხა:

— ძია ონისიმე, აქ მარტო ქერსა და დიკას თესავენ?

— რადა ძმისწულო, დოლის პურიც კარგა მოდის, ასლიცა და სვილაც. კორკოტი ვჭამე ასლისა, დრო არის ჩემი წასვლისაო. ასლმა კარგი კორკოტი იცოდა, თეთრი, მსხვილი მარცვალი არ ჩაიხარშებოდა, გოჭებივით ელაგნენ ჯამში. ასლმა კაი ხალი-ფაფაც იცოდა, სახაჭაპურედ ხომ მას ვერც ერთი ხორბალი ვერ შეედრებოდა. თავთუხი ხომ თავთუხია და ასლის ცომი სახაჭაპურედ იმასაც სჯობია.

— იცოდაო, რა, ახლა აღარ იცის?

— ვაი, რო არ იცის. კოლმეურნეობა არა თესავს და საკარმიდამო ჩვენ მაგისთვის არა გვყოფნის. წარმოიდგინეთ, კინაღამ დიკა პურიც ამოგვაწყვეტინეს, გინდა თუ არა, ახალი პური უნდა დათესოთო... მაგრამ ჩვენმა თავმჯდომარემ იძალა, დიკა დათესა, გაღმელებმა ის ახალი დათესეს და კინაღამ მშივრები დარჩნენ.

აქ უკვე გიორგი ჩაერია საუბარში.

— საქმე იმაშია, რომ დიკა საქართველოში წარმოშობილი ხორბალია, ქართველი მხვნელ-მთესველისაგან გამოყვანილი და გავრცელებული, გამოყვანილია სწორედ მთაში, ტყიან ზონაში. დოლისპურიც კარგია, მაგრამ მთაში, ზოგჯერ მკაცრ ზამთარს ვერ უძლებს. დიკას კი ავადმყოფობა არ ეკარება, გაზაფხულის თესლია.

მთაში საკორკოტე ხორბალსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ბარად ბევრია საშეჭამანდე: ხილი, კერკი, მწვანილი, მთაში კი კორკოტი, რაკი ერბოც არის, მნიშვნელოვანია. ამიტომ თესავდნენ ცალმარცვალა ასლს, ორმარცვალა თეთრ ასლს, წითელ ასლს. ძველად ნამდვილი ასლიც იყო, მაგრამ იგი ამოწყდა, დღეს აღარ არის. დოლის პურებიდან უფრო ხშირად თესავდნენ წითელ დოლს, იშვიათად—თეთრსაც, მაგრამ ამ დოლს ერია ერთი ხორბალი, რომელსაც „ქონდარა ხორბალს“ ეძახდნენ, რადგან დაბალი იზრდებოდა. ითესებოდა დოლის პურთან ერთად, დოლის პურს წელზევით სწვდებო-

და. ერთად ნათესი ყოველწლივ მოუცდენელი იყო, ცალკე ნათესზე, მაგალითად, გვალვიან წლებში უფრო მეტ მოსავალს იძლეოდა.

საქართველო ხომ ერთ-ერთი სამშობლოა კულტურული მცენარეებისა. საქართველოში კი, როგორც ჩანს, ამ მხრივ მთა ფრიად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ღრმა ხეობებში, სადაც ცხოვრება უფრო მშვიდი იყო და მტერთა დიდი ურდოები ისე ხშირად ვერ აღწევდნენ, როგორც დაბლობებსა და ვაკეებში.

ჩვენში რამდენიმე ენდემური[1] ხორბლის სახეობაა, ესენია: მახა, ზანდური, დიკა, „არ არის ისეთი ქვეყანა, სადაც ამდენი ხორბლის სახესხვაობა და ჯიში იყოს, რამდენიც საქართველოშიო",—ამ დასკვნამდე მივიდნენ კულტურულ მცენარეთა და, კერძოდ, ხორბლების ისეთი დიდი მცოდნენი, როგორიც იყო ნ. ვავილოვი და როგორიც არიან: პ. ჟუკოვსკი, ვ. მენაბდე, ნ. დეკაპრელევიჩი და მრავალი სხვა.

აი, რას წერს ხორბლებისა და საერთოდ კულტურულ მცენარეთა დიდი მცოდნე პ. ჟუკოვსკი:

„მცენარეულობის სახეობათა უდიდესი რაოდენობა თავმოყრილია საქართველოსა და სომხეთში, მათ შორის რამდენიმე ენდემური სახეობაა, მაგალითად, ურარტუს ასლი (სომხეთში ნ. კ.), მახა, ზანდური, კოლხური ზანდური (საქ. ნ. კ.) მთელი ექვსი სახეობა. ოთხი მათგანი მოჰყავთ იზოლირებული, ძნელად მისადგომ მთის მხარეებში (რაჭა-ლეჩხუმი. ნ. კ.), რომელთაც უძველესი ხვნა-თესვის ყველა ნიშანი გააჩნიათ, თუმცა ისიც მართალია, რომ რელიქტების[2] არსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს კერის პირველადობას. არსებობს შეხედულება, რომ დღემდე შემონახულ უძველეს ხალხთა რიცხვს ეკუთვნიან ქართველები, ბასკები (პირინეებში) და ვერშიკები (პამირში), ქართველები დღესაც მაღალი კულტურის მქონე ერია, რომელმაც შეძლო და ცალკეულ კუთხეებში დღევანდლამდე შემოინარჩუნა ხვნა-თესვის ზოგიერთი ძველი წესი. მაშასადამე, მემკვიდრეობითი თვალსაზრისითაც არ არსებობს საწინააღმდეგო დებულება იმისათვის, რომ საქართველოს დღევანდელი ტერიტორია

---

[1] ენდემური — ცხოველი ან მცენარე, რომელიც მხოლოდ ერთი გარკვეული მხარისათვის არის დამახასიათებელი.

[2] რელიქტი — წარსული გეოლოგიური ეპოქიდან დღემდე შემორჩენილი მცენარე, ცხოველი. ამ შემთხვევაში უძველესი კულტურული მცენარე.

არ მივიჩნიოთ კულტურული ხორბლის პირველად კერად. რბილი ხორბალიც, როგორც ჩანს, თავის საწყისს ამიერკავკასიიდან იღებს".

ქართული დოლის პური ქართველი ხალხის პირმშოა. თავისი ისტორიის გრძელ მანძილზე მან ამ ხორბალში განამტკიცა ისეთი თვისებანი, რომელიც იმ დროს მას სჭიროდა. თავთავში მარცვალი მაგრად ზის, მომკა თუ დააგვიანდებოდა (მტრის შემოსევის გამო), მარცვალი არ ჩაიბნეოდა. ღერო ნაზია და წვრილი, რომ ბზე კარგი გამოსულიყო. (ბზე ძირითადი საკვები იყო საქონლისათვის, ძალიან ხშირად ქართველ მეფეებს გადასახადთა სიაშიც შეჰქონდათ.) გვალვის გამძლე (მტერი ხშირად ანგრევდა სარწყავ არხებს). იგი გამოყვანილი უნდა იყოს მთაშივე და სახელიც სვანეთის სოფლიდან დოლიდან უნდა მიეღო მდინარე დოლრას ხეობაში რომაა. სვანეთის ამ ხეობებში შემონახულია მრავალი სახესხვაობა და ჯიში დოლის პურისა და დიკისა, რომელიც მარცვლის ღირსებით ბარისას სჯობნის.

დიკა, ანუ ქართლური ხორბალი, როგორც მას მეცნიერულად უწოდებენ, სწორედ ჩვენს მთაშია წარმოშობილი, შუასარტყელში, იგი თავის თვისებებით სავსებით შეესატყვისება ამ ზონის ბუნებრივ პირობებს, კარგად იტანს სოკოვან დაავადებას. გვხვდება მრავალნაირი. არსებობს თეთრთავთავა, წითელთავთავა, ღრუბელა თავთავა, თერთმარცვალა, წითელმარცვალა სახესხვაობა და ჯიში.

ჩვენში საკორკოტედ ითესებოდა ასლი.

აღმოსავლეთ საქართველოში და განსაკუთრებით მთაში, ითესებოდა ორმარცვალა ასლი, მრავალნაირ ქვესახეობისა და ჯიშისა, დასავლეთ საქართველოში კი უმთავრესად სახაჭაპურედ, დღეობის პურებისათვის, რადგან ლამაზი და გემრიელი პური იცოდა — ზანდური და მახა. მაგრამ, სამწუხაროდ, უცხოური ჯიშებით გატაცებამ ბევრი რამ დაგვიკარგა, მაგალითად ლეჩხუმში და რაჭაში ამ ორი წლის წინ ზანდური და მახა ვერ ვნახეთ. ამოწყვეტილა, აღარ თესენ. მაშასადამე იგი სამშობლოში აღარ არის. ორმოცი წლის წინათ კი იგი მინდვრის ჩვეულებრივი მცენარე იყო. აქაც, ქსნის ხეობებში, ორმარცვალა ასლი ხომ მარტო ორგან-სამგანა ვნახეთ. მაშინ, როდესაც ეს უძველესი ხორბლები უდიდესი ეროვნული განძია, მათი დახმარებით, მათთან შეჯვარებით, შესაძლებელია გამოვიყვანოთ მრა-

ვალნაირი ჯიში, მოსავლიანი, ბარაქიანი. ამერიკელებმა უკვე გამოიყენეს ეს ჩვენი ხორბლები და მათი მეშვეობით შექმნეს ახალი, ფრიად მოსავლიანი ჯიშები.

მაგრამ განა მარტო ძველ პურეულებს ვკარგავთ? შინაური პირუტყვი? არც მათი შენარჩუნების საკითხი დგას უკეთესად. დიდ ყურადღებას ითხოვს თუშური ცხვარი — საუკეთესო მომთაბარე, იმერული ცხვარი, წელიწადში 4—6 ბატკანს რომ იძლეოდა. ხევსურული ძროხა — უხვღალიანი, მეგრული ძროხა — მუშა საქონლის დედა, თუშური ცხენი — მთის ბილიკების ამტანი, დიდი ტვირთის მზიდავი და სხვანი. ზოგი მათგანი საძებარი გვყავს უკვე და იმ ყურადღებას არ ვაქცევთ, რის ღირსნიც არიან.

არა, არ უნდა დავკარგოთ ეროვნული სიმდიდრე, სირცხვილია, მამაპაპათაგან გადმოცემული დიდი დოვლათი ჩვენ გავანიავოთ და შთამომავლობას არ შევუნახოთ.

ყოველ რაიონში, სამ-ხუთ კოლმეურნეობაში მაინც უნდა ითესებოდეს ეს შესანიშნავი მცენარენი, ორ-ორი ჰექტარი მაინც, რათა ჩვენს შთამომავალთ ისე გადავცეთ, როგორც ჩვენმა მამა-პაპამ გადმოგვცა.

კიდევ ისიც გაიგეს, რომ მახობელი[1] ტირიფონასა და მუხრანის ვაკეზე იცის, ოძის — ახალგორს არ ამოსცილდებაო, სამაგიეროდ, მთაში ბევრი იცის ღვარძლაო.

ღვარძლა კი ერთნაირი კოინდარია, ერთწლეული სარეველა, ყანას ერევა, განსაკუთრებით მთაში. იმის თესლზე ერთი სოკო იბუდებს და შხამს ის გამოყოფს. თუ ხორბალს ასეთი მარცვალი შეჰყვა და მასთან ერთად დაიფქვა, პური მათრობელა, შხამიანი გამოდის, იწვევს გულისრევას, თავბრუსხვევას.

სვილა ანუ ჭვავი მაღლა მთაში ითესებოდა...

კიდევ დიდხანს ისაუბრეს, საღამო ჩამოდგა, ხევიდან გრგვინვა ისევ ისმოდა, მთაში ავდარი არა ცხრებოდა.

რამდენიმე დღე შეყოვნდნენ აქ, ხეობას აჰყვნენ და დარწმუნდნენ, რომ ხეობა ფრიად ნაიარევი იყო. ჯერ წარსულში ახოებს

---

[1] მახობელა სარეველა ბალახია, ცხიმოვანი თესლი აქვს. თუ მისი თესლი ხორბალს ერთი, ერთ-ნახევარი პროცენტი შეჰყვა და მასთან ერთად დაიფქვა, პური რბილი, ლურჯი და სურნელოვანი გამოდის. ამ მცენარეს თურქეთში საზეთედ თესავენ.

დაეკოდა იგი, ბევრი ახო იყო ნაკეთები; ჩანდა ნასოფლარებიც, წყალს თავისი ექნა, დაეხრამა, ნიადაგი მოეგლიჯა, ხევები და ხევ-ხუვები, ხნარცვები და ზოგან ხრამებიც გაჩენილიყო. იღუპებოდა მიწა, მიჰქონდა წყალს და ნიაღვარს, მიჰქონდა საქართველოდან შორს და ჯერ ისეთი მადლიანი ხელი არ ჩანდა, რომ შეშველებოდა მიწას, შეენარჩუნებინა, გადაერჩინა იგი. საჭიროა ძალიან სწრაფი და გულმოდგინე მუშაობა, რომ შევინარჩუნოთ ნიადაგი, ისევ ადგილობრივი ტყის ჯიშებით დავფაროთ. ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი დაიჭერსო და ეს „მწევარი“ აქ ბევრია: მაჟალო, პანტა, ტყემალი, ბალამწარა, ზღმარტლი, რცხილა, ჯაგრცხილა, იფანი, თელა, ნეკერჩხალი, თამელი, ცაცხვი, ცოტას რომ აიწევ, წიფელი, ბოყვი, ლეკის ხე, თელა-დუმა, უთხოვარი, მაღლა მთაში ხომ ბევრია არყი, მთისბოყვი, მაღალი მთის მუხა, ცირცელი, მდგნელი, არც ბუჩქია ცოტა: კუნელი, შინდი, შინდანწლა, თხიფსელა, ჯახველი, თხილი.

შეიძლება აქ თავისებური ტყეპარკები გაკეთდეს. ახალი ტყის გაშენების დროს მეტი ყურადღება მივაქციოთ ხილის მომცემ ხეებს: პანტას, მაჟალოს, ბალამწარას, ტყემალს, ზღმარტლს, შინდს, კუნელს და მათთან ერთად, რასაკვირველია სხვა ტყის ჯიშებსაც.

„აქ დაყოვნება არ იქნება“, — დაასკვნა გიორგიმ, ეს ქსანი მთელ ხეობას მოგვტაცებსო.

ლარგველების ნაფუძარი

დიდი სიყვარულით გამოეთხოვნენ ონისიმეს ოჯახს. ერეკლე და ვახტანგი დიდხანს ეჩურჩულებოდნენ ონისიმეს შვილიშვილებს, ძალიან დაუმეგობრდნენ: ბალახი არ იყო ხეობაზე, რომ მათ არა სცოდნოდათ.

— ძალიან მენანება, გიორგი, რომ მიდიხართ!

— არა უშავს რა, ძია ონისიმე, შევხვდებით კიდევ.

— საქმე ისაა, რომ სიმდაბლემ ცანი მოდრიკაო, განა კიდევ ბევრჯერ შემხვდება აგრეთი ხალხი.

გზამდე ჩამოჰყვა, წყალს დაეკლო, მოერიყა და ლოდებით აევსო. დატრიალდნენ ერეკლე, ვახტანგი, შალვა, ონისიმეს შვილიშვილები და ქვები მიაგორ-მოაგორეს, გზა გახსნეს.



ტყის მოსპობის შემდეგ მთის ფერდონი ხშირად იმეწყრება

— ბარემ ქვახიდაც გააკეთეთ ბიჭებო, — გასძახა ნაპირიდან ონისიმემ.

ერეკლემ და ვახტანგმა კითხვით ამოხედეს მამას.

— მაგას ონისიმეს შვილიშვილები გასწავლიანო, — უპასუხა.

— შუა წყალში ჩავყაროთ დიდი ლოდები, აბა ავწიოთ, მივაგოროთ... — გასცეს განკარგულება შავტუხა ბიჭებმა და მართლაც მალე შუა წყალში ერთი მეტრის სიგანის ქვის ხროვა ამოიზიდა.

— ახლა ასეთი იქით ნაპირსა და ამ ხროვას შორისაც...

და ახლა იქ ჩაყარეს ქვები. მალე წყალში სამი ქვის ხროვა ამოიზიდა. ნაპირიდან პირველზე გადახტებოდა კაცი, მერე მეორეზე, მესამეზე და მარჯვენა ნაპირიც იქვე იყო.

ბიჭებს ასეთი ხიდი, ქვახიდა, ძალიან მოეწონათ.

ერთი რამ უკვირდათ, ზოგი ქვა თეთრი იყო, ზოგი ლურჯი, ზოგს წითელი ფერი დაჰკარგავდა, ზოგი კაჭარსა ჰგავდა, ზოგი კიდევ ზედგამოჭრილი კოხი იყო. ამიტომ მამამ გზადაგზა აი რა უამბო:

ქსნისა და არაგვის ხეობები ძალიან რთული გეოლოგიური აგებულებისანი არიან. ამ პატარა მხარეში, როგორც ჩვენი გეოლოგები აღნიშნავენ, მეზოზოური და კაინოზოური ჯგუფიდან იურიულიდან

ნეოგენურამდე თითქმის ყველა წევრია წარმოდგენილი: ზედა ლიასურისა, ქვიშა-ქვებისა და ფიქლების წყება, ზედა იურიული კირქვები, ცარცული ნალექები, ზედა და შუა ეოცენის ქვიშაქვებისა და ფიქლებრივი თიხებით შუა და ზედა მეოცენური ნალექები და მრავალი სხვა. პორფირიტული ქანები ყანჩაეთიდან სოფელ ჯვარისუბნამდეა გაწოლილი. ქსნის ხეობაზე სოფელ იკოთსა და კორინთას შორის წარმოდგენილია ვულკანოგენური ქანები, კირქვების კარგი გაშიშვლებებით და აკი სოფელ კორინთას მახლობლად კარიერიც არის; აგებულია კირის ქარხანა, რომელიც მთელ ხეობას ამარაგებს კირით. წარსულში ვისაც კირი სჭიროდა, თვითონ სწვავდა, ტყიდან შეშა გამოჰქონდა. ახლა კი ქარხანა ქვანახშირზე მუშაობს და, რასაკვირველია, ტყისთვის დიდი შეღავათია.

ეს კია კირქვების ნგრევამ შეიძლება გადიყოლოს შესანიშნავი კოშკი, რომელიც კირქვების უზარმაზარ ლოდზე დგას. კირის ქარხანა კარგია, მაგრამ სიძველის ძეგლთა გაფრთხილება მაინც გვჭირია.

ასეთი კირქვების ბრექჩიები, როგორიც სოფელ კორინთასთან არის, გვხვდება ქსნის ხეობაში სოფელ ჯვარისუბანთან, ალევთან, ჭურთასთან; არაგვზე ანანურთან, აგრეთვე ლეხურაზე, მეჯუდის ხეობაში და სხვაგან. გეოლოგმა შ. ადამიამ ამ მხარის გეოლოგიური რუკა შეადგინა. ამ რუკის მიხედვით ქსანს რომ გავყვეთ, ასეთი ჭრილი იქნება:

ქსნის ნაპირზე რიყე და პირველი ტერასა მეოთხეულ ნალექებს უჭირავს. მის ზევით—ლენინგორი, იკოთი და სხვანი — მიო-პლიოცენის ნალექებს, შემდგომ ამისა იწყება პორფირიტული წყება. წირქოლი სწორედ ამ წყებაზეა, კორინთისა და სხვა სოფლების მიდამოებში ქვიშაქვების და ფიქლების წყებაცაა. ზევით ხეობაზე ზედა ცარცია, ქვედა ცარცი, შუა და ზედა ეოცენი. ერთი სიტყვით, წარსული ფრიად საინტერესოა და მცენარეული საფარიც ამ გეოლოგიური წარსულის გამოძახილია.

როგორც ჩანს, წარსულში ქსნის ხეობაც ისეთივე მცენარეულობით იყო დაფარული, როგორითაც დასავლეთ საქართველო, კოლხური ტიპის ტყით — წიფლნარით, რომელშიც გაბატონებული იყო მარადმწვანე ქვეტყე: წყავი, შქერი, თაგვისარა, ბაძგი, აგრეთვე ისეთი კოლხური ელემენტები, როგორიცაა: მოცვი, იელი, ლიანებიდან

სურო, ღვედკეცი და სხვა და სხვანი, მაგრამ დრონი იცვალნენ. აღმოსავლეთ საქართველოში კლიმატი უფრო მკაცრი, კონტინენტური დადგა, ვიდრე დასავლეთ საქართველოში და კოლხური ელემენტებიც ნელ-ნელა მოისპო, ქსნის ხეობაში, ზებეყურის ხევზე წყავი და ზოგი სხვა მცენარე დღემდე შემორჩა. მუხრანის ძელქვებიც შეიძლება ამის გამოხმაურება იყოს.

მანქანა საკმაოდ ფერხდებოდა. ნაკადულებს ქვა და ღორღი გამოეტანათ, პატარ-პატარა კონუსები შეექმნათ და ჩვენი მგზავრები წერაყინებითა და პატარა ნიჩბებით კვალავდნენ, გზასა სჭრიდნენ.

კარგა დიდხანს მოუნდნენ მგზავრობას. გაუჭირდათ საძეგურთან ალევის ხევის გადალახვა, მაგრამ გოგიას გამოცდილებამ თავისი გაიტანა. როდის-როდისღა მიაღწიეს ლარგვისს. (ამ სოფელს ზოგჯერ მონასტერსაც უწოდებდნენ, ლარგვისში წმინდა თევდორეს სახელობაზე აგებული ტაძრისა და მონასტრის გამო).

ლარგვისთან არის შერთული ქსნისა და მისი მარჯვენა შენაკადისა ჭურთულასი; ლარგვისის ზევით კი მაცხნიდან, ქსანს უერთდება ცხრაზმის[1] ხევი, რომელიც სათავეს ლომისის ქედზე იღებს. ლომისა სამხრეთისაკენ ალევის ქედში გადადის. ლომისა-ალევის ქედი არაგვისა და ქსნის წყალგამყოფი ქედია. ალევის ქედი მუხრანის ვაკეზე გვერდის ძირში გადადის და სოფლები დამპალო, ქსოვრისი, ოძისი, ძალისი, სწორედ ალევის მთის ბოლოებზეა შეფენილი. ხოლო ლეხურასა და ქსანს შორის მდებარეობს ხარშლის ქედი. ორივე ეს ქედი თავის სათავეს ყელის პლატოზე იღებს, მაშასადამე ქსანი ჩაჭედილია ამ ორ ქედს შუა, რომელნიც ხშირად ერთმანეთს ფრიად უახლოვდებიან, რის გამოც ქსანიც ხშირად ძალიან ვიწრო ხეობაში მოქცეს.

ქსნის ხეობა მრავალი გზით იყო დაკავშირებული საქართველოს დანარჩენ ნაწილებთან, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოსთან.

ქსანი სათავეს იღებს ყელის ტბიდან. საერთოდ ყელის ტბა საინტერესოა იმითაც, რომ მისი მიდამოებიდანვე იწყება სათავე დიდი ლიახვის, პატარა ლიახვის და თერგისა.

აქვე გადიან გზები: თრუსოს ხეობით — დვალეთში, სბის ზეკა-

---

[1] ამჟამად ამ წყალს „ცხრაქმის ხევის წყალს" ეძახიან. მრავალ სიგელ-გუჯარში და ვახუშტის გეოგრაფიაშიც „ცხრაზმის ხევის წყალი" ეწოდება.

რით, პატარა ლიახვის ხეობით — ქართლში ჩამოდის, ამის მეორე შტო ჟამურის ხეობით ქსანზე გადმოდის, მესამე გზა არაგვზე ჩამოდიოდა; არაგვის ხეობიდან ლომისისა და ალევის მთას რამდენიმე ზეკარი ჰქონია, რომელნიც ქსანზე ჩამოდიოდნენ. ყელის ტბის პლატოდან გზა როკის, ზეკარას ზეკარით, ბრუტსაბძელის ძირში, არდონის ხეობაში გადადიოდა, აქედან ქალაქას გავლით ჭანჭახის (მამისონის) ზეკარს ჰკვეთდა და რაჭაში ჩადიოდა).

ჩრდილოეთიდან ჩამოსული მტერი, კავკასიის გადაღმა მოხეტიალენი, ხშირად ეცემოდნენ ამ ხეობებით ქართლს.

არის ლეგენდა, რომ რუსეთის ჯარების გადმოსვლისას ერთი რაზმი ყელის ტბაზე დაბანაკებულა, მაშინ როდესაც იგი ყინულითა და თოვლით ყოფილა დაფარული, სიმძიმეს ყინული ჩაუტეხია და რაზმი დაღუპულა, უგზო-უკვლოდ დაკარგულა.

ქსნის ხეობაზე მრავალი ციხე-კოშკია. კოშკი კოშკს გაჰყურებს, ესენი სამზერი, მოდარაჯე კოშკებია. თუ პირველ კოშკზე აინთებოდა ცეცხლი, უმალ გამოეხმაურებოდნენ დანარჩენი კოშკებიც — ანთებდნენ საგანგაშო ცეცხლს და მაშინ მთელი ხეობა გაიგებდა, მტერი მოდისო. ბევრია ციხეები: თვითონ ლარგვისის ციხე, ბერიციხე სოფელ ხეთაანთასთან, ცხრაზმის ხეობაზე მდებარე უკანაუბნის ციხე, რომელსაც დიდი ლოდების გალავანი არტყია. ამ ციხეს სათოფურები არა აქვს. რაც, ჩვენი ისტორიკოსების აზრით, მის სიძველეზე მიუთითებს. პირველად საერისთაო ლარგვისში დაარსებულა და მათ ლარგველ ერისთავებად იხსენიებდნენ.

პირველი საერისთაოს დაარსების სათავეებზე ბუნდოვანი ცნობები არსებობს. ეს ცნობები უფრო ლეგენდებს წააგავს. ხან ვითომ მაღრან-დვალეთიდან ბიბილურები ჩამოსახლდნენ და ისინი გაბატონდნენ, ხან როსტომის ჩამოსახლება ჩანს. ერთი კი აშკარაა, რომ პირველი შტო ბოლომდე არ გაჰყოლია და იგი რამდენჯერმე შეცვლილა. ახალი შტო ახალი დინასტიით დაწყებულა. მეჩვიდმეტე საუკუნემდე აქაური ერისთავები, როგორც აღვნიშნეთ, იხსენიებოდნენ ლარგველ, ქვენაფნეველ, ან გირშელ ერისთავებად (სოფელი ფნევი, ლარგვისის ქვემოთ, ქსნის მარჯვენა ნაპირზე) და სხვა. მეჩვიდმეტე საუკუნიდან კი ისინი გარკვევით ქსნის ერისთავებად იწოდებიან. ფნევი და ლარგვისი დაუტოვებიათ და ახალგორში ჩამოსახლებულან, აუგიათ ციხე-ქალაქი და ხეობა ბარიდან დაუკეტავთ.

ქსნის საერისთაო სრულად მეთოთხმეტე საუკუნეში ჩამოყალიბებულა და, გარდა საკუთრივ ქსნის ხეობისა, მას ეკუთვნოდა ისროლის ხევი (მეჯუდის ხეობა), ჟამური, ქნოღო, მაღრან-დავალეთი, თრუსო, აწრიხევი (პატარა ლიახვი), ღუდა, მლეთა, არახვეთი, ხანდო, ყანჩაეთი, ტირიფონის მრავალი სოფელი (ტყვიავი, კარალეთი, მეჯვრისხევი, არცევი, კირბალი, და სხვა). როგორც ვხედავთ, ქსნის საერისთაო შეჭრილია საამილახვროში (რხეულა, კასპი, ტირიფონა), საარაგვოში (ღუდა, მლეთა, არახვეთი, ხანდო და სხვა). ეს კი გამუდმებული საბაბი იყო ერისთავთა და ამილახვართა ურთიერთ რბევისა. ქსნის ერისთავი ხან ამილახვარს უთანხმდებოდა და არაგვის საერისთაოს არბევდა, ხან არაგვის ერისთავთან შეთანხმებით — საამილახვროს, ხან კი სამეფო კარსაც მიუხტებოდა.

რამდენად მოუსვენარი იყვნენ ქსნის ერისთავები, ამას ერთი მაგალითიც ადასტურებს.

1569 წელს, ფარცხისთან ომის დროს, სიმონ მეფე ტყვედ ჩავარდა. სიმონის მეუღლე კავთისხევში იმყოფებოდა. „ამილახვარი და ქსნის ერისთავი მიუხტნენ დედოფალს სვიმონ მეფისასა, კავთისხევს მდგომსა და წარუხვნეს სრულიად ქონებანი და აიალაფეს, რომელი არ ჯერ იყო საყოფლად“.

ქსნის ერისთავმა და ამილახვარმა სხვა ღალატიც ჩაიდინეს...

თავადებს შეეშინდათ, მეფე სამაგიეროს გადაგვიხდისო და „ამისათვის ქართლში ვეღარ დადგებოდნენ, ჯალაბობით გაეცალნენ და კახთ ბატონს შეეხვეწნენ. და მეფემ სვიმონ იმათი ალაგი და სოფლები საუპატიოთ ბატონს დედოფალს მიართვა და ზოგი თავის ძმას ბატონიშვილს ვახტანგს მისცა“.

მეორე ცნობით, მოთარეშე ერისთავებს დედოფლისათვის დაუბრუნებიათ ქონება, არა მარტო ის, რაც წაართვეს, არამედ გაცილებით მეტი და დედოფლის შუამდგომლობით, მეფეს უპატიებია დანაშაული.

საუპატიოდ ქსნის ერისთავს ახალგორი და მეჯუდის ხეობა გამოართვესო. როგორც ჩანს, ეს ადგილებიც კვლავ დაუბრუნებიათ.

იასე ქსნის ერისთავი და ანდუყაფარ ამილახვარი თავს დაესხნენ ღაზნელებს და ამოწყვიტეს. მამული გაიყვეს: ქოლოთ-ქვიტკირი ქსნის ერისთავმა წაიღო, ნეშტი — ამილახვარმა.

ასეთი ამბები მათ ისტორიაში ხშირია. ზოგჯერ კი ქვეყანასაც ეხმარებოდნენ. 1659 წლის კახეთის ცნობილი აჯანყების მეთაურები

მაინც იბრძვის სიცოცხლისათვის

იყვნენ სწორედ შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავნი, ზაალ ანრაგვის ერისთავი და ბიძინა ჩოლოყაშვილი.

მალე ღალატმა იჩინა თავი. ზაალი ღალატით მოკლეს, შალვა, ელიზბარ და ბიძინა ყაენთან გამოცხადდნენ, სადაც ისინიც სიკვდილით დასაჯეს.

ამის შემდეგ ყაენი ხან ერთ ერისთავს დასვამდა და ხან მეორეს. ზოგს სულ ამოწყვეტდა ხოლმე. და ასე გრძელდებოდა კარგახანს. შანშე ერისთავმა თავი გამოიჩინა ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლებით. სპარსელებსა და ოსმალებს ებრძოდა. ბოლოს სპარსელებმა სძლიეს, შანშე დედა-წულიანად ხორასანში წაიყვანეს და ციხეში გამოამწყვდიეს. მერე ისევ საქართველოში გამოისტუმრეს, მაგრამ დიდხანს ვერ გაჩერდა წყნარად და ერეკლე მეორეს აუჯანყდა. მისი გარდაცვალების შემდეგ მისი ძენი და ბადიშნი მამაპაპის გზას დაადგნენ, კვლავ აუჯანყდნენ ერეკლეს. ამ უკანასკნელს აევსო მოთმინების ფიალა და ქსნის საერისთაო გააუქმა. იგი სახელმწიფო, სახასო მამულებად გამოაცხადა და თავის შვილებს დაურიგა. ქსნის ხეობა გიორგის მისცა, პატარა ლიახვის ხეობა — იულონს. ამ უკანასკნელს რეზიდენცია სოფელ ბელოთში ჰქონდა, ციხე-სასახლის ნანგრევები ახლაც კარგადაა შენახული. იულონის ბაღიდან გავრცელდა ქართლში ბოხოხა კაკალი. ეს კაკლები დღემდე დგანან ამ ციხე-სასახლის ეზოში. ამბობენ, ისინი თვითონ იულონმა დარგოო.

ერეკლემ ერისთავებს საცხოვრებლად დაუტოვა: ქსუისი, ტყვიავი, კარალეთი, რეხა, მეჯვრისხევი, ახალუბანი, სათემო და რამდენიმე სხვა სოფელი.

მაგრამ ნათქვამია: „ძაღლის კუდი ცხრა წელიწადი ყალიბში იდო, ამოიღეს და ისევ მოიკაკვაო"; ერისთავებმა არ მოისვენეს, ხან ახალციხეს სთხოვეს ჯარი, ხან ოსნი გამოუსიეს, მაგრამ 1790 წლისათვის ერეკლემ ისინი საბოლოოდ მოდრიკა, ქონება ჩამოართვა და ბევრი მათგანი დასაჯა.

— უკანასკნელ ერისთავებზე ხომ ზოგი რამ გიამბეთ. ახალგორი, როგორც ჩანს, ბოლოს მაინც ერისთავებისთვის დაუბრუნებიათ.

დაამთავრა გიორგიმ.

ბიჭები კიდევ აფოფხდნენ კედლებზე, შემოუარეს ტაძარს.

გახედეს ხეობას, გახედეს მწუხარებით, თითქოს ცხადად ემჩნე-

ოდა სისხლი ალევისა და ლომისის მთის ფერდობებს, ჟამურსა და ჩაბარუხს.

— რა ლამაზად დარჩებოდა მათი სახელი კახეთის აჯანყების შემდეგ, მერე რომ მაინც მოესვენათ და ქვეყნის გამაგრებაზე და აშენებაზე ეფიქრათ.

განა გიორგი ერისთავი, ჩვენი დრამატურგი, დავით ერისთავი — „სამშობლოს“ ავტორი, რაფიელ ერისთავი ვერ გამოისყიდიან მათ ცოდვებს?

— რაფიელი სხვა შტოა, დავითი და გიორგი კარგებია, მაგრამ მათი მალამო ვერ მოაშუშებს ძველ ჭრილობებს.

— აი, ეს ტაძარიც დანგრეული ჩანს, ნატაძრალზეა აგებული ნამტვრევი ქვით. აქ ხომ თლილი ქვით ნაშენი ტაძარი ყოფილა, ამას კედელში დატანებული დაკუთხული და დამუშავებული ქვაც მოწმობს. აი, თუნდაც კედლის კუთხეები თლილი ქვითაა ნაშენი, ზოგი მათგანი სარკმლის ქვა ყოფილა, ზოგი კარიბჭისა...

— აბა, გეყოფათ. მივხედოთ ჩვენს ბინასაც.

გავიდნენ გაღმა, მიაშურეს ქიტესას სახლს. ბარგი ჩამოიღეს. ესეც გიორგის ძველი ნაცნობი იყო და მასპინძელმა სახლის კარი ფართოდ გაუღო სტუმრებს.

მთაში დაკარგული სარკე

საღამო ჩამოწვა ხეობაში.

ჭურთასა და ქსნის შხუილით ხეობა ცათამდე აივსო. მაგრამ ერთხანს თითქოს მაინც სიჩუმემ დაისადგურა. ხმის გაცემა არ უნდოდათ ერთმანეთისათვის, ვაითუ ეს მყუდროება დაირღვესო.

შინ რომ მივიდნენ, ქიტესამ, მათმა მასპინძელმა და მეგზურმა, ამბავი დაახვედრა: ცხენები ზეგ დილიდანვე იქნებიან და როდის გახვალთ, ეს უკვე თქვენ იცითო. ერთი ესაა, ჯერ ვერ ვიშოვეთ ყველა უნაგირი ხეირიანიო.

— არა უშავს, რა, ქიტესა. იოლად გავალთ როგორმე, — გაამხნევა გიორგიმ.

— არა, ჩემო გიორგი, მთაში იოლად არ წაისვლება; შეშინებულმა ძაღლმა სამ წელიწადს მთვარეს უყეფაო, ჩემი საქმე ისეა.

— ეგ როგორ?

— ერთხელ გავიიოლე საქმე და ვინანე. იმის შემდეგ ყველა თადარიგი კარგად უნდა დავიჭირო, თორემ „პაპამ ჭამა ტყემალი და შვილიშვილებს კბილები დააჭრაო“ — ხომ გაგიგონია.

ვახტანგსა და ერეკლეს ახლა კი აუციმციმდათ თვალები და სიყვარულით შეხედეს ქიტესას. რა საჭიროა, ეს, მეორე ძია პავლე და ონისიმეაო!

— თუ თქვენ ლოგინს გაშლით, მაშინ ბურდოსა[1] და მტკველს[2] შემოვიტან აივანზე ქვეშ გასაშლელად. ისეთია, როგორც გერმა.

— ქიტესო! — ამოსძახა ეზოდან ვიღაცამ.

— რა იყო, აბრი! აქა ვარ.

— გუშინ თურმე უნაგირსა და კურტანსა კითხულობდი, უნაგირისა რა გითხრა, არა მაქვს, კურტანი კი შენი სანაცვლო იყოს.

— აი, მაგაზეა ნათქვამი: კარგი მეზობელი მზე'ხე უწინ დასანახავიაო. მადლობელი, აბრი, მადლობელი.

— მე ეგეც გამიგონია: კარგი მეზობელი ამომავალ მზესა სჯობიანო, — გაეხუმრა გიორგი.

— კაცო, ერთი კურტანი რა გახდა, რო მაგოდენი სიტყვა დახარჯეთ! — ჩაერია აბრო და ადგილზე ატოკდა, თითქოს კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ აღარა თქვა რა და გაჰყვა თავის გზას.

— კარგი კაცი სულ პატარა საქმეში გამოჩნდება, აბრო ღღეს სახლში არ დამხვდა, დადიანეთში ასულიყო, ჩამოვიდა, გაიგო, მჭირდებოდა და თვითონ მამაკითხა. ყველა საქმეში აგეთია.

— კაცსა ორი სახელი უნდა ჰქონდეს, ერთი საიქიოსთვის და ერთი სააქაოს დასარჩენადაო.

— მე მეგონა ლაპარაკი დაგავიწყდა, კარგია, ხმა ამოიღე! — გაეხუმრა შალვას ქიტესა.

მოილაპარაკეს, რომ ხვალ დილით ადრე ქიტესა ერთი ცხენით გაჰყვებოდა ცხრაზმის ხეობაზე.

ჯერ მზე არც კი ამოსულიყო, რომ ქიტესა ცხენსა კაზმავდა და თან ეხმაურებოდა თავის სტუმრებს:

— რაღა დროს ძილია, ცა ქადა-პურსა ყრის, ქვეყანა აივსო ქო-

---

1 ბურდო ქერის გალეწილი ნამჯა, მაგრამ არა დაბზეებული.

2 მტკველი — ფეტვის ბურდო (სიბა)

ნებითა და თქვენ კი ისევა ხვრინავთ! — მალე წამოხტნენ, სწრაფად გაემზადნენ სამგზავროდ.

აჰკიდეს ბარგი ცხენს, თითქმის მზად იყვნენ წასასვლელად, მაგრამ ქიტესამ ერთი აბგა ახადა ცხენს და თვითონ გადაიკიდა.

— ქიტესა, განა ცხენი ვერა ზიდავს?

— როგორ არა ზიდავს, მაგრამ ნათქვამია, აქლემს საცერი დაადეს, დაწვაო, აიღეს და ადგაო. ყველას თავისი ზომა აქვს.

ჩვენმა მგზავრებმა ქიტესას აბგა ჩამოართვეს. ცხენს ერთი ბადე ქაღალდი აართვეს და შინ დატოვეს. აბგა კი ისევ ცხენს აჰკიდეს.

მზე უკვე ამოგორდა ლომისის ქედიდან, როდესაც ისინი აჰყვნენ ცხრაზმურას ხეობას, ქსნის მარცხენა შენაკადს, რომელიც ლომისის მთიდან იღებს სათავეს. პატარ-პატარა სოფლები შეფენილია ორივე ნაპირიდან დაწყებულ ფერდობებზე. ტყის გაახოვებას აქაც თავისი უქნია. ზოგიერთი ფერდო ჩამოხრიოკებულა, ჩამოტიტვლებულა, ქსნის ხეობა მჭიდროდ დასახლებული ხეობაა. მარტო ლენინგორის (ახალგორის) რაიონში ას ორმოცდაორი სოფელია. განსაკუთრებით ბევრია სოფლები ჭურთის, ცხრაზმის და თვითონ ქსნის ზემო წელის ხეობებში. ასე, მაგალითად, ლარგვისის საბჭოში, რომელშიც ცხრაზმის ხევიც შედის, ცხრამეტი სოფელია. ქარჩოხის სასოფლო საბჭოშიც ცხრამეტი სოფელია. ბოლის საბჭოში — თხუთმეტი. მართალია, სოფლები პატარაა, ზოგან ათიოდე კომლია, მაგრამ მაინც სოფელია: ნაწილიდან ბარად ჩასულან, სოფელი დაცარიელებულა. მეურნეობის ძველი წესი მთაში დღევანდელ მოთხოვნილებას ვეღარ აკმაყოფილებს და მოსახლეობა ბარად ეშვება. ამჟამად კოლმეურნეობის ძირითადი საქმიანობა აქაც მეცხვარეობაა.

ტყე რცხილნარი და წიფლნარია, მაგრამ შეევიწროებული კია; ზემოთ და ზემოთ არყნარი და ნეკერჩხლიანი თითქმის განადგურებულა; ბევრგან ტყე წიფლითა მთავრდება და იწყება ტყის საძოვრები, ძირითადად დეგრადირებული, საკმაოდ სახეშეცვლილი; ბევრგან კორდი დაშლილა და გაჩენილა ხევები და ღრანტეები.

ლარგვისის საბჭოს სოფლებია: ლარგვისი, დაბაკნეთი, დადიანეთი, ჩოხეთი, ყველდაბა, მარტიანი, მახიარეთი, მუჯუხი, მშველიეთი, საქორეთი, თოთხთა, უკანა მხარი, უკანაუბანი, ხორბალი, ხრამის წყარო, ცხავატი, ჩიტიანი, გარუეთი, როროო.

ქარჩოხის სოფლებია: ბალაანი, დოჩიანი, ელოიანი, ჭარელთკა-

რა, ქენქაანი, მედილაანი, ოხისი, პავლიანი, თინიკაანი, ხოზუეთი, კორჭოხი, წიფთაური, გორგა, ნავიხევი, ზემო ბაგინი, ქვემო ბაგინი, კორა, ფაგოიანი, თოგოიანი, ჩიგოიანი.

ჭურთის ხეობის სოფლებია: დორეთკარი, ველისა, გავაზი, ჯორთისი, ძანგათი, კახა, კუცხოვეთი, ლევანაანი, მეწყერი, მოჭალეთი, საბარკლეთი, კოკაითა, დოღუზაანი, ჩკუნეთი, ჭურთა.

მთელი რაიონის ეს ორმოცდაორი სოფლიდან ორმოცდაათამდე ქსნის სათავის სამი ტოტის ხეობებშია მოქცეული. ეს ისტორიული წარსულითაც არის დაპირობებული. ამ სოფლებს ზედ აკრავს ზაფხულის საძოვრების დიდი ფართობები და ხშირად ზამთრის საძოვრების უქონლობის დროს იმდენ თივას და ნეკერს[1] ამზადებდნენ, რომ საქონელი (ზროხა და ცხვარი) მთაშივე რჩებოდა.

მზე გადაიხარა, როდესაც კურკუტას ძირიდან აიყარნენ და დაეშვნენ ისევ ლარგვისისაკენ.

ორი დღე მოანდომეს ჭურთას ხეობის მოვლა-დათვალიერებას.

— კურკუტას მეცხვარეებზე ლექსიც გამიგონიაო, — თქვა ქიტესამ.

კურკუტას მეცხვარეები იალბუზს მთაზე დგანანო,
დეეცა მგლების ნადირი ამ ყამად ფეხზე დგანანო,
ჩავხედე ნასარევზედა ქედა-ქედს შემოდიოდნენ.
ფეხზე ვეღარა დგებოდნენ დაგლეჯილები ყელშია,
წავედ და ბევრი ვიტირე მაგ ტიალ საირმეშია.

— იალბუზიც ზოგჯერ მაღალი მთის საერთო სახელად ჩანს, ისე, როგორც ლიახვი, არაგვი ან ალაზანი მდინარის სახელად...

ერთი შენაკადის გაყოლებით საბარკლეთამდე ავიდნენ და აქედან აჰყვნენ ფაჩურის ქედს, რომელიც სათიბ-საძოვრებითაა დაფარული.

აქედან ჩრდილოეთით ჰქმნეს პირი და გადავიდნენ ქვაყრილებით სავსე პატარა წყალგამყოფ ქედზე, საიდანაც იწყებოდა ჭურთას სათავეები, მის ჩრდილოეთით კი — ნავისხევი, ქსნის ერთ-ერთი მარჯვენა შენაკადი.

ნავისხევისა და საბარკლეთის წყლის პატარა წყალგამყოფ ქედ-

---

[1] მთის ტყეების და განსაკუთრებით არყნარების განადგურებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ნეკერს ამზადებდნენ, ტოტებს ჭრიდნენ, კონებად კრავდნენ და ფეხად (10—12 კონა) დგამდნენ, ფოთოლი შრებოდა, მაგრამ სიმწვანეს ინარჩუნებდა და ზამთარში ასეთ „თივას“ უმთავრესად ცხენსა და თხას აჭმევდნენ.

ზოგან ნიადაგი ქარს მიაქვს.

ზე ხავსითა და ლიხით დაფარული ეკლესიის ნანგრევებიც ნახეს. სამხრით კი პატარა ტბა ჩანდა, მისი ზედაპირი მზის სხივებზე ელვარებდა.

ბიჭებმა გაიწიეს, ბარემ ავიდეთ ყელის ტბაზე, ხომ ახლოაო, მაგრამ ქიტესამ სამხრეთ დასავლეთით გაიშვირა ხელი, იმ ქვაყრილებს ავლა არ უნდაო? მართლაც, აქედან დიდი ვულკანური პლატო იწყებოდა.

ფაჩურის ქედი პატარა ლიახვის და ქსნის წყალგამყოფი ქედია, კოხტად გამოიყურებოდა 3000-მეტრიანი წითელი ხატის მწვერვალი. მათ გადაღმა ლიახვი მოჩქეფს ჯერ ქნოღოსა და შემდეგ ჩაბარუხის ხეობებით. წითელი ხატის და ფაჩურის ქედის ფერდონი ამ ხეობის სოფლების ზაფხულის საძოვრებია.

— სანამ თქვენ აქ მოისაქმებთ, წითელი ხატის მწვერვალთან მივალთო...

რაკი მამამ არა უპასუხა რა, წერაყინმომარჯვებულები ჩქარი ნა-

ბიჯით წავიდნენ, მაგრამ მალე ვულკანურ ქვაყრილებს წაადგნენ, უძნელდებოდათ ქვიდან ქვაზე გადასვლა.

— მაშ რა გეგონათ, ეგრე ადვილად ივლიდით? — შემოესმათ ქიტესის ხმა, რომელიც უკან გამოჰყოლოდა.

ქიტესამ გამონახა თვალით უჩინარი ბილიკი, რომელიც ქვაყრილს მისდევდა (ამ ბილიკზე ქვები თითქოს შესწორებული ჩანდნენ, ბრტყელი ზედაპირით უცქეროდნენ ცას) და ახალგაზრდები მწვერვალის ძირში მიიყვანა, რაღაც ნანგრევებთან, სადაც ხავსიან ქვებს შორის ეყარა პატარა წკრიალა ზარები, ჯიხვისა, ფსიტისა და ნიამორის[1] რქები. აქვე ირმის ერთი ქორბუდიც ეგდო.

ვანტანგმა აიღო ზარი და დააწკარუნა.

— დადე, ბიჭო, ხატი გაგიწყრება, — უთხრა ძია ქიტესამ ნახევრად ხუმრობით. — ეგ ზარი რომ წამოიღო, სეტყვა და ქარიშხალი წამოგეწევაო, ასე ამბობდნენ ხოლმე. თუმცა მე არც წამომიღია ზარი და არც სეტყვა მომწევია, ჩემს ახალგაზრდობაში აქ ცხვარს ვაძოვებდი.

ჩვენს მთებში ასეთი ნიშები და წმინდა ადგილები ბევრია. ზედ ალაგია ჯიხვის, ნიამორის, ფსიტის, ირმის რქები. მთათუშეთში, ხევსურეთში, ოსეთში აუარებელი რქებით სავსე ბევრი ასეთი ნიშია, მაგრამ სამწუხაროდ, „ვაი-ტურისტებმა“ გაძარცვეს, ჯიხვისა[2], არ-

---

[1] ნიამორი ანუ გარეთხა — ჩვენი მაღალი მთების სილამაზეა. ამ ოცდაათი წლის წინათ ბევრი გვხვდებოდა მთათუშეთისა და ფშავ-ხევსურეთის მთებში, თერგის და ქსანის სათავეებში. ამჟამად ფრიად შემცირებულია. ფიქრობენ რამდენიმე ათეულია დარჩენილიო. ათიოდე წელია აღარავის შეხვედრია. ტანით შეტრნახევარი სიგრძისაა, იწონის 50 კილოგრამამდე, თავს უმშვენებს გრძელი, უკან გადახრილი ულამაზესი რქები, ეტანება ნიუვალ ადგილებს, ზამთრობით ტყეში ჩამოდის.

[2] ჩვენში ორი სახეობის ჯიხვია გავრცელებული. აღმოსავლეთ კავკასიონის ჯიხვი და დასავლეთ კავკასიონის ჯიხვი, საზღვარი მათ შორის მყინვარწვერის მიდამოებია. ზოგი ფიქრობს, რომ ჩვენში ერთი ჯიხვის, კავკასიის ჯიხვი, ზემოდასახელებულნი კი მხოლოდ ამის ქვესახეობანია. სიგრძე 120—160 სანტიმეტრია, წონა — 70-100 კილოგრამი, ბინადრობს მაღლა მთებში, ალპებში, თოვლის ხაზის პირას, ჩამოდის ნდელოებზე, დეკიანებში, ზამთარში ტყის ზემო-საზღვარს ეტანება.

ჩვისა[1] და ნიამორის რქები მიიტაცეს, ყანწებს აკეთებენ. ასე იქცევიან ჩრდილოეთ-კავკასიის მთებშიაც. დრო კია, ყურადღება მიექცეს ამ ბოროტმოქმედებას.

მწვერვალზე ასვლის დრო აღარ იყო და დაეშვნენ ძირს. იმ ღამეს საბარკლეთში გაათიეს ქიტესას ნათლიმამასთან, რომელიც გულღიად დახვდათ.

— დღეს მითხრეს, ქიტესამ აიარაო, გამიკვირდა, თუ ქიტესა იყო, რატომ არ შემოუხვია-მეთქი, ვიფიქრე, ან სხვა იყო, ან თუ ის იყო, ალბათ, ქნოღოში მიდის და ეჩქარება...

რასაკვირველია, მთის მასპინძლობას არა დაჰკლებია-რა. იყო ხაბიზგინები და სუფთად გამომცხვარი ქარჯინები.

საბარკლეთში ერთი დღე შეისვენეს, მოუარეს შეგროვილ მასალას და შეუდგნენ ხეობის მთავარ ძარღვს — ქსნის ხეობას, ჟამურისაკენ, რომელიც მათ აიყვანდა ყელის პლატოზე. გზა ქსნის მარცხენა ნაპირს მიჰყვებოდა და მალე მარჯვენა ნაპირზე გადავიდა.

აჰყვნენ ერთ ბილიკს და სოფელ გორგას კი მოექცნენ თავზე.

სოფელი კოპწია და კოხტაა. ქსნის მარცხენა ნაპირზე ამართულია კონუსისებრი გორაკი, ჩრდილო აღმოსავლეთიდან ასე ჩანს, დასავლეთით კი ისეთი დამრეცი არ არის, არხის ქედის ნაწილია, მაგრამ მისგანაც გამოყოფილია კონუსის ფერდოთი.

კონუსის ჩრდილო-დასავლეთის ფერდო არყნარი ტყითაა დაფარული, უფრო სწორად, არყნარი ტყის ნაშთით.

სოფლის გაშენება ასეთ კონუსებზე, რომელნიც იზოლირებულია ქედებისა და დიდი მწვერვალებისაგან, ნაკარნახევია იმით, რომ ზამთრის ზვავებმა სოფელი არ წაიღოს და არ დამარხოს.

კონუსზე კი სოფელი უზრუნველყოფილია, კონუსის ფერდა დაიჭერს თოვლს, ზვავს. ხშირად სოფელს ქედის ზურგზეც აშენებენ. ესეც ზვავის საწინააღმდეგო არქიტექტურაა.

მდინარე ქსნის სათავე ყელის ტბაა. ყელის პლატო მდებარეობს ოთხი მდინარის (დიდი ლიახვის, პატარა ლიახვის, ქსნისა და არა-

---

[1] არჩვი (ფსიტი) უმთავრესად კავკასიონის ბინადარია. მაღალ მთის ტყეებში ბინადრობს, ზაფხულში ალპურ მდელოზე ადის, ზამთარში ტყეში ჩამოდის, სხეულის სიგრძე 100—120 სანტიმეტრია, წონა 25—50 კილოგრამი. მისი რაოდენობა ძალიან შემცირდა. შედარებით ხშირად გვხვდება რიონის და ცხენისწყლის სათავეებში.

გვის) სათავეებში, დაახლოებით 2900—3000 მეტრის სიმაღლეზე: ამ პლატოზე მრავალი ჩამქრალი ვულკანის კონუსია, რომელთა შორის ცხრაზმის მესვეურის — ნეფის კალოს მარად თოვლიანი მწვერვალი გამოირჩევა (თუმცა ზოგიერთ ზაფხულში სამხრეთის ფერდობებზე თოვლი დნება. ჯერ ხეებრასავით აშრელდება და შემდეგ ღრანტეებში ჩამდგარი ზვავებიც ქრება).

მთელი პლატო დაფარულია უზარმაზარი ქვაყრილებით, ესაა ლავა, რომელიც ამ კონუსებიდან ამოიღვარა, დაფარა პლატო და შემდეგ საუკუნეთა მანძილზე დასკდა და დაიმსხვრა, მიწისძვრამ, ყინულმა, ყინვამ, ქარმა და სიცხემ თავის საქმე გააკეთა.

მთელი ეს პლატო და მწვერვალები სხვადასხვაფერია, სჭარბობს წითელი, ლურჯი, ნაცრისფერი. ერთ მწვერვალს წითელი მთაც კი ეწოდა (ოსურად სირხ-ხოხ). ნეფის კალოს ფერდობებზე და საერთოდ ცხრაზმაზე წითელი ფერი უფრო ჩვეულებრივია.

ამას ემატება ისიც, რომ აქ ქვებზე დასახლებულია მრავალნაირი ქარაგოზი (მღიერი), რომელთა შორის ჭარბობს ყვითელი, თეთრი და წითელი ქარაგოზი.

ყელის ტბა პლატოს დასავლეთ ნაწილშია მოქცეული. ყელის ტბა იმიტომაც ეწოდება, რომ მთავარი სარკედან დასავლეთით გადის შევიწროებული ნაწილით და მერე განივრდება, ყელის შთაბეჭდილებას ტოვებს. წყალი ანკარაა და გამჭვირვალე, ლურჯი. ვულკანური კონუსიდან რომ დასცქერი, გეგონება სარკეა ლოდნარში ჩაკარგულიო.

აღმოსავლეთიდან ტბას ვულკანური ქვაყრილი ებჯინება, ჩრდილოეთით გავაკებულია და დაფარულია ნესტიანი მდელოთი, დასავლეთიდან უახლოვდება ფიქლებიანი ქედი, სამხრეთითაც ქვაყრილია და ქსანი უშუალოდ აქედან იღებს თავის საწყისს: ლიახვები კი — იმ ქედის სამხრეთისა და სამხრეთ დასავლეთის ფერდობებიდან, რომელნიც უშუალოდ ემიჯნებიან ყელის პლატოს.

ყელის პლატოზე ნიადაგიანი ფართობები ძალიან მცირეა. მხოლოდ ქვაყრილების ჩადაბლებებში ქარსა და თოვლის ზვავს მოუტანია მიწა, გაჩენილა მთის თხელი ხირხატიანი ნიადაგები. ფიქლიან ქედებზე ნიადაგი უფრო კარგია და შედარებით დიდ ფართობებსაც ფარავს. სამხრეთით ლავა გადაღვრილა ქსნის ხეობაში და სოფელ ბაგინეთამდე ჩამოუღწევია. ყელის პლატოდან რამდენიმე სა-

ფალფეხო და ცხენის ბილიკი მიიმართება ზეკარებისაკენ: ერმანისაკენ, დიდი ლიახვის საოავეებისაკენ, ქნუღისაკენ (პატარა ლიახვი). აქეთ ქსნის ხეობის ზეკარს ეამურის ზეკარი ეწოდება. არის ზეკარი ჩრდილოეთითაც, თერგის სათავეებისაკენ, თრუსოს ხეობაში. ზეკართა სიმაღლე სამი ათას მეტრამდეა, ზოგიერთი მათგანი მეტიცაა.

მეოთხეულის დასაწყისში ვულკანური ლავები ამ პლატოდან გადაიღვარა ხეობაში და მეორე ქსნის ხეობაში, რომელზედაც ამჟამად მოსახლეობს ზემო ბაგინი და ქვემო ბაგინი.

პატარ-პატარა ნაკვეთებზე, რომელზედაც ნიადაგია გაჩენილი, შეიძლება ვნახოთ დედოფლის თითა, პატარაფოთლება ფესვმაგარა, ქუდუნა, სტევენის ბაბუაწვერა, თავყვითელა, ალპური ტიმოთელა, მარკოვიჩის ცახცახა, რუპრეხტის წივანა და სხვა.

არის ამაზე უფრო პრიმიტიული დაჯგუფებაც, ასე ვთქვათ, ახალმოსახლეობა, სადაც ქუდუნა, მთის მრავალძარღვა, პატარაფოთლეა ძირმაგარა, ბუსუსტანა, დედოფლის თითა ან ქარცხვია და მათ შორის თავისუფალ ადგილებზე კი ქარაგოზი — ირმის ხავსი. მარცვლოვანებით გამდიდრება ასეთი ჯგუფებისა დაკორდების შემდეგი საფეხურია.

ფიქლებიანი ქედი უფრო მდიდარია მცენარეულობით, მისი ფერდონი ძირს, ლიახვების ხეობაში, დაფარულია ტყით, მაღლა კი სუბალპებისა და ალპების მდელოებით, თუმცა ექსპოზიციის მიხედვით საკმაოდ დიდ განსხვავებას ვხედავთ, ჩრდილოეთის ფერდოზე სჭარბობს ძიგვიანი, სამხრეთისაზე კი პატარა წივანიანი, რომელშიც ცოტა არ არის ბექონდარა, ერთ-ერთი ნიშანი საძოვრების დეგრადაციისა.

ვულკანის ლავას დიდი ლიახვის ხეობისაკენ გადაულახავს ფიქლიანი ქედი და ჩაღვრილა ზღვის დონიდან 1600 მეტრის სიმაღლემდე.

კლიმატი ამ პლატოზე საკმაოდ მკაცრია, მემდელოობის სამხრეთ ოსეთის სტაციონარის დაკვირვებით იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ საშუალო დანალექი 1100-1200 მილიმეტრია, ზაფხული ერთი თვე გრძელდება, ალპურ ზონაში ამდენიც არა. სტაციონარის მიდამოებში თოვლი მოდის ნოემბერ-დეკემბერში, მაღლა მთებში — 2710-3000 მეტრის სიმაღლეზე კი უფრო ადრე, შუა ზაფხულში ოშვიათი არაა თოვლჭყაპი და თოვლიც.

ხევებში თოვლი აგვისტომდე არა დნება, ღრმა ხევებში კი გადნობასაც ვერ ასწრებს.

თვითონ ზეგანზე შეკრულ ცენოზებს, ე. ი. დაკორდებულ მდელოებს, მთლიანად მცენარით დაფარულ ადგილებს დიდი ფართობები არ უჭირავს, უფრო ჩვეულებრივია ალპური ხალები, სადაც დამკორდებელ მცენარეებს ხშირად ენაცვლის მარმუჭი და ფესვმაგარა, მათ მიწის ქვეშ ძლიერად აქვთ ფესვები გადგმული და კრავენ მიწას. მიწის ზევით კი გადაფარებულია მწვანე საფენი, რომელიც დამშვენებულია ლამაზად მოყვავილე მრავალხაირი მცენარით. აქაა: ცისფერი ალპური ვარსკვლავა, ლურჯი სამკბილა, ქარცხვი და კიდე-მთლიანი ქარცხვი, ყვითელფურცელა ქუდუნა და ბაია, თეთრყვავილა სამყურა, პირისფერი ნემსიწვერა, ნაღველასებრი მკერვალა, კავკასიის ბაია, მთის ყაზახა, განიერფოთოლა ღვინა, ფრინტა, ალპური მარწყვა-ბალახი, კავკასიის ნაღველა, პირინეის ლაქვარდი ნაღველა, ცისფერი კესანე, ყვითელი და პირისფერი ფურუსულა, ნაზი კავკასიური კვლიავი, სტევენის ბაბუაწვერა, ოქროსყვავილა, რუდოლფის ირაგა, თეთრა. აქა-იქ, ამათ შორის მარცვლოვანებიც ჩანან: ალპური ბარბაცა, კავკასიის კეწეწურა, ალპური თივა-ქასრა, ძიგვა, ალპური ტიმოთელა, მთის წივანა, კავკასიური ისლი, მთის ისლი და სხვანი.

ამ ალპურ ხალებზე 200-მდე სახეობის ყვავილოვანი მცენარე გვხვდება. გარდა უმაღლესი მცენარეებისა, დიდი რაოდენობითაა ქარაგოზები (მღიერები) და ხავსები. ქარაგოზი დასახლების პიონერია და ხშირად ზოგიერთი ლოდი მრავალფერადაა აჭრელებული სხვადასხვანაირი ქარაგოზით.

ჯერ პლატოზე არც კი იყვნენ ასული, რომ ქვებში ჩამჯდარი ერეკლე გაჰკიოდა: მოდით, ქონდარა ტყე გაჩვენოთო.

მივიდნენ და ნახეს, პატარა ნაკვეთზე, ქვებს შორის ბიბინებდა მოცვი, სელშავი და შურთხის ბალახი (დრიასი).

როდესაც აიმაღლეს და პლატოზე გავიდნენ, მათ თვალწინ გადაიშალა უზარმაზარი ლოდნარი, რომელსაც წითელი და ნაცრისფერი დაჰკრავდა; კავკასიონის ქედი თავის ცხრაზმით, წითელი ხატით და ამ ლოდნარში ჩაკარგული ყელის ტბით. იგი კრიალა სარკესავით ელვარებდა და კი არ ჩაეხუტებინა, თავის მკერდში ჩაედგა ვულკანური კონუსები, რომლებიც გარს ერტყა.

სამხრეთის ნაპირს მიჰყვნენ, ლოდნარებში გზის გაკაფვა ჭირდა,



ჩამოხრიოკებულ ადგილებზე პირველ რიგში მუზარადა სახლდება

მაგრამ მაინც ხალისით მიდიოდნენ. თავზევით რაღაც ხრიალი მოესმათ, გეგონება ცხენის რემამ გადაირბინაო. „ჯიხვებია“, — თქვა შალვამ. მაგრამ თვალი ვერას მოჰკრეს. გაჰქრნენ მოჩვენებასავით და ბიჭებს „ჯიხვები“ ჩარჩათ მეხსიერებაში, როგორც მთაში გადარბენილი ხმაური და ქვების ხრიალი.

— წელან რომ შურთხები[1] აფრინდნენ, სწორედ მაგათ დარაჯობდნენ.

ახლო იყო ლიახვის სათავეც. ახალგაზრდებმა ვერ მოითმინეს, სირბილით წავიდნენ სამხრეთისაკენ და მალე გადაიხედეს ორმოსავით ჩაკიდულ ქნოღოსა და ჩაბარუხის ხეობაში. მოჩანდა ლიახვის ხეობის მთის სოფლები: ქნოღო, ბოლაანთკარი, სუათა და სხვები, რომელნიც შეჰყუჟოდნენ თითქოს ციდან დაკიდულ ფერდობებს.

---

[1] შურთხი გვხვდება იქ, სადაც ჯიხვები ბინადრობენ, 2000—4000 მ. **შორის.** იკვებება ბალახით, მწერით, ნაყოფით. ზამთრობით ტყეში ჩამოდის და იქ **ცხოვ**-რობს. ჩვენში გავრცელებულია კავკასიური შურთხი.

მაღალმთის ტყე, არყნარი, ფრიად და ფრიად გამეჩხერებული ჩანდა, ცხადია, იგიც მალე მოისპობა.

მათ გვერდით და მაღლაც დეკიანებია.

ლიახვის ხეობაში ბევრია დეკიანები, განსაკუთრებით ჩრდილოეთისაკენ მიქცეულ ფერდობებზე. იგი ისეთი ხშირია, რომ კაცს ამ ბუჩქნარში სიარული უჭირს, საძოვრად, რასაკვირველია, იგი გაბოყენებული არ არის. ჩვეულებრივ, დეკიანი ისე ხშირია, რომ მასში სხვა ბალახი ვეღარ იზრდება. თითო-ორ-ოლა გვხვდება: გვიმრები, ლიკოპოდიუმი, ეოლო, წითელი მოცვი, სელშავი, მაჯაღვერი, მჟაველა, ცირცელი, ალაგ-ალაგ გამეჩხერებულ ადგილებში ჩვეულებრივია: ძიგვა, ალპური ტიმოთელა, ნაირფერი შვრიელა, შებუსკვილი შვრიელა, ჭაღარა სამყურა, კვლიავი, პირისფერი ღიმი, დიდფოთოლა ბარისპირა, ციურა, ალპური კესანე, ბრძამი. და ალპებისათვის ჩვეულებრივი სხვა მცენარეები.

მზე უკვე გადაიხარა, შინისაკენ რომ წამოვიდნენ. მაგრამ უცებ სრულიად მოწმენდილი ცა, უფრო ცის ნაწილი, ჩრდილო მხარე, ღრუბლებმა დაფარა. დასავლეთით მზე ისევ კაშკაშებდა. ატყდა ელვა-ჭექა, ქუხილი და გრგვინვა, ამოვარდა ცივი ქარი.

— აბა, წერაყინები აქ დააწყვეთ, სწრაფად, წამოხრილი ლოდისაკენ! —-გასცა განკარგულება გიორგიმ, მაგრამ ლოდამდე მისვლა ვერ მოასწრეს, მსხვილმა წვიმამ და ხოშკაკალამ წამოუშინა. ცივი ქარისაგან ლოდი იფარავდა და რადგან იგი ოდნავ გადმოხრილიც იყო, სეტყვამ და წვიმამაც ბევრი ვერა დააკლო რა, წინ ლაბადები აიფარეს და გაიტრუნენ.

ახლაღა მოაგონდათ, დილას ქიტესა რომ ამბობდა: „წამოვალ, ერთი ცხენით ნაბდებსა და საგზალს წამოვიღებო“, მაგრამ უარი უთხრეს.

— ეახტანგ, როგორ იყო „კარში გასული კაცი ქვაზე მაგარიაო“, რო ვუბნებოდი დილას ძია ქიტესას? —- ჩასჩიებოდა ერეკლე.

— რა ვუყოთ, ერთი ალილუია მღვდელსაც შესცდებაო.

როგორც უცბად მოიღრუბლა, ისე უცბად მოიკრიალა ცამ, დაიკარგა ღრუბლები, მთის წვერებზეღა მოჩანდა ნისლის ქულები ცხვრის ფარასავით.

მცირე რაბ ნისლის ნაწყვეტი
მთას ეკრა ბუმბულივითა,
შეენოდა ფიქრებში გართვა,
მინდორზე სუმბულივითა.

ვერ მოითმინა ვახტანგმა და „ჩაუვაჟავა“.

ხევებში ჩაწვა ნისლები
განზე გაყრილან მთანია,
ერთურთზე მიძალებულნი,
როგორც ერთგული ძმანია.

არ ჩამორჩა ერეკლე.

არც გასაკვირია, ყველა ნაბიჯი მთაში ვაჟას მადლიანი კალმით დახატულ სურათს აგონებდათ.

— აბა, დროა, გზას გავუდგეთ.

როდესაც ქსნის ხეობისკენ გადმოიხედეს, მათ წინ ორმოსავით დაკიდული ღრმა ხეობა გამოჩნდა. დაჰყვნენ ჭრელი წივანით დაფარულ დამრეც ფერდას და მიუხედავად იმისა, რომ ჭრელი წივანის კორდებისაგან თავისებური ოროკოები იყო შექმნილი და ფერდა დაკიბულსა ჰგავდა, ფეხი მაინც უსხლტებოდათ. საჭირო იყო ფრიად ფრთხილი სიარული, თორემ შეიძლებოდა ქვაყრილზე დაცურებულიყვნენ და ეტკინათ რამე.

როდის როდის გამოჩნდა სოფელი გორგა.

ბანზე ვიღაც გადმომდგარიყო და სათავისკენ იცქირებოდა:

— ქიტესაა, რა საჭიროა!..

მართლაც ბანზე გადმომდგარი სწრაფად დაეშვა ძირს და ჩაჰყვა ფერდოს.

შუა აღმართში შეხვდა გაწუწულ და გალურჯებულ მგზავრებს, უთქმელად ჩამოართვა ბიჭებს აბგები და გაუძღვა წინ.

მასპინძლებს შუაცეცხლი გაეჩაღებინათ უკვე. შუაცეცხლზე ორი უზარმაზარი ხე იდო, „დაჭრა რა საჭიროა, თავი რომ დაეწვის, ბერკეტით მივწევთო“.

რა ტყე გაძლებს ასე, რვა-ცხრა თვე ცივა, ცეცხლი მუდამ უნდა ენთოს, და ამიტომაცაა, რომ სოფლის მახლობლად ალპური ტყე აღარცაა.

შეცივნებულებმა მალე გამოიცვალეს ტანისამოსი. ერყის ხის

გუზგუზა ცეცხლმა და ერბოში დაბრაწულმა ხაბიზგინებმა მალე გაუთბო გვერდები.

მასალა დასველებულიყო, ახალ ქაღალდებში გადააწყვეს და არა დაუშავდებოდა რა.

როგორც სოფელი გორგა, ისე ბაგინები ყელის ტბის პლატოდან გადმოღვრილ ლავაზეა გაშენებული, ლავა, როგორც ჩანს, აქ გაჩერებულა.

ქამურის სოფლების უმრავლესობა ტყის ზემო და ალპური ტყის ზონაშია მოქცეული.

მეორე დღე არხის ქედის შესწავლას მოანდომეს; მწვერვალის სიმაღლე სამი ათას მეტრს აღწევს და ალპური მცენარეულობითაა დაფარული — ფერდოთა დიდი ნაწილი კი სუბალპურ მდელოებს უჭირავს.

პირველ რიგში სუბალპების ტყე მოინახულეს. სოფ. გორგასა და სოფ. ზემობაგინის მიდამოებში გავრცელებულია არყნარი, აქ ფერდო ფრიად დამრეცია, 35° მაინც იქნება, ტყე ლიტვინოვის არყისა და მეჭეჭიანი არყისაგანაა შექმნილი, დიდი რაოდენობით მორევია ტირიფები, განსაკუთრებით მდგნალი. ქვეტყეში აღინიშნება იელი, ხუნწი, ჟოლო. ბალახეული საფარი ძლიერია, ხშირად თავისებურ მაღალ ბალახეულობას ქმნის, ჩანს, ამას ხელი შეუწყო ტყის გამეჩხერებამ, ან ტყე როგორ არ გამეჩხერდება და მოისპობა, როდესაც ყოველ საღამოს ერთი ოჯახის შუაცეცხლს ორი-სამი არყის ხე სჭირდება. ასეთივე ტყეა მოპირისპირე ფერდოზე. ეს ტყე საინტერესოა აგრეთვე იმითაც, რომ აქ კოლხური ელემენტებიც გვხვდება: დიდი მზიურა, ანუ დიდი კულმუხო, დიდფოთლება გვირილა, კენკეშა და მისთანანი საკმაოდ ხშირია. ამ მცენარეთა აქ არსებობა იმაზე მეტყველებს, რომ ეს ტყეები გაცილებით უფრო მდიდარი იყო, ვიდრე დღესაა. ამ ტყეთა დასაცავად თუ ზომები არ იქნა მიღებული, რასაკვირველია, მალე დაიღუპება და მათ გადაჰყვება კენკეშაც, გვირილაც და მზიურაც.

როდესაც მაღალბალახეულობას შეუყვნენ არხის მწვერვალისაკენ, უცბად ვახტანგის ცხვირწინ რაღაც ამოენთო. შავი მუგუზალივით იყო, თითქოს ორივე მხარეს ცეცხლი უღვიოდა. ვახტანგი შეკრთა და ჩაიკეცა. შავი მუგუზალი კი ჭახჭახით ხევს გადაევლო და იქ, კულმუხიანებში ჩაჯდა.

როჭო ჩვენი სუბალპების მშვენებაა, იგი 3000 მეტრის სიმაღლემდე ბინადრობს. ეტანება უფრო დეკიანებს. მაისში 5-10 კვერცხსა დებს და ოცდასუთი დღის შემდეგ ჩეკს წიწილებს, იკვებება ბალახით, ბალასის ნაყოფით, მწერებით. ჩვენში კავკასიური როჭო გვხვდება.

ძნელი სანადირაა, მაგრამ მაინც სასტიკად უნდა იყოს დაცული.

არხის ქედს ნელ-ნელა აჰყვნენ და 2500 მეტრის სიმაღლეზე ერთ კარგად შენახულ მდელოს ჩაუსხდნენ. სჭარბობდა მარცვლოვანები: შვრიელა, მაღალი შვრიელა, ჭრელი შვრიელა, საშუალო შვრიელა, გრძელი კეწეწუა, კავკასიის კეწეწურა, ბრტყელფოთოლა ნამიკრეფია, ჭაღარა სამყურა, ორსახა სამყურა, ქართული ნემსიწვერა, კავკასიის კვლიავი, დიდყვავილა ბარისპირა, დაბალი ნაღველა, ფამფარა, თაკდახვეული ნარი, ბალანსის ყვავის ფრჩხილა, ორმაგ შეფოთლილი ფოლიო, ალპური კატაბალახა, ფიშერის ღიღილო, ცვალებადი ცერცველა, ბანჯგვლიანი ლომისკბილა, წითელი გვირილა, ალპური მატიტელა, მთის მაჩიტა, და სხვა მრავალი. როგორც ამ სიიდან ჩანს, მდელო მეტად ლამაზია, მრავალნაირი ფერადი ყვავილით დამშვენებული. მაგრამ ყველგან ასე არ არის. ალაგ-ალაგ ცხვარ გადავლილია და არც ხეიოი დაუკრია, ბევრგან ფესვის ყელამდეა ბალახი მოკვნეტილი. მთელი ქსნის ხეობის ცხვარი აქა ძოვს. ბევრია დასარევლიანებული მდელოები (მარმუჭით, ბექონდარათი), ბევრია მეორადი მდელოები, როგორც ჩანს, განსაკუთრებით ძლიერდება ქიგვიანები.

როდის როდის ჩამობრუნდნენ თავის ბინისაკენ.

დილა გათენდა, მაგრამ რა?

ქედიდან ქედამდე ცა შეკრული იყო, ნისლი ჩამოწოლილიყო და ჟინჟლავდა შემოდგომისპირივით. გიორგიმ ქიტესას გადახედა.

— არა, გიორგი, ვერ წავალთ, ეს ჟინჟღლი დილას თქრო იყო, აი, ხედავ, როგორ მატულობს, ნეტავ დელგმად არ გადაიქცეოდეს, გვიან მომდარებელ წვიმად. დე, ისხარად[1] იქცეს, ადრე გამოიდარებს; თუმცა არც მაშინ წაისვლება; სანამ ქსანი არ ჩამოწკნება, ფეხს ვერ მოვიცვლით...

— ალბათ, ღვარცოფებიც ეცოდინება.

---

[1] ისხარი — დიდი წვიმა, ადრე მომდარებელი (საბა).



ასოები საფარი ზოლით.

— მაგას ხომ ნუ იკითხავ, გვერდის წყლები ახლა ტალახად არის ქცეული, ღორწყალი და ღვარცოფი ხომ ამათი მოგონილია.

— რა უშავს, ძია ქიტესა, თქვენ არა თქვით: კარში გასული კაცი ქვაზე მაგარიაო.

— ისიც ვთქვი, მოჩქარეს მოუგვიანდესო. ესეც ხომ გაგიგონია: აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამიაო.

— ვისაც კი მოუჭამია, იმასაც დაუნანია, — დაამთავრა ვახტანგმა.

— თუ ეგეც იცით, რაღას მედავებით? — გაეღიმა ქიტესას.

ერდოს წინ ვეება თართი[1] რამდენიმე ციბას ეთამაშებოდა. სად იყო, სად არა, უზარმაზარი პარეხი გამოხტა და ეძგერა თართს. ორივე ძაღლი შეიტოტა, წინა ფეხები მკერდზე მიაბჯინეს ერთმა-

---

1 თართი — დიდი ძაღლი, ციბა — მოზრდილი ლეკვი, პარეხი — ბანჯგვლიანი ძაღლი.

ნეთს და შეღრინეს, ციბამ წკმუტუნი დაიწყო. ორივე მოჩხუბარმა გადახედეს, დაკუმეს დაღრენილი პირი და ოთხზე დადგნენ. პარეხი გაბრუნდა და პატარა ეზოს განაპირას დაწვა.

მალე მსხვილმა წვიმამ წამოუშინა. მეტი ძალა არ იყო, მიუბრუნდნენ მასალას, გადაალაგ-გადმოალაგეს. თან გიორგიმ ისარგებლა და უამბო, რომ ჩვენმა მიკოლოგებმა, სოკოების სპეციალისტებმა, შეისწავლეს ქსნის ხეობა და ჯერჯერობით 473 საპროფიტი და პარაზიტი სოკო აღმოაჩინესო. ამათი მკვებავი ყვავილოვანი მცენარეებია 388 სახეობა. წიფელზე სოკოს 14 სახეობა აღმოჩნდა, მუხაზე— 10, თელაზე — 8, თუთაზე — 8, კუნელზე — 7, მსხალზე — 7, ტირიფზე — 7, მურყანზე — 6, ბალზე — 6, ხორბალზე — 6, ჭინჭარზე — 5, ქერზე — 4 და სხვა. საქართველოსთვის ამ ხეობაში პირველად აღნიშნულია 40 სახეობა.

გიორგიმ ჩამოთვალა აგრეთვე ის კულტურული მცენარეები, რომელიც ამ მთიან მხარეში ითესება. მართალია, აქ ძირითადად მეცხვარეები სახლობენ, მაგრამ ხვნა-თესვას მაინც მისდევენ.

მთაში ითესება ოთხრიგიანი ქერი — მარათი ქერი, ახალთესლი ქერი, ჭვავი, დიკა მრავალნაირი (წითელი დიკა, თეთრი დიკა, შავი დიკა), ცოტა ქვევით, დოლის პური, ჩაგვერა დოლის პური, ასლი. ბოსტანში ხომ ბევრნაირ მწვანილს ნახავთ, მაგრამ ცოტ-ცოტას, მეტი ადგილი არა აქვთ. აქაა: ხახვი, ნიორი (მთავარია), ცერცვი, ოსპი, მუხუდო, ცულისპირა. სარეველებიდან გადმოუტანიათ ნარბონული ცერცვი და ბოსტანში ჩანს ალაგ-ალაგ (მოშინაურების ერთ-ერთი ეტაპი) ტყიდან ამოტანილი აგრეთვე ხუნწი და ჟოლოც. მაგრამ ასეთი ბოსტნები უფრო ხშირია მთიულების სოფელში.

— რქამოტეხილი ჯიხვის ამბავი გვითხარი,

შესთხოვეს გიორგის ბიჭებმა.

— რამდენჯერ უნდა გიამბოთ?

— ქიტესამ არ იცის, ისიც დაგვიგდებს ყურს.

— ჰო, ჰო, შენ ბევრი ამბავი იცი და აბა ერთი დაიწყე. ასეთ ადგილას ზღაპარი სწორედ მისწრებაა.

მეტი ჯანი არ იყო, მოჰყვა გიორგი რქამოტეხილი ჯიხვის ამბავს.

გიორგიმ დაიწყო:

ჩემმა ქარავანმა განვლო სოფლები: ფშაველი, ლეჩური და შეუდგა მჩქეფარე და დაუდეგარ, ადუღებულ რძესავით მოქათქათე ხტორის ნაპირას გაჭრილ ვიწრო ბილიკს. ქარავანი-მეთქი, ხუმრობა არ გეგონოთ. მართლა ქარავანია — ცხრანი ვართ, თექვსმეტი ცხენი გვყავს.

ქარავანს წინ სამსონი მიუძღვის, ბოლოს პავლე მოსდევს, შუაში ლაზარე და კიმო არიან. პავლე წოვა-თუშია, დანარჩენი ჩაღმებია და ერთმანეთს არ ასვენებენ, ექილიკებიან. პავლე ჩაღმებს თუშებად არ თვლის, — თუში მე ვარო, ჩაღმებს ეს სიცილად არ ჰყოფნით: ნამდვილი თუშები ჩვენ ვართო. მთელ ზაფხულს ვერ მორჩნენ დავას, ერთმანეთს ეარაკებიან, აი, ერთი არაკიც:

ალაზნის პირას ჩაღმებს დაედოთ ბინა და ცხვარს ასვენებდნენ. თურმე; გზაზე ახალი ფარა დაინახეს. აგერ თუშები მოდიან კიდეო, — სთქვა ერთმა, — თუშები კი არა, წოვებიაო, — უპასუხეს სხვებმა. ახლა მომავლებმა დაინახეს დაბინავებულნი და თქვეს: — თუშებს ბინა დაუდვიათო. — თუშები კი არა, ჩაღმებიაო, — უპასუხა თურმე მეორემ. და, აი, ესე უმასპინძლდებიან ერთმანეთს არაკებით, მაგრამ ეს შეჯიბრი კეთილ, გულიან ხუმრობას ეარადროს გასცილებია.

ქალაქელები ხუთნი ვართ. შვიდ ცხენს ჩვენი ბარგი ჰკიდია. ლაზარე და კიმო ხშირად დაქვეითდებიან ხოლმე და უკივიან კლდეზე გადამდგარ ცხენს. აი, ერთს კიდეც დაუსხლტა ფეხი, სტორის კლდეზე გადაეკიდა. ლაზარე ცხენიდან კი არ გადმოხტა, ეფრინდა... აფრინდა და თვალის დახამხამებაზე განწირულ ცხენთან გაჩნდა, კუდში სწვდა. ცხენიც მოწყდა კლდეს და უკვე ნელა, ლაზარესთან ერთად დეშვა მდინარის ნაპირისაკენ. ცხენი კანკალებდა, თრთოდა. შევასვენეთ და ხუთმა-ექვსმა კაცმა რის ვაი-ვაგლახით ამოვიყვანეთ, ბილიკზე დავაბარგეთ. ლაზარემ, გონზე მოვიდესო, საბელი შეაბა, წინ გაუძღვა. ახლაღა ვიფიქრე, რომ შეიძლებოდა ჩემი ცხენიც დაგორებულიყო.

— შენი ცხენი ნუბაზე მიუშვი, გამოცდილია, ნუ გეფიქრება, თითქოს ჩემი ფიქრი გაიგო, გამომძახა სამსონმა. სიწითლემ გადამ-

კრა: ეს როგორ მომივიდა, — გავიფიქრე — ცხენი ხომ ჩემთვის უცხო არ იყო. რაღას ვიზამდი, ნაძალადევი ღიმილით თავი დავუქნიე და სტორის აქოჩრილ ტალღებს მაინც გავხედე. მთაში, ხევებში, დაგროვილი თოვლი დნებოდა და სტორი ბობოქრობდა, ღრიალებდა, ყეფდა, კაპასობდა...

ვიწროა სტორის ხეობა, შვეულად დაშვებული მთის ფერდო, უფრო კი კბოდე, პირდაპირ მდინარის პირას არის მომდგარი, განსაკუთრებით მარცხენა ნაპირზე. მის ზემო მხარეს თვალი რომ აუწვდინო, ქუდი გადაგივარდება. მთა შვეულად ან კიბე-კიბედ ეშვება და რამდენიმე ოროკოს ჰქმნის, ხოლო ოროკოებზე უზარმაზარ ხეებს მოუკიდიათ ფესი. ორმოცი-სამოცი მეტრის სიმაღლის წიფელი, ცაცხვი და იფანი აშრიალებენ თავის ხშირ ფოთლებს. ლეჩურთან მოთავდა ალაზნის პირის თავისებური ჭალა. ის ხომ კოლხური ტიპის ტყეა, იშვიათი ნაშთი ძველი ტყისა აღმოსავლეთ საქართველოში. აქ შესანიშნავი ლაფნარია, ლალისყურთან კი ძელქვიანია, ლენქორანის კვალიც ჩანს. ჩვეულებრივი სუროს გარდა თალიშური სურო წიფლის ტყეს კარგა შორს მისდევს. ქართული მუხა, იქ, სადღაც ლეჩურთან, შეცვალა რცხილამ და იფანმა. აქ კი შესანიშნავი წიფლნარია. ოცდაათი-ორმოცი მეტრის სიმაღლის ხეებს მხოლოდ წვერზე აქვთ მოდებული ქოჩორი. ზოგან ბილიკი მაღლა იწევს და ამ უზარმაზარ წიფლებზევიდან დავცქერი. ამ დროს სტორს ვეღარ ვხედავ, ვუსმენ მხოლოდ. მაღლიდან, თითქოს ციდან გადმოჰქუხს ჩანჩქერი, ისიც ტეხილია ოროკოსავით, თვითეული საფეხურის შუბლი ორმოცი მეტრი მაინც იქნება. ძირამდე ჩანჩქერის წყალი კი არა, წყლის მტვერი ჩამოდის და მზის სხივებზე ფერებს ნაირნაირად ამტვრევს.

მზე საშუადღეოზე იყო ამოწეული, როდესაც თორღვას აბანოს მოვაღწიეთ. ჯერ ზაფხული ძალაში არ იყო შესული, მაგრამ თითოეროლა კარავი მაინც მოჩანდა. თორღვას აბანოს დიდი სახელი აქვს კავარდნილი: მრავალ სენს ჰკურნავს თურმე და ზაფხულობით აქ კაცი კაცს ფეხს ვერ აუქცევს. სამკურნალოდ მოდის თუში და კახელი, ქისტი და ლეკი....

— ცხენებსაც არგებს შესვენება და ჩვენც, — გამოაცხადა სამსონმა. წიფლის ჩრდილებში შევაყენეთ ცხენები, მოვხსენით ბარგი, შეკაზმულობა და გავუშვით მწვანე ბალახზე.

ჩვენც გავმართეთ მუხლი.

თორღვას წყاროსკენ გავეშურეთ. ცხელა. გამოსჩქეფს კლდიდან დაუსრულებელ ნაკადად მომავალი დიდი სიმდიდრე ჩვენი ქვეყნისა. ეს ქეჩის კარვები და ნეშოს ქოხები ხომ ბალნეოლოგიური კურორტის წინაპარნი არიან — დასაწყისი, სათავე. ალბათ, ამ ფერდობებსაც მალე დაამშვენებს ლამაზი შენობები.

მზე უკვე გადახრილი იყო, როდესაც კეპნების ბილიკს შევუდექით. ეს ბილიკი კი არა, ეშმაკის კიბეა, წვერამახვილებულ კლდეთა შორის ღარივით რომ მიდის, ცხენები ხვნეშით, ოხვრითა და ფრუტუნით მიიწევენ ზევით, სულ ზევით... თუ გაუჭირდება ცხენს, შეფერხდება ან გადაიხრება უფსკრულისაკენ, თუში შეუკივლებს ერთორს და ისიც გაისწორებს ნაბიჯს, ავარდება შედარებით „სწორ“ ადგილზე და გაჩერდება, ქარს ამოიღებს, დიდხანს აღარ დააყოვნებს — კვლავ მიისწრაფვის ზევით, თიოქოს ცისკენ.

ფეხდაფეხ მივდევ ჩემს ცხენს, მეც თუშებს ვბაძავ. კარგი მხედარი დაღმართზე ცხენზე არ შეჯდება, არც მეტისმეტად უჯიათ აღმართზე. უკან უნდა მისდიო და ხმით გაამხნევო. მაგრამ, ვგონებ, მე ჩემს თავს უფრო ვამხნევებ, ვიდრე ჩემს საღარს.

ერთ გზაწვრილზე მთათუშეთში მიმავალი ოჯახი წამოგვეწია. თუშს ორი სახლი აქვს (ჩაღმას): ერთი მთაში, ერთი ბარად, ძირითადად — ქვემო ალვანში. თითო-ოროლას ლალისყურესა და ფშაველში შეხვდებით. პანკისის ხეობაშიც შემოგვხვდნენ მგზავრები — ათიოდე ცხენზე დიაცები სხედან, ვაჟები ფეხდაფეხ მოსდევენ. ერთი ქერაულვაშიანი ვაჟკაცი დიაციან ცხენს თავს ევლება. აი, თურმე რაშია საქმე! ცხენზე გადაკიდებული ხურჯინის ორივე მხრიდან თავი ამოუყვია ორ მაყვალთვალება ბალღს. პირველად ვხედავ ასეთ მგზავრობას, მიკვირს. თანამგზავრები მიამბობენ: ამ ორიოდე კვირის წინათ შენაქოელ დედას ბალღებიანი ცხენი გადაუვარდა სტორის ბილიკიდან. დედამ აღვირს არ უშვა ხელი, თან გადაჰყვა და ცხენი შეაჩერა. მოხდა საოცრება: ბავშვებიც გადარჩნენ და დედაც.

როგორც იყო, „ავივაკეთ“.

ცხენებზე შევსხედით და, მზე რომ ჩაიწვერა, ალატოვანზე ავედით. აქ უნდა ვათიოთ ღამე. მთაში ღამე არ მგზავრობენ. საღამოა და სამშვიდობოზე ჩასვლას ვერ მოვასწრებთო, მოვხადეთ ბარგი, საკაზმი. აქ კი ნამდვილად ვშველი, ცხენის ყადრი გამეგება. მე ხომ ძველი

...ნასალდათარი" ვარ, კი ხანს ზარბაზნის ძირის ცხენების მეხრე ვიყავი. ჩემს ახალ მეგობრებს უხარიათ.

სანამ კარავს დავცემდით, პავლემ ერთი დიდი ზურგი დეკა მოიტანა — ცეცხლი დავანთოთო, მწვადი შევწვათ, ცხვრის ხორცი გვაქვსო.

— ერეკლე მეფე რომ კვდებოდა, — წამოიწყო ლაზრომ, — ინატრა: ნეტა ისე არ მოვკვდე, დეკაზე ნახუხი მწვადი არ მაჭამა და ზედ თოვლის ნაჟური წყალი არ დამალევინაო.

— აი, თოვლის ნაჟურიც, — მიმითითა პავლემ მოჩუხჩუხე ნაკადულზე, მართლაც იქვე ფერდობზე თოვლი მოჩანდა, მისი სათავე.

— რა გემო აქვს დეკას ალზე შემწვარ მწვადს, ახლავ გაიგებ!.. — გამომეხმაურა სამსონი.

გაჩაღდა ცეცხლი, ტკაცა-ტკუცი დაიწყო დეკამ.

— აბა, ბიჭებო, კიდევ ჩამოვზიდოთ, ღამე ცივი იქნება, — თქვა პავლემ და თითქმის ყველანი დეკიანისაკენ გაიყოლია.

ღამე ჩამოდგა. ცაზე გუნდ-გუნდად აინთო ვარსკვლავთა კრებული. სუფრამ გემრიელად ჩაიარა. მართლაც, სურნელოვანი იყო მწვადი, დეკას ხომ ბევრი აქვს ეთეროვანი ზეთი... ის აძლევს ამ გემოს და არომატს. გარდა ამისა, ნამგზავრს რომ მწვადი გემრიელი მოეჩვენოს, რა გასაკვირველია? თოვლის ნაჟური წყალი მწვადის შემდეგ მაცოცხლებელი სასმელი მგონია.

მალე გავეხვიეთ ნაბდებში, ბარგთან წამოვწექით და თვალი ჯერ კიდევ მოვარაყებულ ცას უცქეროდა, როდესაც ჩამეძინა. ალბათ მძინარემ თუ დავხუჭე. დილით რომ ავიხედე, შავი კლდე და საყორნე თავს დაგვცქეროდნენ.

— აბა, ლაზრო, კიმო, თქვენ ცხენებს მოუარეთ, აქ სამ დღეს მაინც დარჩებით, დანარჩენები საყორნიასაკენ ავყვეთ.

— თოფს წამოვიღებ, — მთხოვს სამსონი. ოთხი თოფი გვაქვს, შაშხანები. სამსონი და ლაზარე ძმები არიან. ამბობენ, მაგათთანა მონადირე მთათუშეთში არ არისო. განსაკუთრებით სამსონს აქებენ. ჯიხვებზე მონადირე ყოფილა. ძველი წესით თოფი უკვე სამჯერ უნდა ჰქონდეს დამარხული. ასი ჯიხვის მოკვლის შემდეგ თოფს მარხავდნენ თურმე. თვითონ სამსონი არაფერს ლაპარაკობს, სხვები კი გვიამბობენ. განა, მარტო ჩვენი გამყოლები? არა, სადაც კი გავჩერ-



ოფი არაგვის რიყეზე

დით მთაში, ყველა ვალდებულად თვლიდა თავს, როცა სიტყვა მოიტანდა, სამსონიც შეექოთ.

— პავლე, შენც აიღე.

— მენა? მე ერთი ბეღურა მყავს მოკლული ჩემს სიცოცხლეში, დამამძიმებს... — და თოფს ხელი არ მოჰკიდა.

ავყევით ფერდოს და მალე დეკიანს შეეერიეთ. დილის ნამისაგან ფეხი მუხლამდე დაგვისველდა. მზე ამოსულია, მაგრამ საყორნეს ეფარება, ცაში ატყორცნილ სხივებს ვხედავთ მხოლოდ, ჩვენთან კი კარგა მუქი ჩრდილია. გრილა, ხევებიდან ნისლი ნელნელა ბოლავს და მაღლა მიიწევს, ლაჟვარდისაკენ. უცბად ცხვირწინ როჭომ შეიფრთხიალა. რა ლამაზია წყეული! შავი, წითელსაყურებიანი, გეგონება, გაშრისაგან გამოუკვეთიათო, ჭახჭახით ნისლებში შეერია და სანამ შთაინთქმებოდა, ნისლების თეთრ ზეწარში გაშლილი მისი შავი ფრთები და წითელი საყურეები უჩვეულო ფერების შეხამებით თვალს ატყვევებდნენ. რკინის გული უნდა გქონდეს ადამიანს, რომ თოფი ესროლო და ძირს ჩამოაგდო. კიდევ კარგი, როჭოზე მონადი-

რეა ვგლის მუხლი მოეთხოვება, სუნთქვა ამირანისა და მისი ძმებისა. ასეთნი კი ბევრნი არ არიან!

დეკიანებს ავცდით, მაღლა, მთის მდელოზე ვართ, ორიათას შვიდას მეტრზე მეტია ზღვის დონიდან. მთამაღალის გაზაფხულია, თოვლი ახლახან აუღია. ზოგან მიწა ჯერ კიდევ სველია, ნათოვლარი კარგად ეტყობა. ხნარცვში თოვლი ჩანს, მაგრამ მისი ნაპირი და სველი მდელო უკვე დაშძვენებულია ასფურცელას ხალიჩასავით. აი, თოვლისპირას მორცხვად იღიმება პირისფერი ფურუსულა, ოქროსფერ დიდბაიას თვალები უბდღვრიალებს. ამწვანებული მოლი კი, გეგონებათ, თვალმარგალიტით, ზურმუხტ-იაგუნდითა და ფირუზით მოურთავთო, — კაბას გავს სადედოფლოს; მიწის პირიდან შემოგვცინიან: ოქროსფერი გვირილა და მთის ბაია, ცისფერი კესანე, ცისთვალა, ქათქათა ცხენის კბილა, დაგვიანებული ენძელა, ყვითელ ხალიანი ღვინა, გუგულის კაბა და მრავალი სხვა — გაზაფხულის პირველი მაყრიონის მომღერლები. ფრთხილად მივდივარ, ფეხს ვარიდებ, ზოგან ჩავიჩოქებ და თვითეული მათგანის სახელწოდება ჩემს სამგზავრო რვეულში თავის ადგილს იჭერს. ზოგს ძირფესვიანად ვიღებ და ბაგაში ქაღალდებს შორის ვალაგებ.

— რას არ ნახავს კაცი: შავი კლდის ბალახს ქაღალდში ახვევენ და ქალაქში მიაქვთ! — თავს აქნევს პავლე.

შავი კლდე ნისლმა დაფარა და მალე ჩვენც გავეხვიეთ თხელ ბურუსში.

— არა უშავს რა. მზე გამოიხედავს თუ არა, აიკრიფება, — მამშვიდებს სამსონი.

რამდენადაც მაღლა მივიწევთ, იმდენად უფრო დიდდება ნისლი. ფეხქვეშ ქვამ და ნამსხვრევებმა იმატეს, ლილოჭრილოებში ვართ. თოვლი მარტო ხრანცვებში და ჩავარდნილ ადგილებში კი არა ჩანს, გავაკებულზეც. სიმაღლისმზომი სამი ათას მეტრს აჩვენებს. ჩვენ მაინც მივიწევთ ზევით. უცბად ნისლებში ფრთათა ტლაშუნი და კრიახი ატყდა.

— შურთხებია, — ვერ მოასწრო ამის თქმა სამსონმა, რომ ჩვენს წინ ნისლებში რაღაცამ გაიელვა. დაგორებული ქვა და ღორღი ხრიალით ჩაეშვა სადღაც.

— ჯიხვებმა გადაირბინეს, შურთხებმა გაგვცეს. — თავი გადააქნია სამსონმა. — მთაში ამბობენ: შურთხი უფალმა ჯიხვს მიუჩინა

დარაჯად, ჯიხვებს ატყობინებს მონადირის მოახლოებასო. ერთი შეხედვით ეს მართლაც ასე ეჩვენება კაცს. შურთხი ჯიხვების არეს-თან, მათ საძოვართან სადილობს. ძალიან ფრთხილია და მონადირისა თუ სხვათა მოახლოებას სხვაზე ადრე იგებს. ფრთების ტლაშუნით, კრიახით აფრინდება ხოლმე, და რასაკვირველია, რომ ჯიხვებიც დაფ-რთხნენ.

— ნეტავ, ხეირიანად დამენახა მაინც, — გავიფიქრე და ხმამა-ღლა აღარ ვთქვი ეს. არც სამსონი ამბობს რამეს.

მზემ წამოიყელყელავა, შავ კლდეს თავზე დაადგა, ნისლი გაქრა ისევ, თითქოს არც კი ყოფილიყოს.

თავზე დაგვადგა მოელვარე ლაჟვარდი გუმბათი. ჩრდილოეთით გაწვა კავკასიონის გამყოლი სპეტაკი ქედი. აი, ტებულო (სწორედ ტებულო და არა „თებულო"), აწუნთა, მყინვარწვერი, ადაიხოხი, შორს იალბუზი... თითქოს ისახება შხარაც, თეთნულდიც. განა, შეი-ძლება კიდევ საიდანმე ასეთი ბუმბერაზი სიმშვენიერის ხილვა?

ჩვენ მთავარ ქედზე ვართ, კავკასიონზე. გაღმა კი, გამყოლი ქე-დია. ძირს, ამ უზარმაზარ ქედებს შორის, ღრმა ხეობაში მთათუშე-თია: აი, ჩაღმის ალაზანი, გომეწრის ალაზანი, ესენი მდინარე ყოისუს სათავეები და შენაკადებია. ამათ სათავეებშია მთათუშეთი — მთის ფერდობზე შეფენილი სოფლები. ვაჟასი არ იყოს:

„გაღმა ჩანს ქისტის სოფელი
არწივის ბუდესავითა"...

წოვათა! მისი სოფლები და ნასოფლარები: საგირთა, ინდურთა, ეტლთა, წარო. აქ, ამ ასი-ასორმოცდაათი წლის წინათ წოვა-თუშები ცხოვრობდნენ. შრომობდნენ, ებრძოდნენ ბუნებას, შემოსეულ მტერს. გაჭირდა საქმე. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ამტყდარ-მა დიდთოვლობამ. შეაწუხა ხალხი, ზვავებმა დაიტანეს სოფლები, წყალდიდობამ წალეკა გზები, ზოგი სოფელიც, მოძალებული მოთა-რეშენიც არ ისვენებდნენ და წოვა-თუშებმა დაიწყეს ჩამოსახლება ალვანის მინდორზე.

როდის? უეჭველია, ჯერ კიდევ ქართველი მეფეების დროს მო-დიოდნენ ქვემოთ. მაგრამ, როგორც აღვნიშნე, მეცხარამეტე საუკუ-ნის დასაწყისის სტიქიურმა უბედურებებმა ხელი შეუწყო მასობრივ ჩამოსახლებას. ჩვენი ისტორიკოსების ცნობით, ალვანის სასაფლაოზე

ყველაზე ძველი საფლავის ქვის წარწერა 1817 წლით თარიღდება, 1808-1809 წ.წ. კლაპროთის მოწმობით თუშები (წოვანიცა და ჩაღმებიც) მთაში ცხოვრობდნენ. მაშასადამე, ეს მასიური ჩამოსახლება დაწყებულა 1809 წლის შემდეგ; რასაკვირველია, ყველა ერთად არ ჩამოსულა, ნელნელა. დამთავრდა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში. წოველებმა დატოვეს მამა-პაპის აგებული და ნაშენი სოფლები, ჟანგმოკიდებული, ფიქლით გადახურული სახლები და კოშკები. ისინი დღესაც ფეხზე დგანან, დგანან და თითქოს ელიან, რომ წასულნი მოვლენ, კვლავ აანთებენ კერას. გეგონებათ, ამ მიტოვებულ კოშკებსა და სახლებზე იყოს ნათქვამი:

„ტირიან თუშის ქალები,
არ მოგვივიდნენ ქმარები,
ვაითუ დახვდნენ ლეკები,
დააყრევინეს თავები“.

სწორედ ამიტომ დაიხურა „თუშის ქალმა შავი მანდილი და აღარ მოუხდია (ამბობენ, საგირთიდან წასული ყველა ვაჟკაცი ომში დაღუპულა, სახლში აღარ დაბრუნებულა და ამის შემდეგ თუშის ქალი შავ ტანისამოსში დადისო).

წოვათაში ერთ ჟანგმოკიდებულ სახლში შევედი. აფრთხიალდა ღამურა, დაიწრუწუნა. ფეხი უკან გადმოვდგი, თითქოს ჟრუანტელმაც კი დამიარა; იქნებ ველოდი, მასპინძელი შემეხმაურებოდა. აგერ ტახტი, ტახტზე პირმომტვრეული ლიტრა, ჯამი, ჯამფილა, კოვზი, ხონი... ფიქრით, ტაბლას ძველი მტვერი მოსცილდა: თუშის ქალს სუფრა გაუწყვია, მეორე ოთახში გასულა ხორაგის მოსატანად. გული ყელში მომაწვა, მგონი ცრემლიც.

სოფლის თავში აკლდამებია, მრავალი თავისქალა და ძვალია. აკლდამაში ტახტივით თაროა დატანებული, ერთზე ნახევრადდაშლილი ჩონგური დევს.

ამბობენ, წინათ, შავი ჭირი რომ ყოფილა, ვინც ავად გახდებოდა, აქ მოდიოდა, თაროზე წვებოდა, ჩონგურს უკრავდა და ისე კვდებოდაო. მეორე რომ მოვიდოდა თურმე, ცხედარს ძირს ჩააგდებდა და თვითონ წვებოდა. მაგრამ, გავყვეთ ჩვენს გზას და წოვათამდეც მივალთ.

შავმთაზე ნელნელა ავიწიეთ მაღლა, უკვე სამი ათას მეტრზე

მეტია. თოვლი თანაბარია, მაგრამ ზაფხულის ბოლოს ესეც დნება. შავ კლდეზე აგვისტოსათვის თოვლი აღარ რჩება. ჩავიმუხლეთ. შორს ორბები და ფასკუნჯები ტრიალებენ. ჰაერი ელვარებს, წმინდაა, წმინდა!..

— აგერ, — გაიშვირა ხელი სამსონმა მაღლა კლდეებისაკენ და დურბინდი გამომიწოდა.

დავაკვირდი: წითელი, უფრო სწორად, ზანგელა ფერის თხები ჩანდნენ თოვლიან კლდეებში.

— ჯიხვები, — ვერ მოვასწარ ამის თქმა, რომ მთელი არვე მოწყდა ადგილს და ჭიუხიან ფერდობს გადაევლო. რამ შეაფრთხო, ვერ მივხვდი. ეს კია, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, ისე გაქრნენ.

— სწორედ მაგათ დასტრიალებდნენ არწივები, — დაარღვია სიჩუმე სამსონმა, როდესაც ზევით ამომფრენი პირდაღებული ფასკუნჯი დამანახვა.

ალბათ ზემოდან გაუქროლა კლდის პირას მდგომ შუნს ან თიკანს, მაგრამ, როგორც ჩანს, ამაოდ და გაცრუებული მიიწევდა, ზევით, მზისკენ.

არწივი მზისკენ, ჩვენ კი მიწისკენ მივიწევდით. ჩრდილოაღმოსავლეთის კლდოვანი ფერდოთი დავეშვით. კარგად მოჩანდა ჩაღმის სოფლები: ხისო, ხახაბო, შენაქო, ომალო... ფიჭვნარში ჩამალული მშვენიერი სოფლები. ხვალინდელი დღე ამ სოფლებისა — დიდი კლიმატური სადგურებია. მთათუშეთში, სოფლების ირგვლივ, თორმეტი ათასი ჰექტარი ფიჭვნარი ტყეა, მთამაღალი კი ასოცი ათას ჰექტრამდე სათიბ-საძოვრებითაა დამშვენებული.

— განა მეტი რამ სჭირდება კლიმატურ სადგურს?

— სჭირდება: გზა, სანატორიუმები, ექიმები... ამას დიდი ხარჯი უნდა, მაგრამ ყოველივეს ერთი ათასად აანაზღაურებს.

ხისომდე ალატოვნიდან დაკიდული ჭირკვალი ჩასდევს, კაცს მუხლები ჩასწყდება, სანამ ჩაღმის ალაზნამდე ჩააღწევს,—შემეხმაურა სამსონი, როდესაც ვუთხარი: ხისომდე კაცი ხმას ჩააწვდენს-მეთქი. ხისო ათას ხუთას მეტრ სიმაღლეზეა და ჩვენი ბანაკი ორიათას ხუთასი მეტრია ზღვის დონიდან. ერთი კილომეტრით ძირს დაშვება „ხელის გაწვდენა“ ხომ არ არის?

როდესაც ბინაზე ჩავედით, კიმოს ცეცხლი უკვე დაენთო, ნედლ

ლომისის (ალევის) ქედი დახრამული და დაღარული

დეკას ტკაცა-ტკუცი გაჰქონდა, ღუღდა ჩაიდანი, მძიმედ სუნთქავდა ბავიწის ქვაბი: შორიდანვე გვეცა მისი სურნელება. მალე წვადიც აშიშხინდა და დაგვავიწყდა, რომ სადღაც არსებობდა ქალაქი თავისი ბობოქარი სიცოცხლით, სოფელი თავისი ჭირ-ვარამითა და სიხარულით. ვიყავით — ცა და მთები, მდელო და ნაკადული, ძირს ცეცხლი, მაღლა ვარსკვლავები და ჩვენ, ამჟამად მათი მზირალი და ტრფიალი.

სამსონი და ლაზრო ღამიანად წასულიყვნენ ჯიხვებზე სანადიროდ. როდესაც სამუშაოდან ღამეს ბრუნდით, მაშინღა შევნიშნე, რომ გაღმა ფერდოდან ორი მგზავრი ეშვებოდა: ერთი-ორი საათის შემდეგ ორივე ძმა ცეცხლის ალსე აიმართა.

— არა, უეჭველად მფარველი ანგელოზი გამოუჩნდათ მაგათ, თვალი რომ ვერსად დავკარით.

— სანამ მე არ წამოვალ, ჯიხვს ვერ ჩამოიტანთ, — გაიხუმრა პავლემ.

— წოვა და ჯიხვი?! — გაჰკრეს კბილი ძმებმა.

— აი, ნახავთ! — დაემუქრა პავლე და ვინ იცოდა, რომ ეს გახუმრება ძალიან მალე ასრულდებოდა.

ორ-სამ კვირაში „დავლახნეთ“ კავკასიონის მთავარი საძოვრები, ისინი, რომელნიც სამხრეთითა და აღმოსავლეთით ეშვებიან, მადლიან კახეთს რომ გასცქერიან: „ფურთკალო“ (აქედან ლეკებმა ფურები გარეკესო), „ლეკთა ვაკე“ (აქ მოთარეშე ლეკები ამოხოცესო), „მელიკუდა“ (მელის კუდსა ჰგავს ეს სერებიო), „დიდვაკე“ (ორქედშუა მოქცეული მცირე ვაკე), დიდგორი (ირგვლივ რომ გახედავ, ყველაზე პატარა ის ჩანს). გადავიარეთ დიდი და პატარა ბორბალოს ქედები. ადვილად ითქმის, მაგრამ ბორბალო ხომ ხუთი მდინარის სათავეა. აქედან იწყება იორი და ალაზანი, არაგვი და არღუნი, პირიქითის ალაზანი, ისინი აქეთ-იქიდან ისე ჩამოუდიან, თითქოს ბორბლის ფრთებიაო. მოვიარეთ ალაზნის თავი, საჯინჭვლე წოვათა თავისი მიტოვებული სოფლებით. აქ თვლემენ: ვაშკოლთა, შტროლთა. გადავსერეთ ძნელგადასავალი ნაროვანი და პირიქითის ალაზნისაკენ ციცაბოდ დაქანებული ფერდოთი გადავეშვით ქვახიდისაკენ, ქვახიდისაკენ გული მიწევდა. ამბობენ, თითქმის ოცი წელია, რაც იქ ჯიხვარი აღარ ადის, ეშინიათ მოთარეშეებისაო. თუ ავა რომელიმე

გამბედავი მეცხვარე, ისიც ცოტა ხნით და მალევე ჩამობრუნდება გირევისაკენო. კარგი კი იქნებოდა, შემედარებინა შესვენებული საძოვრები გამუდმებულ ნაძოვართან, ბევრი საინტერესო ცვალებადობა აღმოჩნდებოდა უეჭველად.

— ფრთხილად იყავით, იქ მოთარეშენი ხშირად არიან, — გაგვაფრთხილეს. ჩვენც შაშხანებს გადავუსვით ხელი. ისიც კარგად ვიცოდი, რომ თუ მართლაც მოთარეშენი გაბედავდნენ თავდასხმას, ძნელად თუ გამოვიყენებდით იარაღს. მოთარეშე ხომ ყოველთვის ჩასაფრებულია და დაგასწრებს.

შუადღე გადასული იყო, როდესაც ქვახიდში ავედით. ნაროვანის ზეკარი რომ გადავლახეთ, ძირს ჩამოვედით და მდინარის პირას აღმა ავყევით. გზა მეტად ძნელია, — ხშირია გზაწვრილი და ჭირკვალიალაზნის პირას, კლდეზე მიმავალი გზა ხშირად წყალშია ჩაყურყუმელავებული, ღადაღუდიანი. ცხენები გაიტანჯნენ. იქნებ სჯობდა, ნაროვანში გაგვეთია ღამე. შემდეგ ავყოლოდით ქედს და ქვახიდის ზემოთ მოვქცეულიყავით. ოფლში გავიწურეთ და ძლივს გავედით მოლიანზე, გადავიარეთ ქვახიდი (მთის მწვერვალიდან დაგორებული უზარმაზარი გრანიტის ლოდი ისე დავარდნილა, რომ მჩქეფარე მდინარეზე ხიდად გადებულა) და ერთ ველობზე, ქედის ძირას, დეკიანის პირას, გავშალეთ კარავი. გავუშვით ცხენები და შევუდექით ცეცხლის თადარიგს.

— აქ ერთი-ორი მწყემსიც უნდა იყოს, — თქვა კიმომ და ლაზარეს გაკვირვებაზე დაუმატა: — ფარსმელი ბიჭია, მაგას არ ეშინიან, ქისტებში ძმადნაფიცები ჰყავს.

ეს საუბარი არც კი დამთავრებულიყო, რომ თავს მთასავით ვაჟკაცი წამოგვადგა. მოგვესალმა, მშვიდობით ამოსვლა მოგვილოცა, დატრიალდა. — ეს ხომ ჩემი ბინააო, — ამბობდა. მართლაც, გაღმით მოჩანდა გრანიტის ლოდნარში შეხამებული ბინა-ყორით ნაგები ქოხი, — მასპინძლობა ჩემი საქმეაო, — დეკა ჩამოიტანა. — ცეცხლი დაანთე, — უთხრა ლაზროს და თვითონ მსუბუქი, მთური ნაბიჯით ქვახიდი გადაიარა. ბინაში აირბინა, კლდის ნაპრალში გაუჩინარდა. მალე ისევ ხიდზე გამოჩნდა, გაგვიღიმა, ერთი კარგი თოხლი მხრებიდან ჩამოიღო და თან დააყოლა:

— გუშინ საგორავმა კანჭი გაუტეხა. ლაზრო მოუარე!

ცოტა ხნის შემდეგ გაიშალა სუფრა. ჩვენი მასპინძელი გამხია-

რულდა, ბარიდან ამოყოლილი ჭაჭის არაყი და ცოტაოდენი ღვინო გვქონდა კიდევ. ორ კვირაში ერთხელ ბარიდან (სოფელ ფშავლიდან) გამომცხვარი პური, ბოსტნეული და ხილი ამოგვქონდა, ამან ხომ უფრო ასიამოვნა და ასიამოვნა. — თვეზე მეტია ხალის[1] გარდა არა მინახავს-რაო.

სადღეგრძელოებმა დიდხანს გასტანა. მსიამოვნებდა, რომ ჩვენი მასპინძელი გულით ხარობდა, ჩვენი მოსვლა მეტად ეამა. ძნელია მთაში თვეობით ყოფნა ხმის გაუცემლად. უცბად კი ამდენი ხალხი ესტუმრა.

წინათაც ვიყავ მთათუშეთში, ხისოელ კიმო მურთაზაშვილს გავყევი. ორწყალის თავზე მწყემსი დაინახა. ქვევიდან შეჰკივლა: „აქ ჩამოდიო“. მწყემსი რომ ჩამოვიდა, შეცბა, გამარჯობის თქმა დაავიწყდა.

— რა, გამარჯობა მაღლა ხომ არ დაგავიწყდა, — შეეხმაურა ჩვენი თანამგზავრი და ხურჯინიდან თავამოშვერილ ტიკჭორას პირი მოხსნა, ყანწი გაავსო და ბიაწოდა... მეორეც გაუვსო, მესამეც, ხაჭაპურის ნაჭერიც შესთავაზა. მწყემსი ილოცებოდა და ქვევიდან შესცქეროდა. კიმომ ტიკს პირი მოჰკრა, შეჯდა ცხენზე, მათრახი შემართა და ხმაში მყინვარის სიცივე და მქუხარება ჩაუდგა.

— ეხლა ყური მიგდე: თუ კიდევ გამიგია, რომ ჩვენი გვარის ცხვარი მოგისხლეტიათ, მიწას გალოკინებთ, გესმის? როდესაც მწყემსმა თავი დაუქნია, ცხენს მათრახი გადაჰკრა და ჩვენი ქარავანიც დაიძრა.

— დიდი რამეა, მწყემსს ხმა გასცე, არაყი დაალევინო, მოიკითხო?

— ეგ რაღა მადლია, ამოაშხამე კია და...

—არგებთო, — თქვა და ჩაიღიმა. ამაზე მეტი არა უთქვამს რა.

მაგრამ მოგონება შორს წაგვიყვანს, გავყვეთ ჩვენს ამბავს.

ქვახიდშია ნასკვი მთათუშეთის მთებისა, ტებულო, აწუნთა, ნაროვანა აქ იყრიან თავს. გამყოლი ქედი სერებით უერთდება მთავარ კავკასიონს. ჩვენს დასავლეთით იორი და არაგვია, სამხრეთით კახეთის ალაზანი, ჩრდილოეთით — არღუნი, აქეთ კი, მთათუშეთს, ყველა ალაზანი იწყება.

---

[1] ხალი — დახალული ხორბალი, ქერი, შემდეგ დაფქვილი და მარილით შეზავებული.

— ამ მხარეში ცხვარი ჩემს მეტს არავის ჰყავს, ერთი ფარსმელია, ის სულ ძირისაა. აბა, სამსონ, ჯიხვი თუ გინდა, მე გასწავლი, სად არის და შენი კაცობაც გამოჩნდება. კახებს ჯიხვის მწვადი ვაგემოთ! — მიუბრუნდა სამსონს (ბარელებს ყველას კახებს უწოდებენ).

ეს თქვა და უცბად წამოხტა, ბნელში გაუჩინარდა და ჩქერების ხმაურში მისი ხმაც გამოიკვეთა: „ახლავე". მართლაც, მალე ჩამოჯდა თავის ადგილას, ხელში ფანდური ეჭირა და დაამღერა:

თუშო, ნუ ჩახვალ ხოშორსა,
ხოშორი ეკლიანია,
ჩახვალ და ვეღარ ამოხვალ,
ამოსვლა მეტად ძნელია.
ჯიხვების განავალი კლდე
რომ ნახო, გაგიკვირდება.
იმათ ნაწოლსა ნადგომსა,
თოვლი არ მოეკიდება.

რა არ თქვა: — შირაქის ბოლოზე მწყემსის სიკვდილი, სალეკოს დალაშქვრა, თმაგრძელ თინიას გატაცება... მაგრამ, როდესაც ზეზვას კვალს გაჰყვა, ვეღარ გავარჩიე, სად იყო ვაჟა და სად ხალხური! თითქმის მთელი „ბახტრიონი" დაამღერა, ბევრგან ახლად გახალხურებული, ხალხურიდან ჩამატებული. ყველას ერთნაირად მღეროდა, თუშურ კილოზე, მაგრამ ვაჟკაცურ სიმღერათა კილო ოდნავ იცვლებოდა, ნელდებოდა, ადგილ-ადგილ შემტევიც კი იყო.

გომეწრის ალაზანი ზვავქვემოდან გადმოქუხდა, გუგუნებდნენ აწუნთისა და ტებულოს ყინვარები, შავი ციდან ელვარე ვარსკვლავები ჩამოციმციმებდნენ.

მზეს უკვე წვერი ამოეყო, რომ გამომეღვიძა, ჯერ ექვსი საათიც არ იყო, მაგრამ მაინც ცოტა არ იყოს შემრცხვა, ამ დროისათვის უკვე ველად ვართ-ხოლმე, ჩვენი გუშინდელი მასპინძელი აქვე ტრიალებდა. ტაგნით რძე ჩამოიტანა, ახალი ყველი...

— გამასპინძლება ერთხელ შეიძლება, — შეხუმრებით შევნიშნე, მიწყინა.

— როგორ, თქვენსა რომ ჩამოვალ, ერთხელ გამიმასპინძლდები?

— იქ სხვაა, აქ მთაა...

— რითაც ვარ მდიდარი ის მიიღე, ბარად კი სხვა ანგარიშებია.

რა უნდა მეთქვა ამ ალალმართალ სიტყვებზე, და ჩვენც რძესა და

ახალ ყველს, გუშინდელი ცხვრის ყაურმას მოვულხინეთ, ექვთიმემ კი — ჩვენმა მასპინძელმა, ჭაჭასა და ნაფარეულს.

სტუმარმასპინძლობის დრო არ იყო. მალე წამოვდექით, სწრაფად ავკრიფეთ საჭირო ხელსაწყო და ნელი ნაბიჯით შევუდექით აწუნთის ფერდობებს. ტიპიური ალპური საძოვრებია- კლდის ნამტვრევებით დაფარული. ნამტვრევთ შორის მცენარე აღმოცენებულა. ძირითადად წივანიანია, ცხვრის წივანას ორი ათას ექვსას მეტრს ზევით წვრილი წივანა სცვლის. მოჩანს ისლი, ალპური ბარბაცა და მათ შორის კი ქარცხვი, წვრილი გვირილა, ღიღილო, ნაღველა, ბაია, მთის ჟუნჟრუკი, ფრინტა და მრავალი სხვა. ამ მდელოსათვის დამახასიათებელია მღიერთა სიჭარბე, გეგონება, ტუნდრის საძოვრებიაო. ადგილ-ადგილ მოჩანს მოცვიანები, კეწერიანები.

ერთმა მოცვნარმა გამაკვირვა: ასი-ასორმოცდაათი კვადრატული მეტრი იქნებოდა, აქვე მოცვიანშივე წამოკრეფილი ქვით შემოვლებული ზღუდე კი ასე, ოცდაათი-ორმოცი სანტიმეტრი სიმაღლისაა, ისეთი, რომ ცხვარი აერიდება, არ შევა, რადგან შიგ, მოცვის გარდა, ბალახი არც კი ჩანს, ეტყობა, გაუმარგლავთ. გავჩერდი, გავოცდი. რად, ან ვინ შემოღობა ეს ადგილი?

— ეს მწყემსის ბაღია, მებატკნისა. რა აკეთოს ამ გაგანია დღეს. დგას და პატარა-პატარა ბაღებს იკეთებს. აი, ასეთ სელშავიანს (თუშები მთის მოცვს, სელშავს უწოდებენ) შემოღობავს, ავყია ბალახს ამომარგლის. სხვა მწყემსი დაუკითხავად შიგ არ შევა, თუ მოცვი უნდა, ღობის გარეთ მოკრეფს, — მეუბნება სამსონი, — ასეთი ბაღები კიდევ შეგვხვდება.

ეს ხომ პირველადი საფეხურია მცენარის მოშინაურებისა, შორეული წარსულიდან დღემდე შემორჩენილი. ჯერ ბუნებაში უვლიდნენ მას, მერე სახლთან გადაჰქონდათ. ასე იწყებოდა ბევრი მცენარის მოშინაურება.

— ბალღები სოფლიდანაც მიდიან იმ მოცვიანებში, რომელნიც სოფელს ძალიან არ არიან დაშორებული და ყველა თავთავის ადგილს იჩემებს. დუციანებში და დიყიანებშიც იციან ადგილების დათქმა, სხვა ბალახების ამოგლეჯა. სოფლებში რომ ჩავალთ, გაჩვენებ, — დამპირდა სამსონი, როდესაც შემამჩნია, რომ მისმა ნაამბობმა გამიტაცა.

დუცი და დიყი ქოლგოსანი ბალახოვანი მცენარეებია. ერთ ზა-

ალევის ქედი ს. მლეთთან

ფხულში სამი მეტრის სიმაღლისა იზრდება. მათ ნორჩ ყლორტებს კრეფენ, ფცქვნიან და ჭამენ. შემდეგში ბევრჯერ ვნახე, სოფლისაკენ ყივილ-ხივილით რომ მოდიოდნენ ბავშვები. ყოველ მათგანს, საბლით შეკრული, დუცისა და დიყის კონა მოეჭონდა. სიხარულით ხვდებოდნენ მათ სოფელში დარჩენილი ბალღები და დიაცები. იქვე სალაყბოზე ჩამოსხდებოდნენ ხოლმე და თითქმის სოფლურად, თავისებური ფსონი იმართებოდა. ფცქვნიდნენ მცენარეს და გეძრიელად ახრამუნებდნენ. ტყის პირებში, გასაკუთრებით არუნარებში, იცის დუცი და დიყი. აი, აქ, ადრე გაზაფხულზე, როდესაც დუცსა და დიყს ჯერ მარტო წვერი თუ ამოუყვიათ, ბალღები მიდიან და მარგლავენ, ტოვებენ მხოლოდ სასურველს, დასარყავენ (დანიშნავენ) მათ და უცდიან როდის „მომწიფდება". დასარყულში სხვა არავინ შევა. ამ ჩვეულებაშიც მოშინაურების ერთ-ერთი პირველი საფეხურთაგანია.

დღეს რომ მეტი არა ვნახოთ რა, ესეც საკმარისია, მაგრამ ველად ვასული კაცი როგორ გაჩერდება, თუ მზე ჩასავალს არ არის. საღამოს ხანს დაღლილ-დაქანცულები ვუახლოვდებით ჩვენს ბინას.

— აბა, კახო, ჩქარა ჩემკენ! — მეძახის ექვთიმე. იგი წამოწოლილა და მის ზემოთ ამართულ სერს ასცქერის. — ბატკანი რომ ძოვს ეკიანის თავში, იმ ადგილს გახედე.

ვიცქირები, ბატკანია, როგორც ჩანს, ზანგელა თხებიც ურევია.

— ვერა ხედავ?

— ბატკანსა და თხებს!

— ჯიხვებს ვერ ხედავ?

თავს ვაქნევ უარის ნიშნად.

— კაცო, ასზე მეტია და ვერ ხედავ? ჯიხვია ბატკანში შერეული.

სხვებიც გასცქერიან და თავს აქნევენ. სამსონს ნესტოების ძირი გაუყვითლდა. მე რომ თხები მგონია, ისინი თურმე სულ ჯიხვები ყოფილა.

ამ დროს ექვთიმე წამოხტა და მთელი ხმით შესძახა მთას.

— ბიჭავ, არ ესროლო არაა!...

ახლაღა შევნიშნე, ბატკანში, ქვემო მხრიდან, მიწას გართხმული მებატკნე ბიჭი, ნელ-ნელა მიხოხავდა, მაღლა მიიწევდა, აქედან სამსონმა ასძახა, იქიდან ლაზრომ: — დაიცა, ნუ ესვრიო. — მაგრამ გა-

ვარდა თოფი. მოსწყდა წითელბალნიანთა არვე და ელვასავით გადაიქროლა მთის ფერდო.

— უჰ, რა ქნა ურჯულომ, მაგას ხომ საჩიტე თოფი აქვს! — წამოიძახა თითქმის ყველამ ერთად, დანანებით. მაგრამ რას გააგონებდნენ ბიჭს, რომელიც ჯიხვების მთელ არვეს ასე ახლოს ხედავდა?

ცეცხლის პირას რომ ჩავმწკრივდით, გაიბა საუბარი, ზოგმა რა თქვა, ზოგმა რა. ერთმა ისიც კი გვითხრა, ბევრჯერ ერთად სამასი ჯიხვიც მინახავსო.

— მე კი მაგდენს პირველად ვხედავ, — დინჯად თქვა სამსონმა. — ლაგოდეხის თავშიც არ მინახავს მაგდენი. — სხვებმაც დაამოწმეს: — მართალია, ამდენი ერთად იშვიათიაო.

მონადირეები შემეევედრნენ — ხვალ წავალთო. უარი ვუთხარი. თვითონვე ვიგრძენი, რომ უარს ცალყბად ვეუბნებოდი. თოფები ჩემს კარავში დავაწყე, მაგრამ ისე, რომ კონდახები კარში გამოჩენილიყო. შუაღამე გადასული იქნებოდა, როდესაც ჩემ გვერდით თოფი შეირხა და კარში გასრიალდა, მას მიჰყვა მეორე, მესამე... გავიტვრინე... დილით სამსონი, პავლე და ლაზარე ბინაზე აღარ იყვნენ, ჩვენ აწუნთის დასავლეთით ავიღეთ გეზი. თუშებიდან ჩვენთან კიმო და აბრო იყვნენ.

შუადღე გადაწეული იყო, როდესაც ქვიანი ფერდო ავათავეთ და ხერხებილა გრძელ ქედს თავზე მოვექეცით. ის იყო უნდა ჩაგვემუხლა, აბგებს ვიხსნიდით, რომ შორს სადღაც ჭიუხებსა და ხორხების[1] გადაღმა თოფი გავარდა.

ისევ იმ ხორხის ერთი კბილის ჩრდილში ვისხედით, რომ კიდევ რამდენიმე ყრუ სროლა შემოგვესმა.

— ჩვენებია. მოჰკლეს, უეჭველად მოჰკლეს, — თქვა კიმომ. გაკვირვება რომ შემამჩნია, დაუმატა: ისეთი ყრუ ხმა იყო, რომ ნამდვილად მოხვდა.

აღარ შევეკამათე, მათ ხომ რაღაც მეექვსე გრძნობაც აქვთ. დახედავენ ბილიკს და იტყვიან — ცხვარს და ციკანს გაუვლიაო. მე კი ვერას ვხედავ.

ბიჭებო, ჩვენებურებო,
ხმა თქვენი გადმოდიოდა,
თქვენგნივ ნახოცი ლეკები
არაგვზე ჩამოდიოდა, —

---

1 ხორხი — ქედის კლდოვანი, გუშაგებიანი სათავე.

ჩაიმღერა აბრომ.

ცხელოდა, ოფლი ღვარად ჩამოგვდიოდა. პური, ყველი და ნიორი ამოვიღეთ გუდებიდან. იქვე ახლოს თოვლის ნაეური წყალი მოჩუხჩუხებდა. ამ წყალს საუზმეს დავაყოლებდით და მეტი რაღა გვინდოდა?! კიმომ მოხსნა თავის განუყრელი ხბოს გუდა, შიგნიდან ბატკნის პატარა გუდა ამოიღო, ხუთიოდე პეშვი ხალი ჩაყარა შიგ, ცოტა წყალიც ჩაუმატა, მოაკრა პატარა გუდას პირი და დაუწყო ზელვა. ცოტა ხნის შემდეგ პირი მოხსნა. დაზელილი ხალი თითო მუჭა დაუგუნდავა, მეც მომაწოდა.

— აბა, კახო, თქვენებურ ნაზუქს თუ არ სჯობდეს, თავი შემირცხვეს, — დაუმატა ღიმილით.

მართლაც შესანიშნავი იყო, გემრიელი, სურნელოვანი და როგორ არ მოგეჩვენება გემრიელად, სამი ათას ორას მეტრ სიმაღლეზე დილიდან ნასიარულევ კაცს.

— მართალია, კიმო, ნაზუქს სჯობიან!

— ხო გითხარ! — დაადასტურა და კეთილად გაიღიმა.

საუზმეს მოვრჩით და გავყევით ფხიან ზურგს. აღმოსავლთისაკენ სიმაღლემ თანდათან აიწია, სვლა გაძნელდა. ფიქალი იყო დაშლილი. ბევრგან პირდაპირ ზღაპრულ ფხებსა ქმნიდა, აი, ისეთს — ასფურცელამ რომ სავარცხელი და როდინის ქვა გადააგდო და მისი მდევრის წინ კლდეები აიმართა. ქედის „კბილების“ ძირში თოვლი იყო კიდევ. დნებოდა და ფეხი ხშირად გვისხლტებოდა. თვითონ კლდეები თეთრი და ბრინჯისფერი ქარაგოზით (მღიერით) იყო შემოსილი. წერაყინით ვხდი ფიქლის თხელ, ქარაგოზიან ფირფიტას და გუდაში ვალაგებ, დაბლა კი, ამ კბილების ძირში, თოვლის პირას და თოვლქვეშაც, ბუჩქოვანი ქარაგოზია პალმერია, ესაა სწორედ ერთ-ერთი საკვები ჯიხვისა. მაშინ, როდესაც ჯიხვი მდელოზე ვერ ჩამოდის კაცისა თუ სხვისი შიშით, ამ კლდეებში უნდა იყოს შეხიზნული. ამ მცენარით უნდა გავიდეს იოლად. მაგრამ მარტო ქარაგოზი კი არა ყოფილა აქ. აი, თითქმის სამი ათას ხუთას მეტრ სიმაღლეზე ქარაგოზისა და ხავსის გარდა, პაწაწინა, მიწას აუცილებელი ყვავილოვანი მცენარეც შემოგცინებს ხოლმე, კლდის პატარა ნაპრალებში და ფოსოებში ფეხი მოუკიდია და კორდი შეუქმნია შესანიშნავ ლურჯ ყვავილება სამკბილა ქარცხვს. მისი ღერო და ფოთოლი რძითაა სავსე, და ჯიხვის საუკეთესო საკვებია. მიწაზე მწვანე გუნდებად არის გარ-

ოხმული პირისფერი კვლიავი, რომელიც ზოგჯერ ჯამისოდენაა, ზოგი კი მუშტისოდენა. აქვე ყვითელყვავილება ქუდუნები წამოსკუპულან; ბალიშა ქარცხვიც იშვიათი არ არის. ფესვმაგარისა და მარმუჭის ფოთლებშორისაა ამოშვერილი გვრიტას ლურჯი, მეტად ელვარე და მუქი, ძაბრა ყვავილები, გეგონება, ლაჟვარდის ნატეხი დაუბნევიათო. მისი ღერო და ფოთოლი სულ არ ჩანს, ყვავილი ღეროზე სამჯერ მეტია. ამ სიმაღლეზე ხომ მწერი მეტად მცირეა და მაშ როგორ, რანაირად მიიზიდოს ეს იშვიათი და სასურველი სტუმარი, თუ ყვავილი დიდი და ბდღვრიალა არ იქნება? მაღალმთის მცენარეთა უმრავლესობა დიდი და ჭიოტყავილებიანია. ადგილ-ადგილ მთის ლურჯყვავილება ფურცელიც ჩნდება, პაწაწინა ბაიაც, ისლებიც და მარცვლოვანებიც, მართალია, ისინი ერთ მთლიან კორდს არ ქმნიან, მაგრამ პაწაწინა ბუჩქებად კი ამოზრდილან ნამტვრევ, შავ ქვიშახრეშზე. ამ პრიალა ფიქლებს შორის, თითქოს თეთრი მძივი დაუბნევიათო, ისე იზრდება მაღალმთის პირთეთრა. აგერ ძიგვა, მართალია, მიწას არ ასცილებია, მაგრამ მაინც ძიგვაა. აი, კისერწვრილა მთის თივაქასრა, პაწაწინა ალპური ცახცახა, ფეხის ხმაურზე რომ კანკალებს.

— კაცო, ეგენი ქვევითაცაა, იქ მოვაგროვოთო, — მეხმაურება კიმო.

— ჰე, თუშო, ხომ არ დაიღალე?

— დაღლა რა შუაშია, თუ ქვევითაც ვნახავთ ამისთანას, აქ რაღას ვეძებოთ?

რა იცის კიმომ, რომ საქმე ისიცაა, ვიცოდეთ, რა სიმაღლემდე აღწევს აქ სიცოცხლე, ესევე მცენარენი დასავლეთ კავკასიონზე ხომ სამი ათას ას მეტრზეც კი იშვიათია. აქაური მთათუშეთის მხარე გვალვიანია, თოვლიც ცოტა მოდის. ამიტომ თოვლის ხაზი თუშეთში ოთხას-ხუთასი მეტრით უფრო მაღლაა, ვიდრე, ვთქვათ, სვანეთში. ახლა აქ ამის ახსნის დრო არ არის, ძირს რომ ჩავალთ, ცეცხლისპირას ვიტყვი ყოველივეს. ასეთ ჭაპანწყვეტაში კი როდესაც ფეხის დასადგმელს ეძებ და ხელის თითებში სისხლი ჟონავს, ძნელია ლაპარაკი. ზოგი ფიქალის „კბილი“ სამი-ოთხი მეტრის სიმაღლისაა, ვერ შემოუვლი, უნდა აფოფხდე ზედ და მეორე მხარეს მოექცე. ოფლი ღვარად ჩამოგდის, მთის მზე კი კისერში გაჭერს. თუ რას ნახავ და რას წააწყდები აქ, ძნელად გაითვალისწინებ. ერთ-ერთ

შედარებით იოლ „კბილს“ თუ „ფხას“ რომ შემოვუარეთ, უცბად წამოგვაწყდა ჯიხვების ნოტო (ნოტო ფარის პატარა, მცირე ნაწილია. ფარაში ათასამდე სული ცხვარია, ნოტოში ოცი-ოცდაათი ან მეტი). ათი-თხუთმეტი იქნებოდა. ორი თიკანი მოკუნტრუშებდა. ჩანს, არ გველოდნენ, ვერ გვხედავდნენ, ძნელი გასარჩევიც ვიყავით, ფიქალის ფხები ხომ შავჩოხიანი ვაჟკაცებივით იდგნენ.

შევჩერდით, გატრუნულები ვუმზერთ და ველით, როდის შეფრთხებიან. უკან ჩამორჩენილმა მიტომ, რომელსაც არ წარმოედგინა, რა სურათს ვუყურებდით, როგორც ჩანს, გაუფრთხილებლად ქვა დააგორა, ფეხი აუსხლტა. მთელი ნოტო უცბად გაქვავდა, ჯიხვებმა ბრიალა თვალები შემოგვანათეს, თავი დააქნიეს და ჩაეშვნენ სამხრეთის კლდოვან ფერდობზე. კლდეებს შორის გაუჩინარდნენ. მათი ფეხის ნასხლეტი ქვის ხრიალი თუღა გვესმოდა.

— ეგ ჩვენი ბიჭების დამფრთხალი ნოტოა! — დაასკვნა აბრომ.

გზა ისევ ხერხიანი ზურგით განვაგრძეთ. მოტიტვლებული, საქარე კლდეები იყო და თავისებური მცენარეები მეგულებოდა.

კიმო წინ მიდიოდა და ბილიკს ის არჩევდა, თუმცა ასარჩევი არა იყო რა. შედგა და ცას ახედა, სამი თუ ოთხი ორბი წრეს უვლიდა, ძირს ჩამოჰყეფდნენ. ერთი მოსწყდა კიდეც ცას და იქვე, ჩვენ წინ ჭიუხისაკენ ჩაეშვა. კიმომ ხელი მოიჩრდილა და ძირს ჩაიხედა, ჩაიხედა და ისიც მოსწყდა ადგილიდან, მსუბუქი ხტუნვით, საკმაოდ ღრმა ღრანტესაკენ ჩაეშვა. სხვა დროს ასეთ ადგილას იგი მეტისმეტად ფრთხილობდა, ახლა კი, რამ დააკარგვინა ეს სიფრთხილე?! შავ ფიქლებს მოეფარა და მალე ქვევიდან ძახილი მოგვესმა.

— აბრო, ჩამოდი, ნადირია ჩაჩეხილი!..

მე წინ წავედი, უკან აბრო მომყვა. ფრთხილად ვეშვებოდით და ნეტავ არ ჩავშვებულიყავ. ფხადაშვერილ ორ ფიქალს შორის რქამოტეხილი ჯიხვი იწვა, იწვა და კვნესოდა. შემოგვხედავდა საღამოჩამდგარ თვალებით, წამოიღებდა თავს, მაგრამ ტანი აღარ მისდევდა, თავი ისევ ფიქალზე დაუვარდებოდა და დაიკვნესებდა. ადამიანის კვნესას ჰგავდა მისი კვნესა, იქნებ, გვეეედრებოდა კიდეც, მაგრამ ადამიანები, რომელნიც მას დასცქეროდნენ, კი არ ნაღვლობდნენ მის ავბედობას, ხარობდნენ. კიმომ ხანჯალზე გაივლო ხელი.

— ეს ჩვენი ბიჭების ნახელავია, დაუჭრიათ, მეტი ვეღარ უვლია!

— დაიცა, მე ზევით ავალ, — და შეეიბრუნე ზურგი, ავყევი



არახვეთის ნაძვი. შორს ლოშისის ქედი

კლდეებს და ჩვენს ბილიკზე ჩამოვჯექი. თანამგზავრები მეკითხებოდნენ: დიდია?!

— ვაცია!... — ვთქვი და ხმა აღარ გავეცი. გული დამიმძიმდა.

— ეჰ, სად მოეწევა კაცს ბედისმდევნელი. რამდენი ირბინა ამ კლდეებში, მაგრამ მაინც უმტყუნა ძალამ, გამოელია, სისხლიდან დაიცალა. ცალი რქაც წაწყვეტილი ჰქონდა.

კაი ხნის შემდეგ კიმომ გუდაში ამოყვანილი ჯიხვის ხორციც ამოიტანა. ჯიხვის ცალრქიანი თავი ერთ მაღალ ფიქალზე შედეს.

რაღას ვიზამდი, გეზი ბინისაკენ უნდა ამეღო. მზე ისედაც გადასული იყო და ბინამდე კი მზის ჩასვლამდე თუ ჩავიდოდით. მუშაობის ხალისიც დამეკარგა. რა ღმერთი ვამიწყრა, დილას თოფები რომ გააცურეს კარვებიდან და არ შევაჩერე! ალბათ მაშინ ჩემშიც გაიღვიძა შორეულმა სისხლმა, — ვფიქრობდი და ფრთხილად ვეშვებოდი ქვიან ფერდობზე. კიმო? ამოდენა ტკირითით ჩიტივით მიფრინავდა, გახარებული იყო, ჯიხვი ვინადირეო. სერზე რუხჩოხიანი მგელი გამოჩნდა. დაჰკივლეს, დაჭრილის ნაკვალევს გამოჰყოლიაო, — დაასკვნეს. საშინელი სანახავი იყო, ქეციანს ჰგავდა. ზამთრის ბეწვს იცვლიდა.

ბინაზე ერთი ურიამული ატყდა. აბა, ჩქარა ცეცხლი, შამფური, ქვაბი, ყაურმა გავაკეთოთო.

და როდესაც ჩვენი ნანადირევის კერძი მზად იყო და უნდა შევდგომოდით სადილს თუ ვახშამს, ქვემოდან ამოჩნდნენ დილას წასული მონადირენი. პავლე ცხენზე იჯდა, სამსონი და ლაზრო თავჩაღუნული მოსდევდნენ, დავაკვირდით. ცხენს თითქოს ხურჯინი ეკიდა.

— ხომ არა იზარალა რა პავლემ? — ხმამაღლა გამოთქვა ყველას აზრი აბრომ.

— არა, ჯიხვები მოაქვთ და ბელადი, როგორც ჩანს, პავლეა! — ღაასკვნა კიმომ.

ჩვენი მოსადირენი მართლაც მალე მოგვადგნენ კარს. პავლე ისე იბერებოდა ცხენზე, გეგონებოდათ, ყეენიაო. ხმას არც ერთი არ ღებდა, ბოლოს ისევ სამსონმა ამოთქვა:

— უცნაური დღეა, ორი ჯიხვი იდავლა იმან, ვისაც ერთი ბეღურის მეტი არა ჰყავს მოკლული.

— იცის ბიჭმა და! — ახლაღა თქვა პავლემ. ჩამოვხადეთ ბარგი, კიმომ და აბრომ ახალი ნანადირევიც თოვლის ნაზვავის იმ გამოქვა-

ბულში ჩაიტანეს, საიდანაც ალაზანი გამოჰქუხდა. შევუდექით ნანადირევით ვახშმობას. პავლე სუფრის თავში იჯდა და კარგ ნაჭრებს მიითვლიდა: ეგეც ჩემი ბიჭობაია. სამსონი და ლაზრო აღარ დაობდნენ.

ბოლოს, როგორც იქნა, გვიამბეს, რაც გადახდათ.

ჯერ გათენებული არ იყო, როდესაც საჯიხვეებზე ავიდნენ. ნიავი არ იძვროდა. პავლე ერთ ყელში ჩასვეს, ჯიხვები თუ დასავლეთისკენ წამოვიდნენ, ამ ყელს ვერ ასცდებიანო, — უთხრეს. სამსონი და ლაზრო კი აღმოსავლეთის ხორხისკენ წავიდნენ და ხორხის ზურგს გაჰყვნენ. მიდიოდნენ ფრთხილად, კატის ნაბიჯით. აი, მზეც ამოვიდა. და განათდა მთის წვერები. პირიქითის ალაზნის სათავის ხორხებს ზვერავდნენ, მაგრამ არა ჩანდა რა. უცბად ლაზროს ფეხი დაუსხლტა, ქვა დაგორდა და ცასა და მიწას შუა გატყორცნილი ისარივით გაიჭრა ჯიხვების არვე, დროდადრო დაგორებული ქვის ჩქამს რომ არ დაერღვია დილის სიჩუმე, გეგონებოდათ, ფრთები აქვთ და ჰაერში მიფრინავენო. ერთი გასროლა ძლივს მოასწრო სამსონმა და ერთი ჯიხვი ჩამორჩა, ჩანს, ტყვია დაეწია, მაგრამ შორიახლო მაინც გაჰყვა სხვებს და მალე თვალს მიეფარა.

— ვაიმე, ვაიმე, პავლეს წააწყდებიან და, ნეტავ თუ ივარგებსო? — თქვა თურმე ლაზრომ.

— არ ვივარგო, განა ჩაღმა ვარ! — გაჰკრა კვესი პავლემ. — აი, ეს ჯიხვები ჩემი ნადავლი არაა? — და დაიწყო ნელი, დინჯი თხრობა:

— ვზივარ კლდეებში, ნაოფლი ვიყავი და ცოტა შემაჟრიალა. ნეტავ, რა მომარბენინებდა, როდის მივლია ჯიხვებზე, რომ ახლა წამოველ? ამ ფიქრებში, რომ ვარ, უცბად მომესმა ბაგი-ბუგი, გეგონებოდათ, ათასი დოღის ცხენი მოდისო. ვხედავ, და რას ვხედავ? ზედ ჩემზე მოჰქრის ჯიხვების უზარმაზარი ფარა — რემა. ვერც კი ავწიე თოფი. ერთმა თავი ვერ შეიკავა, ზედ გადმომევლო, ჩემ წინ კიდევ ჩანდა, ავწიე თოფი და დავახალე და დავახალე. ტყვიები რომ გამომელია თოფში, ჯიხვების მცირე ნაწილი დაღმა ორწოხებშიღა ჩანდა. არვე ნოტოებად დაშლილიყო, ჭიუხებიდან ჩემი თოფის ქუხილიღა ისმოდა. წამოვიწიე და წინ გავიხედე. ბიჭოს, მივარგია! დაბლა, რქაგადაგრეხილი ჯიხვი იყო ჩაჩეხილი; ამოტანა გამიჭირდა, ხანჯალიც არ მქონდა. შევიცადე, ვიცოდი, სამსონი და ლაზროც აღარ დაიგვიანებდნენ. მართლაც, მალე დამადგნენ თავზე.

— ძაან გივარგია, ორი მოგიკლავსო.—მითხრეს. მეორეც თურმე შორიახლო ეგდო, კლდეებში ჩაჩეხილი. დავატყავეთ, გუდებში ამოვიღეთ, ავქენით, ჩავაწყეთ ახალ გუდებში, მოვაკარით პირი და დავაწყეთ ფიქლები. გავყევით ფხიან ქედს. აიჩემეს: შორს არ წავიდოდნენო. ბევრი ვიარეთ, მზე უკვე თავზე დაგვადგა, მაგრამ კვალი ვერსად დავხელეთ. ერთ ლოდზე სისხლიც ვნახეთ, კვალს ვდიოთო, მაგრამ კვალიც დაიკარგა. ნადავლთან რომ მივედით, შუადღე გადახრილი იყო. ნანადირევი სამსონმა და ლაზრომ წამოიკიდეს. ჩამოვყევით ქედს და ქვემოთ, ფარსმელის ბინაზე ჩამოვედით. დავისვენეთ, შევნაყრდით, ნანადირევი ვუწილადეთ. ცხენიც გვათხოვეს... მაშ!.. — დაამთავრა და ამაყად გადმოგვხედა.

— მაინც **არა ხარ მონადირე!**

— **დაე, ეგრე იყოს! თქვენ** მონადირენი გერქვათ, მე კი ნადირი ვხოცო (ნადირს ჯიხვს ეძახიან).

— ტერტერამ უღელი გადააგდო და ორი კურდღელი მოკლაო.

— იღბლიანი ყოფილა...

და წავიდა ხუმრობა, ერთმანეთის ფრთხილი გაკილვა, სიცილი, მხიარულება. სამი ნადირი იყო საცივეში და მხიარულობდნენ. ბოლოს ხელმოცარულმა მონადირეებმაც გაიღიმეს. ჯერ ამ ხუმრობას მეც ავყევი, მაგრამ მომაგონდა ჭიუხებში თავგადაგდებული რქამოტეხილი ჯიხვი. ავდექი, დროა ყველამ თავისი ბინა ნახოს-მეთქი და გავწიე ჩემი კარავისაკენ.

გადავიხურე ნაბადი, და წავიდა ფიქრის ქარავანი...

ჯიხვი ხომ ლაზათია და მშვენება ჩვენი მთებისა! ვაჟკაცის მარჯვენამ როგორ უნდა გაიმეტოს მოსაკლავად? ასეთი ჯიხვები — დაღესტნური და სვანური — ხომ სხვაგან არსად არის? მაშ, რაღას ვერჩით? დაამშვენონ ჩვენი მთები და გაახარონ თვალი ალპინისტისა, მოგზაურისა, ჩვენი მთების მკვლევარისა!

ხომ **შეიძლება მათი მოშინაურება, შეჯვარება!**

ჯიხვს არც მე ვესვრი ოდესმე და არც სხვას გავამეტებინებ მოსაკლავად!

— მოიტათ აქ თოფები!

ყველა თოფი კარავში შემომაწოდეს. თავთით დავიწყე, ისე რომ ვერც კონდახსა და ვერც ლულას დაინახავდნენ.

თავი III

მორბის არაგვი არაგვიანი

ერთი რამა მაქვს სათქმელი,
იქნებ დაგივჯდეთ ჭკვაშია:
მკერდში არავინ დაგეიჭრას
გმირი დაჭრილი მხარშია.

ეკა-ფშაველ•

გწყალობდეთ ლომისის მადლი

— რა გეჩქარებათ, შვილებო, რომ უთენია აიბარგეთ!

— ლომისაში უნდა ავიდეთ, დიდედო, ლომისაში. აღმართი დიდია და სიგრილეზე ჯობიან სიარული.

— ჰო და გწყალობდეს ლომისის წმინდა გიორგი და იმისი მადლი!..

გულიანად დალოცა ქიტესას მეუღლემ ჩვენი მგზავრები.

ქიტესამ კი აღმოსავლეთისაკენ ქნა პირი და მაღლა გაიხედა. თითქოს უნდა ლომისა დაინახოსო.

— ხომ ვიცი, ძალა არა აქვს, მაგრამ ძველი ჩვეულებაა. როცა იმას დავინახავ, პირჯვარი უნდა გამოვისახო..

— ჰო, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, — დაეთანხმა გიორგი.

— ლომისა ჩვენი დიდი სალოცავია, მთიულებისა და ქსნიელებისა.

— ჩვენი სოფლიდანაც მოდიოდნენ სალოცავად...

— ჩვენებურები იქნებოდნენ.

— გვარად ოდიშვილები არიან.

— მთიულები ყოფილან, მლეთელები. ალბათ თქვენში ჩამოსახლდებოდნენ.

როგორც ვთქვი, მთიდან ხალხი ხშირად ჩამოდიოდა ბარად და სახლდებოდა ქართლის სოფლებში, მაგრამ მამა-პაპათა სალოცავებს არ ივიწყებდნენ, ხუთ წელიწადში ერთხელ მაინც მოინახულებდნენ და მოილოცავდნენ ხოლმე.

თუ ნამთიულარის ოჯახში ავად გახდებოდა ვინმე და ავადმყოფობა ცოტა მაინც გაგრძელდებოდა, მკითხავთან მიდიოდნენ. მკითხავს კი ერთი წამალი ჰქონდა: „მამა-პაპათა სალოცავმა მოგიკითხათ, სამღვთო უნდა გადაუხადოთ, ცხვარი (ან კურატი) უნდა დაუკლათო“.

მოემზადებოდნენ, გამოაცხობდნენ პურს, ნაზუქს, მანდარს, ხმიადს, ლავაშს; გოდორში ჩასხამდნენ ქათმებს, ცხვარს ურმის ბოლოზე დააკრავდნენ, კურატს ურმის უკანა ჭალს გამოაბამდნენ, ურემს გადახურავდნენ ფარდაგს, ჩააგებდნენ ლოგინს. ჩააწვენდნენ ავადმყოფს და გაუდგებოდნენ ლომისის წმინდა გიორგის გზას. გზას, იქით და აქეთ, ორ კვირას მაინც უნდებოდნენ, ავადმყოფი სუფთა ჰაერზე იყო, კარგად იკვებებოდა და ზოგჯერ რჩებოდა კიდეც; ავადმყოფს და ჭირისუფლებს კი ეგონათ, ლომისის წმინდა გიორგიმ მოარჩინაო, თუ არ მორჩებოდა — „ლომისა გამწყრალია, ახალ სამღვთოს თხოულობსო“, — ეტყოდა იგივე მკითხავი.

ამას გიორგი უკვე გზაში უამბობდა. ქიტესა ღიმილით ესაიხმებოდა, სწორედ ეგრეაო და თავის მხრივ ერთი ამბავიც დაუმატა:

„ლომისის წმინდა გიორგის ხატი, სხვა ქონებასთან ერთად, თათრებს გაუტაციათ. შვიდი წელიწადი თათრებში ყოფილა. იმ ქვეყანაში ამ შვიდ წელიწადს აღარც ქალი შობილა, აღარც კაცი და აღარც მოსავალი მოსულა...

მკითხავს უთქვამს: — ეს გურჯების ხატია, სანამ ეს ხატი აქა გაქვთ ვერ იხეირებთო...

მერე ერთი ბუღა გამოსულა გაგიჟებული, ხატი რქაში ჩაჭედია-ჩაბრძანებია, ბუღა წამოსულა, ფასანაურის თავზე დაუსვენია, იმ ადგილას ჯვარი არის. ხალხი შეჰგებებია და მერე აქ წამოუყვანიათ. „ლომისა რომ ააშენეს, ჭალიდან ქვას აწოდებდნენ ერთურთს; მიდიოდა ლამი, დუღაბი, კირი და ქვა, აშენების დროს ქსანი (ქსნიელე-

ბი ნ.კ.) მეტი წილი იყო. მთიულები ცოტანი იყვნენ და კარი უკუღ-
მა შაბეს. — დასავლეთის მხარეს აქვს ამიტომ.

ლომისაც დიდ სალოცავად ითვლებოდა და დიდი ძალა ჰქონდა. მანდ იყო სამასი ბერი; ნასახლარები კიდევ არი[1].

დილის სიგრილეზე ნელნელ მიჰყვებოდნენ ქსნის მარჯვენა ნაპირზე გაყვანილ გზას. გაიარეს ქსნიელების სოფლები წინუბანი, ახალდაბა, გალმა კი ერთიერთმანეთის მიყოლებით ჩნდებოდნენ თინიკაანთ-კარი, ჭარელთ-კარი, პავლიანთ-კარი, ქსანთან. ოხირის შესართავთან, ძველი ციხის ნანგრევი. გადაჭრეს ხევი, მხარ მარცხნივ მოიტოვეს ქსანი. ამ ადგილას მგზავრებმა შეისვენეს. საკმაოდ უკიათ ალმართს უნდა შესდგომოდნენ და მუხლში ქარი უნდა ამოეღოთ. ის იყო საუზმეს შეუდგნენ, რომ ერთმა ხანში შესულმა ქსნიელმა ვამარჯობა უსურვა.

ბავშვები ფეხზე წამოდგნენ და სალამი ისე დაუბრუნეს.

— საით, ქიტესო?

— ლომისას მივდივართ, წყალობავ, ლომისას.

— რა ვქნა და ე შენი მგზავრები რომ მლოცველებს არა ჰგვანან?

— აქედან წასულები ყოფილან და ხატს მოუკითხია! — გაეხუმრა ქიტესო.

— მობრძანდით, ფეხი შეასვენეთ! სამხარი გაიზიარეთ.

— ლომისა ძლიერი, ძალიან ძლიერი ხატია!

„აი რო გვალვა იქნება და გადაიწვება აქაურობა, მაშინ იმას გამოაბრძანებენ, იმის ხატსა და გაინათლება მთელი ქვეყანა, მაშინვე გაავდარდება. ოთხჯერ-ხუთჯერ მახსოვს რომ გამააბძანეს.

— ორნივ ერთნი არიან, ორნივ წმინდა გიორგები არიან, ფუძის ანგელოზი და ლომისა“.

კიდევ რამდენიმე ასეთი ძველი ამბავი თქვა წყალობამ.

ბოლოს წამოდგა, მადლობა გადაუხადა და გაუდგა თავის გზას. ჩვენი ნაცნობებიც შეუყვნენ ალმართს.

გზა საკმაოდ დაბურულ ტყეში მიდიოდა, მზის სხივები აქა-იქ თუ აღწევდა. ცხენები კუდს ქნევით იცილებდნენ აბეზარ ბუზებს. ტყის მყუდროებამ თავისი ქნა და ყველა თავის ფიქრმა წაიღო, ხმას

---

[1] ორივე ზემო მოტანილი თქმულება ჩაწერილი აქვს პროფ. ე. ვირსალაძეს.

არახვეთის ნაძვები

არავინ იღებდა, მხოლოდ შალვა არ ისვენებდა, ხან აქ გადუხვევდა გზიდან და ტყეს შეერეოდა, ხან იქ, შემდეგ რაღაცნაირად წინიდან უყელებდა ხოლმე, ჩანდა, სწრაფად მუშაობდა და აბგაში მცენარეებიც საკმაოდ დაუგროვდა.

სრულიად მოულოდნელად, მთის მდელოებზე მოექცნენ. არყნარი საკმაოდ დაჩაგრული იყო, მაგრამ ზოგზოგი ხე ლამაზად იდგა. ცალკე მდგომ არყებს შორის ეყარა ძველი მორები, ზოგი ლპებოდა, ზოგი ახალი წაქცეული იყო. ეტყობა, აქ ხშირად ძოვდა ცხვარ-ძროხა და აღარც არყისა და ნეკერჩხლის ნორჩნარი ჩანდა და აღარც მაღალმთის ტყის ბუჩქები.

მაღლა ლომისა იყო.

როგორც ეთნოგრაფიული და ისტორიული მასალებიდან ჩანს, ლომისა მარტო სალოცავი ხატი არ იყო. ეს იყო სათემო მთიულე-

ბის შეკრების ადგილი, სადაც საქვეყნო საქმეები უნდა გადაეწყვიტათ.

აი, როგორაა ასახული ერთ-ერთ ხალხურ ლექსში თბილისის დასაცავად ერეკლეს მოწოდება, მთიულთა ჯარის ომში წასვლა და დაბრუნება:

მთიულებს ნემოუთვალეს ბრძანება ქალაქისაო,
გვიშველეთ, მთიულთ შკილებო, ძალა დაგვადგა მტრისაო.
თბილისის ბოლოს მოვიდა ჯარები თათრებისაო,
შეგროვდა მთიულთ ბიჭები, დრო არის ჩვენი ცღისაო.
სამხთო ქნეს ლომისაშია, ხანჯლებს უწყობენ პირსაო.
ბევრჯერ ყოფილა ომშია გამკაფაეია გზისაო...

. . . . . .

განთავისუფლდა თბილისი, თათრებს შეუკრეს გზანიო,
გაანადგურეს თათრები. გადაავლინეს მთანიო.
ძეფე ირაკლიმ მთიულებს უბოძა ოქროს ჯვარიო,
სამხთო ქნეს ლომისაშია, დაკლეს სამასი ცხვარიო.

ომში წასვლის თადარიგი ლომისაში დაიჭირეს და გამარჯვებულებმა „სამხთოც ქნეს ლომისაში“.

ლომისა საყვარელი და წმინდა ადგილი იყო მთიულეთისათვის. როდესაც ვაჟკაცი დაბერდებოდა და ომში ვეღარ წავიდოდა, თავის ფარსა და ჯაჭვს ლომისის კარზე ჰკიდებდა.

ლომისას ჯაჭვი ჰკიდია, არავინ იცის ვისია,
ბებერი ქალი ატირდა, ეგ ჯაჭვი ჩემი ქმრისია,
სიკვდილის ჟამსა ნათქომი დაბარებულიმც ბისია:
„ისეთმა ყმამა ჩაიცვას, ვინც ხმარებისა ღირსია“.

ქსნიელები და მთიულები ვაჟკაცები იყვნენ, ომში უშიშნი. ტყუილად როდი მღეროდნენ:

— მთის შვილო, მთაში გაზრდილო, ხმალს როდი მოგიშვდება,
ომში შეხვალ და გამოხვალ. გული არ შეგიშინდება.
სისხლისა ნაგუბარზედა, ფეხი არ მოგიცურდება.

აქვეა, ამ მხარეში დაბადებული მეორე ლექსიც:

ხმალსა არ უშლის სიმოკლე. ფეხს წადგამ წავმატება.
აოც ვაჟკაცს ტანდაბალობა, თუ თავი გაუმეტება.

ვაჟკაცობასთან და ქვეყნის ინტერესების შეგნებასთან ერთად სამწუხაროდ შინა აშლილობანი და ძმათა სისხლისღვრაც ხშირად ყოფილა. ჩვენი ისტორიკოსების მოწმობით, მეფე გიორგი ბრწყინვალე ლაშქრობდა ოსეთში, მას თან ახლდნენ ქსნიელები და არაგველი მთიულები. მეფეს გაუმარჯვია. ქსნიელებს ამ ბრძოლაში თავი გამოუჩენიათ და გიორგი მეფეს შეუქია ეს უკანასკნელნი.

არაგველებმა იწყინეს, ამოდით, ლომისას შევებრძოლოთ ურთიერთს და იქ გამოჩნდება, ვინაა კაი მებრძოლიო.

ამ ამბავში მეფის ძე დავითი ჩაერია, განაზავა, საომრად განწყობილნი, ქსნიელები დაბრუნდნენ, მაგრამ არაგველები გამოედევნენ; დავით ბატონიშვილი, ძე გიორგი ბრწყინვალისა, მუხლზე დავარდნილი ეევდრა უკან დაბრუნდითო, ლომისის ხატები წინ დაუსვენა. არ გასჭრა, საგორავებს აგორებდნენ მაღალ მთიდან და ძირს მოქცეულებს ხოცდნენ.

ქსნიელებმაც დიდხანს არ დააყოვნეს, გამობრუნდნენ და შეიქმნა ძმათა სისხლის ღვრა, ჩაერივნენ ერისთავნი და ხელმძღვანელობდნენ ქსნიელთა ბრძოლებს, მიუხედავად იმისა, რომ დავითი, მეფის ძე, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელი, ეევდრა ორივ მხარეს — ნუ დაღვრით ძმათა სისხლსაო".

— ქსნის ერისთავებს თავიდან დაჰყოლიათ მოსისხლეობა!

— შემდეგში არც არაგვის ერისთავები აკლებდნენ, — უპასუხა გიორგიმ.

ეს ყველაფერი არყის ჩრდილში შესვენების დროს მოისმინეს. ამის შემდეგ შეუდგნენ ღია ადგილებს, რომელიც მთლიანად არ იყო გაძოვილი, მიუხედავად იმისა, რომ ტყის პირებზე რამდენიმე ბინა ჩანდა და ფერდაზე კი ბევრგან ცხვარი იყო შეფენილი.

— ეგენი ცხრაზმის ხეობისანი არიან, — აუხსნა ქიტესამ, — კარგი მეცხვარეები ჩანან. ზამთრის საძოვრებიდან, ნოღაის ველებიდან ახლახანს დაბრუნდნენ. შორსაა ნოღაის ველი, კასპიის ზღვის პირას. ძნელი გასაძლისია, მაგრამ, რას იზამ, ამ ზემო მხარის ავლადიდება საქონელია, ცხვარ-ძროხა, უნდა გაიჭირვონ კიდეც.

მზემ დააჭირა, დასცხათ, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ, მაგრამ წინ მხნე ნაბიჯით მიიწევდნენ.

ბედად მალე გაივაკეს და გამოჩნდა ლომისის წმინდა გიორგის სახელობის ბაზილიკა.

ქიტესამ ცხენები შორიახლო დააყენა და წარმოთქვა:

— გწყალობდეთ ლომისის მადლიო!

კაცი ვერ გაიგებდა, გულით ამბობდა, თუ ხუმრობით. მგზავრებმა არ შეიმჩნიეს.

ერეკლემ და ვახტანგმა ქუდები მოიხადეს. გარინდდნენ.

მათ თვალწინ გადირბინა ამ ორი ხეობის წარსულმა და აქეთ წამოსვლის წინ ამოკითხული ლექსიც მოიგონეს:

„შანშე ერისთავს აქებენ, ბევრ ნთები გადალახაო,
ქსანზე აპირებს ჩასვლასა, ლომისას დადგა ბინაო,
ეგ მთიულთ გამოქცეული, ნაბდით ჩაათრეს შინაო".

და ვინ იცის, კიდევ რამდენი ასეთი ლექსი დარჩა ჩაუწერელი, ე. ი. დაიკარგა ხალხის მიერ დახსომებული ისტორია.

მარცხნივ ქსნის ხეობა ჩანდა, მარჯვნივ არაგვისა. ძმები იყვნენ, მაგრამ ყამთა სიავის გამო ერთმანეთს არ ინდობდნენ.

ახლა კი:

„ლომისას ჯაჭვი ჰკიდია, არავინ იცის ვისია..."
„ლომისის კარზე ჰკიდია, ოქა ყურღაის ფარიო..."

დღეს არც ჯაჭვი ელის ვისმე და არც ფარი, ლომისას ძველი იერი დაუკარგავს, ხატებიც დატაცებულია და წაღებული, რაც გადარჩა, მუზეუმს შეაფარა თავი.

— აბა, მოხსენით ბარგი ცხენებს. ბინას აქ დავიდებთ ამაღამ.

ამას რა სჯობდა!

მოალერსე ნიავი. თავზე დასცქეროდათ ცამდე ამართული, თეთრად მოელვარე კავკასიონის ქედი.

მკერდში დაჭრილი ხეობა

მეორე დილით ლომისის სალოცავიდან შალვა, ერეკლე და ვახტანგი ქედქედ გაჰყვნენ მარჯვნივ. ღრმა ხეობაში არაგვის თეთრი ძაფი იყო გაბმული, მარცხნივ კი, ქედის შემაღლებიდან, გამოკრთებოდა ხოლმე ქსნის წყვეტილი ხაზი. გუმანით ატყობდნენ, რომ მდინარე-

ნი მოუსვენრად მიისწრაფოდნენ ქვევით. თეთრად ჩანდნენ, ეს ჩქერების ქაფი იყო.

ლომისის ქედის მწვერვალები მდელოებს უპირავს. ფერდოთა მდელოების დიდი უმრავლესობა ტყის მოსპობის შემდეგ არის გაჩენილი. ქედის ზურგის ქვევით, თითქმის მლეთის თავზე, ნასოფლარებიც კარგად ეტყობა, სახლის ჩამონგრეული კედლები და მინდვრის ყორეებიღაა დარჩენილი. ადგილ-ადგილ, ნასოფლარის მახლობლად, ნეკერჩხალი, არყი და იფანი დგას, ზოგან პატარა კორომიც ჩანს. როგორც ეტყობა, ჩრდილში რომელიღაც ნიშსა თუ ხატს შეუფარებია თავი და მათ „მადლს“ გადურჩენია ეს თითო-ოროლა ხე.

ლომისის ქედის აღმოსავლეთისაკენ მიქცეული ფერდონი მრავალ ადგილას ჩამოღადრულია, გეგონებათ, ვიღაც ზღაპრულ დევკაცს რკინისფრჩხილებიანი ხელებით მთელი ქედის მკერდი გულღვიძლამდე ჩამოუკაწრავსო, რის შედეგადაც ფერდობებზე დარჩენილა ღრმა ხნარცვები, აუარებელი ღრანტეები და ხევები. წვიმის წყალი კი შეუჩერებლივ აკეთებს თავის საქმეს. განუწყვეტლივ შლის ხევის ნაპირებს, აღრმავებს ფსკერს და ნაშალს ქვევით, არაგვისკენ, ეზიდება. წვიმის წყლის ეს პატარ-პატარა ნაკადულები ხევის ორივე მხარეს აჩენს პაწაწკინტელა ხრამებს, რომელნიც თანდათან ღრმავდება. ერეკლემ დააპირა ფერდაზე ჩასულიყო და მისი შუა ნაწილი გვეოდგვერდ გაეკლო. ჩამოირბინა და, იბრუნა თუ არა პირი ჩრდილოეთისაკენ, უმალ წააწყდა უზარმაზარ ღრანტეს. ნელა ჩაჰყვა მის კბოდეს, საკმაოდ დიდი ნაკადული, რომელიც ცოტა ზევით თითქმის სრულიად არ ეტყობოდა, რადგან ნაშალი ფარაკდა, თავპირის მტვრევით ეშვებოდა მაღლიდან. თან მიჰქონდა ქვის ნამსხვრევები, ღორღი, ქვიშა, მაგრამ წყალი მაინც წმინდა ჩანდა. სათავისკენ რომ აიხედა, კინაღამ ქუდი გადაუვარდა, წყალი თითქოს მთის მკერდიდან გადმოქუხდა. სადღაც, მაღლა, თავის თანამგზავრები შენიშნა, ერთი ბეწოები ჩანდნენ. ზევიდან კი წეღან ეს ადგილი ძალიან ახლოს ეჩვენა.

ერეკლემ თვალი შეავლო მოპირდაპირე კბოდეს, ღრანტეს მარცხენა ნაპირს და შეფიქრიანდა: ავალ თუ არაო, უკან მოიხედა და მარჯვენაც, რომელზედაც წეღან ძლივს ჩამოფოჯხდა. არახაკლებ მაღალი და ციცაბო ჩანდა. „რაც არის, არისო“, — თქვა და მოიმარჯვა წერაყინი. ნაკადულზე გადასვლა გაუჭირდა, წყალი მუხლს ზევით

არახვეოის სალოცავი. მარცხნივ მოჩანს ბზა

სცემდა. ეს კიდევ არაფერი, ნაკადული ისეთი ჩქარი იყო, რომ ფეხ-ქვეშიდან მიწას, ხრეშსა და ქვას აცლიდა. ფეხის მოკიდება ჭირდა, არა და ოთხი ნაბიჯი მაინც იქნებოდა წყალში გადასადგმელი. აიხედ-ჩაიხედა, იქვე, შუა ნაკადულში ლოდი ეგდო, ქვახიდას ჰგავდა, გა-დახტა და ლოდს ზედ ქეჩოზე მოექცა, ესიამოვნა. აქედან უკვე ადვი-ლი იყო მეორე ნაპირზე გადასვლა.

როგორც იქნა, აფოფხდა კბოდეზე და დასასვენებლად მწვანე მდელოზე გაიშხლართა. მდელო ძიგვიანი იყო და ამიტომ რბილად დაწვა, თუმცა ერთი-ორი ძიგვის წვრილმა ფოთოლმა მაინც შეაღწია პერანგში და საკმაოდ მწარედ უჩხვლიტა.

დაღლილი იყო და ადგომა ეზარებოდა. დილის მზე უფრო და

უფრო იკბინებოდა და ერეკლე მთელ ტანში მოეშვა, თვალი ელულებოდა, კინაღამ ძილს მისცა თავი, მაგრამ უეცრად სულ ახლოს გაიგონა გრგვინვა-ქუხილი. სწრაფად წამოხტა, ახედა ახლად გადმოვლილ ხრამს და მაშინვე იაზრა, რომ მაღლა ზვავი მოწყდა და ის მოექანება ქვევითკენ. მართლაც, უზარმაზარი ქვები მოხტოდნენ ჰაერში, გეგონებოდათ, ნაღმი ააფეთქესო.

„აქ დიდხანს არ მედგომებაო", — გაიფიქრა და ელვის სისწრაფით მდელოს მეორე მხარეს მოექცა, და სწორედ დროულად, რამდენიმე ლოდმა იმ ადგილსაც გადაუარა, სადაც იწვა.

„არ ღირდა მარტო წამოსვლა", — ფიქრობდა და ახლა უკვე ნელნელა მიიწევდა ქედის ზურგისაკენ. მალე ვახტანგი და მალვაც დაინახა, რომლებიც ზევიდან ჩამოჰკიოდნენ.

ავიდა და მათ შუა დაეცა.

— დაინახეთ ზვავი?!

— ზვავიც დავინახეთ და ისიც, როგორ ჰიცოცხე მეორე მხარეს.

— რატომ აღარ გაჰყევ გვერდას?

— როგორ გაჰყვები? მთლიანად დაღარულია, დაკაწრული, კარგად ჩანს, კორდიანი ნიადაგიც როგორ იშლება, განსაკუთრებით დაშლილი ნაპირიდან ცხვარი თუ შეუდგა, იგი ფეხით კიდეს შლის და ხელს უწყობს, რომ წვიმის წყალმა ქვევით ჩაიტანოს.

— ტყე რომ მოსპეს, ნატყევარზე მდელო ვაჩნდა. ზედმეტი ძოვების შემდეგ მდელოც გაფუჭდა; დაფარა სარეველა მცენარემ, ძიგვამ, მარმუჭმა, ბექონდარამ. აგერ, როგორ დაკიბულია, ოროკოები გაჩენილან გადაჭარბებული ძოვების გამო... აბა, მარცხნივაც გადაიხედოთ!

და მართლაც, არც ქსნის მხარე იყო ნაკლებ დაღარული.

ზევიდან ხედავდნენ, რომ გასცდნენ მლეთას, გადაუარეს მწვერვალს, უფრო სწორად, გვერდაზე ჩაირბინეს და მლეთის ზევით, ნასოფლარსა და ხატის სოფელს შუა ჩავიდნენ, არაგვის ხეობის ხატის ტყეში.

ხატის ტყის ზევით ერთდებოდა არაგვის ორი ტოტი, რომლებიც თეთრი არაგვის სათავეებს წარმოადგენდნენ. აღმოსავლეთის ნაკადული სათავეს იღებს წითელ მთასა და ნეფის კალოს შორის, და-

საკლეთისა — ნეფის კალოსა და ლომისის ქედს შორის, თითქმის ყელის ტბის პლატოდან.

როდესაც გაღმა მხარეს გასცდნენ, გაოცებულნი დარჩნენ არაგვის ხეობის ნაპირებით. გაღმა მხარეზე, ე. ი. არაგვის მარცხენა ნაპირზე, ცამდე აშოტილი კედლებია, ციცაბო და ფრიალო. პირდაპირ, მაღლა, 2200 მეტრის სიმაღლეზე გუდაურია. არაგვის პირას კი, იქ, სადაც ხატის ტყეა, 1700 მეტრია. ბევრგან ეს კბოდე-ნაპირი 500—600 მეტრის სიმაღლისაა.

აქაა სწორედ ლავების კედლები, ანდეზიტები და ბაზალტები. ხატის ტყეც სწორედ ნიაღვრის კიდეებზე მდებარეობს. არაგვისაკენ დაშვებულია ვერტიკალური კედელი, ხოლო დასავლეთი ნაწილი ლომისის ქედის ფერდაში გადადის. მწვერვალზე ტაძრის ნანგრევებია, მის ირგვლივ კი აყრილი ტყეა. ნანგრევთა შორის უხვად იზრდება გრაკლა და მთის ღვია.

ეს ტყე ნაშთია იმ ტყისა, რომლითაც წინათ დაფარული იყო ლომისის ქედის დიდი ნაწილი. ესაა ნამდვილი მთების შუა სარტყელის ტყე, რომელსაც მაღალი მთის ტყის ელემენტებიც ურევია. აქაა მშვენიერი ძირები იფნისა, ზოგი დაბერებულა და გადახრილა, დაფუღუროვებულა და კვდება, ან მიწაზე დაცემულა; მათ გვერდით აშოლტილი ახალგაზრდა ქოჩორა იფნებიც ცოტა არაა. გარდა იფნისა თავს იწონებს მაღალმთის ბოყვი, თელადუმა, წიფელი, მეჭეჭიანი არყი, ჭადრისებრი ბოყვი, შოთხვი, ცირცელი. ბუჩქებს შორის იელის ნახვა არც გაჭკვირვებიათ, რადგან ფერდაზე მრავალ ადგილას დახვდათ იელის ბუჩქები. შალვამ აუხსნა, იელის არსებობა ერთ-ერთი ნიშანია იმისა, რომ ეს მხარე ნატყევარიაო, მერე მიუთითა გაღმა მხარეს — სეთურების სოფლისა და ქუმლის ციხის მიდამოებზე, სადაც აგრეთვე უხვად მოჩანდა — გაღმის იელნარიც. გარდა იელისა, აქ ბევრი იყო კავკასიური ცხარტყავა, თხილი, მეჭეჭიანი ჭანჭყატა და სხვები.

ტყე 20—40 ჰექტარი მაინც იქნება და შედარებით კარგადაა შენახული, თუმცა ნაპირიდან ცული უკვე შეჰპარვია. რასაკვირველია, ხატს თავისი გაუკეთებია, მაგრამ დღეს, როდესაც გაიგეს, ხატს ძალა არა აქვსო, ტყესაც შეეჩვივნენ.

ბიჭები დინჯად დააბიჯებდნენ ნანგრევთა შორის, რამდენიმე ადგილას არჩვისა და ჯიხვის რქები და პატარა ზარებიც ნახეს, ხა-

ტისთვის შეწირული. ლამაზ და უზარმაზარ ხეებს მოხვევდნენ ხელებს და სიყვარულით უალერსებდნენ მათ გლუ ზროს, ასცქეროდნენ მაღლა, ასეთი შეხედვისას თითქოს ლაჟვარდ ცასა სწვდებოდნენ.

როდის-როდის მოიგონეს, რომ დრო იყო წასვლისა და დამრეც ფერდას ვიწრო ბილიკით დაუყვნენ ქვევით. ახლა არაგვის ხმაურიც ესმოდათ და ზოგან მისი ჩქერის წვეთიც ხვდებოდათ. გამოიარეს ძველი მლეთის ძირში და სამხედრო გზაზე გავიდნენ. სკოლის ეზოში მანქანა დაინახეს, იქვე ება მათი ცხენებიც. გულიანად ამოისუნთქეს და საღამოზე გიორგის უამბეს, რაც გადახდათ. გიორგიმაც ისარგებლა იმით, რომ ახალგაზრდებმა დღეს თავისი თვალით ნახეს ეროზიის ბევრი ნიმუში, თან ხალისიც შერჩათ და ბევრი ისეთი რამ უამბო, რაც სხვა დროს შესაძლებელია მოსაწყენი ყოფილიყო მათთვის. ერეკლე რომ ამბობდა, „მიწა ბღუჯა-ბღუჯა მიჰქონდაო“, მას უკვე აღარ გაუჭირდებოდა, ეს ბღუჯა-ბღუჯა მიწა ტონებში გამოესახა.

გამოანგარიშებულია, რომ მდინარე მისისიპს ერთ წელიწადში ოკეანისკენ მიაქვს 622.188 ტონა ფოსფორი, 1.626.312 ტონა კალიუმი, 22.446.379 ტონა კალციუმი და 5.179.788 ტონა მაგნიუმი.

საქართველოს ტყის ზონის ყოველი ერთი ჰექტარიდან წვიმის წყალს 15—60 ტონა მიწა და ხრეში მიაქვს. ჩვენი მთის ტყეებში კი 800.000 ჰექტრამდე ასეთი ფართობი გვაქვს. ამ ფართობიდან წყალს მიაქვს 12—48 მილიონი ტონა მიწა და ხრეში. დადგენილია, რომ დასავლეთ საქართველოს ნატყევარი ადგილების ყოველი ჰექტრიდან ირეცხება 15—55 ტონა ნიადაგი და მასთან ერთად 64—440 კილოგრამი აზოტი, მაშასადამე მარტო ნატყევარი ადგილებიდან კკარგავთ 10—15 მილიონ ტონა აზოტს.

ჩვენი მთის ტყეების ფონდი 2.946.900 ჰექტარია, აქედან ტყით დაფარულია 83%, ე. ი. 2.446.600 ჰა. უტყეოა — 17%, ანუ 500.300 ჰა. და, თუ საშუალოდ ვიანგარიშებთ, რომ წყალს ყოველი ჰექტარიდან 37 ტონა მიწა და ხრეში მიაქვს, გამოვა, რომ ტყის ზონის უტყეო ადგილებიდან ყოველწლიურად წყალს მიაქვს 18.511.100 ტონა მიწა, მაგრამ თვით ჩვენი ტყის ერთი მესამედი, ე. ი., სულ ცოტა, 800.000 ჰექტარი, ისეა გამეჩხერებული, რომ წყალს ასეთი ტყე ვერ ებრძვის, აქაც თვრამეტ მილიონამდე ტონა მიწასა ვკარგავთ (რასა-

კვირველია, ძირითადად ნიადაგს). ცნობილია, მაგალითად, რომ „ერთ კვირაში თამბაქოს პლანტაციიდან შეერთებულ შტატებში, კონექტიკუტში, წვიმამ მოჭრა 20 სანტიმეტრი სისქის ნიადაგი, ე. ი. ჰექტარიდან 300 ტონა", ღვართქაფი კი რამდენიმე საათში ზედაპირიდან ჭრის 25 სანტიმეტრი სისქის ნიადაგს.

მთის სათიბ-საძოვრები ჩვენში 1.638.400 ჰექტარამდეა, აქედან საძოვრებია 1.479.300 ჰექტარი, სათიბია 159.100 ჰექტარი, ზაფხულის საძოვრებია 1.168 700 ჰექტარი, ზამთრისა — 310.600. პასპორტიზაციის მასალების მიხედვით, ზაფხულის საძოვრებზე უარყოფითი მაჩვენებლები აქვს 35,4 %-ს ე. ი. 400.000 ჰექტრამდე ფართობს. დანარჩენ 700 000 ჰექტარსაც კარგი დღე არ ადგას, გადაგვარებულია, მარტო ძიგვით დაფარულია 100 000 ჰა, მარმუჭით 321 500 ჰა და სხვ. ამ საძოვრებიდანაც ყოველწლიურად წყალს მიაქვს მრავალი მილიონი ტონა მიწა (უმთავრესად ჰუმუსიანი), ხრეში და ღორღი. ასეთი მდგომარეობაა განსაკუთრებით ქსნის, თეთრი არაგვის, შავი არაგვის, ხევსურეთის არაგვის, თერგის, ივრის, ქციის, ალგეთის და სხვა მდინარეთა სათავეებში და საერთოდ ხეობებში.

ტყეს რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს საერთოდ ცნობილია. ცნობილია ისიც, რომ ტყეში არსებული მშრალი ხავსის ერთი კვადრატული მეტრი იწონის 1 კილოგრამს, დიდი წვიმის შემდეგ კი — 5 კილოგრამს. ამგვარად, ათი ათასი ჰექტარი ტყე მარტო თავისი ხავსით იჭერს ნახევარ მილიონ კუბომეტრ წყალს. სამწუხაროდ, საქართველოს მეყვავილე-დეკორატორებმა ამ ბოლო დროს ფართოდ დაიწყეს ქალაქების ხავსით გამწვანება, ხავსი კი ტყიდან ჩამოაქვთ, ატიტვლებენ დიდ ფართობებს, რაც ყოვლად დაუშვებელია!

შეერთებულ შტატებში, ოჰაიოში, გამოიანგარიშეს, რომ 20 სანტიმეტრის სისქის ალუვიური[1] ნიადაგის ზედაპირული ჩამონადენით გადარეცხვისათვის საჭიროა ტყეში 17.000 წელი, პრერიებში (ველებში) — 29.000 წელი, იმ ნიადაგებზე, რომელსაც რაციონალურად ამუშავებენ და იყენებენ თესლთაბრუნვისათვის — 100 წელი, ხოლო იმ მიწებზე, რომელიც სიმინდის მონოკულტურას უჭირავს — 15 წელი.

---

1 ალუვიური — მდინარისაგან მონატანი, მონარიყი ნიადაგი (სილა, თიხა და სხვა).

ზოგჯერ ეროზიული მოვლენები უფრო სწრაფად ვითარდება. ერთ ტროპიკულ ღლოფოს[1] სულ ცოტა ხანში შეუძლია მთლიანად მოლოკოს რამდენიმე სანტიმეტრის სისქის ნიადაგი. ყოველივე ეს მით უფრო საგულისხმოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ 3 სანტიმეტრი სისქის ნიადაგის შექმნას სჭირდება 400—1000 წელი. მაშასადამე, სახნავი ფენის შესაქმნელად, რომლის სისქე 20 სანტიმეტრი მაინც იქნება, საჭიროა 2000—7000 წელი.

ეროზიით გამოწვეული ზარალი მარტო ნატყევარი ადგილებიდან მიწისა, ორგანულ და ქიმიურ ნივთიერებათა გამოტანით როდი მთავრდება. მას უდიდესი ზარალი მოაქვს ღვარცოფებითა და ღორწყალის მოვარდნითაც. ღვარცოფები მთიანი ქვეყნებისათვისაა დამახასიათებელი, განსაკუთრებით ხშირია იმ ქვეყნებში, სადაც განუწყვეტლივ არ ზრუნავენ ბუნების სიუხვისა და სიკეთის შენარჩუნებაზე.

ერთ-ერთი უსაშინელესი მოვლენა ჩვენს მთებში და მთისპირა სოფლებში ღვარცოფებია. ღვარცოფების ბუდეა ყველა იმ მდინარის ხეობა, რომლის წყალმკრეფ აუზში მცენარეული საფარის ბუნებრივი სტრუქტურა ირღვევა, გადახრილია გაუარესებისაკენ ანდა ისპობა. საწყისი ამ ღვარცოფებისა შეიძლება ტყის ზონის ზევითაც იყოს. ამის კლასიკური ნიმუშია დურუჯის ხეობა. ამ ხეობაზე მთების შუა სარტყლის ტყე შედარებით კარგადაა შენახული. კალთის შეკრულობა საშუალოდ 0,7-ია, ხოლო სუბალპების ტყე (არყნარი, მუხნარი — აღმოსავლეთის მუხისაგან შექმნილი) ან მოსპობილია, ან ფრიად გამეჩხერებული. მდელოებზე კი ბუნებრივი საფარის სტრუქტურა დარღვეულია, კორდი ბევრგან დაშლილია და გამოჩანს დაშლილი ფიქლებისაგან ხრეშად გადაქცეული ნიადაგქვეშა ფენა. იგი ხშირად ნახევარი ან ერთი მეტრის სისქისაა. კორდოვანი ფენის დაშლა გამოიწვია მდელოების ხშირმა გადატვირთვამ. როგორც ჩანს, ზაფხულის განმავლობაში აქ იყრიდა თავს შილდა-ყვარელის ცხვარი და ასევე ნახირი, ჰექტარზე არანაკლებ 25 სულისა. ბევრგან საქონლისაგან ფერდო მთლად დაბილიკებულა, რაც ერთ-ერთი მკვეთრი ნიშანია ეროზიული მოვლენების გააქტიურებისა. კახეთის კავკასიონი, საერთოდ, საკმაოდ დამრეცი ქედია, ფერდოთა დახრილობა ბევრ-

[1] ღლოფო — არს წვიმა დიდი და დამაბნელებელი და ღვაროვანი. (საბა).



ნეფის კალო

ვან 45—65°-ია, რის გამო კორდოვანი ფენა საქონლით გადატვირთვის შედეგად ადვილად იშლება და წვიმების დროს ნიაღვარს ღრმა ხევისკენ მიაქვს აუარებელი შეტივტივებული მასალა (ქვიშა, ლამი, ხრეში, კლდის ნამტვრევები), ზოგჯერ „შეტივტივებულ" მასალაში ხვდება ათასფუთიანი, 160 ტონიანი ლოდები (დურუჯის მიერ ჩამოტანილი ქვა). ინტენსიური გამოქარვის რაიონში ეს შეტივტივებული მასალა ისეთი დიდი რაოდენობით ემატება წყალს, რომ მღვრიე წყალი მალე გადაიქცევა ხოლმე ღორწყალად, ლაფიან მდინარედ, ეს უკანასკნელი კი ღვარცოფად, ე. ი. ისეთ მდინარედ, რომელსაც მდინარის ნიშანწყალი დაუკარგავს და თითქმის ტალახის მასად გადაქცეულა. აი, ამ მასას, რომელიც დიდი ძალით მოექანება ხეობაში, შემზარავი ჭექა-ღრიალით მოაქვს ქვა და ღორღი და ყველაფერი, რაც წინა ხვდება; გამოვარდება ცოფიანი ნადირივით ხეობიდან და ანგრევს სოფლებს, ქვითა და ღორღით ავსებს ბაღსა და ვენახს, მინ-

დორსა და ბოსტანს. მდინარე დურუჯმა 1899 წელს სოფელ ყვარელში დაანგრია 25 სახლი, წარიყა 25 ჰექტარი ვენახი, დაახრჩო 7 კაცი.

1906 წელს კიდევ მეტი უბედურება დაატრიალა, დაახრჩო რამდენიმე ათეული ადამიანი, 1942 წელს კი უფრო საშინელი იყო მისი მოვარდნა. წოვათიდან თუშები რომ ზემო ალვანში ჩამოსახლდნენ, ამის ერთ-ერთი მიზეზი წყალდიდობანიც იყო, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში სოფელი დართლო წყალმა წაიღო და წალეკა.

1958 და 1964 წელს თერგმა რამდენიმე ათეულ კილომეტრზე მთლიანად მოლოკა გზა და ხიდები, შეწყდა მიმოსვლა.

ასეთი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლებოდა. ვიმეორებ, ეს ღვარცოფები განსაკუთრებით მკვეთრია იქ, სადაც მცენარეულ საფარს ვერ ვუვლით და მთის ფერდონი ფრიად დამრეცნი არიან.

იმ ადგილებში კი, სადაც ფერდონი ნაკლებ დამრეცია და ტყისა და საერთოდ მცენარეულის საფარი დაშლილია, ხშირდება დამეწყვრა. მეწყერის ზომა სხვადასხვაა — ნახევარი ჰექტარიდან ათას ჰექტრამდე. ხშირად მთელი ფერდო მოწყდება და გადაინაცვლებს ხოლმე. მოდის ძირს, ხეობისაკენ; მოაქვს სოფელი, ინგრევა სახლები, ბაღი ბაღზე გადადის, სახნავი სახნავზე, მეწყერის ზედაპირი ნაოჭდება. კიდევ არაფერი, თუ ეს პროცესი ნელა მიმდინარეობს და ხალხი მოასწრებს გამოხიზვნას სახლებიდან. არის შემთხვევები, როდესაც დამეწყვრა სწრაფად ხდება და ხალხი გამოსვლას ვერ ასწრებს, ჰყვება სახლების ნანგრევებქვეშ.

დამეწყვრა წინათაც იყო, მაგრამ ისეთი კატასტროფული ხასიათი არ ჰქონია, როგორიც ამ ბოლო დროს. არც გასაკვირველია, მცენარეული საფარის მოუვლელობამ, ძველმა თუ ახალმა, ბოლოს და ბოლოს მკვეთრად იჩინა თავი.

1967 წელს წყალდიდობისა, მეწყერებისა და ღვარცოფების შედეგად დაინგრა და ძლიერ დაზიანდა ჩოხატაურის, ბათუმის, ქობულეთის, ქედის, მაიაკოვსკის, ლანჩხუთის, ვანის, სამტრედიის, ცაგერის, საჩხერის, ორჯონიკიძისა და სხვა რაიონების კოლმეურნეთა, კომუნალური მეურნეობისა და ქალაქის მოსახლეობის საცხოვრებელი სახლები, იყო ადამიანთა მსხვერპლიც.

ხელმძღვანელი ორგანოების მიერ მიღებულია დადგენილება

დავიცვათ მცენარეული საფარი, რადგან მეწყერების გაძლიერების მიზეზია ტყეების უსისტემო ჭრა ფერდობებზე და პირველ რიგში საკოლმეურნეო ტყეებისა.

ასეთი დადგენილება სხვაც არსებობს, მაგრამ სინამდვილეში მაინც ისე ვერ ვიცავთ მცენარეულ საფარს, როგორც ეს საჭიროა. როდესაც ლაპარაკობენ მცენარეული საფარის დაცვაზე, ჩვეულებრივ გულისხმობენ ტყეს, მაგრამ მილიონ-ნახევარ ჰექტარ მთისა და ბარის სათიბ-საძოვრებს ნაკლები მოვლა კი არ სჭირდებათ, უფრო მეტიც, რადგან საძოვარზე განუწყვეტლივ მოქმედებს საქონელი და არღვევს ნიადაგის ფენას, რომელიც მალე მსხვერპლი ხდება ნიაღვრებისა და წვიმის წყლებისა.

მაგრამ გავეცნოთ, როგორი იყო არაგვის ხეობა ორას-სამასი წლის წინათ, ვახუშტიზე უკეთესს ამისათვის ვერავის ვნახავთ.

აი, რას წერს იგი:

„წილკნის მთის ზეით, ვიდრე ანანურამდე, უმეტეს ტყიანი, ღელოვან ხრამოვანი. ხოლო ანანურს ზეით ერთვის არაგვს დასავლიდამ ჭართალის ხევი. მის ჩრდილოთ არს მთიულთ კარი, სიმაგრე მტკიცე. მას ზეით ნასახლევი მეფეთა და ხანდოს ხევი, რომელი გამოსდის ლომისის მთას, ერთვის არაგვს დასავლეთიდამ“.

„მის ზეით ერთვის ხევი გუდამაყრისა არაგვის ჩრდილოდამ; გამოსდის კავკასს გუდამაყარსა, ხევსა და ძურძუკს შორისსა. და არს გუდამაყრის ხეობა მაგარი, მოსავლით, ვითარცა სხვა მთის ალაგნი და უფროს მწირი. კაცნი და ქალნი მგზავსნი მთიულთა, ხელოსანნი, მშვილდთმოქმედნი, აკეთებენ რქისაგან მჯიხვისა, თხისაგან და ხართაგან“.

„ხოლო გუდამაყრის — ხევის შესართავს ზეით, დასავლეთ-ჩდილოს შუა, არს მთიულეთი. ამ მთიულეთსა და კსანის-ხევს განჰყოფს ცხრაზმასა ხანდოს ლომისის მთა. გუდამაყრის-ხევს ზეით, სამხრიდამ, მოერთვის არაგუს ამირთ-ხევი. კვალად მოერთვის სამხრიდამვე ჩოხელთ-ხევი. ამას ზეით მოერთვის არაგვს ცეცხლის-ჯვარიდამ ხარხელთ-ხევი. ამას ზეით არს ნაღვარევი, მეფეთა ნასასახლევი, შენებულება დიდი. მას ზეით მოერთვის არაგვს ღუდოს-ხევი. ამას ზეით არს მონასტერი ყოვლადწმიდისა და აწ უქმი. და ეს ხევნი გამოსდიან ლომისის მთას. მონასტრის სამხრით, მთის თხემსა ზედა, არს ეკლესია წმიდის გიორგისა, წოდე-

ბული ლ ო მ ი ს ა (და ამის გამო ეწოდა მთასა ამას სახელი ესე), უგუნბათო. არს მრავალნი ხატნი და ჯვარნი ოქრო-ვერცხლისანი, დახიზნულობით. უჭვრეტს სამხრით კსანსა, ჩრდილოთ მთიულეთს. მთა ესე უტყეო არს და ბალახ-ყვავილნარი, კალთათა ტყიანი. ხოლო ღუდოს-ხევის ჩდილოთ, არაგვს გაღმა, არს დაბა ხ ა დ ა, მაღალს კლდესა ზედა, მოზღუდვილი კლდითავე. მის ჩდილოთ არს ც ი კ ა-რ ა, ადგილი კლდოვანი და კოშკოვანი გარემოს, და არს მუნ ეკლე-სია მცირე. ამ ციკარას დასავლით გარდავალს გზა ხევსა შინა. ხოლო ციკარის აღმოსავლეთით არს ნასასახლევი მეფეთა, ნაშენი დიდი, და ამას ქვეით იყოფა ციკარას წყალი ორად და მიერთვის არაგვს ხარ-ხელის ზეით და ქვეით ჩდილოდამ.

ხოლო ჩდილოთ წარმოივლის კავკასი და განჰყოფს მთიულეთს გუდამაყრისა და ხევისაგან. და არს მოზღუდვილი მთიულეთი მთი-თა; ამის გამო მაგარი და შეუვალი არს, უვენახო, უხილო, მცირე მოსავლიანი. არამედ მოიღებენ ბარიდამ ტკბილსა, შთაასხმენ აქა და ლომისას, და დადგების ღვინო კეთილი, თეთრი და ტკბილი.[1] არა არს აქა აქლემი, კანბეჩი და ვირი; არს ცხოვარი უდუმო, კუდიანი, ძროხა და ცხენიცა არა მრავალ სივიწროვის გამო. ჰავით არს ფრიად კეთილი და შვენიერი, წყარო-წყლითა და მწვანითა. წყალთა შინა კალმახი მრავალნი, ხორცი, თევზნი და ფრინველნი გემოიანნი, პური ნოყიერი, ეგრეთვე ქრთილიცა. კაცნი ჰაეროვანნი, მხნენი და მბრძოლნი, ერთგულნი, ბრიყ-უსაქციელონი, საჭურველთ-მოყვარე-ნი, სამოსელთა და იარაღთა გამწყონი. ქალნიცა მშვენიერნი, არამედ უგბილათ მოსილნი. აქა არს ქვა, რომელი აიყრების კლდისაგან ფი-ქალ-ფიქლად, და ასხედს მას ქვასა სიბრტყეზედ ხშირად მუწუკ-თაებრ, ვითარცა ოქრო და ვერცხლი, ანუ ნარევი და მბრჭყვინავი ფრიად, ივლებენ ამას ზღუდეს გარემოთ, და არს პატიოსნება მათ შინა ესე".

გიორგის რჩევის თანახმად, გადაწყდა ჯერ არახვეთის ნაძვნარში ჩასულიყვნენ და ის ენახათ, შემდეგ კი უკან შემობრუნებულიყვნენ და თრუსოს ხეობაც დაეთვალიერებინათ.

წაღმა-უკუღმა სიარული მოუხდებოდათ, მაგრამ ასეთი მუშაობის დროს ამგვარი მარშრუტი იშვიათი არ არის.

---

[1] ხაზი ჩემია ნ. კ.

უთენია გამოეთხოვა ქიტესა ჩვენ მოგზაურებს, კიდევ გვეწვიეთო, ბევრ რამესა ვსწავლობ თქვენგანაო, დაატანა, „რა საჭიროა, პროფესორი გამოვალო“ — წაიხუმრა.

— შენ შენი საქმისა პროფესორზე მეტი ხარო, — უთხრა ვახტანგმა, რომელიც მას საკმაოდ შეეთამამა.

— ეჰ, ჩემო ვახტანგ, ვიხუმრე, თორემ რაღა დროს ჩემი ეგეებია, კაცი რომ დაბერდება, შვილდ-ისარი ძირს უნდა დადოს.

— ძია ქიტესა, ძველი ხარისა რქანიც ხვნენო, ხომ იცი.

— როგორ არ ვიცი, ვიცი, ისიც ვიცი, რომ რაც არ სცმია მამაშენსა, ნურც შენ დასცვეთ მარმაშებსაო.

— არა, ძია ქიტესო, თუ საჭიროა, მარმაშებიც დაიცვითება. შენ რაც იცი, იმას ვერავინ წაგართმევს.

— ჰო, ჩემო ვახტანგ, დათვი ღობეზე გადახტა და თავის ჩრდილიც თან გადაჰყვაო. კორკოტი ვჭამე ასლისა, დრო არის ჩემი წასვლისა, მედღეხვალიე კაცსაო, თოვლი მოუვა კარსაო. მზეს ლომისაზე უნდა ავასწრო, შენთან ლექსობაში ვგვიანდები, ვახტანგ!

— ბევრი კარგი გაგვიკეთე, ქიტესო, და კიდევ ერთი მადლობა ჩვენგან.

— ეკლისა ადგილს ამოსვლა, ეკლისა არის წესია,
მოხუცი იმას მოიმკის, რაც სიყრმით დაუთესია. —
აბა კარგად იყავით!

და ახალგაზრდულად მოახტა საღარს. დანარჩენები კი წინ გაირეკა.

ბიჭები ყორეზე შედგნენ და გასცქეროდნენ ძია ქიტესას, იმანაც მოიხედა და ხელი ასწია მაღლა.

დანარჩენებიც მალე გაუდგნენ თავის გზას.

უკანასკნელი ნავთსაყუდელი

ჩვენმა მკვლევარებმა სოფელ არახვეთთან ჩამომდინარე პატარა ღელისკენ აუხვიეს, გასცდნენ სოფელს და ისევ ჩრდილოეთისაკენ გასწიეს, გაჰყვნენ მინდვრისა თუ ტყის ქვიან გზას. მართალია, გოგიას დინჯად მიჰყავდა მანქანა, მაგრამ მაინც აჯაყჯაყებდა. ერთი ორი კილომეტრის შემდეგ კვლავ დახვდათ პატარა ხევი და მის ნაპირს

აჰყვნენ, ცოტა ხნის შემდეგ ღელის მარცხენა ნაპირს გაღმა გამოჩნდა ნასოფლარი, კედლები კიდევ იდგა. ჩანდა, სოფელი ძალიან დიდი ხნის აყრილი არ იყო.

მალე ტყეში შევიდნენ. აღმა სვლა უკვე შეუძლებელი იყო. მანქანიდან გადმოვიდნენ თუ არა, გაოცდნენ: პატარა ბორცვზე საყდარი იდგა, თითქოს ქართულად ნაგები, მაგრამ არც მთლიანად ბაზილიკას ჰგავდა. ჩრდილოეთიდან მიდგმული ჰქონდა სამრეკლო. დაბალი, განიერი, ჩვენი სამრეკლოებივით ტანწერწეტა არ იყო. ქვევით, ზოგ სოფელში, კი მოჩანდა გუმბათიანი ტაძარი. მხოლოდ გუმბათი დაემოკლებინათ და სახურავად ექციათ. ტაძრის აღმოსავლეთით იდგა ერთადერთი ბზა. ტაძრის სიმაღლეზე გაზრდილი და ეს 1600-1700 მეტრის სიმაღლეზე შავი ზღვის დონიდან! ტაძრის ჩრდილო და დასავლეთ მხარეს იდგა უზარმაზარი იფნები. ერთი დაფუღუროვებულა, გადახრილა, წაქცეულა, მაგრამ ყველაზე დიდი ტოტი ტაძრისათვის გადაუფარებია, თითქოს ეშინიან თავის დანებებისაო.

ტაძრის ასეთი არქიტექტურის ამბავი მალე გაარკვიეს, გიორგიმ უამბო: მეცხრამეტე საუკუნის ორმოცდაათიან-სამოციან წლებში დაიწყო მთიულეთის, და საერთოდ, მთის სოფლების, კვლავ მართლმადიდებლობისაკენ მობრუნება. მობრუნება, რადგან მთა ისევ ძველ ადათებს მიჰყვებოდა. მთაში თავის ხევისბერებისა უფრო სწამდათ, ვიდრე ქრისტიანი მღვდლებისა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც, რვაასიან წლებში, ახალმა მმართველობამ ქრისტიანი მღვდლით დადებული ფიცი გატეხა, რად ღირს თუნდაც თორმეტი ხევისბერის ჩამოხრჩობა ანანურში მთავარმართებლის ციციანოვის მიერ, რომელიც დაჰპირდა, ხელს არ გახლებთო.

მისიონერები სასწრაფოდ აგებდნენ ტაძრებს და, რასაკვირველია, არქიტექტურაზე აღარ ფიქრობდნენ. ასეთი ტაძრები ცოტა არაა არაგვის ხეობაზე. ზოგი მათგანი გზიდანაც კარგად ჩანს. მაგრამ ბევრია ძველი და ფრიად მნიშვნელოვანი ტაძრებიც.

არახვეთის პირდაპირ, ხადას ხეობაში, ქოროღოს ტაძრის კარნიზებს შესანიშნავი ქანდაკებები ამშვენებს, მათზე გამოკვეთილია ტაძრის მშენებლობის სცენები. სახურავის მწვერვალის სამკუთხა კარნიზზე ღვთისმშობელია ამოკვეთილი, რომელიც ლოცავს მშენებლებს. გარდა ამისა, ბარელიეფზე მოჩანს, როგორ ეზიდებიან ქვას მარხილით, ციგით, ზურგით, აქვე ამტვრევენ, თლიან და სხვა.

ჩვენი ხელოვნებათმცოდნენი, ფიქრობენ, რომ ასეთი სცენები გაუმეორებელია და უნიკალური; მათ შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს მეათე საუკუნის ისტორიის საკითხების გასარკვევად, მაგრამ ცოტა არ იყოს, ხომ არ ავცდით ჩვენს მთავარ გეზს?

ვახტანგი და ერეკლე გარს უვლიდნენ და გულდასმით ათვალიერებდნენ ტაძარს. შალვა კი ქედს აჰყვა, სადაც უზარმაზარი ნაძვები დინჯად და გაუნძრევლად იდგნენ, თითქოს თავს არ უყადრებდნენ ახლომდგომთ: ისიხი ხომ ბოროული წარსულიდან იმზირებოდნენ.

ნაძვის პატარა კორომს, ზურგიდან, აღმოსავლეთისაკენ მიქცეულ ფერდოდან მისდგომოდა წიფლნარი ტყე. თითო-ოროლა ნაძვი ალაგ-ალაგ წიფლნარშიც იყო შერეული. ეს ნაძვნარი საინტერესოა იმით, რომ იგი აღმოსავლეთის უკიდურესი კორომია ნაძვნარისა და საერთოდ, ნაძვის საზღვარს წარმოადგენს. აღმოსავლეთ კავკასიონზე ტიპიური ნაძვნარები მდინარე დიდი ლიახვის ხეობაზე მთავრდება, შემდეგ პატარა ლიახვის, მეჯუდის, ლეხურის, ქსნის ხეობაში ნაძვნარი, და საერთოდ ნაძვი, აღარ გვხვდება. არაგვის მარჯვენა ნაპირზე, ფასანაურსა და მლეთას შუა, წიფლნარ-რცხილნარებში კიდევ შერეულა თითო-ოროლა, არახვეთის თავზე კი შესანიშნავი კორომია. ამით მთავრდება კავკასიონზე აღმოსავლეთით მათი გავრცელების არე.

ეს ნაძვნარი ერთ-ერთი საბუთია იმისა, რომ გეოლოგიურ წარსულში აღმოსავლეთ საქართველოში კლიმატის ცვალებადობის გამო, ძველმა ტყემ უკან დაიხია, უფრო სწორად, ძველი ახალმა, უფრო ქსეროფიტულმა ტყემ შეცვალა; გარდა ამისა, მოხდა ჯიშთა შენაცვლება, რაც გაქსეროფიტების გარეშეც ხდება ბევრგან, მაშინ, როდესაც რომელიმე მცენარისათვის აუცილებელი საცხოვრებელი პირობები ირღვევა. აკაც ნაძვნარ-სოჭნარი და ნაძვნარი რცხილნარმა და წიფლნარმა შეცვალა. ის, რაც აქ ნახეს, მხოლოდ ნაშთია წარსულისა. კოლხური ელემენტები სხვაც გვხვდება: მაგალითად, ქსნის სათავეში აღრიცხული ბალახები აქაც ნახეს. (დიდფოთოლა გვირილა, კენკეშა, კულმუხო).

გარდა იმისა, რომ მას თვით ბუნებაც აღარ სწყალობს, ადამიანიც განუდგა: საქონელი თავისუფლად დადის ტყეში და ძოვს აღმონაცენს. ამიტომაა, რომ ამ მშვენიერ ნაძვნარებში, სადაც ზოგიერთი ეგზემპლარი არაფრით არ ჩამოუვარდება ენგურისა ან რიონის ხეო-

ბის ტყის ნაძვებს, ახალგაზრდები აღარ ჩანან, მოზარდს მოკლებულია ტყე.

დიდხანს იხეტიალა შალვამ ამ ტყეში, მრავალი მასალა შეკრიბა. დაქანებული ფერდთი ლომისის ქედის მდელოებამდე ავიდა და დარწმუნდა, რომ ყველა ის გიჟი ნაკადული, რომლებიც სათავეს ლომისისა და ალევის მთებში იღებენ, ღვარცოფების ბუდეები არიან, მცენარეული საფარი ყველგან ნირშეშლილია; ბევრგან კორდი დაშლილა და ჩნდება ახალ-ახალი ხევები. სწორედ ამიტომაა, რომ გზის გაყოლებით ჩამოტანილ ღვარცოფებს სახლები და ტაძრებიც კი სანახევროდ მიუმარხავს. ხშირი ღვარცოფები სამხედრო გზას მოსვენებას არ აძლევს, ხშირად გადაკეტავს ხოლმე ღელეებისა და მდინარის მიერ შექმნილი გამოტანის კონუსია თუ ქვა და ღორღი, ამიტომ გზა ავამაღლეთ და დიდ ხიდებს ვაკეთებთ პატარა ღელეზეც კი, მაგრამ ეს რას შველის! წყალი სათავიდან უნდა დაწმინდავდეს. თუ ყველა ფერდოს არ მოევლო, მთელი ხეობა ღვარცოფების მსხვერპლი გახდება და არც ზევით ატანილ გზას დაადგება ხეირი, მაღალი ხიდის ქვეშაც აივსება ღორღითა და ლოდით.

ამიტომ, საჭიროა აღვადგინოთ ის ტყე, რომლითაც დაფარული იყო ლომისის ქედი და, საერთოდ, უფრო უკეთ მოვუაროთ მცენარეულ საფარს.

გვერდზე გადაზნექილი უზარმაზარი პანტის ძირში ისამხრეს და მზე უკვე ჩაესვენა ლომის-ალევის ქედის გადაღმა, როდესაც მლეთის სკოლის ეზოში შევიდნენ.

სისხლის წვიმების დროსაო

ჩვენი ხალხის ზეპირსიტყვიერებაში არც ერთ საერისთაოსა და ერისთავზე იმდენი ლექსი და თქმულება არ ჩაწერილა, რამდენიც არაგვის საერისთაოსა და ერისთავებზე. ამავე დროს, ეს ლექსები და თქმულებები, იშვიათი გამონაკლისის გარეშე, არაგვის ერისთავს ქებილი სიტყვით არ იხსენიებს.

რად ღირს თუნდაც:

ნუგზარ ერისთვის დროსაო,
სისხლის წვიმების დროსაო...



პირველი გაზაფხული ჯვარის ზეკარზე. თეთრი ყვავილი ებრძვის ზამთარს

და ეს სისხლი ძმათა სისხლი იყო, მოხევეთა, ქსნიელთა, მთიულთა, ფშავთა, ხევსურთა და სხვა ქართველთა. არაგვის ერისთავებმა ხალხს ისე მოაბეზრეს თავი, რომ ბოლოს და ბოლოს ისინი ამოწყვიტეს, გარეკეს და თეიმურაზ მეფეს, ერეკლე მეორის მამას ეყმნენ. ამ დროიდან არაგვის საერისთაო გაუქმდა.

არაგვის საერისთაო დამოუკიდებელ საერისთაოდ მეცამეტე საუკუნიდან ჩანს.

პირველი ერისთავები შაბურისძენი ყოფილან.

მეთექვსმეტე საუკუნეში, პატარა ლიახვის ხეობის სოფელ ვანათის აზნაურებს დაუპყრიათ ხევი (თერგის ხეობა), ამოუწყვეტიათ თექთუმანიძეები და გაბატონებულან, შემდეგში მათ პირიქითის არაგვის ხეობაც შეიერთეს. ამ ხეობას თავიდანვე დაებედა სისხლის წვიმები. მომძლავრდებოდნენ თუ არა ერისთავები, იწყებოდა ლაშქრობა ახალ ხეობათა დასაპყრობად; ლაშქრობდნენ ფშავში, ხევსურეთში, ერწო-თიანეთში. ხშირად ბაზალეთსა და სამუხრანოსაც ეცემოდნენ. როდესაც ერისთავთა რეზიდენცია პირაქეთ ხეობაში გადმოვიდა, ხევი მაშინვე შეეცადა გამოჰყოფოდა და მოეხსნა ერის-

თავთა უღელი. იყო გაუთავებელი ბრძოლა და სისხლისღვრა. ერთ-ერთი ასეთი ბრძოლა ხომ ალექსანდრე ყაზბეგს ასე ლამაზად აქვს აღწერილი „ხევისბერ გოჩაში.“

ხშირად ქსნის ხეობაში შეიჭრებოდნენ და იჭერდნენ ცხაოტს, ჭართალსა და სხვა თემებს. ჩრდილოეთით საზღვარი დარიალზე გადიოდა, დასავლეთით — გასდევდა თრუსოს, ლომისა-ალევის მთებს და ნარეკვავის ხევით სამუხრანომდე აღწევდა; სამხრეთით — სამუხრანოს ესაზღვრებოდა; მათ ხელში იყო ბაზალეთი, დუშეთი, გრემის ხევი, არანის-ყინვანი. აღმოსავლეთის საზღვარი ხშირად იცვლებოდა: დალაშქვრის შედეგად ხან ერწოს იჭერდნენ, ხან ხევსურეთს.

არაგვის ერისთავების ავკაცობა არ დამცხრალა მაშინაც, როდესაც ნუგზარი გიორგი სააკაძესთან ერთად იბრძოდა.

ნუგზარის ძმა ზურაბიც არ იყო უფროს ძმაზე ნაკლები. ძმა გაიგულა თუ არა საქართველოდან (ნუგზარი სააკაძეს გაჰყვა სპარსეთს), არაგვის საერისთაო დაიჭირა. შემდეგ, როდესაც კახეთიდან ყიზილბაშების განდევნა დაიწყო, ზურაბი ფრიად აქტიურობდა. მარაბდის ომშიც გიორგი სააკაძის მხარდამხარ იბრძოდა, დაიჭრა კიდევაც, მაგრამ გიორგისა და თეიმურაზის კონფლიქტის დროს თეიმურაზს მიემხრო და ბაზალეთის ომში მეფის მხარეს იბრძოდა. ზურაბი თითქოს დაუმეგობრდა და ეყმო თეიმურაზს, თუმცა მეფემ იგი ქრთამით გადაიბირა: დაჰპირდა ერწო-თიანეთს მოგცემო, რის სანაცვლოდაც ზურაბს ქართლის მეფე სიმონი უნდა მოეკლა. სიმონი იმხანად იმყოფებოდა სხვილოს ციხეში, რომელიც სამთავისის ტაძარს დასცქერის (და რომელიც ამ ათიოდე დღის წინ ნახეს ჩვენმა მგზავრებმა). ზურაბი დაუბრკოლებლივ შევიდა შიგ, რადგან სიმონს თავის კაცად მიაჩნდა. ღამით იგი შეიპარა მეფის საწოლში, მოჰკვეთა თავი და თეიმურაზს მიართვა. ამის შემდეგ თეიმურაზმა უკვე ადვილად დაიჭირა ქართლის ტახტი.

ამ აღზევებამ ზურაბი გააზვიადა, გაადიდგულა. თეიმურაზი სერიოზულად შეშფოთდა და მიიწვია იგი საფურცლეში (ახლანდელი ნატახტარის მახლობლად). მიუხედავად იმისა, რომ ზურაბი მისი სიძე იყო, ღალატით მოაკვლევინა. ხოლო თავის ასული, ცოლი ზურაბისა, წამოიყვანა დუშეთიდან, სადაც ამ დროს არაგვის ერისთავების

რეზიდენცია იყო, და მისცა ცოლად იმერეთის მეფის ძეს ალექსანდრეს „მზითვითა დიდითა“.

ამის შემდეგ ერთ-ერთმა ერისთავმა, ზაალმა, 1659 წელს კახეთის აჯანყებაშიც მიიღო მონაწილეობა შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებთან ერთად. სპარსეთის მიერ დასმულმა მეფემ და მოხელეებმა ზაალი ღალატით მოაკვლევინეს, მისი შვილები შაჰის კარზე გაგზავნეს, არაგვის ერისთავობა კი ზაალის ძმისწულს ოთარს უბოძეს. ოთარიც მამა-პაპათა კვალს გაჰყვა და ხან ერეკლეს (ნაზარალიხანი) მხარეზე იყო, ხან არჩილისა.

ოთარის შემდეგ არაგვის ერისთავია მისი ბიძა რევაზი, ისიც კვლავ გვარის ტრადიციას აგრძელებს. მის შემდეგ ერისთავობდა ბასონი. არც ის ისვენებდა და ებრძოდა ცენტრალურ ხელისუფლებას, გიორგი მეფეს. გიორგიმ აიკლო დუშეთი 1743 წელს. არაგვის ერისთავები ოტია და ბეჟანი ხალხმა დედაბუდიანად ამოხოცა და პატრონობა სთხოვა თეიმურაზ მეფეს, ერეკლე მეორის მამას. ამის შემდეგ არაგვის საერისთაო გაუქმდა და აღარც აღდგენილა.

როგორც აღვნიშნეთ, არაგვის ერისთავებს ზოგი რამ კარგიც გაუკეთებიათ (კახეთიდან ყიზილბაშთა განდევნის დროს აქტიური მონაწილეობა, ჩრდილოეთის კარის გამაგრება), მაგრამ ავი იმდენად სჭარბობს, რომ ზეპირსიტყვიერებაში ეს უკანასკნელი უფრო მკაფიოდ აისახა.

მოვიგონოთ მხოლოდ რამდენიმე ლექსი მრავლიდან:

შენ ერისთაო დიდი მთისაო,
წყალი ჩამოგდის არაგვისაო,
კი არ გეტყოდი, ჩემო ბატონო,
ყიდვა ნუ იცი შენი ტყვისაო,
ბევრი გაჰყიდე ქალი და რძალი
გარდახატული შავ-თვალ-თმისაო.

ერთი სთქვა ციხის ნაშალმა...
ლისხლისღვრა, შვილდის ზუილი
ბევრი მაქეს გამოვლილიო,
ხევის ბერს უკურთხებივარ,
მაშინ არ იყო ღვდელიო,
მოულოცნია ჩემთვისა,
ნურც მოგერევა მტერიო.
ზურაბმა ერისთვიშვილმა

ვერ შემიცვალა ფერიო,
ჩემი მკერდი და კალთები
სულ სისხლით გადასვრილიო...

და შენამც დაგლეკს, ერისთვისშვილო ზურაბო, სისხლის წყალიო,
თრუსოს ჩაჰყარნე ხევსურნი, ხელით არჩიე ყმანიო,
გაატეხიე დვალეთი, თეთრი მოღლალე ცხვარიო,
თრუსოს მაასხენ მაშვრალნი, დანდობით დასჭერ თავიო,
ზურაბ აიკლა ქვეყანა, ბევრს ვაჟს უტირა დედაო,
ისპაანამდი გაითქვა, ყეენთან გაიზარდაო.
საფურცლეს ზურაბ მოვიდა, ლელნოში ზღვისა პირსაო,
გაუშალეს ხალიჩები, ზედ ზურაბ დაბრძანდისაო.
აუყვავებენ სუფრასა, — ზურაბ ზეექეც ხილსაო,
გიღალატებენ, ზურაბო, ელიან შენსა ძილსაო.
ხმლითა სცემს ბარამ ბატონი: დაჰკარით კახპის შვილსაო,
საფურცლით მოდის ტირილი სულძაღლი ერისთვისაო.
ვინ მოგკლა, შვილო ზურაბო, ვინ ზეგხსნა ხელნი გმირსაო.
ვინ ჩამოგყარა თაობა ქართლისა არაგვისაო,
აღარვინ მეგულებოდა მომრევი ზურაბისაო.
ზურაბის ცოლი ტიროდა: „ვაი უდროოდ ქვრივსაო",
თამარ[1] სწყევლიდა დედასა: ჩემიც დღე დაგადგებაო,
ამ ჩემი ღალატისთვისა თემურაზ მოგიკვდებაო".

მრავალი ასეთი ლექსის ამოკითხვა შეიძლება აკაკი შანიძის ხევსურულ პოეზიაში, ელენე ვირსალაძის მთიულეთის ზეპირსიტყვიერებაში და სხვა წიგნებშიც.

ხალხი დღესაც მღერის, ხალხმა დღესაც იცის.

ახალგაზრდები ყურებდაცქვეტილნი უსმენდნენ ნაამბობს.

— სისხლით მორწყული ყოფილა მთელი ხეობა.

— ხალხის სისხლი და აი ეს მიწა მიაქვს ნიაღვარს.

ძველმა ჭრილობამ იმდენი ვერა ავნო რა, ხალხი დარჩა, აგერ, კოპწია სოფლები, მაგრამ ბუნებისადმი უდიერად მოპყრობამ შეიძლება „ნუგზარ ერისთავის დროინდელი სისხლის წვიმებიც დაავიწყოს" და ხალხი აყაროს მამა-პაპათა ნაალაგევიდან.

ანანურში ჩამოსულიყვნენ უკვე. მათ წინაშე აიმართა შესანიშნავი კომპლექსი: ფეოდალური ციხე-გალავანი.

მიუხედავად იმისა, რომ ანანურის მთავარი ტაძარი მეჩვიდმეტე-

---

[1] თეიმურაზის შვილი, ზურაბის ცოლი.



მყინვარწვერი და სოფ. ყერგეტი

საუკუნეში აუგიათ არაგვის ერისთავებს, მაინც ჩვენი შუა საუკუნეების ძეგლების რიგში დგას, განსაკუთრებით ანსამბლობით: ჯერ ერთი — რამდენიმე არქიტექტურულ ძეგლს შესანიშნავი ციხე-გალავანი აქვს შემოვლებული. გალავანში ყურადღებას იპყრობს დასავლეთის დიდი კოშკი-ციხე, რომელსაც ლეგენდა საფარის კოშკს უწოდებს: ამბობენ, გიორგი სააკაძემ არაგვის ერისთავს აქედან მოსტაცა ქალიო. გალავანში ორი ტაძარია, ერთი, პატარა — არაგვის ერისთავთა პირველი საძვალე, მაგრამ, როდესაც მომძლავრდნენ, მეჩვიდმეტე საუკუნეში ააგეს დიდი ტაძარი, დიდი ტაძრის დასავლეთის კედელს თითქმის ეხება მაღალი, კოპწიად ნაგები ხევსურული კოშკი. ჩვენი ხელოვნების ისტორიის სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ეს კოშკი ახალ ტაძარზე ძველია და არქიტექტორმა ვერ გაიმეტა დასანგრევად (ჰგვანებია ახლანდელებს! — გაიგონა გიორგიმ ერთ-ერთი ბიჭის შენიშვნა), ქვაც კარგი ნათალია, მაგრამ ჩუქურთმა შედარებით ლარიბია. სამხრეთის კედლის გასწვრივ არის წყლის მოსამარაგებელი დუღაბით ნაშენი დიდი ხაროები. დასავლეთით კედლის კუთხეებში მრგვალი კოშკებია საოფოფურ-საისრეებით. ჩრდილო-აღმოსავლეთით მოჩანს სასახლის ნანგრევები. ეს სასახლე ძალიან კარგად ჩანს 1783 წელს ივანოვის[1] მიერ დახატულ აკვარელზე. ტაძარი შესანიშნავ ადგილასაა აგებული, ტყით შემოსილ სერზე შორიდანვე მოჩანს. ეტყობა, მისმა სილამაზემ მოხიბლა ივანოვი და ტაძრისა და მისი მიდამოების მშვენიერი პეიზაჟი დაგვიტოვა. ამ სურათზე ტაძარი წიფლნარშია ჩაფლული, მარტო ქვევიდან, არაგვის პირიდანაა გახსნილი, პეიზაჟი შესრულების ტექნიკით უნაკლოა, მაგრამ, გარდა ამისა, მცენარეული საფარის ისტორიის შემსწავლელებს ბევრ მასალას გვაძლევს დასკვნებისათვის.

ჯერ ერთი: ხეობა დაფარული ყოფილა მუხნარი, რცხილნარი და წიფლნარი ტყით. როგორც ჩანს, განსაკუთრებით ზემო ნაწილში (ანანურის ზევით) ჯიშთა ცვლა მომხდარა, სოჭნარ-ნაძვნარი შეუცვლია წიფლნარს. ამის საუკეთესო დამადასტურებელი საბუთია, როგორც დარწმუნდნენ, არახვეთის ნაძვნარი და თითო-ოროლა ის ნაძვი, რომელიც ფასანაურის ტყეებშიც გვხვდება. რასაკვირველია, ამ ჯიშთა

---

[1] მ. ივანოვი (1748—1823) — მეთვრამეტე საუკუნის რუსი მხატვარი. საქართველოში შემოსულ რუსთა წეფის პირველ ბატალიონებს შემოჰყვა და რამდენიმე კარგი პეიზაჟი დახატა.

შენაცვლებას კლიმატური პირობების გარდა დაეხმარა ადამიანი გეგმაშეუწონავი მოქმედებით. ამჟამად ჯიშთა ცვლა კვლავ გრძელდება. იქ, სადაც უთავბოლო ჩეხვით ტყე გამეჩხერებულია, წიფელს რცხილა სცვლის. ეს პროცესი ამით არ მთავრდება და რცხილას ქართული მუხა ენაცვლება. ბიჭები გაოცებული შესცქეროდნენ 1783 წლის სურათს, იმ რუსი მხატვრისას, რომელიც საქართველოში გამოჰყვა ერეკლესთან შეთანხმებით საქართველოში მომავალ პირველ რუსულ ბატალიონებს.

სურათი ფერადია და კარგად ჩანს, რომ ტყე მოსდგომია ანანურის კომპლექსს. ისიც აშკარაა, რომ ტყე წიფლნარია, ეტყობა ფერით, ქოჩორა ხეებით, დღეს კი ტაძრის ყოველ მხარეზე მხოლოდ ძეძვი, მუხა და ჯაგრცხილა ხარობს. წიფლნარი კი უკან მთებზეღა შერჩენია. ასეთი ცვლილება მოხდა ას ოთხმოცი წლის მანძილზე. არის შემთხვევები, რომ მსგავსი ცვლილებები ხდება 20—25 წლის მანძილზეც.

მაშასადამე, 186 წლის წინათ ანანურის უახლოესი გარემო წიფლის ტყით ყოფილა დაფარული, დღეს კი ძეძვითაა შემოსილი.

ჩვენი ბუნების ჭირისუფალთ ეს ძალიან ბევრს ეუბნება.

მეორეც: სურათზე გამოსახულია არაგვის ერისთავთა საცხოვრებელი სახლი. სამოქალაქო არქიტექტურის შემორჩენილი ძეგლებით ხომ ჩვენ განებივრებულნი არა ვართ!

ციდან შემოესმა რეკა

მეორე დღეს გადაწყვიტეს, პირიქითაც გადაეხედათ. მართალია, ახალგაზრდებს დარიალი ნანახი ჰქონდათ, მაგრამ არ ენახათ არც თრუსოს ხეობა და არც ღუდუშაურის არაგვის ხეობა. სწორედ ამიტომ ანანურიდან კვლავ მლეთას მიმართეს და ღამე იქ გაათიეს.

ვახუშტის გეოგრაფიაშიც ჩაიხედეს და ამოიკითხეს:

„ხოლო მთიულეთის ჩდილოეთ არს ხევი. გარდავალს გზა ხევს, ხადის დასავლეთიდამ, კავკასსა ზედა. არამედ არს დაბალი და უტყეო, ზამთარს ვერა ვლის ამას ზედა ცხენი თოვლის სიდიდითა. ზაფხული არს ბალახიანი, ყვავილიანი. ამას უწოდებენ ყ ე ლ ს. ხოლო ჩდილოთკენ ერთვის ხევის მდინარეს ხევი. და უწოდებენ შ თ ა ს ა-

ვ ა ლ ს. აქა არს წყარო სპეტაკი, ვითარცა თოვლი, და ჰყრია ბროლი მრავალი, მგზავსი გათლილისა, და სცვივა კლდესა. აქა იპოების ბროლი და სჭვირს წითლად, და გასტეხო—არს მიგ წითელი ბროლი. ესრამედ მდინარესა ხევისასა ეწოდების ა რ ა გ ვ ი ვ ე ჩერქეზამდე და მუნ ლ ო მ ე კ ი ს-მ დ ი ნ ა რ ე ძველადვე, და აწ უწოდებენ თ ე რ-გ ს ა; გამოსდის ქურთაულისა, ზახისა და ძაღრან-დვალეთისა შუ-ათს, აღმოსავლეთიდამ, კავკასის მხრიდამ, დის აღმოსავლეთად ჩა-სავალამდე.

ამ ჩასავალს ზეით არს თ რ უ ს ო სამ ხევად. აღმოსავლით აქუს ხევი, დასავლით ზახა და მაღრან-დვალეთი, სამხრით მთიულეთი, ჩდილოთ ქურთაული, და მოზღუდვილ არს კავკასით, თვინიერ ხევიდამ. მოსახლენ/ი/ არიან ოსნი, დვალნი. შთასავალს ქვეით მო-დრკების არაგვი და დის ჩდილოთ, ვიდრე ქისტის წყლამდე, და მი-დის ფრიად მსწრაფლად. ამ დინების გამო არა არს თევზი მდინარე-სა ამას შინა, თჳნიერ კალმახისა. და არს ხეობა ესე მოზღუდვილ კავკასითა, რამეთუ დასავლით აქუს მ ყ ი ნ ვ ა რ ი, უმაღლეს ყოველ-თა კავკასთა და მარადის ყინულით შეკვერცხილი. და განჰყოფს მთა ესე თაგაურს, ჩიმსა და ხევსა. აღმოსავლით უძეს კვალად კავკასი, იგიცა მარადის თოვლიანი. განჰყოფს მთა ესე ქისტს, ძურძუკს და ხევსა. სამხრით აქუს კვალად კავკასი, და განჰყოფს ესე გუდამაყარს, მთიულეთს და ხევს.

ხოლო ჩასავალს ქვეით არს, ჩდილოთ კერძ, არაგვის დასავლეთ, ც ი ხ ე ა რ შ ი ს ა, თვინიერ კაცთა ხელთაგან ქმნული, მაღალს კლდე-სა ზედა, მოზღუდვილ კლდითავე და შეუალი კაცთა, მყინვარის კალ-თასა ზედა. აღმოსავლიდამ არაგუს ერთვის, არშას ქვეით, ა ჩ ხ ო-ტ ი ს-ხ ე ვ ი. აქ არს ც ი ხ ე ღ უ დ უ შ ა უ რ ი ს ა მცირე, არამედ ფრიად მაგარი. ამ ხევიდამ გარდავალს გზა გუდამაყარს. ამის ჩდი-ლოთ არს ს ტ ე ფ ა ნ-წ მ ი დ ა, დაბა კარგი. ამის დასავლით არს გ ე რ გ ე თ ი, არაგვს იქით კიდესა. ზეით ამისსა არს, მყინვარის კალ-თასა ზედა, მ ო ნ ა ს ტ ე რ ი ს ა მ ე ბ ი ს ა, გუნბათიანი, მცხეთის სამ-კაულის სახიზრად, სადაცა ესვენა ნინოს ჯვარი, შვენიერნაშენი, შვენიერს ადგილს. მყინვარის კლდესა შინა არიან ქვაბნი გამოკვე-თილნი ფრიად მაღალსა, და უწოდებენ ბ ე თ ლ ე მ ს ა, გარნა საჭი-როდ ასავალი არს, რამეთუ არს ჯაჭვი რკინისა, გარდმოკიდებული ქვაბიდამ, და მით აღვლენ. იტყვიან უფლის აკვანსა ზუნ და აბრაჰ-

ამის კარაკსა. მდგომს უსვეტოდ, უსაბლოდ, და სხვათაცა საკვირველთა. არამედ მე ვდუმებ. კვალად ძირს მისსა არს მონასტერი, კლდესა შინა გამოკვეთილი უდაბნოდ, და აწ ცალიერი. გერგეთს ქვეით, ჩდილოთკენ, დასავლეთიდამ ერთვის ხ ე ვ ი გ ე ლ ა თ ი ს ა, ძველად ესრეთ წოდებული დაბისა ამის სახელი, ხოლო აწ უწოდებენ გ ვ ე ლ ე თ ს."

„ხოლო ხეობა ხევისა არს მოსავლიანი სორბლისა, ქრთილისა, სელისა, შვრივისა შთასავლით გველეთამდე. არა არს აქა ხილნი, თვინიერ მთის ხილთა; არს კოწახური, შოცხარი, კლდის მერსენი და სხვანიცა ბალახთა ხილნი. არს ვარდი ჭალათა მრავალფურცლოვანი და წითელი მრავალი, და სხვანიცა ყვავილნი მთისანი მრავალნი. პირუტყვნი, რაც ოდენ ეტევის. ურავალნი. ცხვარი უდუმო. არს აქა მჯიხვი მრავალ ჯოგად და არ[1]ვი. არს ფრინველი, შურთხი, გლონი და ზაფხულს მწყერი ურიცხვნი. იტყვიან ლითონს ოქროსასა და ვერცხლისასა[1] არა არს ტყე აქა, არამედ ზიდვენ გველეთის ქვემოდამ. ჰავით არს კეთილშვენი. კაცნი არიან მბრძოლნი, ძლიერნი, ახოვანნი, ჰაეროვანნი, ვითარცა მთიულნი, გარნა ესენი უმჯობესნი ყოვლითა სარწმუნოებით ქართველთა თანა, არამედ მისიცა უმეცარნი". — ყველა ეს სოფლები და ადგილები რუკაზე მოინიშნეს, ადგილზე მონახვა გაგვიადვილდებაო.

ხელ-ნელა აუყვა მანქანა ჯვარის ზეკარის აღმართს, რომელიც იქვე, არაგვს ვაღმა, მარცხენა ნაპიროდან იწყებოდა. გზა მრავალ-ყულფადაა დაკეცილი და დაკლაკნილი, ძირს მხარმარცხნივ, ნეფის კალოს კალთებზე დაბადებული არაგვი მოიკლაკნება, ერთ-ერთ მოხვეულში მანქანა დააყენეს და ჩახედეს ფრიალო ხრამს, ძირს მოჩანდა ხატის ტყე. ხარმარჯვნივ კლდეების თავიდან გადმოტოტებული იყო ყვითელი ყვავილების მტევნებით დატეირთული ელი. როდესაც აივაკეს, ასცდნენ დაკეცილ ყულფებს, უკვე დაჩნდა შედარებით ვრცელი, სამხრეთ-დასავლეთით დაქანებული ვაკე. ზევით, ჩრდილოეთით, მთის ფერდაზე შეფენილი სოფელი ქუმლის-ციხე მოჩანდა, მთის წვერზე კი, ჩრდილო-აღმოსავლეთით, კოშკი იყო აშოლტილი, რომელიც გასცქეროდა ქვევიდან ამომავალ გზას და მდინარე ღადას ხეობას. ეს სათვალთვალე კოშკია.

---

[1] სპილენძი, პირიტი.



ყ უ რ ო

განსაკუთრებით მხარმარჯვნივ, კაიშაურის ვაკის საკმაოდ დიდი ფართობები 1900—2000 მეტრის სიმაღლეზე ალაგ-ალაგ აყვავებულ იელს დაეფარა. ქუმლის-ციხემდე მანქანამ გზას გადაუხვია, პატარა მინდორი გადაკვეთა და მიადგა იელიანს, რომელშიც თითო-ოროლა ვერხვი და ერთი-ორი არყი იდგა. იქით, სადაც პატარა ტყე და იელიანი ჩანდა, შორს, კამკამა ცის ფონზე, აზიდულიყო ცხრაძმის ქედი ცხრა მწვერვალით, რომელთა შორის გამოირჩეოდა მათი ბელადი, კანჯარიკვით თეთრზოლებიანი, დიდი ნეფის კალო, ეს ზოლები ხრამებში და ღრანტეებში ჩარჩენილი თოვლია, შუა ზაფხულამდე დადნობას ვერ ასწრებს.

ყვითლად გადაპენტილი იელი ხშირი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ნიავს სადღაც მთის ჭიუხებში ღრმად ეძინა და ისვენებდა, იელიანში ამოზრდილი ვერხვის ფოთლები მაინც თრთოდნენ და ცახცახებდნენ. ვერხვის გარდა ჩანდა ორიოდე ცირცელი და არყი. აქვე შეინიშნებოდა მთის ბოყვის ნაბარტყი, ყველა ნიშნით ეტყობოდა,

რომ აქ, ახლო წარსულში მაღალმთის, სუბალპების ტყე ყოფილა, მაგრამ განა გაუძლებდა სოფელ ქუმლის-ციხეს და ახლო-მახლო სოფლებს, რომლებიც ღადას ხეობიდან ამ პლატოზე ამოდიან. მოისპო ტყე და დარჩა ქვეტყე-იელი. იელიანში საქონელი მოჩანდა, მაგრამ იელს არ ეკარებოდა, იელის ნეკერს არ ჭამდა. იელი შეიცავს შხამს, შეუძლიან საქონელი დაათროს. სწორედ ამ ნივთიერების ბრალია, „იელნაჭამი თაფლი“ რომ თავბრუს ახვევს მჭამელს. განსაკუთრებით გაავებულია დათვი, რომელიც „იელნაჭამი“ თაფლით გამომძღარა.

ერეკლე ერთ იელს წამოუწვა. ნაპირისაკენ მთის ქერიფქლაც იყო წინ წამოწეული.

— ისე უნდა გადავიღო, ქერიფქლაც ჩანდეს, იელიც და ნეფისკალოც!

არც ვახტანგი ჩამორჩა. შალვა კი თავისთვის მცენარეებს იღებდა. მალე მას ერეკლე და ვახტანგიც ამოუდგნენ მხარში და ამ მდელოზე, ბუჩქნარებში მყოფი თითქმის ყველა სახეობა აიღეს და აბგაში მოაქციეს.

ორი ათას ორასი მეტრის სიმაღლეზე მდებარე გუდაურის წყარო მოინახულეს და ზეკარისაკენ შეუდგნენ აღმართს.

საძელესა და მილიონას ქედების მდელოებს ცხვარი შეჰფენოდა. მდელო დასარევლიანებულია შხამათი. შხამა წამოზრდილიყო და თავის განიერი ფოთლებით ჩრდილავდა სხვა ბალახს, ზოგან ისე ჩანდა, რომ კაცს ეგონებოდა, თამბაქოს პლანტაციაა.

შხამათი ჩვენს მთებში ოცდაათი ათასამდე ჰექტარი სათიბ-საძოვრებია დასარევლიანებული. შხამა შეიცავს ნივთიერება ჰელებორინსაც. თუ საქონელმა უხვად ჭამა, შეიძლება მოკლას კიდეც, ცოტა კი ათრობს, არეტიანებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა შხამა ნორჩია, თუ გაწყრა ღმერთი და ცხვარმა ამ დროს ჭამა იგი, თავგზააბნეული დაბარბაცებს, ხან ხრამებისკენაც გარბის. აბა, მაშინ ნახეთ მწყემსის გასაჭირი, ცდილობს დააბრუნოს, პირი მთის ფერდოსკენ აქნევინოს, არა და დაეღუპება ცხვარი: თუ ერთი გადაეშვა ხრამში, სხვებიც გადაჰყვებიან.

— არ შეიძლება შხამა მოვსპოთ?

— როგორ არ შეიძლება!

— მერე და?...

— მერე და ხელის განძრევა უნდა!

ერთი შხამას ძირში თაგვის სორო ჩანდა.

— ეგ შეიძლება პრომეთეოსის მემინდვრიას[1] სორო იყოს, — აუხსნა გიორგიმ.

ზეკარის ნიშან-სვეტთან, რომელიც მიუთითებს, რომ ზეკარის ზურგი 2430 მეტრია, ერთ პატარა ტაფობზე აუარებელი თეთრი ყვავილი, ცხენისკბილა, მოჩანდა. მას თითქმის დაეყვავილა. ეს მცენარე, რომელიც დამახასიათებელია ამ მხარისათვის, ხშირად თოვლიდან ამოყოფს ხოლმე ღეროს და თითქმის უკვე გაშლილ ყვავილს.

— აბა, შალვა, შორს თუ არა გაქვს შარშანდელი სურათი!

— შორს კი არა, ხელში უჭირავს, — ვერ მოითმინა ერეკლემ.

სურათზე მართლაც, თოვლის პირას და მოშორებით, მთლიანად გაშლილ ყვავილებს მოეღერებინათ ყელი, შიგ თოვლში კი თავი ამოეყო ნახევრად გაშლილ კვირტებს.

ასე გაზაფხულის პირველი მცენარეებიდან სხვამაც იცის. ამ მცენარეთა ბიოლოგია ერთ-ერთი საბუთია იმისაც, რომ გამყინვარების დროს თვით ყინულის არსებულ მორენებზე სიცოცხლის ნიშანწყალი ჩამქრალი არ უნდა ყოფილიყო.

აქედან იწყებოდა უკვე ხევი, თერგის ხეობა.

ჩაჰყვნენ დაღმართს, შედარებით ჩაივაკეს და შევიდნენ სოფელ კობში, 1900 მეტრის სიმაღლეზე. ჯვრის ზეკარიდან წამოსულ თერგის სათავის ტოტს აქ, სოფლის განაპირას უერთდება თრუსოს თერგი. თერგის ამ ნაწილს ძირეული თერგის დანათლებულ სათავედ თვლიან.

ეს თერგი მრავალ ტოტს იერთებს მყინვარწვერისა და ჯიმარაის მთის კალთებიდან. შავარდნის ხევის წყალი, სუათისის წყალი, ღამძროს ხევი, თეფის წყალი, მარცხენა ნაპირიდან, კავკასიონის ქედის კალთებიდან, აგრეთვე მრავალი ხევი და ნაკადული უერთდება, ეს ტოტი წყალუხვობით ღუდუშაურის არაგვს არ ჩამოუვარდება, მასზე მეტიცაა, რადგან ამ ნაკადულთა უმრავლესობა სათავეს მყინვარე-

---

[1] პრომეთეოსის მეწინდვრია კავკასიონის ენდემია. იგი მრავლად გეხვდება უმთავრესად კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდოზე (თრუსო, კობი, ყაზბეგი), აგრეთვე სამხრეთზეც (მლეთა, კაიშაურის ხეობა, ყელის ტბა) აღნიშნულია აჭარა-იმერეთის ქედზეც (ბახმარო), თრიალეთზე (ბაკურიანი), სოროს მიწაში იკეთებს, ქმნის გრძელ ხერელებს და ხელს უწყობს ეროზიულ მოვლენებს. იკვებება ბალახის ფესვითა და ღერო-ფოთლით.

ბიდან იღებს. ღუდუშაურის წყლის სათავეები კი ფრიად ღარიბია ასეთი მყინვარებით. თრუსოს თერგის სათავეებში არის თრუსოს ზეკარი, რომელიც დიდი ლიახვის სათავეში. გადადის, სოფელ ზაყაში, ხოლო როკის ზეკარით ედისში.

აჰყვნენ ვიწრო გზას, მაგრამ პირველ სოფელს გასცდნენ თუ არა, თერგს გზა ჩამოეხსნა და გაგრძელება ოცდაათი მეტრის გაღმა ჩანდა.

— აქაური მჟავე წყლები ვერ უნდა ვნახოთ?

— ვნახავთ, მხოლოდ სიფრთხილით მოგვიხდება გასვლა. წერაყინები მოიმარჯვეს და ნაგზაურის თავზე გაკვალულ ბილიკს გაჰყვნენ. სოფელ ოქროყანას რომ გასცდნენ, კლდის ძირში უზარმაზარი წყარო ამოჩუხჩუხებდა მიწიდან, ცისფერ, ანკარა წყალს ბუყბუყი გაჰქონდა, ისროდა ბუშტებს. მერე უზარმაზარ ნაკადულად, რომელიც ოთხთვალ წისქვილს დაატრიალებდა, უერთდებოდა თერგს. ამ მჟავე წყალს თითქმის შვეული ფერდობი დასცქეროდა, რომელზედაც ჩაგვერა არყის მეჩხერი და თხელი ტყე იყო შეყუჟული.

— გაკეთდება კი კლიმატური კურორტი?

— რატომ ბალნეოლოგიურიც არა!

ამჟამად მხოლოდ საძოვრებადაა გამოყენებული მთელი ხეობა და თრუსოს ხეობელები საუკეთესო მეცხვარეები არიან. მეცხვარეობა მათი ძირითადი საქმიანობაა, ხვნა-თესვა სათქმელიც არაა, პაწაწინა მინდვრებზე მხოლოდ ქერი და სვილა ითესება. თრუსოს ხეობის ცხვრის ყველი „კობის ყველის“ სახელწოდებითაა ცნობილი, როგორც საუკეთესო.

ხეობის სიღრმეში, თერგის ორივე ნაპირს, მთის კალთებს შეჰყუჟებია სოფლები აბანო (სოფლის საბჭოა აქ), კეტრისი, ქვემო დესი, ზემო დესი, ვახათ-ყაუ, ცოცოლთა, გიმარა, ტეფი, ბურმასიგი. კობის საბჭოში კი შედის ის სოფლები, რომელიც ზეკარზე და მის ძირშია: ქუმლის-ციხე, გუდაური, ქვემოუხათი, ზემოუხათი, თვითონ კობი (საბჭო), და ხეობის დასაწყისისანი: ქვემო ოქროყანა, ზემო ოქროყანა, შავარდენი, განისი, მყინვარწვერის ფერდოდან მომჩქეფარე მდინარის პირას მდებარე მიწა და სხვანი.

ამ სოფლების ახლო-მახლო, მთის კალთებზე, თითქოს მწვანე კაბაზე ნაირნაირი საკერებლები დაუკერებიათო, ისეა მიფანტულ-მო-

ფანტული პატარ-პატარა ყანები: ქერის, ბარდის, კარტოფილისა და ზოგან დოლის პურისა.

ჩვენი მგზავრები ისე გაიტაცა მრავალმა მდუღარე წყალივით მობუყბუყე წყარომ, რომ დააკვიწყდათ, თუ უკან დასაბრუნებელნი იყვნენ.

საკმაოდ ღრმად შევიდნენ ხეობაში და, როცა ირაკლი და ვახტანგი შიმშილმა შეაწუხა, მაშინღა მოიხედეს უკან.

ჩქარი ნაბიჯით დაბრუნდნენ მანქანასთან და გამოსწიეს ყაზბეგისაკენ.

კობთან, წყალგაღმა, ერთმა მგზავრმა აუწია ხელი. მანქანა დააყენეს, მგზავრს წვერში ჭაღარა შეპარვოდა. მოკლე შავი ჩოხით, შავი საცვეთებით, ლამაზად ამოსხმული ქალამნებითა და ნაბდის ქუდით გუდამაყრელი შეიცნეს.

— თუ შეიძლება, ანდაზეთამდე ჩამიყვანეთ.

— სად, სად? — ჰკითხა თვალდაჭყეტილმა ერეკლემ.

— ანდაზეთში, ქალი მყავს გათხოვილი, აქამდე კობის მანქანას გამოვყე და...

— მობრძანდით, მობრძანდით...

ბიჭებმა ერთმანეთს გაკვირვებით შეხედეს. „ალბათ იმ სოფელში ენამახვილი ხალხი იყო და „ანდაზეთი“ მიტომ შეარქვესო“... — გადაწყვიტეს. კიდევ რაღაც წაიბუტბუტეს, მაგრამ მალე თვალი მოსწრათ მთის სოფელთა სიმშვენიერემ.

გაღმა, თერგის მარცხენა ნაპირს, მყინვარწვერიდან წამოსული ქედების ფერდობებიდან ჩამოტანილ ძველ კონუსებზე მოხეევთა წითელსახურავიანი სახლებით დამშვენებული სოფლები შეფენილიყო.

მოჩანდა სოფლები: ყანობი, ხურთისი, ფხელშე, გორისციხე, ტყარბეტი, გაიბოტენი, მთის თავზე თოთი, არშა და არშის ციხის ნანგრევები, ფანშეტი, გერგეტი. შალვამ აუხსნა, რომ გერგეტს ქვევით კიდევ არის ცდო, ცოგოლეთი, გველეთი (გელათი), გამოღმა კი— ვარდისუბანი, კალოვანი და სიონი თავის ნაცნობი კოშკითა და ბაზილიკით. ეს კოშკი მალიმალ გამოჩნდება ხოლმე კინოსურათებში, რომლებიც მთის ცხოვრებას ასახავს, მერე ლერმონტოვისა და გაგარინის სურათები ხომ მოაგონდათ და მოაგონდათ. სიონთან მთის ღელის მარცხენა ნაპირზე შესანიშნავი ვეძა, ნარზანის ტიპის წყა-



ს ა მ ე ბ ა

როც იგემეს; ეს ღელე სათავეებს ქაბარჯინასა და ელიას ფერდობებზე იღებს. მწვერვალი ქაბარჯინა ფიქლებისაგან შედგება, დაღარული და დახრამული მწვერვალია, მაღალი არ არის (3791 მ.), მაგრამ ძნელი ასასვლელია. მის ზურგის გასწვრივ მრავალია შვეული. შუბივით ამართული გუშაგები და კლდეები. ოდნავი წვიმის დროს სიონის ღელე ტლაპოსავით მოედინება. ეს კია, მალე იცის დაწკნობა. აქ, სიონთან, არის პატარა ტყე, არყნარი, რომელშიც თითო-ოროლა ციცელი და ნეკერჩხალიც შეიძლება ვნახოთ. აქაურობა „სიონის მადლმა“ შეინახა დღემდე, დღეიდან კი შეგნებამ უნდა შეინახოს. აი, გარბანიც და მალე გაირკვა ანდაზეთის საიდუმლოც. ეს ახალი დასახლებაა: „ანდეზიტი“. აქ ხომ ანდეზიტს ამუშავებდნენ და ამისათვის აშენდა ახალი სოფელი. ხალხმა კი თავისი აზრი ჩადო და ანდაზეთად მონათლა. „ანდაზა“ უფრო გასაგები იყო მისთვის, ვიდრე „ანდეზიტი“. ამ ანდეზიტს დაუპირისპირდა ციხისჯვრის ანდეზიტი (ბაკურიანი), სამრეწველო დამუშავება იქ დაიწყეს, რადგან უფრო იაფი ჯდებოდა, რკინიგზაა ახლო. აქ კი დარჩა „ანდაზეთი“.

ანდეზიტი ვულკანური წარმოშობის ქანია. ანდეზიტის ავზებს, მილებს, თავისებურ ქვაბებს, ქიმიურ მრეწველობაში იყენებენ, რადგან ტუტე სიმჟავენი მასზე ნაკლებ მოქმედებენ. საქართველოს ანდეზიტები უნიკალურია თავის სიწმინდით და ამიტომ დაიწყეს მისი დამუშავებაც.

გულითადად გამოემშვიდობნენ თავის ახალ ნაცნობს.

გასცდნენ აჩხოტს. მხარმარცხნივ დაჩნდა თარგმანები, პირდაპირ — ყაზბეგი, სტეფანწმინდა ეგებებოდა.

— თარგმანებიც ხომ ანდაზეთიეთ არ არის წარმოშობილი?

— ეს ხომ საზღვარი იყო, აქ მთარგმნელები ხომ არ ცხოვრობდნენ??

— ??!

პირველად მოხდა, რომ ბიჭებს ვიორგომ პირდაპირი პასუხი ვერ გასცა და სიტყვა ბანზე აუგდო.

— თქვენ ისა თქვით, რომ მყინვარწვერი მოღრუბლულა და ნისლიც ქვევით მოიწევს. აგერ ყურო კი ჯერ ნისლს და ღრუბელს ძთლიანად არ დაუფარავს.

მხარმარჯვნივ ამართულიყო ოთხიათასმეტრიანი ყუროსა და შიხოს შავი კედლები. განსაკუთრებით ყუროს კედელმა დააინტერესა ისინი. ბიჭების გულში გაიღვიძა მოგონებებმა. თვალწინ წარმოუდგათ ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებთა გმირები: აი, კობა, ელგუჯა, ონისე მოჩანან მთის ფერდობებზე, თითქოს აშკარად ხედავენ მათ.

— აგერ, გაიბოტენი, ეს იმ მოხევის სოფელია, რუსეთიდან მოშავალ ილიას რომ შეხვდა.

— სახელი და გვარი დაგავიწყდა? ლელთ-ლუნია. გაიბოტნიდან.

— ასეა, მგონი, არა: „ადრიდა, ავად თუ კარგად. ჩვენი თავი ჩვეხადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ; ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟაი ვაჟობდის, ქალი ქალობდის“... ასეა, არა? — იკითხა თვალებგაბრწყინებულმა ერეკლემ.

— ეგრეა! — დაუმოწმა შალვამ.

— მოხევე მგონი იმიტომაც უყვარს ქართველ ხალხს, რომ პირველად მოხევეს ათქმევინა ილიამ „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდხოდესო“.

— შენ ძაან ღრმად მიდიხარ, — გაეხმაურა ვახტანგი.

— ღრმად ჩასვლა ჯობიან თავთხელზე სიარულს.

ამ ლაპარაკში იყვნენ, რომ მანქანამ შუკაში შეუხვია და საცდელი სადგურის ლამაზი შენობის წინ გაჩერდა.

თვალებგაბრწყინებული ავთანდილი ღიმილით გამოეგება თავის სტუმრებს.

— მლეთიდან დამირეკა სკოლის დირექტორმა, რვა საათზე წამოვიდნენო...

— ეგ სხვაა.

ბარგს რომ იღებდნენ, კარებიდან ნატო და ლიანაც გამოვიდნენ, არ აცდიდნენ ბიჭებს, თვითონ ეზიდებოდნენ ბარგს.

— გშველიან რამეს, ავთო?..

ავთოს ჩაეღიმა.

— აქლემმა თქვა: თორმეტი კოზაკი გავზარდე, მაგრამ ჩემი საპალნე არ მომეშვაო. ჩემი საქმეც ასეა!

— ერთი უყურე ამას,—ბოლოს მიხვდნენ ქალებიც და შეუტიეს ავთოს. — რა საჭიროა, გოდორში უნდა ჩავდოთ და დავაგოროთ დარიალისკენ.

— ჰოდა ისეთი გოდორი დაწანით, თქვენს შვილებსაც გამოადგეს. — არ შეარჩინა ავთანდილმაც.

— მობრძანდით, ბატონო გიორგი, თორემ მაგის ლექსაობას რომ უყური.ო, შემოგვაღამდება...

— შემოგვაღამდა და ეგ არის, აგერ, ცა როგორ ჩამოიქუფრა!

ამ ათიოდე წუთში ყველა მწვერვალი ღრუბელს დაეფარა. გაღმა გერგეტამდე იყო ჩამოსული, გამოღმა — ელიას სალოცავამდე. გეგონება, ხელით შესწვდებიო, ღრუბელი კიდევ დაბლა წვებოდა. ამ დროს ციდან, ღრუბლებ ზევიდან, ზარის გაბმული გუგუნი ჩამოგრიალდა, ირეკებოდა ზარი და ყრუ გუგუნი, სადღაც უჩინარ ქვეყანაში იკარგებოდა, იქნებ შინოსა და ყუროს გადაღმა გადადიოდა? იქნებ რაღაც ამბავს აცნობებდა ქვეყანას? გაირინდნენ და გაოცებულებმა მიუგდეს ყური. დღეს ვერც მყინვარი ნახეს, ვერც საძება, თორემ იქნებ ასე უცნაურად არ სჩვენებოდათ.

რაღაც იდუმალობა ეტყობოდა ამ უცნაურ ზარის რეკვას. აი შეწყდა, გაიფანტა მისი ხმა... უნდოდათ ეკითხათ რაღაც, მაგრამ ზედიზედ კვლავ ვიღაცამ ჩამოჰკრა და ჟღრიალით გადაირბინა ღრუბლების თავზე, დაეჯახა ყუროს და შემობრუნდა უკან.

— ვიღაც გაჯავრებული არისხებს, მაგრა ჩამოჰკრა.

— დღეს სამებობაა. ყველას უფლება აქვს, მივიდეს ზართან და ჩამოჰკრას, შეავედროს ვინმე — „ღმერთო! შინ მშვიდობით დამიბრუნე სახლიდან წასულიო“, ან დაარისხოს მტერი: „ღმერთო, შენ აძოწყვიტე ჩვენი მტერი და ორგულიო“...

ერეკლეს თვალები გაუბრწყინდა:

— გორგასალმა რომ ოსეთზე გაილაშქრა და ბაყათარი დაამარცხა, აი მაშინ ციდან რომ რეკა შემოესმა, ღრუბლიანი დღე ყოფილა!

— „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა, ციდან ჩამოესმა რეკა“, — გახსოვთ?

ციდან, სწორედ ღრუბლებ ზევიდან ყოფილა.

— მერე მაშინაც იყო ეს სამება?

სამების ტაძარი თუ არა, ზარი მაინც იქნებოდა ძელზე დაკიდული.

ამ დროს მაღლიდან კვლავ მოისმა გუგუნი.

— მამა, ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ იალბუზი საიდანღა გაჩნდა ლექსში, ის ხომ მყინვარწვერის ძირში იყო?

— აქ ალაზნისა და არაგვის სახელწოდების მსგავსი განზოგადების ელემენტი ხომ არ არის?

— აკი ნ. ლომოურის „ქაჯანაშიც“ ბრუტსაბძელს „იალბუზს“ უწოდებენ. ყველა მაღალი მთა ხომ არ აღიქვებოდა, როგორც იალბუზი?

გიორგი შვილების კამათში არ ერეოდა.

— მოდით, მოდით, დაიბანეთ ხელი, ვისადილოთ!

— ჩვენ თრუსოში ვისაუზმეთ.

მალე ყველა მხიარულად მიუჯდა სუფრას. გაიღო კარი და სადგურის კარის მეზობელმა ცხელ-ცხელი ხინკლით სავსე ლანგარი შემოიტანა.

— ამბობენ, გიორგი არავისთან დადისო სტუმრად და ვიფიქრე, აქედან ხომ აღარ გამაბრუნებს-მეთქი სტუმარ კაცს. მიირთვით, თქვენი ჭირიმე, — თქვა და ლანგარი სუფრაზე დადგა.

— ოჰ, ლევან, რად წუხდებოდით? მოდი, დაბრძანდი, შენც. გაიზიარე ჩვენი სადილი. კაი ხანია, მთაში ვართ წამოსულები და ხილი კი არ გვაქვს.

— ხილი აქაც არის, თბილისიდან მანქანა სამ-ოთხ საათში ამოდის.

ერეკლემ და ვახტანგმა ახლაღა მოიგონეს, რომ სიონში ნახეს

ეზოში დარგული რამდენიმე ცირცელი, არც სოფლების ირგვლივ და არც ეზოებში ხეხილი არ ჩანდა.

— რა ვიცი, მამა-პაპათა ჩვეულებაა. ცხვარი და ზროხა, აი, ჩვენი საქმე, — დაიწყო ლევანმა, — ხომ იცით, მთელი ხევის რაიონში ოთხასი თუ ხუთასი ჰექტარია სახნავ-სათესი. აბა, წითელწყაროს ან ქვემო ქედის კოლმეურნეობას კი არ ვგევართ, ათიათასობით ჰექტარი სახნავ-სათესი რომ აქვთ. ჩვენც ამ პატარა მიწებზე კარტოფილსა და ქერსა ვთესავთ, ზოგი წმინდა პურსაც [1]. ხომ ნახეთ, რამსიგანე ყორეები აქვთ შემოვლებული ამ ჩვენს მიწებს, ან რა სიმაღლის ქვის ხროვებია შიგ? ეს სულ აკრეფილი ქვაა, მიწასაც რომ ბარავ, გეგონება, ქვიშაა, ამიტომ მოდის კარტოფილი კარგად.

— მოხევეები ტრაბასობენ, კარტოფილი ჩვენგან წაიღეს ბარელებმაო.

— აბა რა! ერეკლეს გამოუგზავნეს რუსეთიდან ორი ცხენის საპალნე, ყაზბეგამდე კი მოაღწიეს, მაგრამ, ჩამოთოვლა, გზები შეიკრა. ზეკარიც მაისის ბოლომდე შეკრული იყო. არ გაფუჭდესო და გამყოლმა აქ დათესა. თარგმანებში, შემოდგომაზე მიწიდან გოჭებივით ამოდიოდა კარტოფილი, ორი ცხენის საპალნის ნაცვლად ერეკლეს ექვსი ცხენის საპალნე გავუგზავნეთ და აქაც ბევრი დარჩა. ამის შემდეგაა, რომ კარტოფილია საქართველოში!

მამას შეხედეს. მართალია თუ არაო.

— დაახლოებით სწორედ ეგრეა. კარტოფილი ჩვენში რუსეთის გზით შემოვიდა, ერეკლეს დროს.

გარედან ისევ ისმოდა ზეციური ზარის რეკვა. თავი ზღაპარში ეგონათ. მართალია, ნისლი ჩამოწოლილიყო, მაგრამ ნაკვეთებზე მაინც წავიდნენ. კატომ აჩვენა საკვები ბალახების კოლექცია: პაწაწინა ნაკვეთები კოხტად იყო ჩამწკრივებული და ყოველ მათგანს თავის ფირ-ნიშანი ჰქონდა. კატო აღტაცებით ლაპარაკობდა ამ კოლექციაზე. იმედი ჰქონდა, რომ ორ სამ წელიწადში ამ კოლექციიდან შეარჩევდა ისეთებს, რომლითაც შეიძლებოდა რაიონის სათიბ-საძოვრების გაუმჯობესება.

— ნისლია, მაგრამ საცდელი ნაკვეთები მაინც ვნახოთ, — სთხოვა

---

[1] წმინდა პურს — დოლის პურს უწოდებენ, ზოგან თაკთუხსა და დიკასაც.

წითელი დიყი. სნოს ხეობა.

შიხეილმა და აუძღვა ზევით, სადაც მათი საცდელი ნაკვეთი იყო. იცდებოდა სხვადასხვა მინერალური სასუქი, აკვირდებოდნენ, რაძელი უფრო აუმჯობესებდა სათიბს და საძოვარს. პარალელურად შეისწავლებოდა ბიომასის დაგროვება, აქ კი გია დაუტრიალდა ნაკვეთებს, სინესტე ტანში გაუჯდათ, ბალღებს ცხვირები გაულურჯდათ და იკადრეს ქვევით, სადგურისაკენ დაშვება. გადაწყვიტეს, რომ დილით ბიჭები და ავთო, ლევანის მეგზურობით, ყუროზე წასულიყვნენ. გიორგი და შალვა კი ძირს ყაზბეგის მიდამოებს მოივლიდნენ.

—ადრე, უთენია უნდა გავიდეთ, სანამდე ქვა კლდესაა მიყინული და არა ცვივა. დილა დარიანი იქნება, — დააგდო სიტყვა ლევანმა.

ასეც მოიქცნენ, ჯერ კარგად არც კი ერიჟრაჟა, რომ ლევანი მათ კარს მოადგა.

— თოფი?!

— არა, მამაშენის შიშით ჯიხვებს არ ვესვრი, ისე კი მქონდეს თან, იქნება მგელს ან ტურას წავაწყდეთ.

ელიას ნიშისაკენ მიიწევდნენ. სახლის უკანვე იწყებოდა მინდვრები — სათიბები, მაგრამ რა მინდვრები! თითო ტაშის[1] ოდენა, ნახევარი მინდორი ფიქლის გროვას ეჭირა, წელთა მანძილზე ახორავებულს. სამაგიეროდ, ბალახი კარგი იყო, მუხლის ზევით სცემდა, ერთი კია, ადგილ-ადგილ ალპური სამყურას კაშკაშა ლაქა ჩანდა, ზოგან კი სათესი სამყურის, ზოგან ჭაღარასი, ზოგან კი სამთავასი. უხვად მორეოდა ფიშერის ღიღილო, ციურა, ვარდისფერი გვირილა, წართხალი, ქარცხვი, კვლიავი, ნამიკრეფია, თივაქასრა, კეწეწურა, ჭრელი შვრიელა, ცხვრისწივანა, წითელი წივანა და მრავალი სხვა ყვავილი, მთის მდელოების დამამშვენებელი. მალეც ავიდნენ, აქ საცდელი სადგურის პატარა ფინური სახლი იდგა, მის წინ კი, საცდელი კვლები იყო ჩამწკრივებული, რიგი მარცვლოვანი ბალახით იყო დაფარული, რიგი პარკოსნებით: ლურჯი იონჯა, ყვითელი იონჯა, ჯავახური იონჯა, მთის ესპარცეტი, ქართული ესპარცეტი, ნაირ-

---

[1] ვახტანგმა უამბო ძია ლევანს: წიგნში წავიკითხეო, ერთი მთიელი წავიდა მინდორში, თავის მიწა უნდა დაებარა, გაიხადა ჩოხა და იქვე წიაგდო. დაბარა ერთი ნაკვეთი და ახლა მეორეზე უნდა გადასულიყო, მაგრამ საბარი ადგილი ვეღარ იპოვა, იფიქრა, ალბათ, ზამთარში მეწყერმა დაფარაო. აიღო ჩოხა, შინ აპირებდა წასვლას, გაკვირვებულმა დააღო პირი, მისი მიწა თურმე ჩოხის ქვეშ დატეულიყო.

ნაირი სამყურა, ყვავისფრჩხილა—ერთი-ერთმანეთს ცვლიდა; ცოტა არ იყო საკვებად გამოსადეგი ნაირბალახეულობა (ლომის კბილა, ყვავის კუდა, კვლიავი, მენახირის პური, მაჩიტა ნაირნაირი და სხვა ძრავალი). ასეთი ნაკვეთი გუშინაც ნახეს ცოტა უფრო ძირს. მალე მათ წინ აიმართა ყუროს შავი და შვეული კლდე: მის უკან სინათლე ჩანდა ცაში აჭრილი, ყუროს კედელი უთოვლო იყო, უთოვლო, იმიტომ, რომ თოვლი ფეხს ვერ იკიდებდა მის შვეულად დაკიდულ ფერდოზე.

— და ეს პიტალო კლდეებია ჯიხვების სამყოფი?

— აქ იცის, მაშ.

„ჯიხვების განავალი კლდე რომ ნახო, გაგიკვირდება“.

და მართლაც, გასაკვირველია, — თქვა ავთომ და ახედა მაღლა. ლევანი წინ გაუძღვა, ღელეში შევიდნენ, დიდხანს იარეს მთიდან თავპირის მტვრევით ჩამომჩქეფარე ნაკადულის ნაპირნაპირ და მწვანე სერზე ავიდნენ. ლევანმა ნაბიჯი შეანელა.

— ძია ლევან, მაგ ნაბიჯით როდის ავალთ?

— თავის დროზე, ჩემო ირაკლი!..

ცოტა ხნის შემდეგ შეისვენეს და უკან მიიხედეს. მიიხედეს და სუნთქვა შეეკრათ: მათ წინ აღმართულიყო მყინვარწვერი მთელი თავისი სიმშვენიერით! აგერა სამება, საბერწე, გერგეტის მყინვარი, წვერი მყინვარისა „შეკვერცხილი ყინულითა“ ოქროსფრად ელვარებდა.

სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა,
ორბნი, არწივნი ვერ შეხებიან!

უნებლიეთ წამოიძახა ერეკლემ.

ლევანს კმაყოფილებით ეღიმებოდა, რომ მის მყინვარს ახალი მეხოტბეები შეემატნენ. არ დააყოვნა და აუხსნა, რომ მთაში კაცმა სწორედ ამ ნაბიჯით უნდა იაროს. ჩქარი სიარულის დროს გული ძალიან იტვირთება და ჰაერი არ ყოფნისო.

მზემ რომ ხეობას გადმოხედა, ისინი ყუროს ზურგს უახლოვდებოდნენ. ცოტა კიდევ და წვეროზე მოექცეოდნენ, მაგრამ ლევანმა ნიშანი მისცა, გაჩერდითო, და თვითონ ღრმა ხევში ჩაეშვა, იქ რაღაცას დასწვდა. ქამარი მოიხსნა, თითქოს რაღაცას ჰკრავდა. მალე ამოვიდა. ორი ჯიხვის რქა გაედო მხარზე.

— ამოდენა ჯერ არ მინახავს, ბებერი ვაცი ყოფილა, ან თავის დღითაა მკვდარი, ან მონადირის ტყვია წამოსწევია და აქ ჩაღუპულა.

გაკვირვებით სინჯავდნენ ვეებერთელა რქებს, ოთხმოცდაათი სანტიმეტრი მაინც იყო თითო.

— აი, ერეკლე, გაიზარდე და ამ ჯიხვის რქით შენს ქორწილში შენი სადღეგრძელო უნდა დავლიოთ...

ლევანმა ერთ პატარა მოლზე დააწყო ორივე და ზედ ფიქალი დაადო.

— რომ ჩამოვივლით წავიღოთ, — დაუმატა.

ნასიამოვნებმა ნაბიჯს აუჩქარეს, მაგრამ ლევანმა შეაჩერა.

მწვერვალიდან გამოჩნდა თოვლიანი შინო, შორს კი აღმოსავლეთ კავკასიონის მშვენება ტებულო, ხუთი მდინარის სათავე ბორბალო, მხარმარჯვნივ ფშავი, ხევსურეთი, მის გადაღმა მთათუშეთი; შემოგრუნდნენ და მათ წინ უფრო დიდებული სურათი გადაიშალა: მყინვარწვერი და გამყოლი ქედი შესანიშნავი მწვერვალებით, მხარშარცხნივ ჯვარის ზეკარი, ცხრაძმა, წითელი მწვერვალი, ძირს კი — თერგის ხეობა, მოხევეთა სოფლებით. განა სადმე შეძლებს კაცი, ასე მცირე სიარულის შემდეგ ამდენი სიმშვენიერე იხილოს?

დიდხანს, დიდხანს იდგნენ ერთ ადგილს, ხან მარცხნივ გაიხედავდნენ, ხან მარჯვნივ, ხან უკან შებრუნდებოდნენ.

ლევანი კი დურბინდით რაღაცას ლანდავდა.

ბოლოს დაუქნია ხელი და ერეკლეს დურბინდი გაუწოდა, აბა, იმ შავკლდისკენ გაიხედეო და ჩრდილოეთისკენ მიუთითა.

ლევანმა ეძება, ეძება და იპოვა: შვიდი თუ რვა ჯიხვი კლდის ძირას ბალახს წიწკნიდა. ახლა ჯერი ვახტანგზე მიდგა. არ ისვენებდნენ, ერთმანეთს სტაცებდნენ დურბინდს. ლევანმა თოფი აიღო და სანამ ბიჭები დაუშლიდნენ, ტყვიამ ჰაერში გაიშხუილა. მთამ დაიქუხა, ხმა ხან ერთ მთის კედელს ეცა, ხან მეორეს; ჯიხვები გასროლილი ისარივით მოსწყდნენ ადგილს და მთის გადაღმა გადაიკარგნენ. ერეკლეს რომ შვეული კლდე ეგონა, სწორედ იმ კლდეზე აცვივდნენ. ჭიუხებში არწივები აიშალნენ და ლურჯ ცაში დაჰკრეს კამარა.

— დავაფრთხე, ჯობია, თვალს მოეფარნენ, — თქვა ლევანმა.

სამებიდან ზარის ხმა მოვიდა.

— ახლა ციდან კი არა, მიწიდან მოდის ხმა! თქვა ერეკლემ და ჩაუჯდა ალპურ პატარა ხალს. მართალია, ყურო 4000 მეტრზე მა-

ღალია, მაგრამ მცენარეები აქაც არის, პაწაწინები და ლამაზები. ფრთხილად შეკრიბეს და ჩაალაგეს საჰერბარიო თუნუქის კოლოფში. ნიმუშები რომ არ ჩაეტანათ, შალვა საყვედურით აიკლებდა.

მზემ კარგა მაღლა აიწია, როდესაც ჯიხვის რქებთან ჩამოვიდნენ. შეისვენეს, ისაუზმეს და ჩაჰყვნენ სერის ზურგს.

ლევანმა ღელით აღარ წაიყვანა. „ხედავთ, ქვები როგორ რუხრუხით მიდის?!“ პირდაპირ რომ პატარა მწვერვალი იყო, იმაზე აიყვანა და ისე დაეშვნენ ფინური სახლის მარცხნივ.

სადგურის ეზოში ფუსფუსებდნენ მამა, შალვა და მიხეილი. ისინიც ახალი დაბრუნებულნი ჩანდნენ.

ტყვეობაში მოქცეული ცხვრის ფარა

ყუროს მთას მზე ჯერ არ ასცილებოდა, როდესაც საცდელი სადგურის ეზოდან მანქანა გამოგრიალდა და გეზი სამხრეთისაკენ აიღო. ცა ჯერ მუქ ლურჯად გამოიყურებოდა და მთების სილუეტები ძკვეთრად ჩანდა. წინ ამართული იყო ქაბარჯინა თავისი მრავალი გუშაგით და კბილითა და რამდენიმე, კოშკებივით ასვეტილი მწვერვალით.

თითქოს ცოტა გრილოდა კიდეც და ბიჭები იბუზებოდნენ.

— არა უშავს რა მალე დაგცხებათ, — უთხრა ყაზბეგიდან გამოყოლილმა მოხევემ ფიდომ, რომელმაც მათი მეგზურობა იკისრა ბურსაჭირისა და გუდამაყრის ხეობაში.

— ასე იცის, ზაფხულის დილას როცა გრილა, დღე მზიანი და ცხელი გამოდის, — განაგრძო ფიდომ. ბედნიერმა მიწა მოხნა, დაფარცხა და დაჰყვა წვიმაო, — დაამთავრა.

სოფელ აჩხოტთან ღუდუშაურის არაგვის[1] ნაპირებს გაჰყვნენ. მალე სოფელ სნოსთან გაჩნდნენ და ერეკლე და ვახტანგი სნოს ციხემ აღაფრთოვანა, მდინარიდან ამოვარდნილი, კლდეზე ნაგები, ოთხკუთხა, სიმაღლეზე ზომიერად შევიწროებული კოშკი, შესანიშნავად შერწყმოდა გარემოს.

---

[1] არაგვი — არაგვისა და თერგის სათაურებში „არაგეს“ ბევრს მდინარეს უწოდებენ, არაგვი თითქოს გაიგივებულია მდინარესთან, ისე, როგორც კახეთის კავკასიონზე და მთათუშეთში ალაზანი, ქართლში — ლიახვი.

— სურათის გადაღება ძნელია, სინათლე ჯერ საკმარისი არაა.

— მოდი, ჯერ მზარმარჯვნივ სათიბები ვნახოთ და სასურათე დროც მოვა, — ურჩია გიორგიმ.

სოფელ სნოს პირდაპირ, მარცხენა ნაპირიდან, ღუდუშაურის არაგვს ელიას მთის ჩრდილოეთის ფერდოზე დაბადებული პატარა ღელე უერთდებოდა, რომელსაც საკმაოდ განიერი გამოტანის კონუსი შეექმნა და ეს კონუსი მთის ძირამდე დაფარული იყო შეესანიშნავი, ფართოფოთლოვანი სუბალპური მდელოთი.

— დასველდებით, დილაა, გუშინ და წუხელ ნისლი იყო, ცვარი ჩავარდებოდა, — გააფრთხილა ფიდომ.

ფიდოს შენიშვნა ჭკუაში დაუჯდათ და გრძელყელიანი ჩექმები ჩაიცვეს, მხოლოდ ამის შემდეგ შეჰყვნენ აღმა. ღუდუშაურის არაგვს გარს შემოვლებული ჰქონდა მრავალი მწვერვალი: ელია, ნადუცია, ქვენა მთა, ჭაუხი, როშკის ხორხი, შინო, ყურო. ამ მთათა ყინულის მუზარადიანი მწვერვალები ჯერ უხილავი მზის სხივებით ელვარებდნენ, რომელიც ჭაუხის მთებიდან უნდა ამოსულიყო.

მეტად ლამაზი იყო ფართოფოთლება, დიდქოლგებიანი ვარდისფერი დიყი, რომელიც მწვანე მდელოზე სისხლის წვეთებივით მოჩანდა. აქა-იქ, იშვიათად, მაღალ დიყსაც წამოეყო თავი, მათ შორის თეთრი და სოსანი დეზურა, ყელმოღერებული კენკეშა, პირისფერი გვირილა, წითელი დვალურა, ტოტებგაშლილი წართხალი, ნაზყვავილიანი კვლიავი, მრავალმტვრიანა ვარსკვლავა, სხვადასხვა ოქროსფერი ბაია, მრავალნაირი სამყურა და მათ შორის ჭაღარა სამყურა, ალპების სამყურა, სათესი სამყურა, სამთავა სამყურა, მხოხავი სამყურა, მინდვრის სამყურა, აგრეთვე ყვითელი იონჯა, ლურჯი იონჯა, შვრიელა, თავთავყვითელა, ტიმოთელა, სათესი წივანა, ლურჯყვავილება წყალიკრეფია, ფრინტა და სხვა მრავალი.

მდელოს მრავალფეროვნებამ თვალი მოსჭრა ყმაწვილებს. იმის მაგივრად, რომ მამას მიშველებოდნენ, ერთი ლამაზი ყვავილიდან მეორისკენ გარბოდნენ და თავის აღტაცებას ხმამაღლა გამოთქვამდნენ, ხან ვაჟას კესანეს და პირიმზეს ახსენებდნენ, ხან კიდევ ანა კალანდაძის არჯაკელს. ამ სიხარულით სავსე გულით მალე ერთ შვეულ ფერდას მიადგნენ და ზედ ავიდნენ, ავიდნენ და გაოცებისა და აღტაცებისაგან თვალები გაუბრწყინდათ. მთელი ხეობა რაღაც მოელვარე, მოცახცახე ოქროსფერი სინათლით იყო განათებული. გამ-

მოშინაურებული ჯიხვი. ს. ყაზბეგი.

ჭვირვალე წმინდა ჰაერში მზეს თითქოს აბრეშუმის კრიალა ძაფები გაევლო. ვაკეზე, სნოს ციხის ძირას, აქამდე მჩქეფარე მდინარე, გაჩერებული, გატვრენილი ჩანდა და ცისფრად ელვარებდა. მთის ვიწრო ხეკიდან გამოჭრილი ნაკადული ქვიდან-ქვაზე ხტომით ქვევით დაშვებულიყო, მთაში ნანახს და გაგონილს ლიკლიკებდა, მთამაღალის დილის უჩვეულო მყუდროებას მხოლოდ იგი არღვევდა. ფერდო, რომლის კალთაზეც იდგნენ, ჩრდილში იყო და მზეს ჯერ ვერ ხედავდნენ, მაგრამ გრძნობდნენ, რომ იგი მთების გადაღმა თავისი ცხრათვალითვე ბდღვრიალებდა და ბდღვრიალებდა ისე ძლიერად, თითქოს მთების მკერდში ატანს და აქეთ, მეორე მხარესაც ელვარებსო. არყის ძირს დაშვებული ტოტებიდან ნამი ცვიოდა; სიხა-

რულის ცრემლს ჰგავდა, რომელსაც კდემამოსილი ქალწული აფრ-ქვევს მაშინ, როდესაც ომში წასული ძმა უბრუნდება. შორიახლო თეთრყვავილებით დამშვენებული ცირცელიც იდგა, თავს ისე აკან-ტურებდა, გეგონება, არყის ცრემლებს ამართლებსო და, ნიშნად დასტურისა, თავს დაბლა ხრიდა.

მდელოს მწვანედ გაჰქონდა ხასხასი, ჯერ ფეხი არავის დაედგა და თითქოს აბრეშუმის მწვანე კაბის კალთაზე დაბნეული ნაირ-ნაირი ძვირფასი ღილებიაო, ისე იყო მოფანტული კესანეს, გვირილას, მზიურას, კვლიავის, ბაიას, სამყურას, მედგარის, ღიღილოს და მრავალ სხვა მცენარის ყვავილები.

მაღლა, დაუსრულებელ ლაჟვარდში, ფასკუნჯები წრეს უვლიდ-ნენ, მზეს თავისებური ხორუმით ეგებებოდნენ.

— რა ამაყად უვლიან, გეგონება, ცა და დედამიწა მათი იყოს.

— მათია, აბა ვისია?

ამ დროს ცაზე გაბმული გრუხუნით გადაიქროლა რეაქტიულმა თვითმფრინავმა. არწივთა წრემ უცბად ძირს დაიწია, ირაო შეშალა და, ალბათ გულმოკლულნი, ფრთების ნელი ქნევით ხეობაში მი-იმალნენ.

— ხედავ, არც ეგენი არიან მოსვენებული, — დანანებით თქვა ერეკლემ.

გიორგი და შალვა ქვევით მიდიოდნენ, ბიჭებმაც ჩამოიქვეითეს და შეესივნენ ნაირბალახეულობას. თითქოს აქამდე ეძინა და ახლა გაუღვიძიაო, მთელი მდელო მღეროდა, მღეროდა ნაირ-ნაირი მწე-რების ბზუილით, რომელნიც მკერდგადაშლილ ყვავილებს დაჰფარ-ფატებდნენ. აგერ, ერთი-ორგან, ტოროლაც აფრინდა ცაში. სადღაც, წყალგაღმიდან მწყერმაც გამოსძახა თავისი „ქვითკირო".

— გახსოვს შარშანდელი გარეკახეთის დილა?

— მახსოვს, მაგრამ ეს უფრო სხვანაირია, წმინდა, ხელშეუხე-ბელი.

შალვას დაეხმარნენ სიის შედგენის დროს, დადიოდნენ მდელო-ზე და მოჰქონდათ ნაირ-ნაირი მცენარენი, შალვაც გულდასმით სინჯავდა, ზოგჯერ თავის უბის წიგნში ჩაიხედავდა და ისე შეჰქონდა სიაში. რამდენიმეს კი ნომერი გაუკეთა, ამ ნომრით შეიტანა სიაში და დაუმატა: თბილისში რომ ჩავალთ, იქ გაკარკვიოთ და ისე შევი-

იღვა მუხა, იცოცხლა, ზოგმა ცული დაჰკრა, ზოგმა ტოტი ჩამოაჩეხა
და დადგა მისი საღამოც...

ტანოთ სიაში ძათი სახელიო. მოვიდა გიორგი და ხუთი ახალი ძცენა-რე დაუმატა.

საერთოდ, ამ კონუსზე ას ჩვიდმეტი სახის სხვადასხვანაირი მცენარე აღმოჩნდა.

— აბა, კმარა. ჩავყვეთ ქვევითკენ!

სნოს ციხესთან მალე მოათავეს საქმე, გამოიცვალეს სველი ფეხსაცმელი. გადაიღეს სურათები.

სნოს შემდეგ ღუდუშაურის არაგვის გაღმა-გაძოღმა ნამდვილი მთის სოფლებია. ახალციხე, კარკუჩა, ქოსელი, ჯუთის წყალის ხეობაზე ხევსურთ სოფელი ჯუთა, ყორხის წყალზე კვლავ ხევსურთა ორი სოფელი ართხმო და მუგუდო.

კარკუჩის ხსენებაზე ერეკლემ წაიღიღინა:

კარკუჩით წამოიყვანეს
ქალი, ლამაზი, თმიანი...

ვახტანგმა მხარი აუბა.

ორწყლამდე არც გაჩერებულან. ორწყალს ორი „არაგვის“ შესართავს უხმობენ, ამიტომაა ჩვენს მთებში მრავალი ორწყალი. ჯუთისწყალი, რომელიც სათავეს საწელეს ზეკარის მიდამოების მთებში იღებს და თვითონ ღუდუშაურის წყალი, ჭიუხებში დაბადებული. უნდა ითქვას, რომ ჯუთისწყლის სადევარი 2-3-ჯერ მეტია, ვიდრე ზემო ღუდუშაურის არაგვისა. ჯუთისწყალმა სახელი მიიღო ხევსურთა სოფელ ჯუთიდან, რომელიც ხევსურეთთან დაკავშირებულია საძელეს ზეკარით. ჯუთამდე მანქანა მიდის რიყე-რიყე, შემდეგ კი ფერდოთი. მაგრამ ბურსაჭირამდე კი ვერა.

მაღლა, მთის კალთებზე, საძოვრები მწვანედ ხასხასებდნენ.

გადაწყვიტეს, აქედან გოგია დაბრუნებულიყო და, თუ შეძლებდა, გუდამაყრის ხეობით სოფელ დუმაცხოში ანდა სოფელ ჩოხში ამოსულიყო. იქ დაეცადა და, დღეს თუ არა, ხვალ შუადღემდე მაინც ჩავიდოდნენ.

ბიჭებმა აიჩემეს, ნაბდები რად გვინდა, გოგიამ წაიღოსო, მაგრამ ფიდომ არა ქნა.

— დარში ნაბადს ნუ დააგდებ, ავდარში ქალამანსაო.

ანდაზების მოყვარულებს ეს ანდაზა თითქოს აღარც მოეწონათ, რადგან ბარგს უმძიმებდა.

— ვერაფერი უნდა ვთქვათ, რომ ამ ხალხმა ანდაზა არ მოაყოლოს? — წაიბურტყუნა ერეკლემ.

ამის გაგონებაზე მამას გაეღიმა.

— ანდაზა ხალხის სიბრძნეა, დიდი ამბავი ორი სიტყვითაა ნათქვამი.

ცდა დროს დაკარგვა იყო და ამიტომ, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, აიკრეს გუდა-ნაბადი და შეჰყვნენ აღმა, წყლის მარცხენა ნაპირს.

ძველად საქართველოს სამხედრო გზა სწორედ აქეთ გადიოდა, ნაგზაური ბევრგან კიდევ ეტყობოდა, ჯერ ერთი დაოროკოებული სწორი პროფილით და მეორე — ნაგზაურზე ბალახი უფრო მუქი ჩანდა, მიუხედავად იმისა, რომ 70 წელზე მეტია, ეს გზა მიტოვებულია. იქნებ ამაზეა ნათქვამი, „მიწა მოხან ნაგზაური, ყანა მოვა აზნაურიო". ალბათ იმიტომაც, ცხვარი და საქონელი მთისკენ რომ მიუდით, ამ გზას ეტანება. ეს გზა ჰკვეთდა კავკასიონის ქედის—ბურსაჭირის ზეკარს, ჩასდევდა გუდამაყრის, ანუ შავი არაგვის, ნაპირებსა და გადადიოდა ფასანაურში.

— საძოვრები კარგი ჩანს, ძია ფიდო!

— ეჰ, რაღა კარგი ჩანს, გარედან მტერს უყენებს თვალებს და შიგნიდან პატრონს.

— ეს როგორ?

— როგორ და ვირის ქუჩმა[1] შეჭამა მთელი საძოვარი. დადის ცხვარი და დაბღავის. ზოგან ნარ-ეკალა მოედო, ზოგან შხამა და...

სუბალპურ და ალპურ საძოვრებზე გავრცელებული ძიგვიანი მდელოები აქაც დიდი რაოდენობით გვხვდება. იგი შედეგია საძოვრის უწესრიგო გამოყენებისა. ჩვენში ძიგვიანების დიდი ფართობები მოქცეულია იქ, სადაც საძოვარი მრავალი წლის მანძილზე ფრიად დატვირთული იყო, სადაც ადრე გაზაფხულზე დიდი ფარები გროვდებოდა. ასეთ ადგილებში ცხვარი მცენარის ფესვს ყელამდე გლეჯს და კვნეტს, რადგან საკვები ბალახი ყველას არ ჰყოფნის, ამასთან საჭმელად გამოსაყენებელ ბალახს ტკეპნის, შლის, აერაციას, აფერხებს ნიადაგში ჰაერის განუწყვეტელ ცვლას. ძიგვა კი სწორედ ისეთ ნიადაგებს ეგუება, რომელშიც აერაცია დარღვეულია. ძიგვია-

---

1 ძიგვას მოხევეები და ფშავ-ხევსურნი „ვირის ქუჩს" უწოდებენ.

ნები იქაც კი ვითარდება, სადაც საძოვარი გადატვირთული არაა, მაგრამ დაჭაობებულია და აერაციას წყლის ფენა უშლის ხელს. ცხვარი რომ იმდენი მოჰყავდეთ, რამდენსაც საძოვარი აიტანს, ეს არ მოხდებოდა.

— მაინც რამდენი უნდა იყოს ჰექტარზე?

— თუ საძოვარი კარგია, ჰექტარზე უნდა მოდიოდეს არა უმეტეს 8 ცხვრისა ზაფხულის განმავლობაში, თუ ნირშეშლილია—არაუმეტეს 2-3 ცხვრისა.

— ჰოო, ეგ სხვაა.

ძიგვის ქუჩი თავისებურია. მისი ძველი ფოთოლი გაუხეშებულია, გვიან იხრწნება, რადგან ფოთოლში დიდი რაოდენობით გროვდება კალციუმი. მისი წვერი ლამის ეკლადაა გადაქცეული და შუა ზაფხულში პირუტყვი ვერა ძოვს, იჩხვლიტება.

ცხვრის ერთი ფარა ბლაკილით გადადიოდა ძიგვიანზე; იშვიათად რომელიმე მისწვდებოდა ქუჩს, მოგლეჯდა ნაწილს, გააქნევდა თავს და გადააგდებდა. ამიტომ მთელ მინდორზე ეყარა გამხმარი ქუჩის პატარ-პატარა ნაწილები.

— კაცო, ცხვარი მთაში მყავს და ლამისაა შიმშილით ამომიწყდეს. — შესჩივლა მოხევე მწყემსმა გიორგის. გიორგი დიდხანს ესაუბრებოდა მას. ბიჭებმა ამასლა მოჰკრეს ყური:

— რა ვიცი, აბა, მაგას ვინ მოერევა?

— ვინა და თქვენი კოლმეურნეობა, შეერთებული ძალა.

ძიგვის კორდი ორნაირი ფოთლისაგან შედგება, მწვანე, წლევანდელი ფოთლები, რომელთაც საყვავილე ღერო, თავთავი არა აქვს, და ძველი, შარშანდელი ფოთლები, რომელშიც საყვავილე ყლორტიცაა ამოზრდილი. ეს ნაწილი თესლის ჩათესვის შემდეგ კვდება და გადადის ბუსნოს მარაგში, რომელიც რამდენიმე წლის მანძილზე არ იხრწნება. სწორედ ამის გამოა, რომ, როდესაც ძიგვიანზე დადიან, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, გეგონება, სქელი ლეიბი აგია ფეხქვეშ. მდელო ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ადის და ჩადის. ჩვეულებრივად, ძიგვიანებში ძიგვა ძლიერადაა გაბატონებული, თუმცა სხვა მცენარენიც გვხვდება თითო-ოროლა, ესენია: კეწეწურა, ალპური თივაქასრა, ალპური ტიმოთელა, სურნელოვანი ყვითელთავთავა, ალპური წივანა, ცხვრის წივანა, ჭრელი შვრიელა, მთის ბაია,

მხოხავი სამყურა, ჭაღარა სამყურა, მარწყვაბალახი, პატარა მაჩიტა, ძაჯაღვერი, მარმუჭი.

ჩვენს მთაში ასი ათასი ჰექტარი ძიგვიანს უჭირავს. ასი ათას ჰექტარ კარგ საძოვარზე კი ზაფხულის განმავლობაში შეიძლება ნახევარი მილიონი ცხვარი გამოიკვებოს. ამიტომ ასეთი ძიგვიანები მოუთმენელია, უნდა გავაუმჯობესოთ. გაუმჯობესებული მდელო კი მრავალ ფარას გამოკვებავს.

გიორგი დიდხანს ესაუბრა მწყემსს საძოვრების გაუმჯობესებაზე. შალვა და ერეკლე მცენარეთა სიას ადგენდნენ. ცდილობდნენ, არაფერი გამოეტოვებინათ. ვახტანგი კი სურათების გადაღებით იყო გართული.

ამ დროს ქვევიდან, გუდამაყრის მხრის საძოვრებიდან, კივილი შემოესმათ.

— უეჭველია, კობას გაუჭირდა რაღაც! — თქვა მწყემსმა და მოწყდა ადგილიდან. გადადგა ზეკარის ქიმზე და ძირს ჩაჰკივლა.

— ჰაჰაუ, გიჭირს რამე თუ?!

ქვემოდან ამოჰკიოდა მწყემსი და ხელს ქვევით იშვერდა.

— ერიჰაა! ცხვარი დაფრთხობია და ნარიანში გადამხტარა. აი, ყური მიუგდეთ, ბღავილი არ გესმით?

— დამაცადეთ ცოტა, ახლავ! — და თავის ცხვრისკენ შებრუნდა, ძაღლებს რაღაც უთხრა, თითქოს დატუქსა და დაარიგაო, ერთი თავში დააყენა, მეორე ბოლოს და დაბრუნდა.

— წამომყეთ, მივეშველოთ!

მწყემსი და ჩვენი მგზავრები დაეშვნენ შავი არაგვის ხეობისაკენ და მალე გაჩნდნენ კობასთან.

— როგორ გადავიდა, ბიჭო? სად იყავი? — საყვედურით, თან თანაგრძნობით ეკითხებოდა ალექსი.

ცხვარი ნარიანში [1] გადასულიყო და საბრალოდ ბღაოდა. უკანაც ველარ გამოდიოდა, რადგან ნარის ეკალი ძალიან მწარედ იკბინებოდა.

— როგორღა გადავიდნენ? — გაიკვირვა ერეკლემ.

— ღმერთმა ნუ იცის მათი თავი და ტანი! აგერ, ფერდაზე სძოვდნენ, უცბად ბღავილით მოწყდნენ და თავპირისმტვრევით შეერევნენ

---

[1] ნარიანები განსაკუთრებით ბევრია თრიალეთზე, მაგალითად, ცხრაწყაროს სამხრეთ ფერდოზე.

ნარიანს, ნაწილს მივუსწარ, გავეღობე, მაგრამ არა გამოვიდა რა. იქნებ არწივმა რომ ჩაუქროლა, იმაზე დაფრთხნენ, ან თვითმფრინავის ბღუილზე... აკი წეღან გადმოიფრინა. რა ვიცი, წინათ ასეთი რამ არ მოსდიოდათ და!..

— არწივი გაეთამაშებოდა ალბათ, — დაასკვნა ალექსიმ.

— იმას ეთამაშებოდა და ახლა მე?

— აბა, მე და ერეკლე გავჭრით აქეთ გზას. კარგი რამა, წერაყინებიც გვაქვს. ალექსი და შალვა კი იქით. ბატონი გიორგი და ჩვენი გუდამაყრელი ნარს აკრეფენ ბილიკიდან და შიგ ნარიანში გადაყრიან. საერთოდ, ფრთხილად, ბიჭებო, ნარი თქვენც გიკბენთ, — ითავა მესვეურობა ფიდომ და დატრიალდა. წერაყინებით ჭრიდნენ ნარს და მართლაც მალე ორი ბილიკი გაკეთდა. ბიჭები წამდაუწუმ წარბებს იკრავდნენ, ზოგჯერ „უჰ-უჰ“-საც იძახდნენ, მაგრამ ხალისიანად კი მუშაობდნენ.

ტყეობაში მოქცეული ცხვრის ნოტო უკლებლივ მათკენ იცქირებოდა. საცოდავად ბღაოდა, თითქოს შველას ევედრებაო.

— ვინა თქვა, ცხვარს არა ესმის რაო? — თქვა ვახტანგმა.

— როგორ არ ესმის, მაგრამ ბენტერაა, სამაგიეროდ, მადლიანია. ეგ იყო სიღარიბე რომ გაადგო[1] სახლიდან! — კობა განზე გადგა, მეორე მხრიდან შემოუარა, ოც-ოც ნაბიჯზე თავის თართები მეცხვარული ძაღლები, დაიყენა, ვაითუ ცხვარმა აქეთ გამოსწიოსო.

ალექსი ჩაუხტა ერთ ჯგუფს და თავისი გრძელი მეცხვარული ჯოხით ხუთი ცხვარი გამოაგდო, ძია ფიდო კი მეორე ბილიკზე მუშაობდა. ერთი-ორი ცხვარი გავიდაო?! იხუვლა ცხვარმა და ხტუნვა-ხტუნვით გაჰქუსლა მდელოსკენ... ფარა ნელ-ნელა დამშვიდდა.

ახლა შეიძლებოდა უკვე სხვა საუბარიც გაებათ.

კობამ ბანჯგვლიანი ქუდით შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და ახლაღა გაიღიმა მადლიანად.

— რა ვიცი, გუდამაყრელები სულ თავის ქებაში ხართ, ე ცხვარი ნარიანში კი დაამწყვდიეთ და... — არ დააყოვნა გაკენწვლა ალექსიმ.

„გუდამაყრელ ზალიკასა ერთი კარგი ქალი ჰყავსა,

---

[1] სიღარიბეს ცხვარი მიადგა, ვამოდი მაგ დარბაზიდან, მე უნდა დავდგეო. რათაო, ორივეს გვეყოფაო. არაო, — უთხრა ცხვარმა. ერთ კუთხეში მატყლს დავდებ, მეორეში ყველს, მესამეში ბატკანს დავაყენებ და ბეოთხეში მე დავდგებიო. სიღარიბემ აიკრიფა გუდა-ნაბადი და გადაიხვეწა.



ფშავის არაგვის უთხოვრიანი სოფ. გუდრუხთან.

საჩოხეს და საპერანგეს სულ ერთ ღამეს დაართავსა“,—წაუმღერა ძია ფიდომ.

— აბა, ეგეები არ იყოს! ჩვენ ქალებს თავი ანებეთ!

— კარგს ვამბობ, კობა, ცუდს ხომ არა? თუ გინდა მამათხოვეთ ე მაგ ზალიკას გოგო!

— რაო, გუდამაყრელი და ხევში გათხოვდეს? „ტიალა დარიალაო, კლდენი ხარ ცარიალაო“, — ჩვენებური ქალი ცოდოა თქვენში!

იქნებ ერთმანეთის ქირდვა კიდევ გაგრძელებულიყო, გიორგის რომ არ მოეგონებინა წასვლა.

გამოეთხოვნენ კობასა და ალექსის და ჩაუყვნენ ბილიკს.

— ზალიკას ჩავუვლი და პირს ვუკითხავ, მოგვცემს თუ არა ქალს მოხევეებს.

— აბა, ჰა! შენ იცი! — თითქოს დასტური დააყოლეს კობამ და ალექსიმ.

მთის მდელოებით მიდიოდნენ. სამხრეთისკენ მიქცეულ ფერდოს

შარმუჟი და ბექონდარა მოსძალებოდა. ბევრგან ნიადაგი დაშლილიყო და მთის ქანი გაშიშვლებულიყო. წყალს გადაერეცხა ნიადაგი, ძზესა და სიცივეს დაეშალა ფიქალი და სქელ ფენად ედო დაუშლელ ქანს ზევიდან. მცირე წვიმის დროსაც კი დაფხვნილი ფიქალი წყალს არაგვში ჩაჰქონდა.

ბურსაჭირის მწვერვალი მაღლა ცაში აზიდულიყო, გეგონებოდათ, კალატოზის ნაშენიაო, მწვერვალზე თოვლი არ იდო, ვერც ფეხს მოიკიდებდა, ფრიად დაქანებული ჩანდა. ქანები სიბრტყე-სიბრტყე ელაგა და ალპინისტისთვის ასეთი ციცაბო ფერდო ალბათ ადვილი ასასვლელი იყო.

სოფელ ბურსაჭირში სულ რამდენიმე კომლია. არ შეჩერებულან. გუდამაყრელებიც ჩვეულნი იყვნენ ასე ბარგაკიდებული ხალხის ხილვას და ყურადღება არ მიუქცევიათ. ჩაირბინეს მაღალი ბექობი და მოჩუხჩუხე ბურსაჭირას ბროლა წყალს მიადგნენ. რაღას იზამდნენ, ფეხთ უნდა გაეხადათ. შუადღე გადასული იყო და წყალს ჯერ მაინც დილის სუსხი მოჰქონდა. შემოავლო თუ არა თავის ტალღები კანჭებზე, აუწვა და სიცილ-ხარხარით გადმოვიდნენ მარცხენა ნაპირს.

ერეკლემ და ვახტანგმა წაიხალისეს და ტოპვით გაჰყვნენ წყალს. გიორგი კი თითქმის წყლის პირამდე ჩამოსულ კლდეს მიადგა და გულდასმით დაუწყო სინჯვა ერთ ლურჯყვავილა ბალახის ბუჩქს. მერე ერთი ტოტი მოწყვიტა კიდეც და ლუპით გასინჯა, თავი გადააქხია და შალვას დაუძახა, აქ მოდიო. რაღაც წაილაპარაკეს და ერეკლე და ვახტანგიც მოიხმეს.

— აი, ეს კლდის მაჩიტაა, ჰიპოპოლიას უხმობენ. ეს ჩვენი მთებისთვის რელიქტიცაა და ენდემიც. წარსული გეოლოგიური ეპოქებიდან შემორჩენილი ერთ-ერთი უძველესი მცენარეა. აი, ასეთი წვრილფოთლება მაჩიტა სულ ერთი-ორია. პირველად ეს მცენარე ბუნებისმეტყველებმა შეკრიბეს, სწორედ ასი წლის წინათ, ნიმუშები ბოტანიკის ინსტიტუტის ჰერბარიუმში ინახება. ახლა ესენიც იმათ მივუმატოთ.

გიორგიმ ფრთხილად მოგლიჯა ნახევარი ბუჩქი და შალვას გაუწოდა, კარგად შეინახე, შეიძლება მეორე ვერც ვნახოთო.

— მაშ, რატომ მთლიანად არ იღებ?

— სწორედ იმიტომ, რომ აქ შეიძლება იშვიათი იყოს. რომ მოვ-

გლიჯო და აღარ დარჩეს? ასეთი ამბები ხდება ხოლმე. წარმოიდგინეთ, ზოგი ბოტანიკოსიც უდიერად ეკიდება ასეთ მცენარეს, ბევრს აგროვებს. ასე არ შეიძლება. ბუნება არ უნდა გავაღარიბოთ.

— მივხელ-მოვხელოთ.

— მეც აგრე ვფიქრობ. ეს ტყეც სანახავია.

ჭალას მიმდგარი ფიქლოვანი ფერდო საკმაოდ დაქანებული და ძნელად სავალი იყო, მაგრამ მთამაღალის ტყე შველოდა, ხეებს ეჭიდებოდნენ და ზევით ისე მიიწევდნენ.

თვითონ ტყემაც მიიქცია ყურადღება, — დღემდე ნახული მთის ტყისაგან განსხვავდებოდა. არყი კი არ იყო გაბატონებული, არამედ ნარევი იყო, სხვებიც არ ბატონობდნენ, მურყანი, მდვნალი, ცირცელი, ნეკერჩხალი, ქვეტყეში — იელი და მისთანანი.

— რა ლამაზი იქნება ზაფხულის ბოლოს! — გადმოიძახა ერეკლემ.

— ვითომდა რათაო?

— იმიტომ, რომ ბევრია ცირცელი და ყველა დახუნძლულია, ამ მწვანეზე წითელი დროშებივით აენთებიან!

ბევრი იფოფხეს, მაგრამ მეორე მაჩიტა ვეღარ ნახეს.

— აბა, ღია ადგილებზე გავიდეთ!

აქ კი ვახტანგმა ერთ ძირს მიაკვლია და მანაც მამასავით მხოლოდ ხახევარი ბუჩქი აიღო.

ტყეში სიარულის დროს ბიჭებმა შეამჩნიეს, რომ ხეებს ტანზე აჰკვროდა მრავალნაირი ქარაგოზი (მღიერი).

გიორგიმ ერთხელ კიდევ უამბო მათ ქარაგოზის ამბავი: არაგვის ხვობაზე უკანასკნელი ხნის გამოკვლევებმა დაადასტურეს, რომ დღემდე აღრიცხულია ქარაგოზის 212 სახეობა, 52 სახესხვაობა და ფორმა. აქედან ამ ხეობაში საქართველოსათვის ახალი აღმოჩნდა 27 სახეობა და 18 ფორმა.

ქარაგოზი გავრცელებულია მთაშიც და ბარშიც, ქვეტყეშიც და მდელოებზეც, ღორღიანებზე და შიშველ კლდეებზეც, მაგრამ ერთი კი უნდა ითქვას, რომ იგი პიონერია მცენარეთა დასახლებისა, პირველად თვითონ სახლდება კლდეებზე და სხვა მცენარეთა ფეხმოსაკიდებელ პირობებს ჰქმნის.

მათი საცხოვრისი მრავალნაირია; სახლდება ხის ტანზეც. არაგ-

ვის ხეობაში მუხაზე ცხოვრობს 41 სახეობა, წიფელზე — 34, არყზე— 34, ჯაგრცხილაზე — 31, კუნელზე — 27, მსხალზე — 24, მურყანზე — 24, იფანზე — 23, რცხილაზე — 19, ნეკერჩხალზე — 15, ტირიფზე — 14, თხილზე — 14. ნიადაგზე აღნიშნულია 39 სახეობა, ქვაყრილებზე და საფლავის ძველ ქვებზე — 81.

— კაცო! რას აპირებთ, აღარ მოდიხართ?—ასძახა ძია ფიდომ.— მზე გადაიხარა, გადაიხარა კი არა, მალე მყინვარის გველეშაპი ჩაყლაპავს!

— ჩამოვალთ, მალე ჩამოვალთ!

და მართლაც საკმაოდ დაღლილები ჩამოქუჩდნენ.

— აბა, წავიდეთ, — აჩქარებდა ფიდო.

— დაიცა კაცო, სული მოვითქვათ!

— დაიცამ წყალი დალია, წავიდემ ღვინოო, არ გაგიგია?

— არა, არ გამიგია... — უპასუხა ვახტანგმა, თან ოფლს იწმენდდა სახიდან.

მართლაც, მზე უკვე ქედს იყო გადაფარებული. აიკრეს გუდა-ნაბადი და ბურსაჭირას მარცხენა ნაპირს გამოჰყვნენ.

ერთი საათის ჩქარი სიარულით სოფელ ჩოხში ჩამოვიდნენ. აქ, გზისპირას მოიხსნეს გუდა-ნაბადი და წიფლის დიდ მორზე ჩამოსხდნენ. მიიხედ-მოიხედეს და ხის სახერხი ქარხანაც ნახეს. გაიკვირვეს.

— ხე კასპიდან, ბორჯომიდან ამოგვაქვს და იმას ვხერხავთ.

— ალბათ აქაურსაც ცოტას მაინც აყოლებთ?

— ეგეც ხდება!

ამ დროს ეზოდან ერთი გუდამაყრელი გამოვიდა და მიესალმა: გიორგიმ იმას გაუბა ლაპარაკი.

ჩოხის სოფლის პირიდან კარგად ჩანდა შავი არაგვის ხეობა, იქვე, მდინარის მარჯვენა ნაპირის ქედზე სოფელი დუმაცხო იყო შეფენილი, პირდაპირ სადუციასა და ქვენა მთიდან წამოსული ნაპირის ფერდზე — სოფელი ანთოხი, ხეობის სიღრმეში კი სოფელი ბოსელია.

და ასე, გაღმა-გამოღმა, შავი არაგვის ფერდოთა ძირების ქვემო კალთებზე სილამაზეში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სხვა სოფლებიც: თვითონ ჩოხი (აქედან გვარი ჩოხელი), ზანდუკი (გვარი ზანდუკელი), დიდებაანი, ლოთიაურნი, ლუთხუბი, თორელაანი, გამსი, ჩიმ-

შო, მაქართა, დიხჩო, ნისლაურთა, სოფლსაბჟო კი კიტოხშია. ზანდუკსა და ჭიმშოსთან მარცხენა ნაპირიდან გუდამაყრის არაგვს უერთდება ბაკურხევის წყალი, რომელიც სათავეს საყორიასა და საეორის ქედებიდან იღებს. მის ხეობაზეცაა რამდენიმე სოფელი — მდიხარის სათავეებში საკერპე და გორულა, მათ ჩამოდაღმა: ჩაჩოხი. ბაკურთკარი, საჩალისი (გვარი საჩალელი). ამ ხეობას ფშავის არაგვისაგან გამოაცალკევებს გუდამაყრის ქედი, რომელიც ჭაუხებს გამოეყოფა, მიემართება სამხრეთისაკენ და მთავრდება ანანურის ბიდამოებში. მის წყალგაღმა მწვერვალები სათიბებსა და საძოვრებს უჭირავს. ბევრი სოფელი მიტოვებულია, ან უფრო მეორე სოფლის უბნად გადაქცეულა.

ჩოხელმა მოსაუბრემ უთხრა, მანქანა აქამდე ვერ ამოვაო. წყლებმა გზები დახრამა, ზოგი ქვა და ღორღით დაიფარა და ერთგან პატარა მეწყერიც ჩამოწვაო. ჯერ ვერ გაგვიკეთებია, ან ვინ გააკეთებს, ვაუკაცები ცხვარში არიან, შინ კი დიაცები და მოხუცებიღა ვართო? მაგრამ, ფიქრი არაა, მაგასაც მალე მოვერევით.

მართლაცდა, გუდამაყრელები კარგი მეცხვარენი არიან. მთელი მათი საცხოვრებელი საქონელია. სოფლების ირგვლივ მინდვრები თითქმის მთლიანად თავმინებებულია. იქაურ გლეხს კარმიდამოს ნაკვეთზე თუ უთესია ცოტაოდენი კარტოფილი, სიმინდ-ლობიო, თამბაქო (წეკო) და ბოსტნეული. ძველი მინდორი კი ისედაც გამოფიტულია, სულერთია, მაინც აღარ იძლევა მოსავალს.

გუდამაყრის ხეობაში ორი კოლმეურნეობაა: გუდამაყრის (სოფ. ჩოხია მისი ცენტრი) და მაქართისა. ორივე კოლმეურნეობას რამდენიმე ათეული ათასი ცხვარი ჰყავს.

— ახლა წასვლა გვიანაა, თქვენი მანქანა მაქართაში იქნება, იქ ვერ უწევთ, ჩემთან მობძანდით და ღამე გაათიეთ, — მიიპატიჟა ახალმა ნაცნობმა.

გიორგის უკვე შეეთვალიერებინა სკოლა და თვალი იქით ეჭირა.

— არ შეგაწუხებთ, სკოლაში გავათენებთ. ლოგინი თანა გვაქვს!..

— რა შეწუხებაა, შენი ჭირიმე, უნდა წამობრძანდეთ.

გიორგიმ მაინც თავისი გაიტანა: სკოლის აივანზე დაბინავდნენ, ასე აჯობებსო.

მათი მოსაუბრე ბრიგადირი გამოდგა, მთიდან ჩამოსულიყო და თავმჯდომარის ნახვა უნდოდა, მაგრამ ის გაღმა მთაში გასულიყო.



მარცხნივ ვაჟა-ფშაველას ძმისწული (ბაჩანას შვილი) პავლე, მარჯვნივ ვაჟას შვილიშვილი.

თავმჯდომარე ზოოტექნიკოსი ყოფილა, მისი ერთი შვილი რუსთაველის თეატრის მსახიობია, სხვანიც კარგ საქმეებზე ჩალიჩობენო.

დილა ჯერ კიდევ არ იყო გათენებული, რომ აივანზე ორი ბალღი ამოვიდა და მაგიდაზე დააწყო ორი ხონჩით ცხელ-ცხელი გუდამაყრული ხაჭაპურები, მოხარშული კვერცხები, ერთი ქოთანი რძე და ახალი ხახვი. დიდი მადლობა შეუთვალეს. ქალაქში რომ ჩამოხვალ, მნახეო, — დააბარა ბალღებს გიორგიმ და ქაღალდზე დაწერილი მისამართიც გაატანა.

ჩამოჰყვნენ ბილიკს და შავი არაგვის რიყეზე ჩამოვიდნენ. როგორც ჩანს, შირიმის მთის მიდამოში, თუ ბურსაჭირისკენ წვიმა მოსულიყო: ბიჭები შავმა ტალღებმა გააოცა. თუმცა, წყალი რომ მუჭაში ჩაიგუბეს, წმინდასავით იყო, შიგ ქვიშის ნაწილაკები ცურავდა.

— არც კი მეგონა, თუ შავი წყალი იქნებოდა.

— ყვირილა ხომაა შავი!

— ყვირილა აბა ჯალაბეთის ზევით ნახე, ერწომდე ლურჯია, ლილასავით, ჭიათურაში მარგანეცის ნარეცხით შავდება.

— აქ კი, ხომ ხედავ, ფიქლის ფხვნილით არის შეღებილი.

გუდამაყრის ხეობა მჭიდროდაა დასახლებული, ცხვარი წინათაც დიდი რაოდენობით ჰყავდათ. ზამთარში 7-8 თვით სახლ-კარს და ცოლ-შვილს მოწყვეტილი მწყემსი ზაფხულში, როცა მთის საძოვარზე ამოდიოდა, ცდილობდა ფარა თავისი სოფლის ახლო ჰყოლოდა. ამიტომ ამ ხეობის ახლო-მახლო საძოვრებზე, ცერის, სადუციის ქვენამთის ქედებზე, ჭიუხებზე, გუდამაყრის ქედზე დიდი რაოდენობით იყრიდა თავს ცხვარი. აქ ძოვდა 3 და 5-ჯერ მეტი, ვიდრე ნამდვილად უნდა ყოფილიყო. მდელოებზე რომ მოისპობოდა ბალახი, ცხვარი ტყეში ჩამოდიოდა და ნეკერს ანადგურებდა, ნორჩნარს საშუალებას არ აძლევდა წამოზრდილიყო. ახლა ამას დაემატა შუაცეცხლი და თუნუქის ღუმელი, რომელიც უამრავ შეშას ნთქავს. გახსოვთ სოფელი გორგა ქსნის ხეობაზე? აქაც ისევეა. ამის გამო ეროზიულმა მოვლენებმა აქაც იჩინეს თავი და, როგორც ეტყობა, ყოველწლიურად უფრო და უფრო ფართოვდება. პატარა ნაკადულებსაც კი დიდი რაოდენობით მოაქვთ კლდის ნაფხვენი. კლდეს კი ფშვნის სიცხე და სიცივე, თოვლი და ქარი. პეშვით რომ წყალი ამოიღო, ფიქლის ნაწილები სწრაფად დაილექება და წყალი დაწმინდავდება.

დიდხანს ისაუბრეს. ლაპარაკში ფიდოც ჩაერია. „თუ მეფეს სძინავს, ხალხი მშვიდად ვერ დაიძინებსო“.

— ეგ როგორ?

— როგორ და ხეირიანი ყურისმგდებელი ვერ გამოჩნდა. მგელს ცხვარი ჩააბარო. შეიძლება? ჰოდა, ზოგი ტყისმცველი სწორედ ეგრეა.

— კაცო, აგერ ფიჭვიც გაუშენებიათ. რას ერჩი?

— ერთი გუთნიგაშლა ფიჭვი რას უშველის! ვერა ხედავთ, როგორ ჩამოატიტვლეს მთები? მე რომ თქვენ ლაპარაკს ყურს ვუგდებდი, თუ ამ ხეობას მაგრად არ მივეშველეთ, ე გუდამაყრელები აქედან უნდა აიყარონ და აი მაშინ გამოჩნდება, რომ აღარც გუდა აქვთ და აღარც მაყრად ვარგანან!

კარგა გზა გამოეცალოთ და წყლის პირას ხის ჩრდილში შეისვეხეს. საუბარი დიდხანს გაგრძელდა. ფიდო არ ეთანხმებოდა. ამ მეტყეველებს ერთს არ დავაყენებდი, ახლებს ავირჩევდი. ჯვარსა და

ხატზე დავაფიცებდი, რომ პირნათლად იყვნენო. გიორგის გაეღიმა, ბალღებმა კი ხმამაღლა გაიცინეს.

— რას იცინით, რომ იცინით? — ცოტა არ იყოს შეუტია ბიჭებს.

— რასა და იმასა, რომ მაგათ ჯვარი და ხატი არა სწამთ.

— არა სწამთ და ეგე, — გაიშვირა ხელი ნისლაურას თავზე ჩამოტიტვლებულ და ჩამორეცხილ ფერდაზე. —ასლანდელი ჯვარ-ხატი ხომ არის, რაც სწამთ, იმაზე დავაფიცებდი. მაგრამ ლაპარაკი ლაპარაკსაო, ცხენი გაჰყვა ამხანაგსაო, დროა წასვლისა, — თქვა და წამოდგა.

გასწიეს ჩქარი ნაბიჯით და ჭიმშოს გამოსცდნენ თუ არა, მანქანა გამოჩნდა.

— ასეთი ჯოჯოხეთის გზა კი არ მინახავს! — მისალმების მაგივრად ვიღაცას საყვედურობდა გოგია...

— რაც არის, არის, ერთმანეთი ხომ ვიპოვეთ, — თქვეს და მხიარულად გაჰკრეს ფასანაურისაკენ.

სანამ ჰოშფითალამდე მიეიდოდნენ, მშვენიერ წყაროზე გაიგრილეს სახე.

გუდამაყრისა და მთიულეთის არაგვის ორ წყლამდე თვით ჰოშფითალიც გაიარეს.

ამ ადგილას ძველად რუსთა ჯარის ჰოსპიტალიც იყო და ის შერჩა სახელად, ისე, როგორც ალგეთზე წიფლნარი, გახსოვთ!

იმ დღეს მაინც ავიდნენ მლეთაში და ღამე იქ გაათიეს.

ერის საგოდებელი

დრო იყო, პირი ქვევით ექნათ. მთა კარგია, მაგრამ ბარიც მოენატრათ.

ანანურში არქიტექტურულ ანსამბლს ხელმეორედ რომ ათვალიერებდნენ, ერეკლემ გაიხედა სამხრეთისაკენ და იკითხა:

— ქაისხევი იქითაა?

— რად გინდა?

— ქაისხევი შიო არაგვისპირელის სოფელია, ვნახოთ!



ბულაჩაურში მოგლეჯილი კაკალი

ჯერ ძველ გზას აჰყვნენ[1], მალე იგი გაფუჭდა, მეწყერებს მთლიანად დაენგრია.

გავიდნენ პატარა, ლოდებით სავსე ხევში, გრეიდერი გაეტარებინათ და ხევში რაღაც გზის მაგვარი ჩანდა. მაგრამ მაინც ჭირდა სიარული. გიორგიმ იცოდა, რომ ზევით გზა არ იყო, ერთი რომ წამოეწვიმა, ისე მოემწყვდეოდნენ ამ ხეობაში, როგორც ჩიტი გალიაში. მალიმალ შეხედავდნენ ხოლმე ცას, მოღრუბლული იყო და წვიმის მოსვლა აფიქრებდა. გოგია კი ბურტყუნით გამოხატავდა თავის უკმაყოფილებას: „სად გაგონილა ასეთ გზებზე მანქანით სიარული?“.

ბოლოს მიაღწიეს პატარა სოფელს, კარში არავინ ჩანდა. აიარეს

---

1 1941 წლამდე გზა ბაზალეთსა და დუშეთს შორის გადიოდა, სოფელ ბოდორნიდან აუხვევდა ზევით, ღუშეთიდან გზა ყვავილის მთის დასავლეთ ფერდოს მისდევდა და ანანურში ჩადიოდა. 1941 წლიდან ეს ნაკვეთი გზის ხშირი დამეწყრების გამო დაგდეს, გზა გაგრძელეს არანისისკენ და ანანურთან შეუერთეს ძველ გზას.

სოფლის პირი და მიადგნენ ტყის დაკიდულ გზას, რომელიც რცხილნარში იკარგებოდა.

ბოლოს ნახეს ქალაქურად ჩაცმული ბალღები. ზევით ვერ წახვალთ, გზა არ არისო, და გოგიასაც ეს უნდოდა, სწრაფად გამობრუნდა.

— საქმე ის კი არ არის, სად დაიბადები, საქმე ისაა, როგორი დაიბადები!

ამითი დაამთავრა თავისი ფიქრი ერეკლემ, როდესაც შარაზე გაშოვიდნენ და ჟინვანისაკენ გასწიეს.

ჟინვანში ხიდს გაღმა გავიდნენ და ორი არაგვის შესართავთან, ფშავის არაგვის მარცხენა ნაპირს, იფნის ჩრდილში, დაისვენეს.

დაღლილები იყვნენ და ყველა თავის ფიქრმა გაიტაცა.

— რა დაუშრეტელი სიცოცხლეა! მოდის და მოდის, არსად ფერხდება, სად არის ამოდენა დაუსრულებელი წყალი. — დაარღვია მყუდროება ერეკლემ.

— რაზე ამბობ?

— რაზე? არაგვზე, თერგზე, ქსანზე, ყველა მდინარეზე. ასე დაუსრულებელი დინება?! ეს ხომ სიცოცხლეა!

— მართალი ხარ, ერეკლე, მართალი.

— მტკვარი ხომ უფრო წყალმრავალია, ლიახვსაც შეიცავს, ქსანსაც, არაგვსაც და სხვას ბევრსაც, მაგრამ ჩემში ასეთ ფიქრებს არ იწვევს; აი, არაგვს ან თერგს რომ ვუმზერ, მათი ტალღების თამაშს, განუწყვეტელ წინსვლას, სწრაფვას, მაშინ სულ სხვაა. მოდის და ძოღელავს, მოჩქეფს, ერთი წუთითაც არ ჩერდება. უმზერ საათი, ორი, სამი და არ აკლდება. ამაზე შინაარსიანი, ამაზე მოძრავი და ლამაზი არაფერი მეგულება. ამოცანად მეჩვენება ეს დაუსრულებელი ტრიალი ნივთიერებათა. პოეტი რომ ვიყო, ლექსს კი არა, დიდ პოემას ვუძღვნიდი ბუნების პირმშოს ამ ბობოქარ ლტოლვას, დაუოკებელ სწრაფვას... მდინარე ასეთი სწორედ მთაშია: კლდეებში, ლოდებზე, მობიბინე მდელოთა შორის.

— მოდით აქ, მოდით, — კიოდა ვახტანგი, რომელიც ცოტა მოშორებით მიწას ჩასცქეროდა.

ვიორგის გაეღიმა.

ყველა ვახტანგთან მივიდა. მიწაში მოზრდილი ხვრელი ჩანდა. ჩაიჩოქეს და ჩახედეს. თვალი რომ შეაჩვიეს, ბინდბუნდში დაინა-

ხეს, რომ ფრიად განიერი აკლდამა უნდა ყოფილიყო, თეთრი ძვლებით სავსე, რამდენიმე თავის ქალაც იმზირებოდა ჩაბნელებული თვალებით.

— ჩავალ, ვნახოთ! — აღარავის აცალა ერეკლემ და ხვრელში ჩაყო ფეხები, პასუხს არ დაუცადა და ჩაძვრა. ჯიბის ნათურით ანათებდა და ისე შემოვლო ორად მოხრილმა ყოველი კუთხე, აკლდამა დიდი ფიქლებით იყო გადახურული.

— აგერ კიდევ, — მიუთითა ახალ აკლდამაზე შალვამ.

— ასეთები აქ, ჩვენს საგოდებელზე, ბევრია, — თქვა ამის გამგონე ჟინვალელმა ბალღმა, რომელიც მგზავრების სანახავად მოსულიყო.

— სადა, სად?

— საგოდებელზე. ამ ადგილს საგოდებელი ჰქვია!

ჩვენმა მგზავრებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ბებია ამბობს ხოლმე, რომ აღდგომის მეორე დღეს აქ გამოდიოდნენ და ტირილით მოსთქვამდნენ.

— ვისა სტიროდნენო?

— რა ვი, ტიროდნენ კიაო და!

ომში დაღუპულებს, შინმოუსვლელებს...

— იქნებ სამას არაგველთა ძვლებიც აქ არის მოტანილი. გამოსთქვა ვარაუდი ვახტანგმა და ლადო ასათიანის ლექსის ტაეპიც მიაყოლა:

— „ჰეი, თქვენ, არაგველებო, გაუმაძღარნო ომითა,
თქვენ საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა“. —

მას ძალიან უყვარდა ამ გულითადი პოეტის სიბრძნითა და ვაჟკაცური სულით სავსე ლექსები.

— შენი ამბავი რომ ვიცი, ფეხსაც მოიდრეკ!

— განა ყველაფერზე შეიძლება ხუმრობა! — შეუტია შალვამ ერეკლეს.

ერეკლე მიხვდა, რომ კარგად არ მოუვიდა და არაგვს გახედა, გაიტვრინა.

— უცნობი ჯარისკაცის საფლავს ის მნიშვნელობა აქვს, რომ შინმოუსვლელის ახლობელს ამ საფლავთან შეუძლიან მოიოხოს გული, მოიგონოს სამშობლოსათვის თავდადებული.

გიორგი შეწუხდა: მართებულად, მაგრამ როგორც დაატყო მკაცრად ისჯებოდა ერეკლე და წამოეშველა.

— მოდით აქ, ჩრდილში. აი, ერთი წერილი წავიკითხოთ, „დროშაშია“ გამოქვეყნებული, სწორედ ამ ადგილს შეეხება. ყველანი იფნის ჩრდილში ჩამოსხდნენ.

— აი ეს წერილიც;

„ჩვენს სამშობლოს თეთრი ნახშირის ქვეყანას უწოდებენ. ჩვენ მდიდრები ვართ მთის მარად მჩქეფარე მდინარეებითა და ნაკადულებით, რომელთა დაუშრეტელი ენერგია შეიძლება ელექტროენერგიად გარდავქმნათ. ამ მხრივ ბევრი ქვეყანა ვერ დაგვედრება. აკი სოციალიზმის გარიჟრაჟზევე წყლის ეს დღემდე დაუოკებელი ენერგია ხალხის სამსახურში ჩავაყენეთ. ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებშივე საფუძველი ჩაეყარა სოციალისტური ქვეყნის ერთ-ერთი პირველი და იმ დროისათვის დიდი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას მტკვარზე, სოფელ ზემო ავჭალასთან. ზაჰესი საქართველოს ელექტროფიკაციის პირმშო იყო, რომელსაც შემდგომ წლებში მხარში ამოუდგნენ რიონჰესი, ჩითახევჰესი, შაორჰესი, ლაჯანურჰესი და მრავალი სხვა. ამჟამად კი ენგურზე შენდება ერთ-ერთი უნიკალური ჰიდროელექტროსადგური უმაღლესი კაშხალით — ენგურჰესი. რასაკვირველია, ამაზე არ შევჩერდებით და მომავალში კიდევ ავაშენებთ ელექტროენერგიის მრავალ სხვა წყაროს. გაიმართება მრავალი წყალსაცავი და რაკი ეს არც ისე შორეული მომავლის ამბავია, მინდა, რომ ყოველი ახალი წყალსაცავი აშენდეს უზადოდ, უნაკლოდ.

ასეთი სურვილი იმიტომ დამებადა, რომ აშენებულთა შორის რაღაც ნაკლი შევნიშნე, რაღაცამ დამაფიქრა, რამ დამაფიქრა? რამ და ჩვენი წყალსაცავების შემდგომმა განვითარებამ. ავიღოთ თუნდაც ზაჰესის წყალსაცავი მცხეთასთან, არაგვის და მტკვრის შესართავთან. პირველად დამპროექტებელნი ფიქრობდნენ, რომ კაშხალთან „ზღვა“ შეიქმნებოდა, პატარა გემებიც კი ჩამოიტანეს, მშრომელები ისეირნებენო; წყლის სპორტული სადგურიც გაკეთდა, მაგრამ წყალსაცავის დიდი ნაწილი მოისილა, დაჭაობდა და ჭაობი ზოგან ტყედ გადაიქცა. თვით კაშხალთან გაჩნდა ტირიფნარი. კარსნის პატარა ხევს კი იმდენი ქვა და ღორღი, ხრეში და სილა ჩამოაქვს ამ ტყეში, რომ ისინი პატარა გორაკებად არის აკოკოლავებული. საჭი-

რო ხდება ქვა-ღორღის გამოტანა. ჩემთვის ცხადია, პირველმა დამ-პროექტებლებმა ერთი ვერ გაითვალისწინეს, ან ნაკლებად გაუწიეს ანგარიში „გიჟი", „არაგვიანი" არაგვის ბუნებას, იმას, რომ მთიუ-რობას იგი მცხეთამდე არ ჰკარგავს, რომ მოდის და თან მოაქვს ქვა, ქვიშა, შლამი, რომ არაგვის ხეობაში მკაფიოდ არის გამოსახული ეროზიული მოვლენები, რომელიც ჯერჯერობით წლითიწლობით ძლიერდება. არც მტკვარს აუღია ხელი საქართველოს ფარგლებში მთის მდინარეობაზე; იზრდება ზაჰესის ჭაობი, იმიტომ გახდა მცხე-თის ნაპირიც ლაქაშიანი და ლერწმიანი.

მოისილა და გაჩნდა ჭაობი, ან ყოველ შემთხვევაში ჭაობის მცე-ნარეულობით იფარება სამგორის არხის სათავის ტბორი. სოფელ პალდოსთან, მასშივე ჩნდება კუნძულები. მოისილა ლაჯანურჰესის, ცხენისწყლის და სხვა კაშხალები. ჩემს მიზანს ჩრდილოვანი მხარე-ების ჩამოთვლა როდი შეადგენს. ჩემი შემდგომი მოსაზრების სა-ილუსტრაციოდ და დასამოწმებლად ესეც კმარა.

ამჟამად არის სოფელ ჟინვალთან არაგვის დაგუბების პროექტი. წყალსატევი დიდი მოცულობის იქნება. დაგუბებული წყალი დაფა-რავს სოფელ ანანურს, მისწვდება ისტორიული ძეგლის ანანურის ტა-ძრის და ციხის ძირს. არაგვს, რომელიც წარმოიქმნება ოთხი ძირითა-დი ნაკადისაგან (თეთრი არაგვი, შავი არაგვი, ხევსურეთის არაგვი და ფშავის არაგვი), გზა გადაეღობება იმ ვიწროებში, საიდანაც კალაპო-ტი შედარებით უფრო ვაკე ადგილზე იშლება. არაგვის მთელი ჩამო-ნატანი (რიყის ქვა და სხვა) უნდა დაგროვდეს ჟინვალ-ანანურის წყალსაცავში.

ზემო დასახელებული მდინარეები ტიპიური მთის მდინარეები არიან, შმაგნი და მოუსვენარნი. მათი წყალმკრეფი აუზი ბევრგან ნირშეცვლილია. წარსულში ახოების კეთებით და ტყის უყაირათო გამოყენებით ბევრი ციცაბო ფერდობი მოტიტვლდა და ეროზიის ძლიერ კერად გადაიქცა. ასეთი კერები ამ მდინარეთა ხეობებში მრა-ვალია. ამიტომ არის, რომ არაგვს დიდი რაოდენობით ჩამოაქვს რიყის ქვა და ხრეში, ლამი და ქვიშა. ფშავის არაგვი წყალდიდობისას ჭალა-ში ხეებს გლეჯს და ქვემოთკენ მიატივტივებს. როგორც იცით, ჩვენს მთებში ერთი ჰექტარი უტყეო მიწის ფართობიდან წვიმის წყალს 15-60 ტონა მიწა და ლამი ჩამოაქვს, ეროზიის კერებზე ხომ ეს ციფ-რი გაორმაგებული და გასამმაგებულია. ბევრი ხევისათვის დამახასი-

მოგლეჯილი კაკლის ძირი ხევში

ათებელია ღვარცოფები. ასეთი ხევები სწორედ ანანურის ზევითაა დიდი რაოდენობით, განსაკუთრებით მლეთამდე. ეს ღვარცოფები წვიმის შემდეგ თბილის-ორჯონიკიძის მთავარ გზას სხვადასხვა დროით კეტავენ. მთელი ეს მასა, ამ მდინარეთა ჩამონატანი, თავს მოიყრის ჟინვანის კაშხალთან და, რა გასაკვირველი იქნება, თუ 5-10 წლის შემდეგ წყალსაცავი ამოივსება და დაკარგავს თავის ფუნქციას.

ამიტომ, საჭიროა თუ არა ასეთი წყალსაცავის აგება? თუ მაინც და მაინც უნდა აიგოს, მაშინ, გარდა წმინდა საინჟინრო პროექტისა, უნდა გაკეთდეს აგრომელიორაციული პროექტი, რომელიც გაითვალისწინებს ეროზიასთან ბრძოლას არაგვის აუზის მთელ სადევარზე (ტყეების გაშენება, ნატყევარის აღდგენა, ოროკოების ანუ ტერასების გაკეთება, მდინარის დინების შენელება, ტყეების ნაკრძალად გამოცხადება); ეს სამუშაონი უნდა შესრულდეს და დამთავრდეს ძირითად საამშენებლო პროექტის შესრულებისთანავე, ამის გარეშე შეუძლებელი იქნება კაშხალის დახურვა.

ამჟამად ევროპაში დიდ წყალსაცავებზე ხელი აიღეს. მაგალითად, საფრანგეთში მღინარე რონაზე ათამდე ჰესი აიგო და არსად დიდი საგუბარი არ გაკეთებულა, ამჯობინებენ ისეთი ჰესების გაკეთებას, რომლებისთვისაც დიდი კაშხალები არ ესაჭიროებათ. იქნებ უკეთესი იყოს, ჟინვანთანაც წყლის წამოყვანა იმავე წესით განხორციელდეს, რა წესითაც ბულაჩაურ-ნატახტარიდან მოგვყავს?

მაგრამ ეს ამ წერილის საგანი არ არის.

მე ამჟამად ვაყენებ საკითხს ტყეების უაღრესად ფაქიზად მოვლის შესახებ არა მარტო არაგვის ხეობაში, არამედ ყველა იმ ხეობაში, სადაც დიდი კაშხალი აშენდა. პირველ რიგში ესენია ენგურის, რიონის, არაგვის ხეობები. ცნობილია, რომ რიონი და ენგური იმ მდინარეთაგანნი არიან, რომლებსაც დიდი რაოდენობით გამოაქვთ ხრეში და ღორღი. ეს ღორღი გროვდება შავი ზღვის სანაპიროზე. მაგრამ სხვა უბედურებაც რომ არ დატრიალდეს, ამიტომ მთელს ხეობებში ინტენსიურად უნდა წარვმართოთ გატყევების სამუშაოები. უკვე ყველასათვის ცნობილია, რომ ტყე წვიმის წყალს აკავებს, ქვევით, ხევისაკენ არ უშვებს, იწოვს მას და წყაროებად გადმოდის. ტყეში დადებული თოვლი 15-20 დღით გვიან დნება, ვიდრე ღია ადგილზე. ნელა დნება, ლანქერად არასოდეს არ იქცევა და ნადნობი წყალიც ნიადაგში ჩადის. ამგვარად, ტყე იცავს ეროზიისაგან არა მარტო იმ ადგილს, სადაც თვითონ ხარობს, არამედ თავისაგან დაშორებულ ადგილებსაც. სამწუხაროდ, არაგვის ხეობაში ტყე ბევრგან მოსპობილია, ბევრგან მოითხოვს დიდ ყურადღებას, ბევრგან გაჩენილია ეროზიის დიდი კერები.

ამ ტყეთა აღდგენის ხარჯები გათვალისწინებული უნდა იყოს კაშხალებისა და ჰესების მშენებლობის ხარჯებში და გატყევების სამუშაონი, როგორც აღვნიშნე, სხვა მშენებლობათა პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს ამ საქმეში ჩახედული ორგანოების ზედამხედველობით.

ამ ხეობებში ახლაც მიმდინარეობს სატყეო მელიორაციული სამუშაოები, მაგრამ ეს სამუშაოები იმ ტემპით როდი ხორციელდება, როგორსაც მოითხოვს თუნდაც ჩვენი ჰესების მშენებლობა. ჰესები კი 2-3 წელში უნდა ჩადგნენ მწყობრში და ამ ხნისათვის ეს სამუშაოებიც დამთავრებული უნდა იყოს“.

— რაც გიწერია, ჩვენ ხომ გზადაგზა ვნახეთ! — თქვა ვახტანგმა.

— ცოტა რბილადაა დაწერილი! — შენიშნა შალვამ.

— რბილად კი არა, მოკრძალებითაც, — დაუმატა ერეკლემ.

— ასე არ გამოდგება. ამ საგოდებელს წყალი დაფარავს, მოშლა-შავს, მაგრამ უფრო დიდი საგოდებელი გაუჩნდება ხალხს და ცრემ-ლიც ვერ უშველის, ისე როგორც ჟინვანელ დედაკაცების ცრემლმა ვერ უშველა ვერც სამას არაგველს და ვერც მათ საქმეს.

ეს ისევ შალვა იყო.

— რასაკვირველია, ამ ორ-სამ კვირაში ვნახეთ, რომ საშიშროება უფრო დიდია.

მოინახულეს ჩარგალი. ჩვენი პოეზიის დიდი ქურუმის ვაჟას სო-ფელი, მისი სახლი. ნახეს და გაოცდნენ, გაოცდნენ ვაჟას გმირობით, სპარტანული სულით, ნებისყოფით.

ამ პაწაწინა ოთახში ცხოვრობდა ბუმბერაზი ვაჟა წვრილი ცოლ-შვილით. ოთახში იმოდენა ადგილი არ იყო, რომ ისეთი ტახტი დაედ-გა, რომელზედაც ფეხს გაშლიდა; პატარა, მოკლე სკამ-ლოგინზე ეძი-ხა დევივით ვაჟკაცს, ეძინა ისე, რომ ფეხს ვერ შლიდა!

მუხლზე ედო ქაღალდი და ცეცხლის შუქზე წერდა „ალუდა ქე-თელაურს“, „სტუმარ-მასპინძელს“, „გველის მჭამელს“...

დაღონებულები წამოვიდნენ ქვევით, არაგვისკენ. ფშავლის ბიჭე-ბი კალმახობდნენ ჩარგლულაში. ჩვენი მგზავრები ისე შეაფიქრიანა ნახულმა, რომ კალმახობისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ. ვაჟას ტრაგედიას და დიდსულოვნებას დაეპყრო ისინი. გიორგიც ხმას არ სცემდა, თვითონ განიცადონ ყოველივეო.

ღამდებოდა. გადაწყვიტეს „ვაჟას წყაროსთან“, არაგვის ჭალაში, გაეთიათ. კარგი ღამე დგებოდა, უღრუბლო და გადაწყვიტეს კარვები არ დაედგათ, კარვები საფენად გაშალეს და ზედ საძილე ტომრები დააგეს.

თვალგახელილები დიდხანს შესცქეროდნენ ცას.

არაგვის ხმაური დედის ნანასავით ჩაესმოდათ. მიქუხდა და მი-ბუტბუტებდა „არაგვი არაგვიანი“ ტანაყრილ ჭალებში.

— ენანება არა, ირაკლი?

— ვის ენანება, ვინ?

— ვისა და არაგვს, ენანება აქოჩრილი ტყეები, ფშავ-ხევსურეთი.

— ჰო, ალბათ ენანება!

მაგრამ სახლი, ვაჟას სახლი, მაინც ფიქრიდან არ სცილდებოდათ.

ფიქრობდნენ და სწუხდნენ. ასეთი პატარა რომ არ ყოფილიყო ეს სახლი, ალბათ ვაჟა კიდევ მეტს იცოცხლებდა და ვინ იცის, რამდენი შედევრი დაამშვენებდა კიდევ ჩვენს ქვეყანას.

— უყვარდა კი ხალხს ვაჟა!

— მერე სადაა ეს სიყვარული? ერთი ეგ იყო, ქუთაისში მიიწვიეს, საღამო გაუმართეს, სიყვარულით მიიღეს. მერე? მერე კი ფეხშიშველი მისდევდა უღელ ხარს, ჩიჩქნიდა ახოს რამდენიმე კასრი ქერისათვის.

— დაიძინეთ, დაიძინეთ, ბიჭებო.

მაგრამ ძილი არ ეკიდებოდათ და შესცქეროდნენ ვარსკვლავებით აყვავებულ ზეცას.

— დაღამდა... წერილნი ვარსკვლავნი
აყვავდნენ, დასხდნენ ცაზედა,
მთვარე კი ჯერ არსადა სჩანს,
არ დაგვნათოის თავზედა.

— ჯერ თუ არ გაუღვიძნია,
ისევ თუ სძინავს მკლავზედა,
ჯერ გამარჯვება არ უთქვამს,
შემომჯდარს გორის ფხაზედა.

გამოეხმაურა ვახტანგს ერეკლე, აოც შალვა ჩამორჩა.

— ალბათ ამ წყაროზე უთევია ღამე და მაშინ უნახავს ასეთი ცა, არა?

— განა, ჩარგალში ნაკლები იქნება?

— კარგი, იყუჩეთ, ძილის დროა...

დილით გიორგიმ ბიჭები გაახარა:

— მოდით, ბიჭებო, ხევსურეთის არაგვს ავყვეთ, ბევრს არა, მაგრამ გუდანასა და ხახმატს მაინც ვნახავთ და დათვის ზეკარიდან შატილსაც გადავხედოთ.

გზა კარგი სავალი იყო, ბარისახოდან თითქოს გაუკეთესდა კიდეც.

მანქანას ჩარდახი გადახადეს და ტკბებოდნენ ხევსურეთის მთებით, ჭიუხებით; ხევსურეთის არაგვის მარცხენა მხარის ფერდონი უფრო ტყიანი იყო, ისინი ჩრდილოეთს უცქერდნენ, მარჯვენა კი მდელოებს ეჭირა. ადგილ-ადგილ მცირე ტყე იყო — არყნარი.

ხახმატს რომ რამდენიმე კილომეტრით გასცდნენ, ოთხივემ ერთად წამოიძახა:

— ერთი უყურე მაგათ!

მანქანა დააყენეს, მხარმარცხნივ მთის არყნარი იყო, 3-4 ჰექტარი პირწმინდად გაეჩეხათ.

ამ სიმაღლეზე, ისიც 2000 მეტრზე ტყის გაჩეხა, და ასე პირწმინდად, ბოროტებაზე მეტია. უკვე ჩანდა ახლადდაჩენილი ხრამები, რომელნიც მალე ხევებად გადაიქცევა.

ცოტა არ იყოს დაღონებულები აუყვნენ გზას და დათვის ზეკარზე გაჩერდნენ. დატკბნენ შატილის ხეობით. კინაღამ სულმა წასძლიათ, ქვევით დაშვებულიყვნენ, მაგრამ მაინც შემობრუნდნენ. მზე უკვე საშუადღეოზე იყო წამოსული, როდესაც ჟინვანში გამოვიდნენ და თავქვე დაეშვნენ. ყურადღება მიიპყრო იმან, რომ კუნელს ფოთლები შეხმობოდა.

— ეს კუნელის ჟანგაა, ასე მრავლად ჯერ არსად შემხვედრია! — ხმამაღლა ფიქრობდა გიორგი. — ნიმუშები მაინც ჩავუტანოთ მცენარეთა დაცვის ინსტიტუტს. — აიღეს ნიმუშები, სოფელ არაგვისპირს გამოსცდნენ და აქ ერეკლემ გზის პირას მდგომი თელა მოისაკლისა. ისიც სოკოს გაეხმო და, რაკი სიტყვამ მოიტანა, ერეკლემ დაასკვნა:

— მაშ, მარტო ეროზია არ ყოფილა ტყის მტერი!

— ვინ გითხრა, მარტო ეროზია, სხვა მტრებთან ერთად მცენარეულის მტერია სოკოვანი დაავადებანი, მავნე მწერიც.

მართლაც, არაგვის ხეობაზე დღემდე აღრიცხულია ექვსასზე მეტი სხვადასხვა სოკო. აქედან ხუთასზე მეტი პარაზიტია და მცენარეს დიდ ზარალს აყენებს. აი, მაგალითად, მანჭკვალა უზარმაზარ ხეებს ახმობს, დასახლდება მათ ფესვებზე და სწუწნის, ბოლოს და ბოლოს მცენარე კვდება. თელის სოკო ხომ არის და არის; ეპიდემიის მსგავსად მუსრი გაავლო თელებს. მარტო არაგვის ხეობაში ბალახებზე დასახლებულია სამასზე მეტი სოკო-პარაზიტი, ბუჩქებზე — ასზე მეტი და ხეზე კი — ასსამოცდაათამდე. რასაკვირველია, ეს სოკოები მცენარეს ხეირს არ დააყრიან, მაგრამ მას არა ნაკლებ ზარალს აყენებს მწერიც. ხომ გახსოვთ, რომ ამ სამი წლის წინათ ბღუნძელამ მთლად გადაჭამა მუხის ფოთოლი...

ჯერჯერობით საქმე ისე ვერ დავაყენეთ, რომ ტყესაც ისე მოვუაროთ, როგორც ბაღს. ჩვენ კი ისეთი ქვეყანა ვართ, რომ ტყეში ყოვე-

ლი ცალკეული ხე ისე უნდა ვიცოდეთ, როგორც კარგმა მებაღემ იცის თავის ძვირფასი ხეებით დარგული ბაღი.

ამ საუბარში ვერც კი გაიგეს, როგორ გადაუხვია მანქანამ მთავარ გზას და დუშეთის ცენტრში მოექცნენ.

რითია დუშეთი შესანიშნავი!

ილია მსახურობდა აქ, მომრიგებელი მოსამართლე იყო. მისი სახლ-მუზეუმი საკმაოდ მოკრძალებით გამოსცქერის დუშეთს.

აქ ხშირი სტუმარი იყო ვაჟა. აგერ მისი ქანდაკებაც.

აქაურია დანიელ ჭონქაძეც (სოფ. ყვავილიდან)

დუშეთს სწვევია პუშკინიც.

რევოლუციამდე აქ იყო მრავალი სამიკიტნო. სადაც დუშეთის მაზრის აზნაურიშვილობა უკანასკნელ ქონებას ფლანგავდა.

ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა

დუშეთში დიდხანს არ დაყოვნებულან ბაზალეთის ნახვას ეშურებოდნენ.

— ერთი ვნახოთ, ამოიღეს ოქროს აკვანი თუ არა. თუ არ ამოუღიათ, იქნებ ვახტანგმა ამოიღოს. — ქილიკაობდა ერეკლე.

— იქნებ ახლა ვერ ამოვიღო, მაგრამ შემდეგში კი იქნებ ეგრეც მოხდეს. — არ ჩამორჩა ვახტანგი. იგი ერეკლეზე ნაკლები ქილიკი როდი იყო.

— ტბიდან იმ ოქროს აკვნის ამომღები ჯერ არავის უნახავს. — ჩაერია შალვა.

ბაზალეთის ტბა ზღვის დონედან 800 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. საკმაოდ ვრცელ პლატოზეა მოთავსებული, ბაზალეთის სოფლები შეფენილა ალევის ქედიდან წამოსულ სერების ფერდობებზე. სოფლებს ან აქ მოსახლეთა გვარიდან წარმოშობილი სახელი ჰქვიან: მაგალითად ჩრდილელიანთ კარი (ჩრდილელი), ჩანადირთ კარი (ჩანადირი), ყარსიმაანთ კარი (ყარსიმაშვილი), უნდილაანთ კარი (უნდილაშვილი), საშაბურო (შაბურიშვილი); ან მხარისა და ადგილის თვისებების მიხედვით — მლაშე, მეურნეობის ტიპის მიხედვით—ბაგა (ახალი ვენახი), არის გაურკვეველი სახელებიც: თვითონ ბაზალეთი, ჭონტილი და სხვა.

იდგა გზის პირას ლამაზი თელა, მაგრამ ისიც დაიღუპა

დუშეთის საბჭოში შვიდი სოფელი შედის და შვიდივე აქ მოსახლეთა გვარის მიხედვით ატარებს სახელს: კობიაანთ კარი (კობიაშვილი), ახალშალიკაანთ კარი (შალიკაშვილი), მილახვრიანთკარი (ამილახვარი), კარიაულთკარი (კარიაული), პირმისაანი (პირმისაშვილი), თვარელიაანთკარი (თვარელაშვილი), ვარსიმაანი (ვარსიმაშვილი).

— მრავალი გვარი კი სოფლის სახელიდანაა წარმოშობილი: ჩოხი — ჩოხელი, კორინთა — კორინთელი, ზანდუკი—ზანდუკელი, თუხარისი — თუხარელი.

— ეს განსაკუთრებით მთის სოფლების დამახასიათებელიაო, — დაატანა გიორგიმ.

— საბჭოთა კავშირის გმირი პირმისაშვილი პირმისაანთკარელია?

— ალბათ აქაურია. თუ სხვა სოფელში ცხოვრობს, პირმისაანთკარიდან იქნებიან გადასული.

მაგრამ, რაც მთავარია, ჩვენი მგზავრები მოსიბლა მთის ფერდობზე შეფენილმა სოფლებმა, გვერდისძირის სოფლებსა ჰგავს, წინ ბაღებია და უკან, ფერდოზე, სოფლები.

„მშვენიერო მეჯვრისსევო,
წინ ბაღებო, უკან ტყეო“...

თვითონ ტბა საკმაოდ ვრცელია, ნაპირი, ეტყობა თხელია, რადგან წყალში მოჩანს რქაფოთოლა და წყლის პირზე ჩვენი ტბების სიმშვენიერე — ლამაზყვავილება, დიდფოთლება თეთრი დუმფარა. ზოგან იგი საკმაოდ ბევრია და მისი ფოთლები მთლიანად ფარავს ყურეს სარკეს.

ტბას გარს შემოუარეს და ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს ტბა შუაში განივრდება და ჩრდილოეთით და სამხრეთით შეეიწროებული ბოლოებით მთავრდება.

სამხრეთ-აღმოსავლეთით საკმაოდ დიდი ნაწილი დაჭაობებულია: ისლი, ლაქაში და ლელი აქაც ჩვეულებრივია. ტბის ირგვლივ მინდვრები ფერდაკრული ყანებითაა დაფარული. სიმინდი მეორედ ითოხნებოდა და შიგ მოფენილი იყვნენ ნაირნაირკაბიანი ქალ-ვაჟები. გოგოებს სახე თეთრი სახვევებით აეკრათ, მზე არ მოგვეკიდოსო, და თვალებიღა უჩანდათ. ყველა თავის ნაკვეთს თოხნიდა. მხარდამხარ არავინ იდგა. სწორედ ამიტომ, მინდორში არც სიმღერა ისმოდა.

გიორგის მითითებით მანქანამ გეზი სამხრეთ-აღმოსავლეთით

აიღო, სოფელ ყარსიმაანთკარისაკენ. ამ სოფლის მიდამოებში გაშიშვლებულია მოყვითალო-რუხი თიხები ასე 2-3 მეტრის სისქისა. ამ თიხების ქვეშ კონგლომერატებია, ზევიდან კი აფენია მუხნარ-ჯაგრცხილნარით დაფარული თანამედროვე დანალექები. სწორედ ამ თიხებში აღმოჩნდა საკმაოდ მდიდარი სამარე დღეისათვის უკვე ამომწყდარი ცხენისმაგვარი ცხოველებისა, რომელთა ჯგუფს ჰიპარიონულ ფაუნას უწოდებენ. ბაზალეთის პლატო, ჩვენი გეოლოგების დასკვნით, ხნოვანებით პონტოს იარუსს შეეფარდება. ჰიპარის ტიპის ცხოველები ჩვენი მკვლევარების ვარაუდით შემდეგი გზით უნდა შემოსულიყვნენ: აფრიკა-ხმელთაშუაზღვის აუზი (სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა) — მცირე აზია-კავკასია-ცენტრალური აზია.

სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა, წარსულ გეოლოგიურ ხანაში, ადრეულ ნეოგენში დანაწილებული იყო წყლით და მისი დიდი ნაწილი ზღვას ეჭირა.

ბიჭებს უნდოდათ, რომ შარშანდელივით ეპოვათ რამე და ფლატეს თავის წერაყინებით მიადგნენ, მაგრამ ამაოდ.

— აქ ჩვენი გეოლოგები და პალეონტოლოგი გ. მელაძე, რომელმაც ეს სამარხი გათხარა და შეისწავლა, არაფერს დასტოვებდნენ.

— განა არ იცოდა, რომ მოვიდოდით? — გაიხუმრა ვახტანგმა.

— რა კარგი იქნება, რომ ერთი სპილოს ძვალიც ვნახოთ, უყურე, რა ამბავი ექნებათ, რომ ვაჩვენებთ, — წაიოცნება ერეკლემ.

— ჯობს, თბილისში ჩავიდეთ და იქ ვნახოთ. — ურჩია გიორგიმ.

— მერე და ჰიპარიონი თუ ველის ცხოველია, აქ საიდან გაჩნდა?

— აკი გითხარით, როგორც ჩანს, ადრე აქ ახლომახლო ველებიც ყოფილა და ზღვამ ან დიდმა ტბამ თუ გამორიყა და შემდეგ წამარხა. აქ, ეს ჯაგრცხილნარი და მუხნარი, რომლითაც დაფარულა მთის ფერდონი, და თვითონ ნამარხიც, შემდეგი ამბავია!

ცოტა არ იყოს, გულდაწყვეტილი მოსცილდნენ ჰიპარიონების დაცარიელებულ სასაფლაოს.

— რა არის ჰიპარიონი?—მოულოდნელად იკითხა ვახტანგმა, რომელიც, თითქოს რაღაცა აწუხებსო, აქამდე ხმას არ იღებდა.

— ხომ გითხარით, დაგავიწყდათ? დღეს მთლიანად ამომწყდარი ცხოველია, ცხენების ჯგუფისა; მხოლოდ ამას სამთითიანი ფეხი აქვს: ერთი დიდი ჩლიქია, ორი თითი საოლავიდან ჩამოდის. ესენი ხელს უშლიდნენ, რომ ჰიპარიონის ფეხი ლაფში ღრმად ჩაფლულიყო.

როდესაც ჰიპარიონები იყო გავრცელებული საქართველოში, კოლხური ტყე მთაზე იყო შემორჩენილი ვაკე ან წყლით იყო დაფარული, ან ტყე-ველით; უფრო წარაფებით დასერილი ველ-მდელოებით. ასეთი ლანდშაფტი იყო შუა პლიოცენში, ჰავა ფრიად კონტინენტალური; მაგრამ ზემო პლიოცენში, როდესაც ჩვენში კლიმატი კვლავ შეიცვალა, კონტინენტალური კვლავ ნესტიანმა ჰავამ შეცვალა, ჰიპარიონები ისე ამოწყდნენ, რომ მათი ჩამომავალი აღარ დარჩენილა. ზომით ისინი ვირის ოდენანიც და ზოგი მოზრდილი ცხენის ოდენანიც იყვნენ. ნამარხებით ჩანს, რომ მაშინდელ ველებში მათი უზარმაზარი რემანი დაეხეტებოდნენ.

ჰიპარიონების დიდი ნამარხი აღმოაჩინა ამ დარგის დიდმა სპეციალისტმა ლეო გაბუნიამ ზემო ქართლში, სოფელ არკნეთში, ზნაურის რაიონში, სოფელ ოქონასთან; ბაზალეთისა კი აღწერა, როგორც გითხარით, გ. მელაძემ.

გამოვიდნენ შარაზე და კობიაანთკარის თავზე და ჩანადირიანთკარის შუა მიმავალ მინდვრების გზას დაადგნენ. მალე შევიდნენ მუხნარში, სადაც მრავლად იყო ახოები. მიწა გარეცხილი არ ჩანდა, ყანა მუხლზევით უნდა ყოფილიყო და მშვენიერი მზეკაბანი ურბენდა თავზე.

— აქ კი ღირს გაჩერება, სურათის გადაღებაც.

გიორგიმ სწრაფად მოიმარჯვა აპარატი და მინდორი და წარაფები გადაიღო.

აქ პატარ-პატარა მინდორი კიბე-კიბედ იყო მთის ფერდოზე განლაგებული. მინდორსა და მინდორს შუა 5-10 მეტრის სიგანის ტყის ზოლი (ამჟამად ბუჩქნარი) იყო დატოვებული, ეს საშუალებას არ აძლევდა წვიმის წყალს, წამოეღო მიწა ამ ზოლებს შუა მოქცეული გაახოვებული ნაკვეთებიდან; ახო, ჩვეულებრივ, 15—20 მეტრის სიგანისა იყო. ამას მისდევდა კვლავ 10-15-20 მეტრის სიგანის ტყის ზოლი. შედეგად იქმნებოდა 4-5 ოროკო, განიერი, მაგრამ გონიერი ტყის მეურნეობაში.

სადაც სოფლის მეურნეობა გონივრულად მიჰყავდათ, ასეთი ახო-ოროკო დიდხანს ძლებდა.

გაუხვიეს ერთ ქიმს და მათ წინ აღიმართა პატარა თეთრი ტაძარი; ტაძარი ქსნის ერისთავის ასულს ანას აუგია მე-17 საუკუნეში და, როგორც ჩანს, მაინცა და მაინც დიდი ისტორიული მნიშვნელო-

ბის ძეგლი არ უნდა იყოს. ესაა ბოდორნის წმინდა გიორგი, რომელიც ლიოსის მაგვარ ნაფენზე დგას. ლიოსის მიერ შექმნილი ფერდო ზოგან წყალს დაუხრამავს, ქარს გამოუქარავს და უზარმაზარი სვეტები აღმართულან ტაძრის ჩრდილოეთით, ხევგაღმა ჩანს ნასოფლარი, ეს ძველი ბოდორნაა; აყრილან და ძირს ჩასახლებულან, მხოლოდ შორს კი არ წასულან, იქვე გზის პირას ჩაუყრიათ ახალი საძირკველი, აქ კი დარჩენილა კლდეები, გაშვარტლული ბუხრები და ასწლოვანი კაკლები.

დაკიდულ დაღმართზე დაეშვნენ და მალე ბულაჩაურის ხიდთან გავიდნენ. წყალსადენის მთავარ შენობასთან ხელი აუწია ჭაღარაშერეულმა კაცმა.

— ძია პავლე! — წამოიძახეს ვახტანგმა და ერეკლემ.

— აი, თქვე ტყეში გაცვენილო ყაჩაღებო, თქვენა! სადა ხართ, სად, აქამდის! — შეუტია ძია პავლემ, — რამდენჯერ გითხარით, ნუ დაჰკარგავთ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა-მეთქი.

— საიდან გაიგე, ძია პავლე, რომ აქ ვიქნებოდით?

— კაჭკაჭმა მომიტანა ამბავი. — გახედა გიორგის.

— ეგ კაჭკაჭი მამაჩემია, არა?

— ეგრე გამოდის, თიბათვის ოცდაცხრას ჩამოვალო, მომწერა და მეც დილიდანვე ნაბიჯ-ნაბიჯ გამოვყე, გზაში შემხვდებიან-მეთქი.

გაჩუმდა, ბიჭებს ასედ-დახედა.

— ფრთები ესხმებათ კია, — მოეწონა შესახედაობა, — გარუჯულან. კაცმა რომ თქვას, ცოტა კი შეგაგვიანდათ!

— ყარსიმაანთ კარში ერთმა საქმემ შეგვაჩერა. სხვა, აქეთ რა ამბავია?

— რომ გითხრა, კაი ამბავი-მეთქი, მართალი არ იქნება.

— რაშია საქმე?!

— რაშია და ბულაჩაურის კაკლები ძირს დასცეს, ორასამდე ძირი.

— როგორ დასცეს, რას ამბობ?

— რასა და, აქ ხომ საბჭოთა მეურნეობა დაარსდა, ვენახი უნდა გავაშენოთო, დაუბეს ტრაქტორი და ბულდოზერი და ორას-სამასი წლის კაკლები ძირ-ფესვიანად დაგლიჯეს, რომ ნახო, გული მოგიკვდება.

— როგორ, ახლაც იქა ყრია?



ხიდი ხევსურეთის არაგვზე

— იქა ყრია. ზოგი წაიღეს და ზოგი ხევებში გადაყარეს.

— კაცო, მაგას ხომ შაჰ-აბასიც არ იზამდა!

— შაჰ-აბასი როგორ იზამდა, იმას ხომ ტრაქტორები არა ჰქონდა? — ჩაერია ლაპარაკში ერეკლე.

— წავიდეთ, ვნახოთ, — თქვა გიორგიმ და ჩაჯდა მანქანაში. — კიდეც არა, ბოდორნიდან რომ გამოვიხედე, არაგვის მარცხენა ნაპირი მეუცნაურა, რაღაც მაკლდა თვალში.

გაიარეს თუ არა სოფელი ბულაჩაური, იქვე ჩაუხვიეს. მალე მანქანა გაჩერდა დეკეკაცივით წამოქცეულ კაკალთან. ფესვიანად იყო ძოგლეჯილი, მიწა თან ამოეტანა, მისი ფესვების ამოტანილი მიწა პატარა, ყირამალა დაყენებულ კალოს ჰგავდა.

ხიმშიაანთკართან არაგვზე ჩავიდნენ და აჰყვნენ ნაპირს. კბოდის ძირას და ერთ ხნარცვში მაღლიდან გადმოყრილი კაკლის უზარმაზარი ძირები ეყარა.

— კაცო, ამას მტერი არ იზამდა.

— მტრობით არ არის გაკეთებული, მაგრამ, დიდი უვიცობის შედეგი კია!

— მე ასე გამიგონია, რომ მთავრობის დადგენილებაა, მინისტრთა საბჭოს ნებართვის გარეშე გამხმარი კაკლის მოჭრაც კი არ იქნებაო, — ჩაერია შალვა.

— არის, როგორ არ არის. თითო კაკალი ხომ თითო კარგ მეწველ ძროხას მაინც უდრის. ცოდვა არ იყო ამათი ამოგდება!

— ცოდვა ხომ ცოდვაა, მაგრამ ცოდვაზე უარესია. მერე და იმ დირექტორმა ამ კაკლებზე უკეთესი რა უნდა გააშენოს აქ?

მანქანა ისევ ზემო ტერასაზე ამოვიდა. აქ კი, მართლაც უზარმაზარი კაკლის მორების სასაფლაო დახვდათ.

შეჩერდნენ და გეგონებათ ძმათა სასაფლაოზე, დახოცილი ვაჟკაცების ახალ სამარესთან დგანანო, ყველას თითქოს ენა ჩაუვარდა.

ან რა უნდა ეთქვათ? ერთი ძირის მოჭრა კიდევ შეიძლება ეპატიოთ და ორასი ძირი ერთბაშად? ეს ხომ ეროვნული დოვლათის განადგურებაა, არსებულის მოსპობა, შეიძლება დარგონ ახალი, მაგრამ ნამდვილ სხმას ახალი მხოლოდ 20-30 წლის შემდეგ დაიწყებს, ეს კაკლები კი 100 წელიწადს კიდევ პირნათლად შეასრულებდნენ თავის მოვალეობას. ვენახი უნდა გავაშენოთო, და მერე ვენახს კაკალი რას უშლის? ქართული ვენახი უკაკლოდ ვის უნახავს? სხვა არა იყოს რა, დიდ ვენახის მეზვრეთ საჩრდილობელი ხომ უნდა ჰქონდეთ! თუ არა და თვითონ კაკლიანიც ხომ თავისთავად ბაღია, ძვირფასი ნაყოფის მომცემი.

კაკალს ისტორიულად ჩვენში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მარტო ცალკე ხეებს კი არა რგავდნენ, არამედ არსებობდნენ ცალკე „ნიგვზნარები". სიგელ-გუჯრებში ხშირად არის ნათქვამი: „მოგყიდეთ ჩვენი კუთვნილი სახნავ-სათესი, ვენახი, ნიგვზნარი, თუთნარი"... და სხვა. ან „შემოგწირეთ ჩვენთა სულთა საოხად ჩვენი კუთვნილი ზვარი... ნიგვზნარი, თუთნარი, სასარე"... და სხვა და სხვა. ხშირად თქმულა, რომ ვენახთან ერთად ნიგოზ-კაკალს ძველი საქართველოს ეკონომიკაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ შემოსეული მტერი ჩეხდა ვენახს, ნიგვზის ხეს და თუთას... არაგვის პირის მეურნეობის მუშაკებს დიდი შრომა დასჭირდებათ,

რომ ეს შეცდომა გამოასწორონ. ისე კი მეურნეობა ზედ მისწრებაა.

საკმაოდ დაღონებულებმა გამოსწიეს ჭოპორტისაკენ. ძია პავლეს ძირეული სოფლისაკენ.

ახლაღა მოაგონდათ, მოეკითხათ სართიჭალელთა ოჯახი.

— მადლობთ, კარგად არიან. მკას მოვრჩებით თუ არა, უნდა ჩავუხტე კიდეც.

გზის ორივე მხარეს ყანები ღელავდა. მზე გადაიხარა და სადაცაა, ბოდორნას გადაეფარება. არაგვის სათავეებიდან ნიავმა ჩამოუქროლა და მზეკაბანმა გადაირბინა დიდ ხოდაბუნზე.

აუარეს ბულაჩაურის წყალსადენის საწრეტებსა და დასაწმინდავებლებს და სოფელ ბულაჩაურს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მოუარეს. აქ ბაღ-ვენახებში კაკლები კიდევ იყო და სოფელს ქართული სოფლის იერს აძლევდა.

— როცა ხალხი აყაყანდა, — განაგრძობდა პავლე, — თურმე ესეც კი უთხრეს, ბევრს ნუ ლაპარაკობთ, ეგენიც უნდა ამოვძირკვოთო, მაგრამ კიდევ კარგი, ზევით გაიგეს და კარგა მაგრად დატუქსეს აქაური თავკაცებიც და მეურნეობისაცა. დაავალეს, ათასი ძირი კაკალი დარგონ და ახარონ. „რაც მგელმა ცხვარს დააკლო, რაც არა, მწყემსმა ქნაო“. ალბათ უთხრეს, ერთი-ორი ხმელი ძირი ამოძირკვეთო და ერთი-ორი ორასამდე აიყვანეს.

•

სოფელ ჭოპორტში რომ შევიდნენ, მზე ბოდორნას მიჰფარებოდა და ცისკენ თოკები გაება.

— აბა, ადამიანო, დაგვხვდი, — შესძახა კოხტა აივნიდან გადმომდგარ ხანში შესულ ქალს.

— ოი, თქვენ კი გენაცვალეთ, თქვენა ხართ ის არწივები, ჩემი ბებერი რომ ლაპარაკობს ხოლმე?

და კიბეზე ყოჩაღად ჩამოირბინა. ბავშვებს გადაეხვია.

— ერთი უყურე ამას! ვინაა, ადამიანო, ბებერი? — ხუმრობით შეუტია პავლემ, მაგრამ მისი მეუღლე მას ყურს არ უგდებდა და ყმაწვილებს ეალერსებოდა.

— მამის ქამარ-ხანჯალო, დედის გულის მალამო, ბებიის და პაპის იმედო, დილის ამომავალო მზევ. — გადაჰკოცნა ერეკლე.

— პაპის ოქროს შანდალო, დედის მარგალიტის მტევანო. სიცხე-

ში მონატრებულო გრილო ნიავო. შენ კი გენაცვალოს ჭოპორტელი ბებიდა.

ამის შემდეგ მოიკითხა გიორგი, შალვა, გოგია. გამოჰკითხა სახლის ამბავი, კარში ყოფნა...

— უჰ, ქა, როგორ გავაბი. აბა, აბა, შემობრძანდით. თქვენთვის ოთახი მზადაა. დაიბანეთ ხელ-პირი, მთელი დღის ნამგზავრები ხართ, მოგშივდებოდათ...

კვლავ იპოვა ძველი ბინა

— აბა ნულარ ვიგვიანებთ, ხომ იცით, „ადრე ამდგარი ჩიტი ნისკარტს იწმენდს, მძინარა კი თვალებს იფშვნეტსო“ — შეეხმაურა პავლე თავის სტუმრებს, რომელნიც, მისი აზრით, ზანტად იქცეოდნენ.

— ერიჰაა! ძია პავლეს შეუცვლია ანდაზა, — წინათ სხვა იცოდა.

— წინათ სხვა იყო, ახლა სხვაა. „ადრე ამდგომსა კურდღელსა მწევარი უნდა ქარისა, მისდევს და ვერ მისწევია, იქავ და იქავ არისა“.

— რა კარგია! — წამოიძახა ვახტანგმა.

— ჰოდა, თუ კარგია, ჩქარა მოემზადეთ და გზაშიც ბევრს გეტყვით!

ეზოში რომ ჩამოირბინეს და მიიხედ-მოიხედეს, მაშინღა დაინახეს, რა ლამაზი და კარგი ეზო ჰქონია ძია პავლეს. დასავლეთ საქართველოში ბევრი ეზო ენახათ, კოპწია, კოხტა, მაგრამ იქ, თუ ბუნებისა და ეზოს პატრონის გარჯის შედეგი იყო ეს სილამაზე, აქ, პავლეს ეზოში, მთავარი პავლე იყო. სახლის გვერდით მოხარატებული სასიმინდე, პატარა ძარი იდგა, ბოძებზე ამოჭრილი იყო მზე და მრავალი სხვა ჩუქურთმა. „რა ვქნა, დარბაზი აღარსად არის და იმის ბოძის ხატები აქღა ამოვეერიო“, — უთხრა პავლემ. ჭიშკრიდან კიბემდე კოპწია ხეივანი მიდიოდა. „ბუდეშური და თითაა“. მესერის ძირში სხვადასხვა ყვავილი ჩანდა. საქათმე და საღორე სახლს უკან იყო. ცაცხვის ძირას მაგიდას გარშემო კი მუხის მორები ჰქონდა სკამებად.

მალე მოემზადნენ. საუზმით კარგად დატვირთული აბგაც ჩადეს მანქანაში.

— კარგად ამგზავრე, კაცო!

— ისე ვამგზავრებ, როგორც ერეკლე მეფესა.

— შენ ტრაბახი ნუ იცი. დიაცი მიმავალი იკვეხის, მამაცი მომავალიო, რო ჩამოხვალ, მაშინ მითხარ.

— ჰო კარგი... ნუ გეშინიან.

იქვე სოფლის განაპირას აუყვნენ მთის გზას. დიდ მარელის სერის ფერდობებს.

გზა ჯერ გაახოვებულ მინდვრებში მიდიოდა. აქა იქ იდგა თითო-ოროლა ძველი, ტოტებდაგრეხილი მუხა. წინათ ასეთი მუხები ჩვენს მინდვრებში უფრო მეტი იდგა, მაგრამ ამ ბოლო დროს ამოძირკვა დაუწყეს. საჭიროა, სადაც გადარჩა დავტოვოთ, მას ბევრნაირი მნიშვნელობა აქვს. ქორ-მიმინო ჯდება და თვალყურს ადევნებს მინდორს, თაგვსა და სხვა მღრღნელებს ანადგურებენ. გარდა ამისა, ეს მიგვანიშნებს იმაზე, თუ რანაირი ტყე იყო აქ წარსულში.

— მე აქ კარგი მუხიანი მახსოვს, — უამბობდა ძია პავლე. ჩემ ხელში მოსპეს. დალოცვილია მუხა. აი, მისმინეთ: „კაცმა თქვა: ჩემი სახლი გატყდაო. მუხამ გაიგონა და მაღლიდან ჩამოსძახა: ჩემი სახლიკაცი რომ ყოფილიყო, არ გატყდებოდაო“.

— მე სხვანაირად გამიგონია! — ჩაერთო ვახტანგი.

— ესეც კარგია! — არ ჩამორჩა ერეკლე.

მანქანა კი ქშენით მიიწევდა მაღლა-მაღლა და მალე მიაღწია ტყის პირას; აქ ღელეში ჩავიდა, თითქოს წყალში ჩაიყურყუმელავაო, ისე გაქრა თხილიანში, მაგრამ მალე მეორე სერზე ამოყო თავი.

აქედან უკვე რცხილნარი იწყებოდა და მანქანაც ტყის გზას გაჰყვა.

— ესეც თქვენი ბზიან-ხევი. აბა, გოგი, გააჩერე შენი ბედაური!

მხარმარჯვნივ აჰყვნენ საკმაოდ კარგად შენახულ რცხილნარს, რომელიც შეფენილია წმინდა გიორგის ფერდოზე. ეს ფერდობი 20-25 გრადუსითაა დაქანებული ჩრდილო დასავლეთით, ზღვის დონიდან შვიდას-რვაასი მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. სამხრეთ-აღმოსავლეთის ფერდოზე მუხნარია, რომელიც ძეძვიანებს ესაზღვრება და სწორედ გზასაყარზე შევიდნენ ძალიან ხშირ ბზიანში.

ამ ტყეში მთავარია რცხილა, მუხა, თითო-ოროლა ნეკერჩხალი, იფანი; ქვეტყეშია შვინდი, შვინდანწლა, ჯიქა, ჯახველი, კვიდო, თხილი, ჯაგრცხილა, და, რაც მთავარია, ფრიად მრავლად, დაახლოებით,

ერთ ჰექტარზე გვხვდება ბზა, დედა ხეების სისქე 10-12 სანტიმეტრია, სიმაღლე კი ორი-სამი მეტრი იქნება. გვხვდება ან აქა-იქ თხუთმეტი სანტიმეტრის სისქისა და თითქმის ხუთი მეტრის სიმაღლისანიც. ჩანს, ამათზე მსხვილებიც ყოფილან. აღმონაცენი ძალიან კარგია და უხვი. კვადრატულ მეტრზე ზოგან 10-15 სანტიმეტრის სიმაღლის შიმალი ხუთასამდეა, ახალი აღმონაცენი კი რამდენიმე ათასი. ეტყობა, ბზისთვის აქ ოპტიმალური პირობებია.

— ძია პავლეს ბზაზეც ეცოდინება ანდაზა.

პავლეს გაეღიმა.

— როგორ არ ვიცი: „ბზობასა და აღდგომასა დარი ერთნაირი იცისო“. ვითომდა ერთმანეთისგან შორი-შორს არ არიანო. კიდევ იტყვიან: „რას დაიკარგე ბზობის ყვავივითაო“.

— აბა, მოდით, დაითვალეთ ეს ბზები, ის გირჩევნიათ.

— ტოტები რაღად აქვთ შესხეპილი, ძია პავლე?

— რადა და ჩვენებურებიც და სხვაგნებურებიც ამ ბზების ტოტებს ჩეხავენ და სხვა სოფლებში მიაქვთ ბზობას, ყიდიან აღდგომის წინა კვირისთვის. ამ დღეს, წირვის დროს, ბზას ხალხს ურიგებდნენ, იმის ნიშნად, თითქოს იესო ქრისტე იერუსალიმში რომ შევიდა, ხალხი პალმის ტოტებით ხვღებოდაო.

— ამიტომაა, რომ ბზას რუსები კავკასიის პალმას უწოდებენ, — ჩაერია გიორგი.

— მერე და ცოდო არ არის ეს იშვიათი ჯიში?

— არ გაგიგონია „მგელს რა ენაღვლება, თუ ცხენი და ჯორი ძვირი ღირსო“.

— ამოდით აქ, ტაძრის ნანგრევია! — ზემოდან ჩამოჰკიოდა ერეკლე.

— ჰო, წმინდა გიორგის სახელობისაა. აქ დღეობაც იცოდნენ.

— გამოდის, რომ აქ დარგული იყო ბზა, შემდეგ იპოვა თავის შესაფერი ადგილი და გავრცელდა!

— აგრე ჩანს, — ამოსძახა მამამ ქვემო ბუჩქებიდან.

მეორე თუ მესამე დღეს საგურამოს ბზიანიც დაათვალიერეს, სოფელ შამკევანთან, საგურამოს ქედის ჩრდილო ფერდობებზე.

სოფელ შამკევანთან, ერთ-ერთ გორაკზე კარგადაა შემონახული საკმარისად ნარევი ტყე (წიფელი, რცხილა, ბოყვი, მუხა, ნეკერჩხალი, იფნი, თამელი, მაყალო). ამ გორაკის წვერზე დღესაც



არაგვის ჭალა

ჩანს ტაძრის ნანგრევები, სწორედ ამას შემოუნახავს ეს ტყე. დღეს უკვე ნაკრძალადაა გამოცხადებული და მისი განადგურების შიში აღარ არის.

ამ ტაძრის ნანგრევებს გარშემო ბზიანი საკმაოდ კარგად განვითარებულა.

გარდა ზემოჩამოთვლილი ხეებისა, საგურამოს ბზიანში გვხვდება თხილი, ძახველი, ცხრატყავა, ჯიქა, კუნელი, ჩვეულებრივი სუროს გვერდით, კოლხური სუროც.

ბზის ღეროს სიმსხო აქაც 10-15 სანტიმეტრია, ჩვეულებრივია 5-10 სანტიმეტრიანი, მათზე მსხვილი იშვიათია, ესეც ბზიან-ხევის ბზიანს წააგავს, მაგრამ, მისგან განსხვავებით, ბზა აქ უფრო მეტ ფართობზეა, შედარებით ხშირად გვხვდება 5-6 ჰექტარზე. იგი ქვეტყეში ბევრგან სხვა ბუჩქსა ჩაგრავს და თვითონ ბატონდება; თავის იერით ძალიან წააგავს, დასავლეთ საქართველოში ნაჩეხი ბზიანები რომ გვხვდება. მთავარ ბუდიდან გაღმა-გამოღმა სერებზე პატარ-პატარა ბზიანები ან ცალკეული ხეებიც არის, სულ ბზა ორმოც-ორმოცდათ ჰექტარზე უნდა იყოს გავრცელებული.

მართალია, ორივე ბზიანი, ბზიანხევისა და შამკევანისა, ტაძართანაა დაკავშირებული, ე. ი. დაურგავთ, როგორც საკულტო მცენარე, შაგრამ მისი ასე უხვად გამრავლება იმას ადასტურებს, რომ აქ მისი გავრცელებისათვის ოპტიმალური პირობებია. ბზა არახვეთის ნაძვნარებთანაც დგას, მაგრამ იქ ვერ გამრავლებულა; ჩანს, თესლი ვერ მწიფდება, მაღლაა და ცივა; გინდ ჩაითესოს და გაღივდეს, გაზაფხულის ყინვები აზრობს.

წარსულ გეოლოგიურ ეპოქაში ბზა ამ ტყეებში ისევე იყო გავრცელებული, როგორც დღეს კოლხეთშია, მაგრამ მესამეულის დასასრულს და მეოთხეულის დასაწყისში, როგორც ჩანს, მისი საცხოვრისის პირობები დაირღვა და იგი მოისპო. დღეს კი კლიმატი თითქოს შესწორდა, გათბა და შედარებით განესტიანდა. ყოველ შემთხვევაში, საგურამოს ქედზე და არაგვის ქვემო წელში, ქართლის დანარჩენ ნაწილებთან შედარებით, ჰავა უფრო თანაბარი ჩანს, ბროწეული და ლეღვი ბულაჩაურამდე აღწევს, ზოგიერთი ნათელი ტყის ელემენტი (აკაკი) ჟინვალამდე, ქსანზე კი — ლამისყანამდე.

ალბათ იმიტომ შემორჩნენ საგურამოს ქედზე შესანიშნავი წიფლნარი. და მრავალი კოლხური ელემენტი: ჩვეულებრივი სუროს გვერდით კოლხური სურო, ბაძგი, წყავი, იელი, თაგვისარა, მაღალი ძოცვი და სხვა მრავალი.

ბზიან ხევში კარგად შეაგვიანდათ.

— ვითომ დღეს მოვასწრებთ? — გამოთქვა ეჭვი გიორგიმ.

— ღამის მეხრისა არ იყოს, სად გვითენდება, იქ გვიღამდება, სადაც დაგვიღამდება, ჩვენც ბინა იქ დავიდოთ. ლოგინი თანა გვაქვს და ნაბადი. გადაწყვიტა პავლემ.

გამოვიდნენ ბზიან-ხევიდან და მინდვრის გზებით გავიდნენ სოფელ ბიწმენდში. აქედან სოფელ ახატნამდე ერთი ხელის დადება იყო, საიდანაც, პავლეს თქმით, შეიძლებოდა ერწო-თიანეთში გადასვლა გორანასა და სვიმონიანთ ხევში. ასეთი სვლის გეზი ჩვენი მგზავრებისათვის ზედგამოჭრილი იყო, ნახავდნენ ივრის ხეობის ფშავს, ერწოს, სიონს, თუ დრო დარჩებოდათ, თიანეთსაც.

„რაც არის არისო", — და აჰყვა გოგია საურმე გზას, რომელსაც დიდ მარელის სერზე ჯერ სამხრეთით უნდა გაევლო და შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთით.

მალე შევიდნენ რცხილნარ-წიფლნარში, გზა ტყის საურმე ჩანდა,

საკმაოდ დაქანებული. ორდიფერიანი მანქანა ღუღუნით მიიწევდა ზევით. გოგია ხმას არ იღებდა. ბიჭებიც გაიტრუნენ. ხშირად გამოყოფდნენ თავს და ახედავდნენ ხოლმე მაღალ წიფლებს. გოგიამ ერთიორგან დააყენა მანქანა, ჩამოვიდა და შემოუარა, ქვეშაც შეხედა... თავი გადააქნ-გადმოაქნია.

— რაო, გოგი?

— არაფერი, ისე... გზა ცოტა ვერაა სამანქანო. — და მიუჯდა საჭეს.

— აქვე, ტყეში ძაგნაკორაა.

ბიჭებმა თვალები ჭყიტეს.

— ძაგნაკორული ლექსი აქაურია?

— გასაკვირველი არაა. გივიმ ხომ გიამბოთ, საგურამო მესტვირე-ბელექსის მხარეაო.

მალე მანქანამ ცხვირი ძირს დაუშვა.

— რა საჭიროა, დავეშვით!

— აბა, რა გგონია! — რიხიანად თქვა პავლემ.

სოფელ გორანასთან მანქანამ გაივაკა. აქედან მათ წინაშე გადაიშალა უზარმაზარი ტაფობი, რომელსაც სამხრეთიდან ესაზღვრება საბადურის და იკვლივის მთა. ამ უკანასკნელის სიმაღლე ორიათას მეტრზე მეტია და დაფარულია ქვევით მუხნარით, ცოტა ზევით — რცხილნარით, და მწვერვალისაკენ — კარგი წიფლნარით. მწვერვალი მოტიტვლებულია, ბევრგან ტყე გამეჩხერებულია, ან მოუსპიათ და ასეთი ადგილები მთის ნატყევარ მდელოებს უჭირავს, რომელშიც სუბალპების ელემენტებიც არის. აქ სათიბები და საძოვრებია და, როგორც სხვაგან, ტყე ქვევიდანაც ვიწროვდება და ზევიდანაც. საბადურ-იკვლივი გაგრძელებაა საგურამოს ქედისა; მათ გზაგასაყარს ზედ მისდგომია ფშავის ქედი, რომელიც კავკასიონიდან ჩამოდის და წყალგამყოფია არაგვისა და ივრისა. ამ ქედის დასავლეთისაკენ მოქცეულ ფერდობებზე და გვერდის ძირზე გაშენებულია საგურამო, ჭოპორტი, ბულაჩაური, გუდრუხი, თვალივი, და არაგვის მარცხენა ნაპირის სხვა სოფლები. აღმოსავლეთისკენ მიქცეულ ფერდობებზე კი — ერწო-თიანეთი, თუშურები, არტანი და სხვა მრავალი.

სოფელ სვიმონიანთ ხევიდან გზა ვაკეზე, ერწოს ჩადაბლებაზე გავიდა.

მხარმარჯვნივ გადაშლილი იყო ერწოს ფართო ტაფობი, რომელ-

ნაც შუაზე ჰკვეთს მდინარე აძეძი; აძეძი სათავეს იღებს ფშავის ქედზე და, ჩამოივაკებს თუ არა, იერთებს მრავალ პატარ-პატარა ნაკადულსა და ხევს. ხშირად, წვიმების დროს, აძეძი და შენაკადები გადმოდიან კალაპოტებიდან და აჭაობებენ ტაფობის განსაკუთრებით დასავლეთ ნაწილს, სადაც ეგრეთ წოდებული ზანზარა ჭაობებიც იშვიათი არ არის. ამ ზანზარა ჭაობს ხშირად ჩაუწოვია თვალგადაფარებული პირუტყვი და დაუმარხავს სამუდამოდ. ძველად ეს ნაწილი ცნობილი იყო იმით, რომ გადამფრენ სანადირო ფრინველთა გუნდები (ჩიბუხა, ღალღა და მისთანანი) აქ დიდი რაოდენობით ჩერდებოდნენ, ამ უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში ჯერი ამ ჭაობებზეც მოდგა. გაიყვანეს წყალსაწრეტი არხები, დააშრეს ჭაობის უდიდესი ნაწილი და ეს მიწები ამჟამად სიმონიანთ ხევის, ხევსურთ-სოფლის, საყდრიონის, ღულელების და სხვა სოფლების საკოლმეურნეო ყანებითაა დაფარული და დამშვენებული.

ჩვენი ახალგაზრდა მგზავრების ყურადღება მიიპყრო იმან, რაც უკვე გაიგეს შარშან კახეთში და წელს მუხრანის ვაკეზე, ტირიფონაზე და სხვაგან, როდესაც ტაფობს მთები ზედ მოსდგომიან, სოფლების უმრავლესობა გვერდის ძირზე და მთის წინაკალთებზეა შეფენილი, თვითონ ტაფობზე სოფელი შედარებით იშვიათია. სოფლის ასეთ დაგეგმარებას ისტორიული წარსული და ბუნებრივი პირობები განსაზღვრავდნენ. სოფელი ცდილობდა, ტყესთან და მთასთან ახლო ყოფილიყო, რათა მტრის შემოსევის დროს ცოლ-შვილი ადვილად გაეხიზნა. მთის ფერდო უფრო ჯანსაღია, ნიავი განუწყვეტლივ ასუფთავებს ჰაერს, ტყე ამდიდრებს ჟანგბადით, წყაროები უფრო ხშირი და ჯანმრთელია, ვიდრე ვაკეზე.

დღეს, როდესაც გახიზნის საშიშროებამ გაიარა, შორ მანძილიდან წყაროს გამოყვანა გაადვილდა, მალარიას და სხვა ავადმყოფობასაც ეფექტურად ვებრძვით, სოფლებმა ჩამოქვეითება დაიწყეს, ვაკისაკენ ჩამოდიან. ამის მაგალითი მრავალი ნახეს მუხრანის ვაკეზეც (სოფ. წეროვანი, გოროვანი, ჩარდახი), ტირიფონაზეც (ნაწრეტი) და სხვაგან.

აქაც, აძეძის მარცხნივ, გვერდის ძირზე და წინა კალთებზეა შეფენილი: სვიმონიაანთ ხევი, თოლუნჯის ხევი, მელიას ხევი, ცალუღელანთ კარი, ხევსურთ-სოფელი, დეველაანთ კარი, საყდრიონი, ზურაბები, ვეძისხევი; გავაკებაზე კი: დორეული. მარჯვნივ, საბადურისა

და იკვლევის გვერდის ძირზე შეფენილია: ნადკორა, რიონის გორა, კვერნაული, ღულელები, ტოლაანთ სოფელი, თრინი, მაღრანეთი, ზემო ნაქალაქარი, ქვემო ნაქალაქარი. ეს უკანასკნელი ტაფობისა და წინაკალთების გზაგასაყარზე არიან.

საბადურიდან ჩამომავალი შარაგზა გაჰკვეთს ტაფობს და ნადირაანთ კარისა და თოლენჯის ხევის შუა გაივლის. გადაჰკვეთს ქორშავარდენის მთას და ფშავის „დედაქალაქ" თიანეთში შევა. თიანეთიდან შარაგზა სოფელ ეებოტასთან იორს გადაჰკვეთს და გადადის კახეთში, სოფელ ახმეტაში, წინათ, თიანეთის გზა სწორედ ეს იყო. ახმეტასა და თიანეთს შორის გზა ძირითადად დაბურულ ტყეში მიდის, ილდოყანის ქედ-ქედ. ეს ის ილდოყანია, სადაც ძველადაც ნავთს ეძებდნენ და დღესაც, მაგრამ სამრეწველო მნიშვნელობის საბადო ვერ იპოვეს. იქ, სადაც ალაზნის მარცხენა შენაკადი ილტო აღმოსავლეთისაკენ უხვევს, გზა მის მარჯვენა ნაპირს გასდევს და ტყეც იშვიათდება.

ილდოყანის ქედზე ჯერ კიდევ არის შესანიშნავი წიფლნარი, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ახმეტის სატყეოში ექსპლოატაცია იმ სიფრთხილით არ მიდის, როგორც მთის ტყეს შეეფერება; ბევრგან ტყის სიხშირე დაყვანილია 0,4—0,5-ზე, რაც დაუშვებელია მთებში. ეს ამბავი ჩვენმა მგზავრებმა ძველი მოგზაურობიდან იცოდნენ, დღეს კი საყდრიონისაკენ გამოჰკრეს, ჩრდილო-აღმოსავლეთით. საყდრიონი კარგა დიდი სოფელია; მის შემდეგ გაიშორავეს, პირი ჩრდილოეთისკენ ჰქმნეს და სოფელ სიონთან ხიდზე გავიდნენ. მხარმარჯვნივ, ივრის მარცხენა ნაპირზე დარჩა ორხევი, მაღლა მთაზე ბოჭორმის დიდი ციხე და ივრის პირას სოფელი ბოჭორმა, მის ქვევით კი გორგასლის ციხე უჯარმა. სიონის ახალშენში მოჩანდა ორ-სამსართულიანი სახლები, სიონის წყალსაცავის მშენებელთა პატარა ქალაქია ეს „აწ უქმი". გავიდნენ ჯებირზე და მათ წინაშე გადაიშალა შესანიშნავი სურათი. ანკარა ტბა თითქმის ათ კილომეტრზე გაჭიმულიყო.

— დაფარა სოფლები წყალმა?

— მერე და რამდენი?!

— ხალხი ბარად, სამგორზე ჩავიდა, წაიღეს, რაც წასაღები იყო, დანარჩენი კი წყალმა დაფარა.

— მხოლოდ სიონის მეათე საუკუნის ბაზილიკა დაჭრეს, დანომ-



სარის შენახვა

რეს და თბილისში ჩამოიტანეს. ამის თავკაცი იყო მშენებლობის უფროსი ინჟინერი გოცირიძე.

— კუს ტბისკენ მიმავალ გზაზე რომ ააგეს, ისა?

— სწორედ ის.

— ნეტავ უფრო მეტი იყოს ასეთი მშენებელი, რომელიც ეგრე გაუფრთხილდება ძველ ძეგლს — აი, ძეგლის მეგობარიც ეგა ყოფილა. თორემ ლამისაა ხახმატი და შატილი დაანგრიონ, ვითომ ხან გზას უშლის, და ხან კიდევ რაღაცას, — დაამთავრა ერეკლემ.

— არა, შატილს, გადაწყდა, მოუარონ...

გოგია გაღმა, მარჯვენა ნაპირზე გასულიყო და იქიდან საყვირით ნიშანს იძლეოდა, აქ ჩამოდითო. გავიდნენ, მეთევზეებს კალმახი დაეჭირათ. ერთი მათგანი 4-5 კილოგრამი იქნებოდა.

— ეს ხომ უკვე ორაგულია.

— ორაგულია! კალმახი რომ იზრდება, ის უკვე ორაგულია.

— ვითომ? — არ დაიჯერა ვახტანგმა.

— სახელმძღვანელოებში ეგრე წერია და რა ვიცი!

წყნარად უპასუხა მეთევზემ, რომელიც, როგორც ჩანდა, მარტო უბრალო მეთევზე არ უნდა ყოფილიყო. გიორგისთან საუბარში გაირკვა, რომ იგი ზოოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელი იყო და აქ სწორედ ჩვენი კალმახისა და ორაგულის ბიოლოგიას სწავლობდა.

— კალმახი თუ ორაგულია, მაშინ კალმახი რათა ჰქვია? — არ ცხრებოდა ვახტანგი.

— მაშ, რახან ეგრე გაინტერესებს, ეს ორაგული შენთვის მომირთმევია! — ამოიღო ნავიდან ორაგული და გაუწოდა.

ვახტანგმა უკან დაიხია და, როცა მამამ თავი დაუქნია, გამოიართვა.

— ეს კალმახები კი თქვენ, — და მურყნის ტოტზე ასხმული კალმახების ჯაგანი ერეკლეს გაუწოდა.

— საღამომდე ვაითუ გაფუჭდეს, — თქვა გიორგიმ.

— როგორ თუ გაფუჭდეს! აი, რცხილისა და მურყნის ფოთოლი, შევახვევ და გინდა სტამბულში წავიღებ, — თქვა პავლემ. სწრაფად მოიტანა ახალი ფოთოლი, შეახვია, ჩადო მანქანაში და ზევიდანაც ფოთლები დააფარა

მადლობა გადაუხადეს ნანადირევისათვის და გამოსწიეს. მზე საშუადღეოდან გადახრილიყო, გამოიარეს კვლავ საყდრიონი და სოფელ დეველენაანთთან ჩაუხვიეს ერწოზე ლარივით გაჭიმულ გზაზე.

გადაწყვიტეს, რომ თიანეთში მერე წამოსულიყვნენ. მაშინ, როდესაც კახეთსაც მოინახულებდნენ. ძალიან კი უნდოდა ვახტანგს, რომ ქორშავარდენის ქედი ენახა, რომელიც ხევსურთ-სოფელსა და თიანეთს შორის მდებარეობს.

— სახელი ისეთი აქვს, ლამაზი უნდა იყოსო, — ამბობდა. მაგრამ, რას იზამ, გადაწყვეტილება გადაწყვეტილებაა.

გადასჭრეს ერწო. აძეძის ნაპირას რამდენიმე უზარმაზარი ტირიფი რომ იდგა, მასთან შეჩერდნენ, გასინჯეს.

სოფ. ღულელებიდან გზა უცბად ციცაბოს შეუდგა, რცხილიანს, ქვევიდან ეტყობა, რომ ქედი კარგი ტყითაა დაფარული.

კარგა მაღლა აიწიეს. ტყე შესანიშნავადაა მოვლილი, როგორც ეტყობა, გამოხშირვა აქ ახალი ხილი არ იყო. ამოვიდნენ ზევით და ერთ ტყის მდელოსთან შეჩერდნენ. აქ პატარა წყაროც მოინახულეს. ვახტანგს თვალების ციმციმზე ეტყობოდა, რომ მოშივნოდა. თვითონ

გაშალა ნაბადი. ჩემოდნიდან ამოიღო ლურჯი სუფრა და დაფინა მწვანეზე.

— შენა ერთ ფშაველსა გევხარ, ვახტანგ: „ფშაველ ვარ, ფშავში მივდივარ, ვაი, ფშაურო ხინკალოო“. ალბათ არც შენ დააყრი ხეირს, არა?

— თქვენა, ძია პავლე, არა გშიანთ?

— როგორ არა მშიან, მაგრამ ჩვენ გაძლებაც ვიცით.

გემრიელად მოულხინეს და როცა სუფრა აალაგეს, მამამ—ფეხით გავიაროთო.

ზედ ქედზე, გზის პირას, ჭყორი ჩანდა.

— აბა, ცოტა სიღრმეშიც შევიდეთ! — და გზიდან რომ გადაუხვიეს, ასიოდე ნაბიჯზე, ქვე-ტყე ჭყორისაგან იყო შექმნილი ისე, რომ შეიძლებოდა ამ წიფლნარისათვის გეწოდებინა „წიფლნარ-ჭყორიანი“. ამავე დროს განიერფოთლება გვიმრამაც იძალა, ნამდვილი კოლხური იერის მატარებელი წიფლნარი ჩანდა — ერთ ღრმა, ციცაბო ხევში მაღალი მოცვი და იელიც კარგად გრძნობდა თავს და მოცვნარ-იელიან წიფლნარს ჰქმნიდა.

ჩრდილოეთისაკენ რომ გადმოინაცვლეს, ეკლიანი თაგვისარაც დახვდათ. ღრმა ხევში რამდენიმე დაბუჩქებული უთხოვარიც იყო.

ამ მხრივ საბადური ბუნებრივი გაგრძელებაა საგურამოს ქედისა და უძველესი და იშვიათი მცენარეების თავისებურ საგანძურს წარმოადგენს. ამოვიდნენ ზევით და კვლავ ჭყორიანში მოხვდნენ, მაგრამ ჩრდილო დაქანებულ ფერდოზე უკვე მაყვლიანში გაიბნენ.

თითო-ოროლად აღინიშნა სურო კოლხური, სურო ჩვეულებრივი, განიერფოთლება ჭანჭყატა (კიდობანა), დათვის თხილა, იმერული ხეჭრელი და სხვა.

მართალია, ყველა ეს საგურამოს ქედზე უფრო მეტია, მაგრამ თუნდაც მცირედის აქ არსებობასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მხარის მცენარეულის ისტორიისათვის.

გზაზე რომ გამოვიდნენ, გზის პირას, რუში, დათვის ნაფეხურები ხახეს, დიდის გვერდით პატარაც ჩანდა.

— ახლახანს გაუვლია, — დაასკვნა ერეკლემ.

— გუშინ დილით გადაიარა, — ჩაურთო გზის ოსტატმა, რომელიც მათ თავს წამოსდგომოდა.

— ესეც შენი თბილისი! აი, მის გვერდით დაბურული ტყე და შიგ კიდევ დათვები, ირმები, შველი.

— თუ კარგად გავუფრთხილდებით, ეს ტყე თბილისისათვის შეიძლება თანამედროვე, მეცნიერულ დონეზე დაყენებული დასვენების პარკად ვაქციოთ. წარმოგიდგენიათ, რომელიმე ექსკურსიამ აქ ირემი და დათვი ნახოს?

— არც დაავიწყდებათ არასოდეს.

კარგად რომ მოიღალნენ, მაშინღა მიაშურეს გოგიას მანქანას, არ ეთმობოდათ ცამდე ატყორცნილი, თეთრტანა და ქოჩორა წიფლის ხეები.

მანქანა ნელ-ნელა დაეშვა ჭირკვალზე და ცხვარიჭამიას ზევიდან მოექცა მდინარე თეზამზე (თეძამი ქართლშია, თრიალეთიდან რომ ჩამოდის).

— თუ ხიდი კარგია, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს.

— რადა, ძია გოგი?

— რადა და თეზამის ქვიშამ მოტყუება იცის, შეხვალ და ჩარჩები, მანქანის თვალი ღრმად მიდის.

ბედად, ხიდი კარგად დახვდათ და მშვიდად გაიარეს.

— ცხვარიჭამია რაღად ჰქვიან?

— ალბათ ოთხფეხა ან ორფეხა მგელი ბევრ ცხვარსა ჭამდა,—ახსნა ერეკლემ.

თეზამის ხეობიდან კვლავ აღმართს შეუდგნენ. ცხვარიჭამიას ზეკარი უნდა გადაელახათ. მართლაც, მალე დაეშვნენ და გლდანის ხევში ჩამოვიდნენ, სოფელ მამკოდის (თუმცა ნასოფლარიღაა) გაღმა ნაწილი მეწყერს წაეღო, სახლები დაენგრია. ამ სოფლის აქედან აყრის ერთ-ერთი მიზეზი ესეცაა. ისე, კი, მიწა შემოაკლდათ. ახოები მოსავალს აღარ იძლეოდა. სამწუხარო ის იყო, რომ მამკოდის ზვარი გაპარტახებულიყო. ვენახს ხელი განუწყვეტლივ სჭირია. მამკოდის თავზე ლამაზი მწვერვალია ქვაკალო, რომელზედაც წმინდა გიორგის თეთრკედლება ტაძარია. ტყე ჯერ მუხნარ-ჯაგრცხილნარმა შეცვალა, შემდეგ ჯაგნარმა, გლდანთან კი ძეძვიანმა.

მზე არმაზის ქედისკენ იყო გადახრილი.

ბიჭებმა მამას შეხედეს. აქედან ჭოპორტამდე უფრო შორს იყო ვიდრე თბილისამდე.

— ძია პავლეს ხომ შევპირდით, რომ ხვალ მის ბაღ-ვენახს ვნახავ-

დით! ქართველ კაცს სოფელში თუ ეწვევი, მისი ბაღ-ვენახიც უნდა ნახო; რომ არ ნახო, ეწყინება.

— ეგ მართალია. ვენახი ხომ გლეხკაცის მეორე სახლია და ოჯახი, სული და გულია შიგ ჩაქსოვილი.

— ეგეც მართალია! — დაუმატა პავლემ.

ბინდი იყო, როცა ჭოპორტში შევიდნენ და სალომემ პავლეს შეუტია, რაზე დახოცე ბიჭები შიმშილითაო.

მზე შინა და მზე გარეთა....

ჩვენი მგზავრები დილით გვიან ადგნენ. გუშინდელმა დღემ და გრძელმა გზამ ისინი საკმაოდ დაღალა. საუზმის შემდეგ წინა დღის შეგროვილი მასალა კიდევ გადაარჩიეს, ასე ვთქვათ, შალაშინი გაჰკრეს, წარწერები დააზუსტეს და საჰერბარიო ბადეებში საიმედოდ ჩაალაგეს.

ერეკლემ და ვახტანგმა წინა დღის ნანახი და გაგონილი დღიურებში ჩაწერეს და ძია პავლეს რაღაცას ეჩურჩულებოდნენ.

— აბა, მე მგონი დროა, ჩემს ვენახსაც ჩავხედოთ...

მიიპატიჟა ძია პავლემ თავისი სტუმრები.

მართლაც, მხიარული საუბრით განვლეს სოფელი, არსად მიეჩქარებოდათ, დღევანდელი დღე თითქოს დასვენების დღედ იყო გამოცხადებული.

მალე შეაბიჯეს ბაღ-ვენახების დაჩრდილულ ორღობეში. ზოგან კაკლის ტოტი იყო გადმოფარებული გზაზე, ზოგან კალოს მსხლისა, ჭანჭურისა და ქლიავისა.

ჯალჯის ჩაკიწკიწებული ღობეები გასდევდა ვენახებს. კონები ისე კოხტად იყო შეკრული, გეგონებოდათ, პატარძლის მზითევიაო.

აქა-იქ ბიჭები უზარმაზარ, კაკლისოდენა ბლებზე ასულიყვნენ და მოლაღურებივით ბაღიდან ბაღში გასძახოდნენ.

— ბიჭო, სანდრა, ტკბილია?

— ყინვარი შაქარი იცი? სწორედ ისეთია!

— ძირსაც ჩამოყარეთ, ბიჭო, ნუ ხართ ღორმუცელები. — ქვევიდან შესძახოდნენ გოგოები.

— ნურც თქვენა ხართ სულწასულები! — ჩამოსძახოდნენ ზევიდან.

— ძია პავლე, თქვენც გიდგათ ბალი?

— მაშ კალათა რისთვის მოაქვს? — ძია პავლეს ნაცვლად უპასუხა ერეკლემ...

ვენახები დაწკრიალებული იყო. მწვანე ბალახი კაკლების ქვეშ და ღობეების ძირშიღა შერჩენოდა, დანარჩენი სულ გადაბარული იყო, მწკრივებად მოჩანდა სიმინდ-ლობიო, ჭარხალი, კომბოსტო, პომიდორი, ბადრიჯანი, ხახვი, სათესლე ხახვი, მწვანილეულის კვლები; აქა-იქ ინის რამდენიმე ძირი, ზოგან ხაშხაში იწონებდა თავს.

ხაშხაშს ახლა სილამაზისათვის თუ თესავენ, ბოსტანში რომ კაცი შევა, თვალს გაუხარდეს. წინათ? წინათ ეგ იყო აკვნის ბავშვების „წამალი". ჩვილი რომ ატირდებოდა, გაუკეთებდნენ ხაშხაშის თესლის ფიას და აჭმევდნენ. აჭმევდნენ და დაიძინებდა. მაშ, რას იზამდა, ხაშხაში ხომ შხამია, ის აბრუებდა, სწამლავდა და აძინებდა.

— მერე და რად?

— ჯერ ერთი, არ იცოდნენ, რომ ხაშხაში შხამი იყო, მეორე — შრომით ილაჯგაწყვეტილ დედას ეგონა, შვილს სიკეთეს უშვრებოდა და აძინებდა. სიბნელე, სიბნელე, ჩემო ერეკლე. ესეც ჩვენი ბაღ-ვეხახი!

შეყო ხელი კარის გვერდით და ურდული გასწია. შევიდნენ ბაღში და გაჩერდნენ. ისეთი კოპწია იყო, მიხეილ მამულაშვილის ბაღსაც კი გაუტოლდებოდა.

საშუალო კაკლის ქვეშ ქვის მაგიდას გარშემო ხის სკამები ედგა, უფრო სწორად, ბლის მორებისაგან გამოკვეთილი ექვსი სავარძელი და ექვსივე სხვადასხვანაირი, მოჩუქურთმებული; ზოგზე ყურძნის მტევანი იყო ამოტვიფრული, ზოგზე ვაშლი და მსხალი, ერთზე ხარირემი გადმომდგარიყო და ყელმოღერებული იცქირებოდა შორს, ერთზე გლეხის გამხარებელი თვალშავა ხარი ამოეკვეთათ.

— წისქვილი რო დავშალე ეს ქვა აქ მოვიტანე და ტაბლად დავდგი...

— ეს სავარძლები ზამთარშიც აქ არიან?

— კარში რად იქნებიან, აგერ ქოხი, იქ შემაქვს. ბებერი ბალი მედგა, თავისი ვალი შეასრულა, გახმა და აი, ეს სავარძლები გავა-



სახლი ქალაქ დუშეთში, სადაც ილია ჭავჭავაძე მუშაობდა
მომრიგებელ მოსამართლედ.

კეთე ცუდაობის[1] დროს. ხომ იცი, ცუდად ჯდომას ცუდად შრომა ჯობიანო.

ვენახს ცალმხარეს ჩავლებული ჰქონდა დაბლა ნაჩეხი ტირიფი, ტირიფის ზროს თავები თითქმის მიწის პირად იყო.

— ეგ ვენახი ჩვენი განაყარისაა. მართალია, ნათქვამია: მტერი რომ არ გყავდეს, ძმას გაეყარე და მტერი გაგიჩნდებაო, მაგრამ, განა ყველა ანდაზა სწორია. ესეც ხომაა ნათქვამი: „ძმა მაშინ მოგაგონდება, ორი რომ გცემდეს მარტოსაო“. ამაზე ნაკლები როდია: „ძმა თუ არ გყავდეს, სხვა იძმე, უძმოდ სიკვდილი ძნელია“, ან კიდევ: „ძმა ძმობილსა რითი სჯობიაო? ძმა ძმაც არის და ძმობილიცაო, აი, იმითაო“. ჰოდა, ჩვენ სახლიკაცობაში ყოველთვის სიამტკბილობა

[1] ცუდაობის დრო — წვიმიანი, ავდარი, როდესაც გლეხკაცი მინდორში სამუშაოდ ვერ გადის.

იყო. ეგაა, ერთხელ აბრომ ღობე აგვინგრია და დედაჩემმა მაგდამ, აცხონოს ღმერთმა, ისე შეუტია, რომ იმის შემდეგ არა მომხდარა რა, ერთმანეთისათვის ხმა არ აგვიწევია. იმიტომ, ერთმანეთთან შეთანხმებით, სასარეგ ვენახს დაბალი მანა[1] ჩაურიგეთ, მაღალი რომ არ გაიხარდოს და დიდი ჩრდილი არა ჰქონდეს.

ვენახს რომ გააშენებენ,
ჩაურიგებენ მანასა,
ვინც ღვინოს დაგვალეინებს
იმას მოუმკით ყანასა. —

არ გაგიგონიათ?

ვენახის თავში იფანი იდგა, ოთხი დედა ტოტი ოთხივე მხარეს იყო გადასრილი. შემდეგ სწორ კუთხეს ჰქმნიდნენ და მერე კი ცისკენ წასულიყვნენ. ზედ ერთი ათი კონა სარი[2] შეედგათ.

— სარი მიწაზე დალპება, ხეზე კი ქარი უბერავს, ჰაერი უვლის, ნიავი; ადვილად შრება, მერე და ძირს რომ იყოს, ი ჩემ ღენერალ-ღუბერნატორს, სალომეს, რა გადურჩება, თითო-თითოობით გამამილევს. ათი კონაა, ოთხასი სარი, წელიწადში კი სამასსამოცდა ხუთი დღეა. დღეში რომ თითო წაიღოს, აღარც აღარაფერი დარჩება.

— საიდან ჩამოიტანე ეს სარი?

— არ ჩამომიტანია, აი ჩემი სასარე! — ტირიფებზე მიუთითა. — მარტში გადავჩეხე და შევდგი კონები ხეზე, ცოტაოდენი ძველი სარიც გამოვცვალე. სარჩუტი[3] კი სალომეს „სრულ მფლობელობაში გადავიდა“, — წარმოსთქვა საზეიმო კილოთი ძია პავლემ.

— მოდით, ჩამოსხედით. — დაუძახა მამამ.

კაკლის ქვეშ ჩამოსხდნენ. ვახტანგმა თვალი შეავლო შუა ვენახში მდგარ ორ თუ სამ ბალს, რომლის მწვანე ფოთლებიდან გაკრიალებული ალისფერ-ქარვისფერი ნაყოფი ისე ღუოდა, თითქოს ზევიდან ბიჭებს ხელს უქნევენო.

— კარგი, დაიხადეთ თქვენი ბრაგუნა ფეხსაცმელები და ადით, — მიუხვდა გიორგი.

— მერე და იციან?

---

[1] მანა — თანამედროვე ქართულით დაბალი სარი. საბათი: არს პალო და შომცრო მარგილი.

[2] კონა სარი — ორმოცი სარია კონად შეკრული.

[3] სარჩუტი — ძველი, ყანდშეპარული სარი, რომელიც ვაზისათვის შესადგმელად აღარ გამოდგება და სახელდახელო ცეცხლის შეშად იხმარება.

— იციან, ფიქრი არ არის.

შალვამ კი კალათა გამოართვა პავლეს და თვითონაც ავიდა ბალზე. ბიჭები მალე კენწეროებზე მოექცნენ და ჭოპორტელ მოლაღურა ბიჭებს თავისი ხმაც შეუერთეს.

— მაშინვე რა წვეროკინას მოექეცით.

— ძია პავლე, „ბალი წვერში რომ არ გამწარდეს", იმიტომ, — ჩამოსძახა ვახტანგმა.

— ჰაი, შე ქრისტეს ფეხის მომტეხო, შენა!

გიორგი კი გულისყურით ათვალიერებდა პავლეს ბაღ-ვენახს. მართლაცდა იშვიათი ჭკუა და გონიერება იყო შიგ ჩაქსოვილი, მრავალ საუკუნეთა გამოცდილება, მთელი ბუნებრივი საწარმოო ძალები კარგად იყო გამოყენებული, განსაკუთრებით მზის ენერგია.

ბაღი ოთხსართულიანი იყო. მარტო ბაღი კი არ იყო კეკლუცი და შინაარსიანი. ღობე ხომ ღობეა, მაგრამ აქაური ღობე ღობეც იყო და შესანიშნავი ბაღიც.

ღობის ძირში, თითქმის შიგ ღობეში, ურთიერთისაგან თხუთმეტიოდე მეტრით დაცილებული ოთხი ძირი მაღალი ბალი იდგა. ყოველი მათგანი თითქოს თხუთმეტი-ოცი მეტრი სიმაღლისა იყო. ბლებს მორიგეობდა ხუთიოდე მსხალი. მათ შორის: ორი ძირი კალოს მსხალი, ერთი გოხა, ერთი ხეპეპური და ერთი გულაბი. განმარტა პავლემ: კალოს მსხალი კალოობას მწიფდება, ზაფხულის ხილია, გულაბი მარიობისთვისა და ენკენისთვისაა,[1] ხეპეპური და გოხა ზამთრისა, ქრისტეშობისთვესა და იანვარში[2] შემოდის დაკრეფილი. მსხლებს მეორე იარუსი — საფეხური, უპირავთ.

მსხლებ შორის ჩარიგებულია წვრილი ხილი: ჭერამი, ქლიავი, ჭანჭური, დამასხი, არახილი[3], ტყემალი, ღოღონოშო, ოტური, ქარვისფერი ოქროშინდა (ერთი ძირი იდგა), ამათგან ჩირსა და კერკს აკეთებდნენ საზამთროდ, ხმელხილად სახმარად თუ შეჭამანდების გასა-

---

1 მარიობისთვე — აგვისტო, ძვ. ქართულით — ქველთობისა, ენკენისთვე — სექტემბერი, ძვ. ქართ. — ახალი წლისა. ძველად ახალ წელს სექტემბრიდან იწყებდნენ.

2 ქრისტეშობისთვე — დეკემბერი — ძველი ქართულით ტირისდენი. იანვარი ძვ. ქართ. — აპანი.

3 არახილი ქლიავისებრთა ხილი, მრგვალ ნაყოფიანი, მოწითალო მუქი ზანგელა. ოტური — მრგვალი ყვითელი ქლიავია, ოქროშინდა — ყვითელი შინდია.

კეთებლად (შინდის შეჭამანდი, ალუბლის შეჭამანდი, კვრინჩხისა და სხვა მრავალი). ამათ ჩრდილში მოქცეული იყო ჯონჯოლი. ჯონჯოლი ტყის ქვეტყის ბუჩქია და დაჩრდილვისა არც აქ ეშინიან, მისი ჯერ გაუშლელი, მაგრამ შეთქვირებული ყვავილისაგან ჯონჯოლის წნილს აკეთებენ, ძალიან გემრიელსა და გემოიანს.

გიორგიმ ვეღარ გაუძლო შორიდან ცქერას და ღობესთან ახლო მივიდა.

მივიდა და ჯონჯოლების ქვეშ დახვდა ხუნწი წითელი და შავი, ხურტკმელი, დაიხარა და სინჯვა დაუწყო, თავის ბუნებით ესენიც ტყის ქვეტყის მცენარეები არიან და დაჩრდილვას იტანენ. აგერ, ერთი თუ ორი ხომანდულიც[1], მაღალ ხეებზე ერთი ორგან ბაბილოც იყო აშვებული, ღობეზე სვია გადაბარდნილიყო. სვიაც ხომ ნახევრად კულტურული მცენარეა. მის ყვავილედს ლუდის ხარშვაში იყენებენ. სვიას ყვავილთანის ძირში ჯირკვლები აქვს. ამ ჯირკვლებში გროვდება ფრიად არომატული ფისოვანი ნივთიერება, რომელსაც ლუპულინს უწოდებენ, ეს ნივთიერება აძლევს ლუდს თავისებურ არომატს და გემოს — სიმწარეს.

სვიის გარდა აქა-იქ ღობეზე აშვებული იყო მწარე გოგრა, აყირო და გოგრა. აყიროს საჭმელად არ ხმარობენ, მაგრამ მის ნაყოფს გამოიყენებენ ჭურჭლად — მისგან ორშიმოებსა და ხაპებს აკეთებენ.

გოგრისა და აყიროს წკეპლებს ყვავილი უხვად ეყარა. აქა-იქ ნაყოფიც კარგად იყო გამონასკული.

— საოცარია, საოცარი! — ხმამაღლა წარმოთქვა თავისი ფიქრი გიორგიმ.

— რაა საოცარი, გიორგი? — გვერდით პავლე ამოსდგომოდა და ულვაშებში იღიმებოდა.

— რამდენი მიწა უნდოდა, ღობის ძირს ხილი ბაღად რომ გაგეშენებინა?

— რამდენი? ნახევარი დღიური[2] თუ არა, ერთი ჩარექი მაინც.

— ჰოდა, აგაშენა ღმერთმა, აქ კი მხოლოდ ღობის ძირი უჭირავს.

— წინათ ყველა ვენახს ასე ჰქონდა არიგებულ-ჩარიგებული.

---

[1] ხომანდული — ვაშლის ერთ-ერთი სახეობა, ბუჩქად იზრდება, ადრე ნაყოფიერებს და შუა ზაფხულში უკვე მწიფს.

[2] დღიური მიწა — დაახლოებით ნახევარი ჰექტარია — 5000 კვ. მეტრი. ჩარექი დღიურის მეოთხედია.

— ახლა?

— ახლა? ახლა ბევრგან ამოჩეხეს, ჩრდილავსო. რაკი მიწა ცოტა აქვთ, უფრთხილდებიან. ვაზს და ბოსტნეულს ატანენ ძალას.

მთელს ბაღ-ვენახს მოავლო თვალი გიორგიმ. ვენახშიც იგივე ჰაერის სართულებრივი გამოყენება ჩანდა. იდგა ორი-სამი ძირი ბალი, ევროპული ჯიშის ვაშლი და მსხალი, ატამი. მათ შორის ჩარიგებული იყო ვაზის ლამაზი მწკრივი. რომელ ძირთანაც კი მივიდა, პავლემ ხელი მოუფათურა, ზოგს ნაბარტყი შეაფურჩქნა, ზოგის დედანს[1] ხმელი ქერქი შეაცალა.

— ბაღის ასეთი გაშენება, ჩემო პავლე, დიდი სიბრძნეა ჩვენი ხალხისა. ჰაერის ყველა სარტყელია გამოყენებული, ჩვენი ცხრათვალა მზე კი ყველას ყოფნის, ძირსაც და მაღლაც. მარტო ბალი რომ იყოს, ან მარტო ვენახი, ჰაერის მხოლოდ ერთი სარტყელი, ერთი ფენა, იქნებოდა გამოყენებული, აქ კი ქვევიდან ზემოთამდე, სანამდეც შესაძლებელია, იყენებენ.

— მზევ შინა და მზევ გარეთა, არა?

— სწორეღ, მზე შინა და მზე გარეთა. რასაკვირველია, დიდ პლანტაციებში ასეთი დაგეგმვა ჯერჯერობით გაჭირდება, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ამასაც უნდა მიექცეს ყურადღება. ხალხი მრავლდება, მიწა კი იმდენივე რჩება, რაც იყო. ბუნებრივი საწარმოო ძალები მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული!

— ბიჭო, გიო!.. — ჩამოსძახა ვახტანგმა მაღლიდამ.

მამამ ღიმილით ახედა.

— აღარ უნდა ჩამოხვიდეთ?

— ჯერ არ გამწარებულა...

ნელ-ნელა ჩამოეშვნენ ძირს და ფეხშიშველები გაიქცნენ კაკლისკენ. შალვას კალათა პირამდე გაევსო და გიორგის და პავლეს შესთავაზა ბალი.

— ამ ბალს ჭოპორტულას ვეძახით.

— განა ქართული ბალი არაა?

— ქართულია, მაგრამ ჭოპორტულაა. ჩვენს ბალს იმ ქართულ ბალზე, თუნდაც მარტყოფში რომაა, მარცვალი უფრო მსხვილი აქვს და უფრო ტკბილიცაა.

---

[1] ვაზის ძირი. ზრო.

— ძართალია. ეს ჯიში აქ შერჩეულია, აქ დაწმინდავებული და ჯიშად დამდგარი.

— გეცოდინება, გიორგი, მარტყოფში, სამჭკუაანთ უბანში ერთი ძირი ბალია, მარიამობასა მწიფდება[1].

— კი ვიცი, მეხილეობის საცდელი სადგური აპირებს მყნობით მის გავრცელებას. ისიც ახალი ჯიშია. აი, აგრეთ ბუნებაში, უცბად ათასში ერთი განსხვავებული გამოერევა. თუ სხვებს ჯობია და თუ ადამიანმა დროზე შეამჩნია, მოუარა, ამყნო, გაამრავლა, ახალი ჯიში შეიქმნება.

— ეს ბალი ვინ შეამჩნია?

— ჩვენმა მამა-პაპამ. აგერ, აი ის ძირი, ასი წლისაზე მეტია, ჩემს ბავშვობაში განა ერთი და ორი ეგეთი ძირი მოჭრილა, უფრო ხნოვანებიც.

— მაშ, ძველადაც იცოდნენ სელექცია?

მამას გაეღიმა და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. თანაც, ცოტა არ იყოს, საყვედურით, ეგ რა იკითხეთო.

პავლე კი უკვე კიტრებში დადიოდა და შუშა კიტრებს[2] კრეფდა. მეორე პატარა კალათიდან ამოიღო ყველი, პური და მარილი და შესთავაზა: „შენაყრდით, ბაღში საუზმე გემრიელიაო“.

— წეღან ხომ მეორე კალათა არ მოგქონდა?

— ეს კაჭკაჭებს ჩამოუტანიათ ქოხში დილასო, — უპასუხა და ქოხის კარი შეაღო, სველი ხელადა გამოიტანა, — ესეც დაატანა, შამანია, შუა ღვინო[3], არ გაწყენთ.

ყველაფერ ამაზე ძია პავლეს დილიდანვე ეზრუნა. თან, რა-საკვირველია, თავისი ანდაზებიც დაატანა.

მხიარულად ისაუზმეს, ერეკლე არ ისვენებდა, სად და რისგან შეარჩიეს ეს ჭოპორტული ბალიო?

— ჩვეულებრივი ქართული ბალი იყო აქაც გავრცელებული და მისგან შეარჩიეს; ქართული ბალი კი ბალამწარის ჩამომავალია.

— ძია პავლე, ჭალაში ბალამწარები არიან?

— რამდენიც გნებავთ.

---

[1] ესე იგი 29 აგვისტოსათვის.

[2] შუშა კიტრი — გრძელი და გლუვი, უეკლო კანიანი.

[3] შუა ღვინო — ნაქაჯი ღვინო, შამანი, წყალნარევი, წყლის მაგივრად ზაფხულში სახმარი.



წინამძღვრიანთკარის სკოლა

ვიწრო ორღობეებით და ბილიკებით არაგვის ჭალაში გავიდნენ. ჭალა უკვე შელახული იყო, ნაჩეხი. რიყეზე აქა-იქ შავი ვერხვის ამონაყარი ჩანდა, ქაცვი. არაგვის ერთს ტოტს გაღმა ჭალის ტყის ნაშთიც იყო. ტოტი ადვილად გადალახეს, ქვა-ხიდა იყო გამართული.

პავლემ მალე მიიყვანა ბალამწარებთან. ერთი ხუთიოდე იდგა ერთმანეთის შორი-ახლოს. ვახტანგი, ერეკლე და შალვა აცოცდნენ სხვადასხვა ხეზე და მალე ჩამოიტანეს ნაყოფიანი ტოტები. სამივე ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა, ორი ნაღველასავით მწარე იყო და მუქი, თითქმის შავი, მესამე პირისფერი ნაყოფი იყო და მოტკბო.

— ვიცი, ვიცი, ასეთი ბალამწარა ჭოპორტულას წინაპარი...

— საუკუნეების მანძილზე უვლიდა ჩვენი ხალხი და გამოიყვანა მრავალნაირი ჯიში... — წარმოთქვა პათეტურად ერეკლემ.

ჭალაში ღრმად შევიდნენ, გარდა თეთრი ვერხვისა, ტირიფიც იყო, ქვეტყეში ხომ ქაცვიანში ვერ ატანდნენ. რამდენიმე პანტა,

მაქალო, ტყემალი, ფშატი, კატაფშატა, ზღმარტლი, შინდი,შინდანწლა და ჩიტავაშლაც ნახეს.

— აქ ნამდვილი რიყის ტყეა, ნაპირზე მუხნარ-თელნარი იქნებოდა. უკვე გაუჩეხიათ, ერთი-ორი ტანბრეცილი და ტოტებდაგრეხილი მუხაღა დგას.

— წინათ კი აქ შრიალებდა ულრანი ტევრი.

გიორგი კვლავ გაიტაცა ფიქრმა და ეს ფიქრები ხმამაღლა გაუზიარა თავის თანამგზავრებს.

— ძველთაგანვე ჩვენს ხალხს უყვარდა თავისი ბაღისა და ვენახის, მინდვრისა და ბოსტნის გამდიდრება ახალი ჯიშებით. მართლაცდა ფრიად და ფრიად მრავალფეროვანი ჯიშები შექმნა ხილის ჯიშებისა. აი, თუნდაც ვაშლები: თურაშაული კახური, თურაშაული ლეჩხუმური, თურაშაული მესხური, აბილაური, კიტრა, კახურა, ბორა, ზერტულა, ნისკარტა, ყინულა, რევაზ-ბეგი, დანა ვაშლი, თეთრავაშლა, შაქარა, კიტრა ახალციხური, გოგიაანთ კიტრა, მქავე კიტრა, მახარა, მსუქანა, ნაბადა, რაკრაკა, რკინა ვაშლა, რიკოთელა, რძევაშლა, სირმა, ძუძუვაშლა, შაქარ-ნაბადა, ხანდაკურა და კიდევ ბევრი, მაგრამ ყველას რას მოიგონებ; ახლა მსხალი? ბორბალა, ბებიას მსხალი, გულაბი, გოხა მსხალი, ხეჭეჭური, შავი მსხალი, წითელა, მრავალნაირი კალოს მსხალი, ოქრომსხალი, საელიობო, საენკენო, ცქრიალა და კიდევ ბევრი; ახლა ქლიავებს არ იკითხავთ?

— მერე და სად არის?

— ევროპული ჯიშები რომ შემოვიდა, ჩვენს ჯიშებს მივანებეთ თავი, რადგან თურაშაულს კალვილი ჯობდა, კიტრას — როზმარინი. მაგრამ გავიდა ორმოცდაცამეტი-სამოცი წელი და წითელმა კალვილმა და სხვა ბევრმა ევროპულმა ჯიშმა ვერ იხეირა, მივიხედეთ უკან და საძებნელი გახდა თურაშაულიცა და გულაბიც, რევაზ-ბეგიცა, ხეჭეჭურიც, ნისკარტაცა და შავი მსხალიც, სირმაცა და ბორბალაცა. არ ვამბობ, რომ ყველა ეს ისე კარგი იყო, რომ სჯობდა ან თეთრ კალვილს ან სენჟერმენს, მაგრამ ბევრი კაი თვისებაც ჰქონდათ, რომელთაც თანამედროვე მეცნიერების გამოყენებით გავაუმჯობესებდით.

ასეთი ჯიშები კიდევ მოიძებნება ღრმა ხეობებში, უნდა მოვაგროვოთ. მართალია, სკრის საცდელ სადგურში აგროვებენ, მაგრამ არ კმარა, მეხილეობის ყოველ რაიონში დიდი ხილის ბაღთან ხუთიოდე.

ჰექტარზე მაინც უნდა გვქონდეს ადგილობრივი ჯიშების ბაღიც. შეიძლება, დღეს ყველა არ დაგვჭირდეს, მაგრამ თავის დროზე გამოიყენებენ სელექციური მუშაობისათვის, ახალი ჯიშების გამოსაყვანად, სხვა არა იყოს რა, მათ სამუზეუმო მნიშვნელობაც აქვთ. ხომ ვაგროვებთ ძველ იარაღს, ჭურჭლის ნატეხრებს, განა ახალი ჯიშის გამოყვანას ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე კარგი სახლის ან ტაძრის აგებას? ახალი შინაური პირუტყვისა თუ მოსავლიანი ჯიშის გამოყვანას მეტი დრო არა სჭირია, ვიდრე, ვთქვათ, ერთი ტაძრის აგებას?

რამდენი თაობის მუშაობა იყო საჭირო, რომ გამოეყვანათ ისეთი ვაზის ჯიშები, როგორიცაა რქაწითელი, საფერავი, გორულა, ციცქა, ალადასტური, ალექსანდრეული, ოჯალეში? თვითონვე უპასუხა. მრავალიო. და რად უნდა დავკარგოთ რომელიმე მათგანიო?

— არ უნდა დავკარგოთ! — დაეთანხმნენ ვახტანგი და ერეკლე, პავლეცა და შალვაც.

— უნდა მოვაგროვოთ, დავრგოთ, ვახაროთ.

— კარგი იქნება, თუ სკოლები გამართავენ ძველი ქართული ხილისა თუ სხვა კულტურული მცენარეების ბაღ-მუზეუმებს.

ნელი საუბრით აუყვნენ ჭალას და სოფლის მეორე თავში ამოჩნდნენ. მერე კი ბზიანეთის წყლის რიყეს აჰყვნენ.

ეტყობოდა, სოფელი განზე იწევდა, ბევრი ახალი სახლი აეშენებინათ. სოფელი გაშლილიყო, ძველ საბუდარში ვეღარ ეტეოდა.

— ახლაც ხომ ლეკიანობა არ არის, რომ ერთად, მჭიდროდ ვიყოთ, — ახსნა პავლემ.

— ძია პავლე, გახსოვს ლეკიანობა?

— ბიჭო, მე საიდან მეხსომება, სამოცს ახლა გადავაბიჯე. მაგრამ ბავშვობაში პაპა სოლომონი გვიამბობდა ხოლმე, მდევარს როგორ დაუძახებდნენ: ლეკებმა საქონელი გაიტაცესო.

მინდორ-მინდორ წავიდნენ და ზევიდან გადმოხედეს ჭოპორტს. ბზიანებში უნდოდათ ერთხელ კიდევ ასულიყვნენ, მაგრამ მზე თავისას სჩადიოდა და შინისკენ გასწიეს, დღეს ესეც გვეყოფაო.

სახლში მოფუსფუსე სალომე დახვდათ. პური გამოეცხო, სუფრა გაეშალა.

— რაზე დახოცე ადამიანო ე ბავშვები ამ სიცხეში სიარულითა! — შეუტია პავლეს.

პავლეს მხოლოდ გაეღიმა, არა უთხრა რა.

დილით ადრიანად გაიღვიძეს.

შინისკენ მიიჩქაროდნენ. ერთ თვეზე მეტია დედა და ლელა არ უნახავთ.

გულმხურვალედ გამოეთხოვნენ თავის კარგ მასპინძლებს. ძია პავლე შეიპირეს, მოსავალს რომ აიღებდნენ, ის და ბებო სალომე ქალაქში ჩამოვიდოდნენ და ბებო სალომეს აჩვენებდნენ თბილისს.

წინამძღვრიანთკარს ისე როგორ გაივლიდნენ, რომ წინამძღვრიშვილის დაარსებული სკოლა და მისი სახელობის მუზეუმი არ ენახათ... წინამძღვრიშვილი ხომ ის იყო, ვინც პირველმა თავის ხარჯით, გახსნა ეს შესანიშნავი სკოლა. ამ სკოლაში დიდი ილიაც ყოფილა!

განვლეს სოფელი გალავანი და აი, საგურამოც. ილიას სახლი, მუზეუმი, კაკლები, რომელთა ჩრდილში ხშირად დასთენებია ქართლის ბედზე ფიქრებში წასულს.

მუზეუმიდან გამოვიდნენ და გულმა არ მოუთმინათ შამკოვანის ბზიანებშიც არ ასულიყვნენ. ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ, რომ იგი ტაძრის ეზოში დარგულ ბზიდან გავრცელებულა და აქ უპოვნია კვლავ თავისი პირველი სამშობლო.

მცხეთა, ბაგინეთი, მუხათგვერდი, ნაქულბაქევი, დიღმის მინდორი, ვაშლაჯვარი და აჰა, მონატრებული თბილისიც! თუმცა თბილისი ნაქულბაქევიდან დაიწყო, მხარმარცხნივ ელვარებდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ლამაზი შენობა.

შ ი ნ ა ა რ ს ი

თ ა ვ ი I

ზემომეყარა ყივჩალი

ძეძვი და მუხა შეიბნენ ———————— 5
ურკინო სარკინეთი ———————— 16
ტაბარუკი ———————— 27
ღვინო და იორდასალამი ———————— 35
დაე იცოცხლოს ხოხობმა და ირემმა — 53

თ ა ვ ი II

იცრემლება ცხავაბური სურა

ცრემლი მარგალიტად ქცეული ——— 62
აღარ გაივსება ცრემლით სურა ——— 76
გენაცვალე, ქერის პურო, ანაცერო
დიკისაო ———————— 87
ლარგველების ნაფუძარი ———————— 98
მთაში დაკარგული სარკე ———————— 106
რქამოტეხილი ჯიხვი ———————— 123

თ ა ვ ი III

მორგის არაგვი არაგვიანი

გწყალობდეთ ლომისის მადლი ——— 148
მკერდში დაჭრილი ხეობა ———————— 154
უკანასკნელი ნავთსაყუდელი ———————— 166
სისხლის წვიმების დროსაო ———————— 169

ციდან შემოესმა რეკა ———————— 176
ტყეობაში მოქცეული ცხვრის ფარა — 193
ერის საგოდებელი ———————— 210
ნუ დაკარგავ ძველსა გზასა ———— 221
კვლავ იპოვა ძველი ბინა ———— 230
მზე შინა და მზე გარეთა ———— 242

Нико Николаевич Кецховели

БЕЖИТ АРАГВИ

(На грузинском языке)
Детюниздат Грузинской ССР
«Накадули»
Тбилиси
1971

რედაქტორი ნ. ქ ა რ თ ვ ე ლ ი შ ვ ი ლ ი
მხატვარი ჯ. ყ ა ვ ლ ა შ ვ ი ლ ი
მხატვ. რედაქტორი გ. ღ ლ ო ნ ტ ი
ტექრედაქტორი ზ. დ ო ნ დ უ ა
კორექტორი ბ. შ ა ლ ვ ა შ ვ ი ლ ი
კონტროლიორ-კორექტორი ლ. ს უ ლ თ ა ნ ი შ ვ ი ლ ი
გამომშვები ც. ზ ა ზ ა შ ვ ი ლ ი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/IV-71 წ.
ქაღალდის ზომა 60×84 1/16
ნაბეჭდი თაბახი 16
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 13,4
უე 00303 ტირაჟი 10.000 ფასი 77 კაპ. შეკვ. № 100

გამომცემლობა „ნაკადული", მარჯანიშვილის ქ. № 5
Изд. «Накадули», ул. Марджанишвили № 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 2 „ნაკადული", ფურცელაძის ქ., 5
Типография № 2, «Накадули», Главполиграфпрома Государственного Комитета Совета Министров Грузинской ССР по печати, Тбилиси, Пурцеладзе, 5